სსიპ სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საქართველოს ისტორიის სადოქტორო პროგრამა

ამირან კურტანიძე

# კონსტიტუციური აზროვნების ისტორიის ეტაპები საქართველოში

დისერტაცია

ისტორიის  დოქტორიის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

პროფესორი ვაჟა შუბითიძე,

ისტორიის დოქტორი

ახალციხე

2025

# განაცხადი

მე, ამირან კურტანიძე, ვაცხადებ, რომ წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალას, რომელიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ხელმოწერა

თარიღი

სარჩევი

ანოტაცია....4

შესავალი....8

თავი I „ისნის კარვის“ იდეა - მსოფლიო კონსტიტუციონალიზმისა და პარლამენტარიზმის ჩანასახი....17

1.1 სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების თეორიის საფუძვლები....17

1.2. „ისნის კარვის“ იდეა და ხელისუფლების დანაწილების პირველი ქართული მოდელი XII საუკუნეში....32

1.3. პიროვნების თავისუფლებისა და კონსტიტუციური უფლებებისათვის ბრძოლა - შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ მთავარი იდეა....48

თავი II შუა საუკუნეების(IV-XVIIIს.ს.) ქართული კონსტიტუციური და სამართლებრივი აზროვნების ისტორია....67

2.1. კონსტიტუციური და სამართლებრივი აზროვნების ისტორიის წყაროები....67

2.2. ქართული სამართლებრივი და კონსტიტუციური აზროვნება....74

შუა საუკუნეებში....74

2.3 განვითარებული და გვიანი ფეოდალური ხანის ქართული სამართლებრივი და კონსტიტუციური აზროვნება....91

თავი III ქართული კონსტიტუციური აზროვნება XX საუკუნის პირველ ნახევარში.111

3.1. 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია - ქართული კონსტიტუციური აზროვნების კვინტენსეცია....111

3.2 ქართული კონსტიტუციური აზროვნება ემიგრაციაში - მიხეილ მუსხელიშვილი და ევროპის ფედერალური კონსტიტუციის პროექტი....134

დასკვნა....146

გამოყენებული ლიტერატურა.... 155

# ანოტაცია


წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომი „კონსტიტუციური აზროვნების ისტორიის ეტაპები საქართველოში“ ეძღვნება მეტად აქტუალურ და აქამდე მთლიანობაში კომპლექსურად შეუსწავლელ საკითხს, რომლის მთავარი მიზანია ქართული კონსტიტუციური აზროვნების განვითარებისა და ისტორიის ეტაპების შესწავლა და გამოკვლევა XII საუკუნიდან XXI საუკუნემდე - 2017 წლის ჩათვლით.

სამეცნიერო კვლევა ეფუძნებოდა ისტორიის კვლევის ტრადიციულ და აპრობირებულ მეთოდებს: ისტორიულ ანალიზს, შედარებით-ისტორიულ მეთოდს, სისტემურ ანალიზს, კრიტიკულ ანალიზს, დოკუმენტების ანალიზს.

ნაშრომის ძირითადი სამეცნიერო სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ პირველად ქართულ ისტორიულ მეცნიერებაში კომპლექსურად შესწავლილი და ახლებურად გააზრებულია ქართული კონსტიტუციური ააზროვნების ისტორიის ეტაპები XII – XX საუკუნეებში მსოფლიო კონსტიტუციური აზროვნების ისტორიის შუქზე.

ნაშრომს გააჩნია როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული მნიშვნელობა - მისი ძირითადი შედეგები და იდეები შეიძლება წარმატებით გამოიყენონ სამივე საფეხურის სტუდენტებმა, მკვლევარებმა, კონსტიტუციონალისტებმა და სახელმწიფო მოხელეებმა.

ნაშრომი შედგება შესავლის, 3 თავის 8 ქვეთავის, დასკვნისა და გამოყენებული ლიტერატურის სიისაგან და მოიცავს კომპიუტერზე ნაბეჭდ 159 გვერდს.

შესავალში დასაბუთებულია სადისერტაციო თემის აქტუალობა, განსაზღვრულია კვლევის მიზნები და ამოცანები, კვლევის საგანი და ობიექტი, ჩამოყალიბებულია საკვლევი კითხვები და მათზე დაყრდნობით კვლევის ჰიპოთეზა, წარმოჩენილია საკვლევი თემის სამეცნიერო სიახლე, განსაზღვრულია კვლევის მეთოდები, მოცემულია ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა.

ნაშრომის პირველ თავში („ისნის კარვის“ იდეა - მსოფლიო კონსტიტუციონალიზმისა და პარლამენტარიზმის ჩანასახი“) გაანალიზებულია სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების თეორიის (ლოკი, მონტესკიე) საფუძვლები და შექმნის წინა ისტორია და დეტალურად გამოკვლეულია „ისნის კარვის“ იდეა და ხელისუფლების დანაწილების პირველი ქართული მოდელი თამარის მეფობის დასაწყისში -1184-1185 წლებში და მათი შედეგები. ასევე

წარმოჩენილია შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ მთავარი იდეა - ბრძოლა პიროვნების თავისუფალი არჩევანისა და კონსტიტუციური უფლებებისათვის და მოცემულია მისი ისტორიული ანალიზი ნაშრომის მეორე თავში („შუა საუკუნეების ქართული კონსტიტუციური და სამართლებრივი აზროვნების ისტორია“) შესწავლილი და გაანალიზებულია კონსტიტუციური და სამართლებრივი აზროვნების ისტორიის წყაროები, წარმოჩენილია ქართული სამართლებრივი და კონსტიტუციური აზროვნება შუა საუკუნეებში და განვითარებულ და გვიანფეოდალურ ხანაში, მოცემულია მისი შეფასება და კრიტიკული ანალიზი.

ნაშრომის ბოლო, მესამე თავში („ქართული კონსტიტუციური აზროვნება XX საუკუნის პირველ ნახევარში“) გაანალიზებულია 1921 წლის 21 თებერვლის პირველი ქართული კონსტიტუცია, მისი მიღების ისტორია და ისტორიული მნიშვნელობა, ასევე შესწავლილი და გამოკვლეულია ქართული კონსტიტუციური და სამართლებრივი აზროვნება ემიგრაციაში - სტრასბურგის უნივერსიტეტის პროფესორის მიხეილ მუსხელიშვილის ნაშრომზე და ღვაწლზე დაყრდნობით და მოცემულია მისი როლის შეფასება ევროკავშირის შექმნასა და სამართლებრივ-კონსტიტუციურ განვითარებაში. დასკვნაში შეჯამებულია კვლევის შედეგები, გაცემულია პასუხი საკვლევ კითხვებზე და დადასტურებულია კვლევის ჰიპოთეზა.

# Abstract

The present dissertation work "Stages of the History of Constitutional Thought in Georgia" is dedicated to a highly topical and hitherto unstudied issue, the main goal of which is to study and investigate the stages of the development and history of Georgian constitutional thought from the 12th to the 21st century - 2017 inclusive.

The scientific research was based on traditional and proven methods of historical research: historical analysis, comparative-historical method, systematic analysis, critical analysis, and document analysis.

The main scientific novelty of the work lies in the fact that for the first time in Georgian historical science, the stages of the history of Georgian constitutional thought in the 12th - 20th centuries have been comprehensively studied and rethought in a new way in the light of the history of world constitutional thought.

The work has both theoretical and practical significance - its main results and ideas can be successfully used by students of all three levels, researchers, constitutionalists and state officials.

The work consists of an introduction, 3 chapters and 8 subsections, a conclusion and a list of used literature and includes 159 pages printed on a computer.

The introduction substantiates the relevance of the dissertation topic, defines the goals and objectives of the research, the subject and object of the research, formulates research questions and, based on them, a research hypothesis, presents the scientific novelty of the research topic, defines research methods, and gives the theoretical and practical significance of the work.

The first chapter of the work ("The Idea of the "Isnis Tent" - the Germ of World Constitutionalism and Parliamentarism") analyzes the foundations of the theory of the separation of state power (Locke, Montesquieu) and the previous history of its creation, and the idea of the "Isnis Tent" and the first Georgian model of the separation of power at the beginning of Tamar's reign - 1184-1185 - and their results are examined in detail. The main idea of Shota Rustaveli's "The Rider in the Panther's Skin" - the struggle for the free choice of the individual and constitutional rights - is also presented, and its historical analysis is given. The second chapter of the work ("History of Georgian Constitutional and Legal Thought in the Middle Ages") studies and analyzes the sources of the history of constitutional and legal

thought, presents Georgian legal and constitutional thought in the Middle Ages and in the developed and late feudal era, and provides its assessment and critical analysis.

The final, third chapter of the work ("Georgian Constitutional Thought in the First Half of the 20th Century") analyzes the first Georgian Constitution of February 21, 1921, the history of its adoption and historical significance, as well as studies and researches Georgian constitutional and legal thinking in emigration - based on the work and contributions of Professor Mikheil Muskhelishvili of the University of Strasbourg, and provides an assessment of his role in the creation and legal-constitutional development of the European Union. The conclusion summarizes the research results, answers the research questions, and confirms the research hypothesis.

# შესავალი

**სადისერტაციო თემის აქტუალურობა.**

საქართველოს კონსტიტუციონალიზმს მხოლოდ საუკუნეზე ცოტა მეტი ხნის ისტორია აქვს. პირველი ქართული კონსტიტუცია მიღებულ იქნა 1921 წლის 21 თებერვალს როდესაც მიმდინარეობდა დამოუკიდებელი საქართველოს ოკუპაცია და ანექსია ბოლშევიკური რუსეთის მხრიდან.

ამის მიუხედავად, საქართველოს, როგორც მაღალი კულტურისა და მდიდარი ისტორიის მქონე ქვეყანას, გააჩნია კონსტიტუციური აზროვნების ჩასახვის და განვითარების საინტერესო ისტორია, რაც რეტროსპექტულად შესწავლილი არაა დღემდე.

დღეს, როდესაც საქართველო ნელ-ნელა თავის კუთვნილ ადგილს იკავებს ევროპის განვითარებული ქვეყნების გვერდით და ვემზადებით ევროკავშირის წევრობის კანდიდატიდან სრულფასოვანი წევრობისათვის, ასეთი თემის შესწავლა და გამოკვლევა ფრიად აქტუალურ საკითხად წარმოგვიდგება. თემა რეზონანსულია მსოფლიო კონსტიტუციონალიზმის თვალსაზრისითაც - ქართული კონსტიტუციური აზროვნება მსოფლიო კონსტიტუციური აზროვნების საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაკადია.

მისი განვითარება მარტო საქართველოში როდი მიმდინარეობდა, არამედ - ემიგრაციაშიც.

ჩვენ უნდა ვაჩვენოთ ევროპას, რომ ევროპაში (ევროკავშირში) ცარიელი ხელებით როდი შევდივართ, არამედ მნიშვნელოვანი კულტურულ-ცივილიზაციური წვლილით და მარაგით, მათ შორის კონსტიტუციური აზროვნების და განვითარების მრავალსაუკუნოვანი ისტორიით.

ქართული კონსტიტუციური აზროვნება დიდად არ ჩამორჩებოდა ევროპულს და ცალკეულ პერიოდებში მასზე წინაც იდგა. საქართველოსთვის უმძიმეს პერიოდებშიც კი ქართული კონსტიტუციურ-სამართლებრივი აზროვნება იმ ეპოქების დონეზე იდგა და ნელა, მაგრამ მაინც ვითარდებოდა. განსაკუთრებით გამორჩეულია ამ მხრივ თამარ მეფის ეპოქა და ვახტანგ VI-ის მეფობის პერიოდი, XX საუკუნის ქართული ემიგრაციის ღვაწლი უცხოეთში და ა.შ. XXI საუკუნეშიც ქართული კონსტიტუციური აზროვნება

აღორძინებას იწყებს საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებიდან და დღეს საკმაოდ წელგამართული გამოიყურება.

ამრიგად, ქართული კონსტიტუციური აზროვნების ისტორიის ეტაპების შესწავლა მთლიანობაში ფრიად აქტიალურია და აუცილებლობითაა გამოწვეული.

**კვლევის მიზანი და ამოცანები**

სადისერტაციო ნაშრომის მიზანია ქართული კონსტიტუციური აზროვნების განვითარებისა და ისტორიის ეტაპების შესწავლა და გამოკვლევა XII საუკუნიდან XXI საუკუნის პირველი მეხუთედის ჩათვლით.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე დასახულია შემდეგი ამოცანების გადაწყვეტა:
ა) აღნიშნული პერიოდის ისტორიის წყაროების და დოკუმენტური მასალების ანალიზი ქართული კონსტიტუციური აზროვნების განვითარების თვალსაზრისით;
ბ) ქართული კონსტიტუციური აზროვნების შესაბამისობის ჩვენება იმდროინდელ ევროპულ კონსტიტუციურ აზროვნების დონესთან;
გ) ქართული კონსტიტუციური აზროვნების წვლილის ჩვენება მსოფლიო კონსულტაციური აზროვნების განვითარების ისტორიაში.
დ) ქართული ემიგრაციის წვლილის წარმოჩენა ქართული კონსტიტუციური აზროვნების ისტორიაში.

**კვლევის საგანი და ობიექტი**

კვლევის ობიექტია ქართული კონსტიტუციური აზროვნების ეტაპების შესწავლა და გამოკვლევა, მისი განვითარების თავისებურებათა წარმოჩენა;
კვლევის საგანია ქართული კონსტიტუციური აზროვნება.

**საკვლევი კითხვები**

1. რა ეტაპები გაიარა ქართული კონსტიტუციურმა აზროვნებამ?
2. რა იყო ქართული კონსტიტუციური აზროვნების მთავარი პრიორიტეტები?
3. რა საერთო და განმასხვავებელი გააჩნია ქართულ კონსტიტუციურ აზროვნებას ევროპულთან?
4. რაში მდგომარეობს ქართული კონსტიტუციური აზროვნების წვლილი მსოფლიო კონსტიტუციონალიზმის ისტორიაში?

### კვლევის ჰიპოთეზა

ქართული კონსტიტუციური აზროვნების ისტორიის ეტაპების შესწავლა ნათლად გვაჩვენებს, რომ მისი მთავარი პრიორიტეტები სრულ თანხვედრაში იყო და ხანდახან წინ უსწრებდა კიდეც ევროპულ კონსტიტუციურ აზროვნებას (თამარ მეფის ეპოქაში და 1948-1958 წლებში ემიგრაციაში), რომ ქართულ კონსტიტუციურ აზროვნებას მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი მსოფლიო კონსტიტუციური აზროვნების ისტორიაში.

### საკვლევი თემის მეცნიერული სიახლე

ჩვენი საკვლევი თემა შეიცავს რამდენიმე სამეცნიერო სიახლეს:

1. პირველად ქართულ ისტორიულ მეცნიერებაში კომპლექსურად შესწავლილ და ახლებურად გააზრებულია ქართული კონსტიტუციური აზროვნების ისტორიის ეტაპები XII-XX საუკუნეებში მსოფლიო კონსტიტუციური აზროვნების ისტორიის შუქზე - ამ სათაურით და შინაარსით აქამდე საქართველოში დისერტაცია არ დაცულა;
2. ჩვენ ვეყრდნობით და ვანვითარებთ ქართველ ცნობილ ისტორიკოსთა და სამართლის ისტორიის სპეციალისტთა შეხედულებას ყურთლუ არსლანის დასის გამოსვლის შესახებ, რომ ეს იყო არა მარტო პარლამენტის დაარსების ადრეული მცდელობა და ხელისუფლების (გა)დანაწილების ქართული მოდელი, არამედ კონსტიტუციური მონარქიის შემოღების პირველი მცდელობა ორპალატიანი პარლამენტით, სადაც სამეფო დარბაზი იქნებოდა ქვედა პალატა, ხოლო ისნის კარავი - ზედა პალატა, რომელიც იქნებოდა მთავარი კანონმდებელი და უზენაესი სასამართლო ორგანოც;
3. ჩვენი გამოკვლევით დადგენილია, რომ შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანმა“, რომლის მთავარი იდეა არის ბრძოლა პიროვნების თავისუფლებისა და კონსტიტუციური უფლებებისათვის, დიდი გავლენა მოახდინა ყუთლუ-არსლანის დასის იდეურად ჩამოყალიბებასა და გამოსვლაზე, რასაც თამარ მეფის დროს სამეფო ხელისუფლების შეზღუდვა მოჰყვა;

4. სისტემატიზებულია ქართული კონსტიტუციური აზროვნების განვითარების ისტორიის ეტაპები ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლიდან XXI საუკუნის პირველ მეხუთედამდე;
5. ქართული კონსტიტუციური აზროვნების განვითარების მიმართულებით ჩვენს მიერ შესწავლული და გაანალიზებულია საფრანგეთში მცხოვრები ქართველი ემიგრანტის, სტრასბურგის უნივერსიტეტის პროფესორის მიხეილ მუსხელიშვილის (1903-1964 წ.წ.) სამეცნიერო მოღვაწეობა, რომელმაც ევროკავშირის დამფუძნებელ „მამებზე“ 2 წლით ადრე, 1948 წელს შექმნა ევროპის ფედერალური კონსტიტუციის პროექტი, რომელიც უმნიშვნელო შესწორებებით საფუძვლად დაედო ევროკავშირის სამართალს და კონსტიტუციის პროექტს 2008 წელს, უვიზო მიმოსვლას, ევროკავშირის პოლიტიკური ინსტიტუციების დაარსებას, ევროპის საგანმანათლებლო პროგრამების დაახლოებასა და ჰარმონიზაციას, რაც გახდა ბოლონიის მსოფლიო საგანმანათლებლო პროცესის საფუძველი.

**კვლევის მეთოდები**

ნაშრომის დაწერისას ჩვენ ვისარგებლეთ ისტორიის მეცნიერებაში ფართოდ გავრცელებული და აპრობირებული მეთოდებით:

- ისტორიული ანალიზი;
- შედარებით - ისტორიული მეთოდი;
- სისტემური ანალიზი;
- დოკუმენტების შესწავლა და მისი ანალიზი

**ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა**

ნაშრომის თეორიული მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ ამ გამოკვლევით ქართული კონსტიტუციური აზროვნების ისტორიას შეემატა ახალი, ორიგინალური ნაშრომი, რომელიც აუცილებლად გამოადგებათ უნივესიტეტების სამივე საფეხურის სტუდენტებს სადიპლომო და სადისერტაციო ნაშრომების მომზადებაში, მკვლევარებს კი ახალი ნაშრომების შექმნასა და ამ თემაზე სალექციო სილაბუსის გაკეთებაში.

ნაშრომს პრაქტიკული მნიშვნელობაც_ გააჩნია. მისი ძირითადი შედეგები და იდეები შეიძლება ასევე გამოიყენონ კონსტიტუციონალისტებმა, დიპლომატებმა და

სახელმწიფო მოხელეებმა, ქართული ემიგრაციის მკვლევარებმა, არასამთავრობო ორგანიზაციებმა, პოლიტიკოსებმა და სხვ.

**ნაშრომის სტრუქტურა**

ნაშრომი შედგება შესავლის, 3 თავის, 8 ქვეთავის, დასკვნისა და გამოყენებული ლიტერატურის სიისაგან და მოიცავს კომპიუტერზე ნაბეჭდ 162 გვერდს.

**საკითხის შესწავლის მდგომარეობა და ლიტერატურის მიმოხილვა**

კონსტიტუციური აზროვნების ისტორიის ეტაპების კვლევა ქართულ ისტორიოგრაფიაში ნაკლებად შესწავლილ საკითხთა რანგში განიხილება. მისი ცალკეული ასპექტებში შესწავლილი აქვთ როგორც ქართველ ისტორიკოსებს, ასევე ქართული სამართლის ისტორიის მკვლევარებს და კონსტიტუციონალისტებს, თუმცა მთლიანობაში მისი შესწავლა და გააზრება აქამდე არავის მოუხდენია.

კონსტიტუციური აზროვნების ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად ითვლება მსჯელობის და სათანადო ქმედების დაწყება სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილებაზე 3 შტოდ (საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო) და თანამედროვე პარლამენტების ჩანასახების გაჩენა სხვადასხვა ქვეყანაში, რაც მაშინ ძალიან პროგრესული იდეა იყო.

დღეისათვის მსოფლიოში ითვლება, რომ სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების თეორია გვიანი ფეოდალიზმის ხანაში წარმოიშვა და იგი კლასიკური ფორმით ჩამოაყალიბეს ცნობილმა მეცნიერებმა ჯონ ლოკმა და შარლ-ლუი მონტესკიემ XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე. ცხადია, მათ ნააზრევს გარკვეულ საფუძვლები ჰქონდა, რომლის ცალკეული ელემენტები გვხვდება ჯერ კიდევ ძველ ბერძენ ფილოსოფოსებთან, ხოლო მოგვიანებით მათი გამოვლინება თამარ მეფის ეპოქაშიც გვხვდება და იგი უკავშირდება ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლას სამეფო ხელისუფლების გადანაწილების მიზნით.

პლატონმა თავისი ნაშრომებით „სახელმწიფო“ და „ტიმეოსი“ ხაზი გაუსვა სახელმწიფო მართვის მექანიზმში შრომის დანაწილების აუცილებლობას, მანვე ცალკე გამოჰყო ამ მიმართებით საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება და მიუთითა თითოეული მათგანის მიზნებსა და გადასაწყვეტ ამოცანებზე, სხვა ხელისუფლებებთან მათი მიმართების თავისებურებებზე.

არისტოტელემ თავის ნაშრომში „პოლიტიკა“ განასხვავა თითოეულ სახელმწიფო წყობილებაში სამი ძირითადი ელემენტი. მისი აზრით თითოეული სახელმწიფოს კონსტიტუცია უნდა პასუხობდეს სამ კითხვას:

1. რომელი ორგანო უნდა ახორციელებდეს კანონმდებლობას;
2. რომელი ორგანო უნდა ახორციელებდეს ადმინისტრაციულ საქმიანობას;
3. რომელი ორგანო უნდა ახორციელებდეს მართლმსაჯულებას.

არისტოტელემ გამოჰყო სამი ორგანო, რომელიც აუცილებელია სახელმწიფო ხელისუფლების წარმატებით განხორციელებისათვის (საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო), რომლებიც ცალ-ცალკე ახორციელებენ თავის წილ ხელისუფლებას, ახასიათებს მათ კომპეტენციებს და უფლებამოსილებებს. არისტოტელე ყველაზე მაღლა აყენებს საკანონმდებლო ხელისუფლებას და მის უფლებებს ზრდის აღმასრულებელი ხელისუფლების ხარჯზე.

ჩვენ ასევე გაანალიზებული გვაქვს პოლიბიოსის, ციცერონის, მ. პადულის, თ.აქვინელის, ნ.კუზანელის, ჯ.ლოკის, შ.მონტესკიეს ნაშრომები ამ მიმართულებით. განსაკუთრებული როლი შეასრულა შარლ-ლუი მონტესკიეს ნაშრომმა „კანონთა გონი“, რომელმაც პირველად გამოაცხადა სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილება სახელმწიფოებრივი მოწყობის და ნებისმიერი წყობილების უმაღლეს პრინციპად, რომელსაც შეუძლია ხელისუფლებრივი ბალანსის შექმნა, ხელისუფლების უზურპაციიდან დაზღვევა და მოქალაქეთა უფლების და თავისუფლებების დაცვა და უზრუნველყოფა. მისი ნააზრევი სრულად ახალი ეტაპია სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების თეორიაში.

ამ თეორიისა და განსაკუთრებით მისი პრაქტიკის განვითარებასა და პრეცენდენტის შექმნაში ძალზე მნიშვნელოვანია ყუთლუ-არსლანის დასის მიერ წამოყენებული „ისნის კარვის“ იდეა, როგორც ქართული რენესანსული კულტურის და კონსტიტუციური აზროვნების ერთ-ერთი ბრწყინვალე ნიმუში და დადასტურება.

თავის ნაშრომში „ქართული სამართლის ისტორია“ (წ. II, ნაკვეთი II, ტფ. 1929) აკადემიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა პირველმა მიუთითა ყუთლუ-არსლანის დასის მიერ „ისნის კარვის“ იდეაში გაჟღერებულ პოლიტიკურ პროგრამაში სახელმწიფოებრივი ხელისუფლების დანაწილების თეორიის ცალკეული ასპექტების არსებობაზე. მისი აზრით, ეს იყო პარლამენტის დაარსების პირველი მცდელობა

ხელისუფლების შესაზღუდად და ძალაუფლების გადასანაწილებლად, რასაც მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა. ყურთლუ-ასლანის დასის გამოსვლას და მის შეფასებას თავიანთ ნაშრომებში შეეხნენ პროფესორები: შოთა მესხია, აბელ კიკვიძე, კ. გრიგოლია, ვახტანგ აბაშმაძე  და სხვა, რომლებმაც გაიზიარეს ივანე ჯავახიშვილის ეს მოსაზრება და განიხილეს მისი ცალკეული ასპექტები. ქართველ ისტორიკოსთა მეორე ნაწილი: სიმონ ჯანაშია, ნიკო ბერძენიშვილი და მისი თანაავტორები, გიორგი სოსელია მიიჩნევდნენ, რომ ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლა დიდგვაროვან აზნაურთა მორიგი აჯანყება იყო, რომელიც ახალგამეფებული თამარის სამეფო ხელისუფლების შეზღუდვას ისახავდა მიზნად.

პროფესორმა ილია ანთელავამ განავითარა საპირისპირო თვალსაზრისი ივანე ჯავახიშვილისგან და ვახტანგ აბაშმაძისაგან. მან გამოთქვა თვალსაზრისი, რომ ამ გამოსვლას ასეთი დიდი მოვლენის მნიშვნელობა არ უნდა მიეცეს და რომ ეს არ იყო ხელისუფლების დანაწილების მოთხოვნა, რაც ასევე გაიზიარა მკვლევარმა გ. მჭედლიძემ.

აღნიშნულ საკითხს შეეხო და ძალიან საინტერესო აზრები გააჟღერა პროფესორმა გიორგი მჭედლიშვილმა.

პროფესორმა ვაჟა შუბითიძემ ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლის საკითხი საგანგებოდ შეიტანა პროფ. ოთარ ქოჩორაძესთან ერთობლივად გამოცემულ სახელმძღვანელოში (პოლიტოლოგია, თბ. 2001). მისი აზრით, ეს იყო მსოფლიო პრაქტიკაში ხელისუფლების დანაწილების პირველი მცდელობა და მოდელი. მანვე ასევე მკვლევართა ყურადღება მიაქცია იმ ფაქტსაც, რომ, ყუთლუ-არსლანის დასი არ ეხებოდა სამეფო დარბაზს, მას ძალაში ტოვებდა და ითხოვდა მასზე უფლებრივად მაღლა მდგომი საგანგებო ორგანოს „კარვის“, ანუ ზედა პალატის შექმნას, ანუ აჟღერებდა ორპალატიანი პარლამენტის მსგავსი ორგანოს დაარსების პოლიტიკურ მოთხოვნას („ხელისუფლების დანაწილების ქართული მოდელი თამარის ეპოქაში“, ჟურნ. „საისტორიო ვერტიკალები“, #40, 2018)

შუა საუკუნეებში ქართული კონსტიტუციური-სამართლებრივ აზროვნების შესანიშნავი ნიმუშებია „ხელმწიფის კარის გარიგება, გიორგი V ბრწყინვალეს (1318-1346 წ.წ.) ბრძანებით 1334-1335 წლებში შექმნილი „ძეგლის დადება“, ბაგრატ კურაპალატისა და ბექა-აღბუღას (XIV ს.). სამართლის წიგნები, ვახტანგ VI-ის

ბრძანებით შექმნილი „დასტურლამალი“ (1707-1709 წ.წ), რომლებიც განიცდიან რომის და ბერძნული სამართლის გარკვეულ გავლენას. მათი შესწავლა და ანალიზი განახორციელეს აკად. ისიდორე დოლიძემ, პროფესორებმა ივანე სურგულაძემ, გია ნადარეიშვილმა, ვალერიან მეტრეველმა, გივი ლობჟანიძემ, ვალერიან გაბაშვილმა, ნანა ნიორაძემ.

გვიან შუა საუკუნეებში, XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე შეიქმნა ასევე მნიშვნელოვანი კონსტიტუციურ-სამართლებრივი აზროვნების ნიმუშები, როგორიცაა ალექსანდრე ამილახვარის ტრაქტატი „ბრძენი აღმოსავლეთისა“ (დაიწერა 1780 წელს), დავით ბატონიშვილის „სამართალი“ (კანონთა კრებული) და იოანე ბაგრატიონის „კალმასობა“ (სჯულდება), რომლებშიც უკვე იგრძნობა ფრანგ ენციკლოპედისტთა გავლენა ბუნებით სამართალთან ერთად. ქართველ მკვლევართა მიერ (ვ.მეტრეველი, გ.ლობჟანიძე, ვ.შუბითიძე და სხვ.) მათთან ერთად შესწავლილია თერგთდალეულთა ცნობილი წარმომადგენლების ილია ჭავჭავაძის, ნიკო ნიკოლაძის, არჩილ ჯორჯაძის და სხვათა თვალსაზრისი ჩვენთვის საინტერესო მიმართულებით.

1921 წლის 21 თებერვალს მიღებული საქართველოს პირველი კონსტიტუცია მხოლოდ 1991 წლიდან, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის პერიოდიდან გახდა შესწავლის საგანი. მასში სრულად აირეკლა წინა საუკუნეების ქართული კონსტიტუციურ-სამართლებრივი აზროვნების მიღწევები. ამ კონსტიტუციის ანალიზი და შესწავლა დაიწყეს როგორც სამართლმცოდნე იურისტებმა, ასევე ისტორიკოსებმაც და პოლიტიკოსებმაც.

ზოგადად კი ქართული კონსტიტუციური აზროვნების ისტორიის ცალკეული ეტაპები შესწავლილი აქვთ სამართალმცოდნე პროფესორებს ა.დემეტრაშვილს, ი.კობახიძეს (მათი ერთობლივი ნაშრომი „კონსტიტუციური სამართალი“, თბ., 2014), ვ.გონაშვილს, ქ.ერემაძეს გ.თევდორაშვილს, გ.კახიანს, გ.კვერენჩხილაძეს, ნ.ჭიღლაძეს (მათი „შესავალი საკონსტიტუიციო სამართალში, თბ, 2016). ისტორიკოსსა და პოლიტოლოგს, პროფესორ მალხაზ მაცაბერიძეს თავის მონოგრაფიაში „საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია: შემუშავება, მიღება, სახელმწიფოს მოწყობის კონცეპცია“ (თბ; 2021). მასში დეტალურადაა შესწავლილი და გაანალიზებული პირველი ქართული კონსტიტუციის მიღების პერიპეტიები - საკონსტიტუციო კომისიის შექმნა,

კონსტიტუციის პროექტების განხილვა, დებატები ძირითადი დებულებებისა და ცალკეული მუხლების მიღებაზე, კონსტიტუციის მიღება და სხვ.

ქართული კონსტიტუციური აზროვნება საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის (1921 წ) შემდეგ შემოქმედებითად მხოლოდ ემიგრაციაში განვითარდა და სერიოზულ მასშტაბებს და რეზონანსს მიაღწია სტრასბურგის უნივერსიტეტის პროფესორის მიხეილ მუსხელიშვილის ნაშრომებში და პროექტებში. ეს პირველ რიგში ითქმის ევროპის ფედერალური კონსტიტუციის პროექტზე (1948 წ.), რომელიც მ. მუსხელიშვილმა დაწერა ფრანგ გასტონ სტეფანისთან ერთად, ასევე მისი ნაშრომი „ევროპის ფედერალიზმის სტრუქტურა“, ევროპაში უვიზო მიმოსვლის იდეა და სხვა ნოვაციები.

მიხეილ მუსხელიშვილის, როგორც ევროპის ფედერალური კონსტიტუციის პროექტის ავტორის და ევროკავშირის ერთ-ერთი მამის, ევროკაშირის სამართლის ერთ-ერთი შემქნელის ღვაწლი პირველად შეისწავლა ისტორიის დოქტორმა,პოლიტიკის  მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ვაჟა შუბითიძემ 2007-2022 წლებში (იხ. მისი ნაშრომები), ხოლო მისმა მოწაფემ, ასოცირებულმა პროფესორმა ედიშერ ჯაფარიძემ მიხეილ მუსხელიშვილის ღვაწლს მიუძღვნა სადოქტორო დისერტაცია და მონოგრაფია „ევროინტეგრაციის სათავეებთან“ (თბ; 2019). მიხეილ მუსხელიშვილი მოღვაწეობას მოგვიანებით რამდენიმე სტატია უძღვნა ასევე ისტორიის დოქტორმა ლელა სარალიძემ.ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ილია ტაბაღუამ ხუთტომეულში „საქართველოს ურთიერთობა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებთან“ (1994-1999 წ.წ.) გამოაქვეყნა ცალკეული მასალები მიხეილ მუსხელიშვილის შესახებ, ასევე მისი რამდენიმე ნაშრომიც.

# თავი I

# „ისნის კარვის“ იდეა - მსოფლიო კონსტიტუციონალიზმისა და პარლამენტარიზმის ჩანასახი

## 1.1 სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების თეორიის საფუძვლები

სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების ისტორიისადმი მიძღვნილ მრავალ-რიცხოვან ლიტერატურაში არსად არაა აღნიშნული, რომ ფეოდალიზმის ხანგრძლივ ეპოქაში სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების მოძღვრება XII საუკუნის საქართველოზე ადრე ევროპაში ან სადმე წარმოშობილიყოს.

არადა, სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილება კონსტიტუციონალიზმის განვითარების ერთ-ერთი მთავარი საყრდენი და მონაპოვარია.

დღეს გადაჭრით მიჩნეულია, რომ სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების მოთხოვნა გვიანი ფეოდალიზმის პროდუქტია და იგი XVII-XVIII საუკუნეებში წამოაყენეს და დაასაბუთეს ინგლისელმა ჯონ ლოკმა და ფრანგმა შარლ ლუი დე მონტესკიემ. შეიძლება ითქვას, რომ მათ მართლაც კლასიკურ დონეზე აიყვანეს ეს თეორია და დაასაბუთეს მისი აუცილებლობა პოლიტიკური თავისუფლების მოპოვების გზაზე. ფაქტიურად მათი ნააზრევი იყო ამ თეორიის მწვერვალი, და მას შუა საუკუნეებში აქვს ფესვები გადგმული, მათ შორის - ქართული საფუძვლები.

სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების მოძღვრების კონტურები ჯერ კიდევ ანტიკურ სამყაროში გამოიკვეთა და შუა საუკუნეებში კი მისი სრულყოფა მოხდა. კაპიტალიზმის ეპოქაში იგი ახალი სახელმწიფოებრიობის აგების ერთ-ერთ ძირითად პრინციპად იქცა, დღეს კი - ყველა ნორმალური ქვეყნის კონსტიტუციის ქვაკუთხედად.

სახელწმიფოსა და სამართლის წარმოშობისთანავე გაბატონებულმა კლასებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს სახელმწიფო ხელისუფლების განხორციე-ლების თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებს. ცხადია, ეს ყურადღების მიღმა არ დარჩენიათ მოაზროვნეებსაც, რომლებიც ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში ამუშავებდნენ იდეალური სახელმწიფოს და მმართველობის მოდელებს.

როგორც ბევრ სფეროში, ასევე ამ საქმეშიც ერთ-ერთი პირველი სიტყვა გამოჩენილმა ბერძენმა მოაზროვნეებმა თქვეს. მათ განსაკუთრებული ყურადღება

დაუთმეს სახელმწიფო ხელისუფლების ცალკეულ განშტოებებს, ცალკეულ ხელისუფლებებად ერთიანი სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების საკითხებს.

მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს ყველაფერი განიხილებოდა როგორც სახელმწიფო მექანიზმის მუშაობაში შრომის განაწილების შედეგი.

ანტიკური პერიოდის დიდი მოაზროვნე პლატონი (ძვ. წ. V საუკუნე), თავის ნაშრომებში („სახელმწიფო“, „ტიმეოსი“ და სხვ.) ხაზს უსვამს სახელმწიფო მართვის მექანიზმში შრომის დანაწილების აუცილებლობაზე, რაც არის სახელმწიფო ხელისუფლების წარმატებით განხორციელების პირობა.

მისი აზრით, სახელმწიფო მართვის მექანიზმის მუშაობა აუცილებლად უნდა ემყარებოდეს შრომის განაწილების ზოგად პრინციპებს. მისი სამართლიანი მოსაზრებით „თითოეულ ადამიანს შეუძლია კარგად გააკეთოს არა მრავალი, არამედ მხოლოდ ერთი საქმე. თუ იგი შეეცდება ერთდროულად სხვადასხვა საქმის კეთებას, მას არაფერი გამოუვა და თავს ვერაფერში გამოიჩენს“ (პლატონი 2003, 502).

პლატონის მოსაზრებით, სახელმწიფო საქმიანობის მთავარ მიმართულებებად დაყოფა და მათზე ხელმძღვანელობის დაკისრება სათანადოდ მომზადებული პირებისათვის, საზოგადოებაში სახელმწიფო ხელისუფლების წარმატებით განხორციელების აუცილებელი პირობაა, რამეთუ ერთი პირისათვის მრავალი საქმის დაკისრება მნიშვნელოვან ზიანს აყენებს სახელმწიფოს და ამას ბოროტმოქმედება შეიძლება ეწოდოს.

პლატონი მიანიშნებს სახელმწიფო ხელისუფლების სხვადასხვა მხარეებზე და ერთმანეთისაგან მკვეთრად გამოყოფს საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებებს (პლატონი 2003, 412,515).

პლატონი შეეცადა განესაზღვრა ამ ხელისუფლებათა კომპონენტებიც. მან მიუთითა საკანონმდებლო ხელისუფლების ამოცანებსა და მიზნებზე, მისი რეალური განხორციელების ფორმებსა და გზებზე, სხვა ხელისუფლებებთან მისი მიმართების თავისებურებებზე. პლატონის მტკიცებით, საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრული სახით სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებისას კანონმდებლობა და სასამართლო, მართალია, მიმართულია ერთი და იმავე საგნისკენ, მაგრამ, ამის მიუხედავად, ისინი განსხვავდებიან კიდევ ერთმანეთისაგან. სახელმწიფო ერთიანობის შენარჩუნებისაკენ პლატონი გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა

სასამართლოს. საზოგადოებრივ ცხოვრებაში მართლმსაჯულების განხორციელების საკითხის კვლევისას პლატონი ხაზგასმით მიუთითებს, რომ როცა დარღვეულია მართლმსაჯულება, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს სახელმწიფო მმართველობის ყველა ორგანოს, მაშინ ხელსუფლების ყველა თანამდებობა ირღვევა, ერთმანეთს ეწინააღმდეგება და საერთო მიზანს აღარ ემსახურება, რასაც მოსდევს შედეგად სახელმწიფო ერთიანობის მოშლა. ეს იწვევს სახელმწიფოში შფოთს, შინაომს, რის შედეგადაც სახელმწიფო იღუპება. სასამართლო აკავშირებს ერთმანეთთან მმართველობის ყველა რგოლს და ორგანოს, მაგრამ სახელმწიფო ხელისუფლებას უშუალოდ ახორციელებს მთავრობა მისადმი დაქვემდებარებული ორგანოებით, მმართველობით. ამდენად, პლატონის აზრით, სახელმწიფოში ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს აღმასრულებელ ხელისუფლებას, რომლის მუშაობის სრულყოფისთვის უნდა შეიქმნას განსაკუთრებული კრება, პლატონი ამტკიცებს, რომ ეს კრება გახდება მთელი სახელმწიფოს ღუზა, რომელსაც შეუძლია იხსნას დაღუპვისაგან ყოველივე ის, რაც მნიშვნელოვანი და სასარგებლოა საზოგადოებისათვის (როცა ვლაპარაკობთ „ისნის კარვის“ იდეაზე, შეიძლება პლატონის ამ აზრმაც იქონია გარკვეული გავლენა „კარვისელებზე“, ისევე როგორც ნეოპლატონურმა იდეებმა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანზე“ იქონიეს გავლენა).

პლატონის მოძღვრება სახელმწიფოს მართვაში ხელისუფლების დანაწილების, როგორც, შრომის დანაწილების საერთო პრინციპის თაობაზე, განავითარა და სრულყო არისტოტელემ (ძვ. წ. IV საუკუნე).

არისტოტელემ გაიზიარა პლატონის აზრი სახელმწიფოს მართვაში შრომის აუცილებელი დანაწილების შესახებ. მისი მოსაზრებით, თითოეული საქმე უკეთესად კეთდება, როცა მას განაგებს, ასრულებს ერთი პირი. არისტოტელე თითოეულ სახელმწიფო წყობილებაში ერთმანეთისაგან ანსხვავებს სამ ძირითად ელემენტს და ხაზს უსვამს. რომ საზოგადოების წინაშე მდგარი ამოცანების შესაბამისად, თითოეული სახელმწიფოს კონსტიტუცია უნდა პასუხობდეს სამ კითხვას:

1. რომელი ორგანო უნდა ახორციელებდეს კანონმდებლობას;

2. რომელი ორგანო უნდა ახორციელებდეს ადმინისტრაციულ საქმიანობას;

3. რომელი ორგანო უნდა ახორციელებდეს მართლმსაჯულებას (არისტოტელე 1999, 37).

ამრიგად, არისტოტელე გამოყოფს სამ ორგანოს, რომელიც აუცილებელია სახელ-მწიფო ხელისუფლების წარმატებით განხორციელებისათვის. ესენია საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო, რომლებიც ცალ-ცალკე ახორციელებენ თავის წილ ხელისუფლებას.

არისტოტელე ცალკე გამოყოფს თითოეული ზემოაღნიშნული ხელისუფლების კომპეტენციებს და უფლებამოსილებებს და სათანადოდ განმარტავს მათ.

მისი აზრით, მთავრობის სხვადასხვა ორგანოების აღმასრულებელი მაგისტრატები უნდა ზრუნავდნენ სახელმწიფოს სათანადო მმართველობაზე. სასამართლო ხელისუფლება, არისტოტელეს აზრით, მხოლოდ მართლმსაჯულებას უნდა ახორციელებდეს. საკანონმდებლო ხელისუფლებას, არისტოტელეს დახასიათებით, ფართო უფლებამოსილება აქვს, რადგანაც საკანონმდებლო ხელისუფლება უმაღლესია საზოგადოებაში (აქ შეიძლება დავინახოთ საპარლამენტო მმართველობის ჩანასახი, რომელიც ფართოდაა გავრცელებული დღეს მსოფლიოში, და, რომელზედაც გადავიდა, 2018 წლის კონსტიტუციური შესწორების შემდეგ, საქართველო).

არისტოტელეს აზრით, საკანონმდებლო ხელისუფლებას აქვს არა მარტო კანონების გამოცემის, არამედ სახელმწიფო ცხოვრების უმნიშვნელოვანესი საკითხების (ომის და ზავის გამოცხადების, სახელმწიფო მოხელეების არჩევის, სამხედრო კავშირების შექმნის და ა.შ.) უფლება. ათენიც და სხვა ბერძნული პოლისების თავისებურებებიდან გამომდინარე, არისტოტელესთან საკანონმდებლო ხელისუფლების უფლებები გაზრდილია ნაწილობრივ აღმასრულებელი ხელისუფლების ხარჯზე (არისტოტელე 1999, 39).

პლატონისა და არისტოტელეს მეცნიერულმა ნააზრევმა დიდი ზეგავლენა მოახდინა მომდევნო ეპოქის პოლიტიკური აზრის განვითარებაზე. ეს კარგად ჩანს პოლიბიოსისა და ციცერონის ნაშრომებში. სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების მოძღვრებას ისინი უკავშირებდნენ სახელმწიფოს ე.წ. შერეულ ფორმას. პოლიბიოსი სახელმწიფოთმცოდნეების უმრავლესობაზე დაყრდნობით თვლის, რომ არსებობს სახელმწიფო მართვის სამი ფორმა: მონარქია, არისტოკრატია და დემოკრატია. თუმცა ის იქვე დასძენს, რომ სახელმწიფო წყობილების ყველაზე უკეთესი ფორმაა სახელმწიფოს შერეული ფორმა, რომელშიც ხელისუფლება

ხორციელდება ზემოაღნიშნული სამი სამართლიანი მმართველობის საფუძველზე (Polibii 1935, 338). პოლიბიოსი ასეთ სახელმწიფოებად მიიჩნევს სპარტასა და მონათმფლობელურ რომს, რადგანაც რომის კონსულების სამართლებრივი მდგომარეობა მონარქიულია, სპარტისა – არისტოკრატიული, ხოლო სახალხო კრებებისა – დემოკრატიული. მისი აზრით რომის სახელმწიფოს ძლიერების საფუძველია ერთიანი სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილება კონსულებს, სენატსა და სახალხო კრებებს შორის, რომლებიც მთლიან ხელისუფლებას ახორციელებენ სხვადასხვა მეთოდების, კერძოდ, მონარქიული, არისტოკრატიული და დემოკრატიული წესების მიხედვით.

ცნობილი რომაელი მოაზროვნე ციცერონი (ძვ.წ. I საუკუნე) სახელმწიფოს ყველაზე უკეთეს ფორმად მიიჩნევდა სახელმწიფოს შერეულ ფორმას, რასაც ის სახელმწიფოს მეოთხე ფორმას უწოდებს. კანონიერებისდმი მიძღვნილ სპეციალურ ნაშრომში იგი მიიჩნევს, რომ საზოგადოებაში სახელმწიფო ხელისუფლება უნდა განაწილდეს ხალხს, სენატსა და მაგისტრანტებს შორის.

შუა საუკუნეების ეპოქის მოაზროვნეების (მ. პადუელის, თ. აქვინელის, ჯ. ლოკის, შ. მონტესკიეს და სხვ.) ნაშრომებში, მართალია არ გვხვდება მითითებანი პლატონის, არისტოტელეს და სხვ. მოაზროვნეებზე, მაგრამ მათი მოძღვრებები სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ ემყარება ანტიკურ ფილოსოფიას და აზროვნებას.

ფეოდალური საზოგადოების წიაღში ახალი, კაპიტალისტური ურთიერთობების ჩასახვამ, რაც XII საუკუნიდან დაიწყო, ასახვა ჰპოვა საზოგადოების სულიერ ცხოვრებაში: სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების დაწყებამ, ქალაქების წარმოშობამ განსაზღვრა კერძო მესაკუთრეებისა და შეძლებული მოქალაქეების გაჩენა, კერძო საკუთრებაზე დამყარებული საზოგადოებრივი ურთიერთობების რეგულირების მიზნით ევროპაში დაიწყო რომაული სამართლის რეცეპცია. ასევე ძალზე გაიზარდა ინტერესი ანტიკური სამყაროს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა დარგებისადმი (ამასთანავე ეს ის გრძელი პერიოდია, როცა ადამიანთა შეგნებაზე რელიგიური წარმოდგენები ბატონობდნენ განუყოფლად).

შუა საუკუნეების უდიდესი კულტურული მოვლენის, რენესანსის იდეური საფუძველი ანტიკურობა, მისი საერო მოტივები გახდა. ერთ-ერთი ასეთი მნიშვნელოვანი მიმართულება სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების მოძღვრება გახდა.

შუა საუკუნეებში სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების მოძღვრება ერთ ძირითად მიზანს ისახავდა - უფლებაგაზრდილი და განმტკიცებული სამეფო ხელისუფლების შეზღუდვა. როგორც დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი წერს თხზულებაში „ცხოვრება მეფეთ-მეფე დავითისი“, მეფე რეალურად ყველა სფეროში ერეოდა (სურვილით თუ იძულებით), მათ შორის საეკლესიო სფეროში. ეს იყო ფაქტიურად განუსაზღვრელი, აბსოლუტური ძალაუფლების დასაწყისი და დავითი იყო ევროპაში პირველი მონარქი, ვინც ასეთ სრულყოფილ ძალაუფლებას ფლობდა.

დავითის მემკვიდრეები (დემეტრე I, გიორგი III განსაკუთრებით) ასევე სრულყოფილ ძალაუფლებას ფლობდნენ, მათ შორის ეკლესიაზეც და ახალწამოჩიტულ ე.წ. „მესამე წოდებაზე“.

შუა საუკუნეებში კი მეფის განუსაზღვრელი ძალაუფლების წინააღმდეგ იბრძოდა ორი ძირითადი ძალა - საეკლესიო ხელისუფლება და რენესანსის მედროშე „მესამე წოდება“.

ეს ძალები თავისი პოლიტიკური მოთხოვნების დასასაბუთებლად სააზროვნო მასალად იყენებდა პლატონის და განსაკუთრებით არისტოტელეს ნააზრევს, რადგან მანამდე ევროპაში არისტოტელეს მხოლოდ „ლოგიკას“ იცნობდნენ.

აკადემიკოსმა შალვა ნუცუბიძემ თავის ფუნდამენტურ ნაშრომში „ქართული ფილოსოფიის ისტორია“ (ორ ტომად) ბელგიელ პროფესორ ჰონიგმანთან ერთდროულად დამაჯერებლად დაასაბუთა, რომ დასავლეთ ევროპის რენესანსს თითქმის ორი საუკუნით წინ უსწრებდა ე.წ. აღმოსავლური, ანუ ქართული რენესანსი.

სწორედ საქართველო იყო ის ცენტრალური ქვეყანა, სადაც ჩაისახა ეს რენესანსი იოანე პეტრიწის, არსენ იყალთოელის, ეფრემ მცირის და სხვათა ნაშრომებში (გ. ტალახაძე).

კონსტიტუციური აზროვნების ისტორიისათვის საინტერესო შეიძლება იყოს ის ფაქტი, რომ ამ ეპოქისათვის ქართული სამართლის ძეგლებში უკვე გვხვდება ტერმინი „საკუთრება“, ქალის მემკვიდრეობის უფლება ქონებაზე, სიკვდილით დასჯის

შეჩერება მეფე თამარის დროს, სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საქმეების ცალ-ცალკე განხილვა და სხვ.

ეს ყველაფერი „მესამე წოდების“ არსებობის დამადასტურებელი და თანმდევია („საკუთრების“ აღმნიშვნელი ტერმინი დასავლეთ ევროპაში უფრო გვიან ჩნდება).

სწორად წერს აკადემიკოსი ვახტანგ აბაშმაძე, რომ იმ პერიოდში ჩამოყალიბებული ქართული რენესანსული კულტურის  და კონსტიტუციური აზროვნების „ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია მწვავე კლასობრივ ბრძოლაში შემუშავებული სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების მოძღვრება, რომელიც უკვე XII საუკუნეში ანტიფეოდალური ძალების მიერ გამოიყენება როგორც სამეფო ხელისუფლების შეზღუდვის მიზნით დაწყებული დიდი მოძრაობის იდეოლოგიური იარაღი“ (აბაშმაძე 1992, 457).

სახელმწიფო ხელისუფლების დანიშნულების მოძღვრება შეადგენს XII საუკუნის ქართული რენესანსული კულტურის უმთავრეს შემადგენელ ნაწილს, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანთან“ და ქართულ ფილოსოფიასთან ერთად. ესაა ქართული უმნიშვნელოვანესი წვლილი სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების თეორიაში. თამარ მეფესთან დაპირისპირებული ფინანსთა მინისტრის ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური პროგრამა დღესაც დიდ ინტერესს იწვევს და ჩვენ არ გამოვრიცხავთ, რომ მის შექმნაში მონაწილეობას თამარ მეფესთან დაპირისპირებული კათალიკოს-პატრიარქი მიქაელი და საეკლესიო დასიც იღებდა, როგორც ეს ხდებოდა მოგვიანებით ევროპაში.

შუა საუკუნეების ერთ-ერთი უდიდესი საეკლესიო ავტორიტეტი თომა აქვინელი იყენებდა არისტოტელეს ნააზრევს საეკლესიო ხელისუფლებაზე ეკლესიის პრიორი-ტეტის თეორიული დასაბუთების დროს, რომლის მიზანი იყო სამეფო ხელისუფლების შეზღუდვა (საერო ხელისუფლებაზე ეკლესიის პრიორიტეტს მასზე რამდენიმე საუკუ-ნით ადრე ანვითარებდა დიდი ქართველი საეკლესიო მოღვაწე გრიგოლ ხანძთელი (IX საუკუნე).

თომა აქვინელის აზრით, ეკლესიასა და სამეფო ხელისუფლებას შორის ხელისუფლების დანაწილება ღმერთის მიზნობრივი შემოქმედების შედეგია (Боргош 1966, 20-25,150). იგი უპირატესობას ანიჭებს სახელმწიფოს ე.წ. შერეულ ფორმას, რომელშიც ცალკეული ხელისუფლებები სხვადასხვა მეთოდით ხორციელდება.

ერთიანი სახელმწიფო ხელისუფლების რეალიზაციის პროცესში მისმა ცალკეულმა ნაწილებმა თავიანთი კომპეტენცია უნდა განახორციელონ მათი კუთვნილი როლის  მიხედვით. თომა აქვინელი გამოყოფს საკანონმდებლო ხელისუფლებას, როგორც თვითმყოფად და პირველდაწყებით ხელისუფლებას. ერთმანეთს ადარებს რა უმაღლესი თანამდებობის პირებს, მეფის ჩათვლით, თ. აქვინელი ამტკიცებს, რომ საკანონმდებლო ხელისუფლება უნდა ეკუთვნოდეს ხალხს, რომელიც ეკლესიის მრევლია. სამეფო, ხალხი, მეფეს კი არ უნდა ემსახურებოდეს, არამედ პირიქით, მეფე უნდა ემსახურებოდეს ხალხს. მეფემ უნდა შეასრულოს თავისი ვავლდებულებები ხალხის წინაშე, წინააღმდეგ შემთხვევაში, ხალხს არა მარტო უფლება აქვთ აუჯანყდეს მეფეს, არამედ იგი ვალდებულიც არის გამოვიდეს სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ. არა სამეფო ხელისუფლება, არამედ კათოლიკური ეკლესია არის საზოგადოებაში უმაღლესი და უწმინდესი დაწესებულება, პაპის ავტორიტეტი აღემატება ყველა მსოფლიო ავტორიტეტს (ბორგოში 1966, 20-25).

თუ თომა აქვინელი მეფისა და ეკლესიის დაპირისპირების პროცესში ეკლესიის ინტერესებს იცავდა, XII საუკუნის ცნობილი მოაზროვნე, წოდებრივ-წარმომადგენლობითი მონარქიის დამცველი მ. პადუელი  საერო ხელისუფლების ინტერესებს გამოხატავდა.

მ. პადუელი განიცდიდა არისტოტელეს გავლენას. მისი მოსაზრებით, სახელმწიფო და სამართალი ჩნდება საზოგადოებრივი ხელშეკრულებების საფუძველზე. არისტოტელეზე დაყრდნობით მ. პადუელი მიიჩნევს, რომ წოდებათა შორის ჰარმონიისათვის აუცილებელია სახელმწიფოში დაიყოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებები. მისი აზრით, საკანონმდებლო ხელისუფლება უნდა მიეკუთვნებოდეს მოქალაქეთა ერთობლიობას (ანუ ხალხს), თუმცა, თუ იქნება მოქალაქეთა საერთო კრების თანხმობა, საკანონმდებლო ხელისუფლება შეიძლება გადაეცეს აგრეთვე ხალხის უმრავლესობას იმ პირობით, რომ ხალხი ყოფელთვის დარჩება უმაღლესი კანონმდებელი  (აბაშმაძე 1992, 458-459).

მ. პადუელის აზრით, ვინაიდან ხალხია პირველდაწყებითი კანონმდებელი, ამადაც სწორედ ისაა უფლებამოსილი, მონარქი აკურთხოს სამეფო ტახტზე, რადგანაც კანონები საზოგადოების საფუძველია და თითოეულის მიერ კანონის შესრულებას

საზოგადოება უზრუნველყოფს მხოლოდ მაშინ, თუ საკანონმდებლო ხელისუფლება მთლიანად ხალხს გადაეცცემა.

მ. პადუელი საკანონმდებლო ხელისუფლებისაგან განასხვავებს აღმასრულებელ ხელისუფლებას, რომლის კომპეტენცია განისაზღვრება ხალხის მიერ მიღებული კანონებით. ხელმწიფე, რომელსაც განეკუთვნება აღმასრულებელი ხელისუფლება, უნდა მორჩილებდეს კანონს, რაც ნიშნავს იმას, რომ ხელმწიფე ვალდებულია ანგარიში ჩააბაროს ხალხს  მის მიერ აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელების თაობაზე. თუ მეფე არ იცავს კანონებს, ხალხს უფლება აქვს, თავისი შეხედულებისამებრ იმსჯელოს ხელმწიფეზე (აბაშმაძე 1992, 458-459).

ევროპული რენესანსის დიდი მოაზროვნე ნიკოლოზ კუზანელი თავის ნააზრევში დიდ ყურადღებას უთმობდა საერო ხელისუფლების პრობლემებს. მისი აზრით ხალხია პირველდაწყებითი და თვითმყოფადი კანონმდებელი. ნ. კუზანელი ეხება ასევე სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების საკითხს. ნიკოლოზ კუზანელის პოლიტიკური იდეალია ხალხის მიერ შეზღუდული მონარქია. ბუნებითი სამართლის თეორიიდან გამომდინარე, ნ. კუზანელის აზრით, „ადამიანები ბუნებით თანასწორნი არიან და რადგანაც მათ ერთნაირი თავისუფლება და ხელისუფლება გააჩნიათ,  ხელმწიფის ბატონობა კი არა, ხალხის ძალაუფლებაა ბუნებითი სამართლის უმაღლესი მოთხოვნა. საზოგადოებრივი ხელშეკრულების საფუძველზე ხალხმა ხელისუფლება გადასცა იმპერატორს, მაგრამ უმაღლესი ხელისუფლება მაინც ხალხს ეკუთვნის, რადგან იმპერატორი ხალხის ნების უბრალო შემსრულებელია“ (აბაშმაძე 1992, 461). ნ. კუზანელის მტკიცებით, ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე, იმპერატორი გამოსცემს კანონებს, მაგრამ როცა კანონთა შინაარსი ეწინააღმდეგება ხალხის ნებას, მაშინ ისინი კანონებს აღარ წამოადგენენ. იმპერატორის მიერ გამოცემულ კანონს სავალდებულო ძალა გააჩნია მხოლოდ მას შემდეგ, რაც მას ხალხი მოიწონებს (აბაშმაძე 1992, 461).

საბოლოოდ, ნ. კუზანელის აზრით,  თვითმყოფადი და თავდაპირველი კანონ-მდებელი ხალხია, აღმასრულებელი ხელისუფლება კი ეკუთვნის მეფეს, რომელიც ხელისუფლების უზურპაციის და ბოროტად გამოყენების შემთხვევაში უნდა დაისაჯოს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ხელისუფლების დანაწილების კლასიკური თეორიის სრულყოფა და ახალ საფეხურზე აყვანა დაკავშირებულია ჯ. ლოკის და შ. მონტესკიეს სახელებთან. ისინი იყვნენ თავისუფალი აზრის და აბსოლუტიზმთან მებრძოლი ძალების იდეოლოგები. ჯონ ლოკის (1632-1704) აზრით, ადამიანები ბუნებით მდგომარეობაში იყვნენ თავისუფალნი, თანასწორნი და დამოუკიდებელნი, მაგრამ რადგანაც ადამიანები თავად ვერ იქნებიან საკუთარი საქმეების მოსამართლენი, საზოგადოებრივი ხელშეკრულების თანახმად ისინი ერთიანდებიან საზოგადოებებად, რათა მოხერხებულად და მშვიდობიანად იცხოვრონ ერთობლივად და თავისუფლად გამოიყენონ თავიანთი საკუთრება (Локк 1960, 6-50).

ადამიანთა სახელმწიფოდ გაერთიანების უმთავრესი მიზანია საკუთრებისა და თავისუფლების დაცვა სხვისი ხელყოფისაგან. ამიტომაც, როგორც კი შეიქმნა სახელ-მწიფო, მაშინვე ჩნდება საკანონმდებლო ხელისუფლება - იმ დროისათვის უმაღლესი ხელისუფლება, რომელიც ხორციელდებოდა მხოლოდ ხალხის მიერ. ლოკი მიიჩნევს, რომ არა აქვს მნიშვნელობა თუ ვის ეკუთვნის საკანონმდებლო ხელისუფლება. სულ ერთია, ის ვალდებულია სახელმწიფო მართოს ხალხის მიერ აღიარებული და დადგენილი კანონებით და წესებით. მიუხედავად ამისა, ლოკი მიუთითებს, რომ საკანონმდებლო ხელისუფლებას არ შეუძლია ხალხი, ადამიანები აიძულოს თვითნებური და ახირებული განკარგულებების შესასრულებლად ხელყოს ადამიანთა საკუთრება და ღირსება, ამასთან, კანონების გამოცემა რომელიმე სხვა ორგანოს მიანდოს (Локк 1960, 76).

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოებრიობის განხორციელების პროცესში ლოკი მთავარ როლს ანიჭებს საკანონმდებლო ხელისუფლებას, ამასთან ასევე თვლის, რომ კანონები მუდმივად უნდა სრულდებოდეს, რისთვისაც აუცილებელი ხდება ახალი ხელისუფლების გამოყოფა ერთიანი სახელმწიფო ხელისუფლებისაგან. ესაა, მისი თქმით, სწორედ აღმასრულებელი ხელისუფლება, რომელიც უნდა გაიმიჯნოს საკანონმდებლო ხელისუფლებისგან. ჯონ ლოკი გამოყოფს კიდევ ერთ - ფედერალურ ხელისუფლებას, აუცილებელ ხელისუფლებას, რადგანაც არც ერთ სახელმწიფოს არ შეუძლია არსებობა სხვა სახელმწიფოებთან არსებობის გარეშე.

ჯ. ლოკი იძლევა სამივე ხელისუფლების ანალიზს. იგი ხაზს უსვამს, რომ საკანონმდებლო ხელისუფლება უნდა ხორციელდებოდეს ხალხის მიერ არჩეული

სპეციალური საკანონმდებლო ორგანოს მიერ, მაგრამ, რაც შეეხება აღმასრულებელ და ფედერაციულ ხელისუფლებებს, სავსებით მისაღებია საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი რეალიზაცია ერთი ორგანოს მიერ.

ჯ. ლოკს მიჩნია, რომ ყველა ხელისუფლების სათავე საკანონმდებლო ხელისუფ-ლებაა, რომელიც კანონებს იღებს და ყველაზე მაღლა დგას, აღმასრულებელი და ფედერაციული ხელისუფლებები უნდა ექვემდებარებოდნენ საკანონმდებლო ხელისუფლებას, რადგან თავიანთი ბუნებით მხოლოდ მინისტერიალურები არიან (Локк 1960, 84).

ჯონ ლოკი მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს ხელისუფლების დანაწილებას და ამ პროცესის ისტორიას. იგი ხაზს უსვამს, რომ სახელმწიფოს წარმოშობისთანავე თავდაპირველად შეიქმნა საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებები, რომლებიც ერთობლივად მოქმედებდნენ, თუმცა სახელმწიფოსა და სამართლის განვითარების პროცესში ერთიანი სახელმწიფო ხელისუფლებიდან ხდება ამ ორი ხელისუფლების თანდათანობით ერთმანეთისაგან გამოყოფა. ჯ. ლოკი კარგად იცნობდა თავის წინამორბედთა ნაშრომებს, ხელისუფლების დანაწილების თეორიას, რომლის წარმომადგენელთა ნაშრომებს იგი იყენებს კიდეც, თუმცა ზოგჯერ იძლევა მათ კრიტიკასაც (Локк 1960, 79).

ჯონ ლოკის ნაშრომებმა შეამზადეს ნიადაგი მთლიანი სახელმწიფო ხელისუფლების კლასიკური (საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო), დანაწილების ჩამოსაყალიბებლად, რომელიც თანამედროვე ფორმით XVIII საუკუნეში გადაამუშავა და მომავალი სახელმწიფოებრიობის მთავარ პრინციპად აქცია დიდმა ფრანგმა განმანათლებელმა შარლ ლუი მონტესკიემ (1689-1755).

მიუხედავად იმისა, რომ მონტესკიე თავის მთავარ ნაშრომში „კანონთა გონი“ და სხვა თხზულებებში არსად არ მოიხსენიებს ჯონ ლოკის ნაშრომებს, ცხადია, იგი ცნობს არა მარტო პლატონის და არისტოტელეს, პოლიბიოსისა და ციცერონის ნაშრომებს ხელისუფლების დანაწილების საკითხში, არამედ აკრიტიკებს კიდეც მათ არათანმიმდევრულობისათვის. მონტესკიემ კრიტიკულად გადაამუშავა წინა ეპოქის სწავლულთა ნააზრევი და მოგვცა ამ მოძღვრების ახალი განვითარება. „კანონთა გონში“ მან სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების თეორიას დასრულებული კლასიკური სახე მისცა და ახალ საფეხურზე აიყვანა.

მონტესკიე არ იყო ლოკის უბრალო მიმბაძველი. როგორც მოხდენილად წერს ვ. რანკე, შ. მონტესკიეს მოძღვრება იყო წარსულის აბსტრაქცია, თავისი დროისათვის იდეალი და მომავლისთვის კი - პროგრამა (აბაშმაძე 1992, 467).

შ. მონტესკიეს მთავარი დამსახურება ისაა, რომ მან პირველად გამოაცხადა სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილება სახელმწიფოებრივი მოწყობის და ნებისმიერი წყობილების უმაღლეს პრინციპად, რომელსაც შეუძლია საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოქალაქეთა პოლიტიკური თავისუფლების დაცვა და უზრუნველყოფა, ხელისუფლებრივი ბალანსის შექმნა, ხელისუფლების უზურპაციიდან დაზღვევა.

მონტესკიეს იდეალია სახელმწიფო, რომელშიც გაბატონებულია პოლიტიკური თავისუფლება. ასეთი სახელმწიფოს არსი „მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ მასში შეიძლება იმის გაკეთება, რაც უნდა გვსურდეს და არ უნდა იყვნენ მოქალაქენი იძულებულნი აკეთონ ის, რაც არ უნდა გვსურდეს... თავისუფლება არის უფლება იმისა, ვაკეთოთ ის, რაც კანონით ნებადართულია. მოქალაქეს რომ შეეძლოს აკეთოს ის, რაც კანონებით აკრძალულია, მას თავისუფლება არ ექნებოდა, რადგანაც იგივე შეეძლებათ გააკეთონ  დანარჩენმა მოქალაქეებმა“ (მონტესკიე 1992, 289).

შ. მონტესკიეს აზრით პოლიტიკურ თავისუფლებას სახელმწიფოში მაშინ აქვს ადგილი, როცა მმართველები ხელისუფლებას ბოროტად არ იყენებენ. მონტესკიე თავის დამსახურებად არ მიიჩნევს იმაზე მითითებას, რომ საზოგადოებაში სახელმწიფოებრივი ხელისუფლება სხვადასხვა ხელისუფლების სახით მოქმედებს, იგი მხოლოდ გამოდის არსებული მდგომარეობიდან, კეძოდ, იქიდან, რომ „თითოეულ სახელმწიფოში არსებობს სამგვარი ხელისუფლება: საკანონმდებლო, აღმასრულებელი, რომელიც განაგებს საერთაშორისო სამართლის საკითხებს. პირველი ხელისუფლების ძალით ხელმწიფე ან დაწესებულება ქმნის მუდმივ ან დროებით კანონებს და წარმართავს ან აუქმებს არსებულ კანონებს. მეორე ხელისუფლების ძალით იგი აცხადებს ომს ან დებს ზავს, გზავნის ან ღებულობს ელჩებს, უზრუნველყოფს უშიშროებას, იგერიებს თავდასხმებს. მესამე ხელისუფლების ძალით იგი სჯის დანაშაულებებს და აგვარებს კერძო პირთა შორის წინააღმდეგობებს; ამ უკანასკნელ ხელისუფლებას შეიძლება ეწოდოს სასამართლო, ხოლო მეორეს - უბრალოდ სახელმწიფოს აღმასრულებელი ხელისუფლება“ (მონტესკიე 1994, 302).

მონტესკიე აღნიშნავს, რომ სამივე ხელისუფლება ცნობილია სახელმწიფოს წარმოშობისთანავე, მაგრამ ამოცანა ისაა, რომ გამოიძებნოს გზა და საშუალება, რომელიც აღკვეთს მმართველთა მიერ ხელისუფლების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობას. ეს მიზანი შეიძლება მიღწეულ იქნეს არამარტო ხელისუფლებების გადანაწილებთ, არამედ ამ ხელისუფლებების მიერ ერთმანეთის შეკავებით. იგი მიუთითებს, რომ სახელმწიფო ხელისუფლების ბოროტად გამოყენება მხოლოდ ისეთი მმართველობის და წესრიგის დამყარებისას შეიძლება გამოირიცხოს, რომლის დროსაც სხვადასხვა ხელისუფლება ერთმანეთის მოქმედებას შეაკავებს. სახელმწიფო ხელისუფლებების ურთიერთშეკავების მიზნით, აუცილებელია, რომ ეს ხელისუფლებები დანაწილდეს შემდეგნაირად: საკანონმდებლო ხელისუფლება უნდა მიენიჭოს მთლიანად ხალხს, მაგრამ რადგანაც ხალხს უშუალოდ არ შეუძლია საკანონმდებლო ხელისუფლების განხორციელება, აუცილებელია, ხალხმა ის, რისი გაკეთებაც მას უშუალოდ არ შეუძლია, გააკეთოს თავისი წარმომადგენლების საშუალებით; დეპუტატები თავიანთი ამომრჩევლებისაგან ღებულობენ როგორც ზოგად, ასევე კერძო მითითებებს საკანონმდებლო ხელისუფლების განხორციელების ცალკეულ საკითხებზე. დეპუტატი სხვადასხვა წოდების მიერ არჩეული წარმომადგენელია, ამიტომაც იგი ანგარიშვალდებულია ხალხის წინაშე. გარდა საკანონმდებლო კრებისა, რომლის შემადგენლობას ხალხი ირჩევს, საკანონმდებლო ხელისუფლება ხორციელდება აგრეთვე წარჩინებულთა კრების მიერ. მონტესკიე მიიჩნევს, რომ იმისათვის, რომ საზოგადოებაში ადგილი ჰქონდეს ხელისუფლებათა ურთიერთშეკავებას, საჭიროა ე.წ. მარეგულირებელი ხელისუფლება, რომელსაც მხოლოდ წარჩინებულთა კრება ახორციელებს (მონტესკიე 1994, 302).

მონტესკიეს მტკიცებით, ხალხი უშუალოდ არ უნდა ახორციელებდეს აღმასრულებელ ხელისუფლებას, რადგან საამისოდ იგი მზად არ არის. მისი მოსაზრებით, აღმასრულებელი ხელისუფლება უნდა ეკუთვნოდეს მონარქს, რადგან სახელმწიფოს საქმიანობის ეს მხარე ითხოვს ხშირად სწრაფ მოქმედებას, რაც ერთს უფრო ხელეწიფების, ვიდრე მრავალს. აღმასრულებელი ხელისუფლების კომპეტენციას განეკუთვნება საკითხები, რომლებიც საჭიროებენ სწრაფად მოგვარებას. აღმასრულებელი ხელისუფლება განსაზღვრავს საკანონმდებლო კრების მოწვევას და მისი სხდომების ხანგრძლივობას. ამრიგად, ხელისუფლებების ურთიერთშეკავების

ინტერესები მოითხოვს, რომ აღმასრულებელ ხელისუფლებას მიენიჭოს საკანონმდებლო კრების საქმიანობის შეწყვეტის უფლებაც. მონტესკიე მიუთითებს, რომ თუ აღმასრულებელ ხელისუფლებას ეს უფლება არ მიეცემა, მაშინ კანონმდებლებს შესაძლებლობა ექნებათ მიითვისონ ყოველგვარი ძალაუფლება, რომელსაც ისინი მოისურვებენ და მაშასადამე, ისინი ბოლოს მოუღებენ სხვა ხელისუფლებებს საზოგადოებაში, მაგრამ საკანონმდებლო ხელისუფლებას უფლება აქვს განიხილოს საკითხები იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება განხორციელდეს მის მიერ დადგენილი კანონები. თუ აღმოჩნდება, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურის მრჩევლები, როგორც მინისტრები, ცუდად იყენებენ ხელისუფლებას და სძულთ კანონები, ეს მრჩევლები პასუხისგებაში უნდა იქნენ მიცემულნი. მონარქი, რომელიც ახორციელებს აღმასრულებელ ხელისუფლებას, არ უნდა მონაწილეობდეს საკანონმდებლო ხელისუფლებაში, მაგრამ, რადგანაც საკუთარი ინტერესების გამო იგი დაინტერესებულია კანონმდებლობით, აუცილებელია, რომ მას ჰქონდეს კანონის უარყოფისა და გაუქმების უფლება (მონტესკიე 1994, 304).

შ. მონტესკიე თავის ნაშრომში „კანონთა გონი“ სათანადო ადგილს უთმობს სასამართლო ხელისუფლებას, რომლის განხორციელება, მისი აზრით, უნდა მოხდეს აღმასრულებელი ხელისუფლების განმახორციელებელი ორგანოების მიერ. მონტესკიე აკრიტიკებდა საბერძნეთის წყობილებას წარსულ ეპოქაში და ხაზს უსვამდა, რომ მაშინ ჯერ კიდევ არ იცოდნენ, რომ მონარქის ჭეშმარიტი საქმიანობა იმაში კი არ გამოიხატება, რომ საქმეს თვითონ მეფე არჩევდეს, არამედ ამას უნდა აკეთებდეს მის მიერ დანიშნული მოსამართლენი. მონტესკიე თანახმა იყო, რომ მოსამართლენი სხვადასხვა წოდებებს აერჩიათ.

მონტესკიე იძლევა სხვადასხვა სახელმწიფო ხელისუფლების ურთიერთდამოკიდებულების რეკომენდაციებს. მისი ზრით, საკნონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებების ურთიერთობაში ამ რეკომენდაციების რეალიზაციას შეუძლია უზრუნველყოს არამარტო ხელისუფლებების დანაწილება და ურთიერთშეკავება, არამედ ამ ხელისუფლებათა ორგანული ერთიანობაც საზოგადოებაში პოლიტიკური თავისუფლების შესანარჩუნებლად.

მონტესკიემ შეისწავლა, თუ როგორ ხორციელდება სახელმწიფოებრივი ხელისუფლება მონარქიულ ქვეყნებში და ინგლისის მაგალითზე იგი ასკვნის, რომ

სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილება მხოლოდ იმას კი არ ნიშნავს, რომ ერთიანი სახელმწიფო ხელისუფლებიდან ცალკე გამოიყოს სხვადასხვა ხელისუფლება, ანდა ეს ხელისუფლებები განაწილდეს საზოგადოებაში სხვადასხვა წოდებაზე, არამედ სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილება ამ ხელისუფლების გაერთიანებასაც გულისხმობს ერთიან სახელმწიფო ხელისუფლებად (მონტესკიე 1994, 427).

ამრიგად შ. მონტესკიეს შეხედულებები სრულიად ახალი ეტაპია სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების თეორიაში, შეიძლება ითქვას, კლასიკაა ამ სფეროში. მან სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილება გამოაცხადა სახელმწიფო წყობილების უმაღლეს პრინციპად, რომელსაც შეუძლია საზოგადოებაში თავისუფლების შენარჩუნება. მან პირველმა მიუთითა, რომ სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილება როგორც პოლიტიკური პრინციპი, ნიშნავს ერთიანი სახელმწიფო ხელისუფლების საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებებად არა უბრალოდ დაყოფას, არამედ ხელისუფლების დანაწილებას (გადანაწილებას), ურთიერთშეკავებას და ხელისუფლების შეერთებას (მონტესკიე 1994, 428).

სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების შესახებ მონტესკიეს თეორიამ დიდი გავლენა მოახდინა არამარტო თავის თანამედროვე, არამედ მომდევნო თაობებზეც. მის საფუძველზე ჩამოყალიბდა XVIII საუკუნის გერმანული პოლიტიკური იდეოლოგია (კანტი, ჰეგელი, ფიხტე). საყურადღებოა, რომ XVIII საუკუნის საქართველოში ფართოდ ვრცელდება ფრანგი განმანათლებლების შეხედულებანი (ასათიანი 1993,17). დავით ბატონიშვილმა თარგმნა ვოლტერის, რუსოსა და სხვათა ნაწარმოებები, ითარგმნა მონტესკიეს „კანონთა გონი“ (1994 წელს იგი მეორედ ითარგმნა და გამოიცა საქართველოში), რომელშიც გადმოცემულია სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების მოძღვრება, რაც, როგორც დასტურდება, XVIII საუკუნის საქართველოში გავრცელებული იყო მაღალ საზოგადოებაში. კერძოდ, ალექსანდრე ამილახვარი, (1750-1802 წწ.) შეეცადა, განეხორციელებინა პოლიტიკური რეფორმები ფრანგ განმანათლებელთა პრინციპებზე, რომელიც საფუძვლად უდევს მის ნაშრომს „ბრძენი აღმოსავლეთისა“. იგი ამ ნაშრომში მსჯელობს სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილებაზე და მიუთითებს, რომ მონტესკიეს აზრით, „მეფის უფლება განიყოფების „მრავალუფლებად“ (ბერძენიშვილი 1956, 389).

მომდევნო პერიოდში კი ხელისუფლების დანაწილების პრინციპი თანამედროვე კონსტიტუციების  უმთავრესი პოლიტიკური პრინციპი გახდა თითქმის მთელს მსოფლიოში და იგი დღესაც აღიარებულია მოქალაქეთა თავისუფლების, ადამიანთა უფლებებისა და კონსტიტუციური წყობის დაცვის უმთავრეს გარანტად.

ჩვენი აზრით, ხელისუფლების (გა)დანაწილების პირველ რეალურ მცდელობას მაინც ადგილი ჰქონდა XII საუკუნის საქართველოში, რაზედაც გვექნება მსჯელობა შემდეგ პარაგრაფში.

## 1.2. „ისნის კარვის“ იდეა და ხელისუფლების დანაწილების პირველი ქართული მოდელი XII საუკუნეში

შოთა რუსთაველის  „ვეფხისტყაოსნის“ შემდეგ ყუთლუ-არსლანის დასის მიერ XII საუკუნეში წამოყენებული „ისნის კარვის იდეა არის ქართველთა უმნიშვნელოვანესი ცივილიზაციური წვლილი მსოფლიო კულტურისა და კონსტიტუციური აზროვნების განვითარებაში და ისტორიაში.

მსოფლიოში დღემდე ფართოდ გავრცელებული შეხედულებით საპარლამენტო ტრადიციების ფუძემდებელ ქვეყნად მიჩნეულია ინგლისი. არადა ეს ფაქტი არ შეესაბამება სინამდვილეს და ამ მოვლენის ფესვები უფრო სხვაგანაა საძებნი.

ესპანეთში, კერძოდ კი კასტილიის სამეფოში, კორტესებმა, როგორც ხალხის წარმომადგენლობითმა ორგანომ, მოღვაწოება ჯერ კიდევ 1188 წელს დაიწყო (მჭედლიშვილი 2004, 43), ბევრად უფრო ადრე, ვიდრე ინგლისის პარლამენტმა და საფრანგეთის გენერალურმა შტატებმა.

ამ მიმართებით ყუთლუ-არსლანის დასის ისტორიული გამოსვლა 1184-1185 წლებში კიდევ უფრო მეტ ყურადღებას იპყრობს და დიდ ისტორიულ მნიშვნელობას იძენს, რადგან იგი სამი წლით წინ უსწრებს კასტილიის სამეფოში კორტესების მოწვევას, ხოლო რამდენიმე ათეული წლით  უსწრებს 1215 წელს  ინგლისელი ბარონების მიერ  მეფე ჯონ უმიწაწყლოსათვის თავზე მოხვეულ  „თავისუფლების დიდ ქარტიას“, რომლის საფუძვლებზეც, მოგვიანებით, ინგლისში პარლამენტი დაფუძნდა 1265 წელს.

ყუთლუ -არსლანის დასის პოლიტიკური პროგრამისა და მისი გამოსვლის შესახებ  არცთუ მაინცდამაინც მდიდარი ლიტერატურა არსებობს, რომელთა

უმრავლესობა კომუნისტურ პერიოდშია შექმნილი და მომხდარ მოვლენას ძირითადად კლასობრივი ბრძოლის კუთხით იხილავს.

ყუთლუ-არსლანის დასის მიერ „ისნის კარვის“ იდეაში გაჟღერებულ პოლიტიკურ პროგრამაში სახელმწიფოებრივი ხელისუფლების დანაწილების თეორიის არსებობაზე პირველმა მიუთითა აკადემიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა (ჯავახიშვილი 1929, 155-186). იგი მიიჩნევდა, რომ ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლა, ეს იყო „მესამე წოდების“ ამბოხება მეფის ხელისუფლების შესაზღუდად და ძალაუფლების გადასანაწილებლად და მას მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა. ივ. ჯავახიშვილის ეს მოსაზრება გაიზიარეს შ. მესხიამ (1961, 341-372), ა. კიკვიძემ (1939, 167), ს. მაკალათიამ (1942, 15-17), კ. გრიგოლიამ (1954, 42-43), ვ. აბაშმაძემ (1992, 90-126) და სხვ. ისტორიკოსთა მეორე ნაწილი ფიქრობდა, რომ ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური დასის გამოსვლა დიდგვაროვან აზნაურთა მორიგი აჯანყება იყო, რომელიც მიზნად ისახავდა სამეფო ხელისუფლების შეზღუდვას. ამ აზრს იზიარებდნენ ს. ჯანაშია (1952, 428), ნ. ბერძენიშვილი და სხვა ავტორები (1958, 197), გ. სოსელია (1958, 67-99).

პროფ. ვაჟა შუბითიძემ ეს საკითხი საგანგებოდ შეიტანა პროფ. ოთარ ქოჩორაძესთან ერთობლივად გამოცემულ პოლიტოლოგიის სახელმძღვანელოში (ვაჟა შუბითიძე, ოთარ ქოჩორაძე, პოლიტოლოგია, თბ., 2001). მისი აზრით ეს იყო მსოფლიო პრაქტიკაში ხელისუფლების დანაწილების პირველი შემთხვევა და მოდელი. ვ. შუბითიძემ ასევე მკვლევართა ყურადღება მიაქცია იმ ფაქტსაც, რომ ყუთლუ-არსლანის დასი არ ეხებოდა სამეფო დარბაზს, მას ძალაში ტოვებდა და ითხოვდა მასზე უფლებრივად მაღლა მდგომი საგანგებო ორგანოს „კარვის“ შექმნას (შუბითიძე, ვ. და ო. ქოჩორაძე 2001,165).

1977 წელს პროფესორ ილია ანთელავამ დაწერა სტატია „ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლის შესახებ“ (1977, 181), რომელშიც გაკრიტიკებულია ვ. აბაშმაძის ნაშრომი „ნარკვევები საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან“ (1969, 368-450), სადაც მინიშნებულია, რომ ამ გამოსვლას ასეთი დიდი მოვლენის მნიშვნელობა არ უნდა მიეცეს და რომ ეს არ იყო ხელისუფლების დანაწილების მოთხოვნა (იგივე აზრი გაიმეორა გ. მჭედლიძემ ნაშრომში „ეტიუდი რუსთაველის ეპოქის საქართველოს ისტორიიდან (ჟურნ. „განთიადი“ N 6, 176).

ილია ანთელავამ ყურადღება გაამახვილა „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთაგანის“, უცნობი მემატიანის ერთ საგანგებო მინიშნებაზე“, რომ ყუთლუ-არსლანის დასი მოითხოვდა შემოღებას „წესსა რასამე სპარსთა განაგისსა“. მიუხედავად იმისა, რომ ივ. ჯავახიშვილი არ იზიარებდა მემატიანის ამ მითითებას და არ მიაჩნდა სპარსული წესის მიბაძვით ახალი სტილის მიმართულების შემოღების მოთხოვნად (ჯავახიშვილი 1929, 182-183), ილ. ანთელავა მემატიანის ამ მოსაზრებას იზიარებს და მიაჩნია, რომ ყუთლუ-არსლანის დასი აპირებდა მეფის ძალაუფლების გარდაქმნას მაჰმადიანურ სამყაროში ჩამოყალიბებული პოლიტიკური სისტემის მიბაძვით. ამის დასამტკიცებლად ილ. ანთელავას შეუსწავლია მუსლიმანურ-მაჰმადიანური სახელმწიფო წყობილების სპეციფიკა აკადემიკოს ვ. ბარტოლდის შრომებზე დაყრდნობით, და გაუზიარებია დებულება, რომ „აღმოსავლურ-მუსულმანური პოლიტიკური ორგანიზაციის მთელ სისტემას წითელ ხაზად გასდევს მმართველობის ყველა ორგანოს ორ დიდ კატეგორიად, დერგაჰად (სასახლე) და დივანად (კანცელარია) გაყოფა (ანთელავა 1977, 187).

ილია ანთელავა ამტკიცებდა, რომ აღმოსავლურ-მუსულმანური სამყაროსგან განსხვავებით, XII საუკუნის საქართველოში ცენტრალური მმართველობის აპარატი გამოყოფილი არ იყო და სწორედ დიდგვარიანმა აზნაურებმა (?! ა.კ.) ყუთლუ-არსლანის მეთაურობით მოითხოვეს რეფორმის განხორციელება სახელმწიფო მმართველობაში და არა ხელისუფლების დანაწილება : „ჩვენი აზრით, - წერდა ის, - ყუთლუ-არსლანის დასმა მოითხოვა არა პარლამენტური დაწესებულების შემოღება არამედ ცენტრალური მმართველობის აპარატის გამოყოფა მეფის კარისაგან“ (ანთელავა 1977, 189).

თავის ნაშრომში „ქართული ინტელექტუალური ფენომენები“ აკად. ვ. აბაშმაძემ სავსებით არგუმენტირებულად და სამართლიანად გააკრიტიკა ილ. ანთელავას ეს მოსაზრება ივ. ჯავახიშვილის და სხვათა ნაშრომებზე დაყრდნობით (ვ. აბაშმაძე, 1992:108-109) და მართლაც, ყუთლუ-არსლანის პროგრამის შინაარსის დადგენა შეუძლებელია მხოლოდ ერთი ტერმინის, კერძოდ „სპარსული წესის“ მიხედვით, რადგან ყუთლუ-არსლანის გამოსვლისადმი მიძღვნილ ჩვენამდე მოღწეულ ტექსტში გვხვდება ბევრი ისეთი სხვა ტერმინი, რომლებიც ზემოაღნიშნულ „სპარსულ წესს“ ასეთი გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონედ არ აქცევს (კარგად წერს გიორგი

მჭედლიშვილი, რომ „ტერმინი „სპარსული ამბავი“ სხვა არაფერაია, თუ არა ცნება იმ ყოფისა, რაზეც ლაპარაკი ხელისუფალთაგან ნებადართული ყოფილა. იქნებ ყოველივე ამის შემდეგ კიდევ ერთხელ დავფიქრდეთ „ვეფხისტყაოსანში“ ავტორის მიერ მოხმობილ „ესე ამბავი სპარსულზე“ - მკვლევართათვის საკვალევ-საძიებოდ ქცეულზე - თუ რისთვის ან ვისთვის იყო ნათქვამი. ცხადზე ცხადია, რომ ისევე როგორც პოემა არავითარ სპარსულ ამბავს არ ეფუძნება, ყუთლუ-არსლანის დასის პოლიტიკური პროგრამაც არავითარ სპარსულ წესს არ შეიცავს. მათი სადაურობის გზა კი მხოლოდ ქართული სოციალური ბრძოლის განვითარებაში სუფევს (მჭედლიშვილი 2004, 46). ეს უფრო ხელისუფალთაგან „კარვისელთა“ ჯგუფის სახელის გასატეხად მოგონილი ტერმინია, რომელიც მემატიანემაც გაიმეორა და რაზეც რუსთაველმაც გაკვრით მიანიშნა). გარდა ამისა, ილ. ანთელავას მიერ წამოყენებული თვალსაზრისის მთავარი ნაკლოვანება ისაა, რომ იგი დასაბუთებულია იურიდიული მეცნიერების მიერ შემუშავებული ისეთი სახელმწიფოებრივი და სამართლებრივი ინსტიტუტებით (ფეოდალური სახელმწიფოს წყობილება, სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოები, სამეფო ხელისუფლება ფეოდალურ საზოგადოებაში, ფეოდალური სახელმწიფოს პოლიტიკური რეჟიმი, სამეფო კარი და სახელმწიფო მმართველობის აპარატი და ა.შ), რომელთა არსი დანიშნულება და ფუნქციები ძალიან ხშირად ავტორს არაზუსტად აქვს წარმოდგენილი (აბაშმაძე 1992, 109).

ამრიგად, სახეზეა ყუთლუ-არსლანის დასის პოლიტიკური პროგრამის, სულ მცირე, ორგვარი გაგება, რაც იმითაც არის განპირობებული, რომ ამ დასის გამოსვლის შესახებ მწირი ისტორიული წყაროები მოგვეპოვება. დღემდე ერთადერთი ისტორიული წყაროა (თამარის უცნობი ისტორიკოსის „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“), რომელიც, მეტნაკლებად სრულ წარმოდგენას გვაძლევს ამ დასის გამოსვლის შესახებ:

„და ესეცა უცხო მოსაგონებელი: ყუთლუ-არსლან, ცხოვარმან ჯორის სახ(ედ) ორ ბუნებისა მყოფელმან, ვითარ მისცეს ბიჭთა გონებისა მზაკუარება, მომღებელმან წესსა რასამე სპარსთა განაგისსა, ითხოვა კარავი დადგმად ველსა ისანისასა და სანახებსა საღოდებლისასა და თქუა: „დასხდომილნი მუნ-შიგა, გამგებელნი მიცემისა და მოღებისა, წყალობისა და შერისხვისანი, ჰკადრებდეთ და ვაცნობებდეთ თამარს, მეფესა და დედოფალსა, მაშინღა სრულ იქმნებოდეს განგებული ჩუენი.

ეს ვიეთ საწყენელ იყო - დასასრულისა ხელმწიფობისა პატრონისასა მიმცემელი - ესრეთ იწყინა და გაიკვირვა, და გაიგონა უკლებელმან ქონებითა და საუნჯემან სიბრძნისამან და მოიღონა ხელთ გდება თავისა მის მოქმედთასა და თანამზრახველ მყოფელმან ერთგულთა და საკუთართა მისთამან, შეიპყრა ყუთლუ-არსლან, მეჭურჭლეთუხუცესი და აწ თავისა თვისსა ამირსპასალარად და სომხითს სომეხთა მეფისა ადგილს, ლორე საჯდომად განმზადებული.

და ვითარცა ცნეს ესე ლაშქართა თანაშეფიცულთა და თანაშემწეთა მისისა მის გზად გამყუელობისა და უკეთურებისათა, შეიყარნეს უკუდგდეს თამარს, დაადგინეს ახალი სიმტკიცე ყუთლუ-არსლანის გაშუებელობისა და არ მიშუებისა ვნებად მისსა მეტყუელნი, განემზადნეს ისანისაცა შემობმად. გარნა ვინადთგან ხელი საუფლო და მკლავი მაღალი შემწე და თანამბრძოლ (ექმნებოდა) მბრძოლთა მათ მისთა და, მის წილ ამღებელი ჭურისა და ფარისა ეკუეთებოდა დამხობად წინააღმდგომთა მისთა , ცუდ სამე იქმნა განზრახვა მათი, ვითარ განზრახვა აბიათარ მღვდელისა და იოაბ სპასპეტისა, რომელნი ეთანებოდეს ორნიას, ძმასა სოლომონისასა და ამას შინა თამარ, წარმგზავნელმან ორთა საპატიო დიოფალთამან, რომელი იყო ერთი ხუაშაქი ცოქალი, დედა ქართლისა ერისთავთ-ერისთავისა რატისი, და ერთი კრავაÁ ჯაყელი, დედა აწ მყოფთა სამძივართა, უბრძანა ფიცით მინდობა და სხვისა არავისი ბრალობა. და მოჰყვეს დიდებულნი ბრძანებასა პატრონისასა და წინაშე მოსრულდა დავრდომით თაყვანი-სცეს, აღიღეს ფიცი პატრონისაგან და მისცეს მათ პირი ერთგულებისა და ნების-მყოფობისა მათისასა“ (ისტორიანი და აზმანი ... 1959, 30-32).

ივანე ჯავახიშვილი თვლიდა, რომ ყუთლუ-არსლანის დასს ეხებოდა ასევე „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ უცნობი შემავსებელი, რომელიც ყუთლუ-არსლანზე საუბრისას აღნიშნავდა, რომ „დაუდგრომელმან წესსა ზედა, თვისსა ვითარ ჩვეულება აქვს ყრმათა ადრე აღზევებად სიდიდისა მიერ, და უფროსღა გვარითა და უაზნოთა აღამაღლებს სიმდიდრე“ (ისტორიანი და აზმანი... 1959, 30-31). ივანე ჯავახიშვილმა ასევე ცხადყო, რომ ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური დასის გამოსვლას უნდა გულისხმობდეს ბასილი ეზოსმოძღვარი, რომელიც თავის თხზულებაში „ცხოვრება მეფეთ-მეფე თამარისი“ წერს: „და კუალად ამისთვის არა უდებებდა, რათა არა მოცლილთა განსუენებად სიჩუკნედ განსცენ თავი და სხუათა განზრახვითა დამოეკიდნენ, ვითართა სიმდიდრითა ალაღებულთა, ანუ ერთ-ერთისა მტერობად

მოიცდიდეს და ბრძოლად, ვითარ ყვესთა ვიეთმე დაწყებასავე ამისსა მეფობისასა მისვე“ (ისტორიანი და აზმანი... 1959, 30-31).

სამწუხაროდ, ასეთი უმნიშვნელოვანესი მოვლენის შესახებ სხვა რაიმე წყარო ან ცნობა არ არსებობს, რაც მიუთითებს იმაზეც, რომ მეფის იდეოლოგები ცდილობდნენ მისი მნიშვნელობის მიჩქმალვას და არაობიექტიურად წარმოდგენას მომავალი თაობების თვალში.

ბუნებრივია ისმის კითხვა: ვინ იყო ასეთი დიდი მნიშვნელობის იდეის ავტორი, რას ითხოვდნენ მის დასში გაერთიანებული ადამიანები და რა იდეური ფესვებით იკვებებოდა მათი ორიგინალური იდეა?

ვინ იყო „კარავისელთა“ (ასე უწოდებდნენ ყუთლუ-არსლანის დასში გაერთიანებულ ხალხს მკვლევარები) ლიდერი, ყუთლუ-არსლანი?

როგორც ზემოთ მოთხრობილი ისტორიული წყარო გვიდასტურებს, ყუთლუ-არსლანი (მართლაც იშვიათი სახელის მატარებელი პიროვნება, ასევე უცნაური სახელის მატარებელი იყო მასავით აღზევებული ეგარსლან ბაკურციხელი XIII საუკუნეში, კოხტასთავის შეთქმულების მონაწილე), იყო ერთ-ერთი საყრდენი ვაზირი მეჭურჭლეთუხუცესი ანუ ფინანსთა მინისტრი, რომელიც თავისი სამსახურეობრივი მდგომარეობით ძალიან ახლოს იყო სავაჭრო და საფინანსო წრეებთან (ებრაელები და სომხები - ა.კ) ქალაქის დაბალი წარმოშობის სოციალურ ფენებთან (ბერძენიშვილი და სხვ. 1958, 173).

„ისტორიანი და აზმანი შარავანდეთანი“-ს ავტორი უცნობი მემატიანე მას, ცოტა არ იყოს, დამამცირებლად მოიხსენიებს, რითაც შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იგი უმაღლესი არისტოკრატიის წრეს არ ეკუთვნოდა, უფრო დაბალი (ან საშუალო) ფენის წარმომადგენელი იყო, რომელიც განსაკუთრებული ნიჭისა და უნარის, ან დამსახურების (შეიძლება მეფე მისგან ფინანსურადაც იყო დავალებული 1177 წლის დემნა უფლისწულის აჯანყების დროს და შემდეგ - ა.კ) გამო გიორგი III-ემ (1156-1184) გაავაზირა (ჯავახიშვილი 1929, 162).

აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის დაკვირვებით, 1184 წელს ყუთლუ-არსლანი დიდგვაროვან აზნაურთა თამარ მეფის წინააღმდეგ აზნაურთა შეთქმულების მსხვერპლი, აფრიდონისა და ყუბასარის მსგავსად, არ გამხდარა რადგანაც ყუთლუ-არსლანი მაშინ შეთქმულთათვის „იმდენად საძულველი არ ყოფილა და ჭიაბერივით

მასაც თავისი თავი დიდგვაროვან აზნაურთა მრისხანებისგან უზრუნველუყვია: „ცხვარივით“ - იგი მშვიდ და უვნებელ ადამიანად მოსჩვენებიათ“ (ჯავახიშვილი 1929, 162).

როგორც ივანე ჯავახიშვილი მიუთითებს ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური დასი შედგებოდა როგორც დაბალი და საშუალო სოციალური წარმოშობის საქალაქო წრეებისაგან (ანუ „სიმდიდრით ალაღებულთაგან“), ისე განსაკუთრებული ნიჭისა და უნარის წყალობით სამეფო ხელისუფლების მიერ ყუთლუ-არსლანივით აღზევებულთაგან (ჯავახიშვილი 1929, 161), რომლებიც ამ აჯანყების მეთაურის საიმედო თანაშემწენი და თანაშეფიცულნი იყვნენ.

ამრიგად, ყუთლუ-არსლანის დასის წევრთა შეთანხმების სიმტკიცე და დაურღვევლობა ყოვლისშემძლე ღმერთზე მითითებას კი არა, მხოლოდ ფიცს ემყარება, ეს კარგად შეამჩნია ივანე ჯავახიშვილმა, როცა დაწერა, რომ „პირველი შემთხვევა გვაქვს, აქ, როდესაც პოლიტიკური საკითხის განსახორციელებლად ძველ საქართველოში ფიცზე დამყარებული შეთანხმებული პოლიტიკური დასი გვევლინება“ (ჯავახიშვილი 1965, 376).

შუა საუკუნეებში სახელმწიფოსა და სამართლის ყველა საკითხს კი მხოლოდ ღმერთის ნების მიხედვით ხსნიდნენ. ამ მხრივ ყუთლუ-არსლანის დასის პოლიტიკური პროგრამა მთლიანად თავისუფალია ღვთაებრივ-რელიგიური წარმოდგენებისაგან და საერო მოძღვრებებს ემყარება, მასში სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყებულთა მიერ წამოყენებული პოლიტიკური მოთხოვნები დასაბუთებულია იდეებით, რომლებიც ფეოდალიზმის ეპოქაში მანამდე სრულიად უცნობი იყო. ყუთლუ-არსლანის დასის პოლიტიკურ პროგრამაში საქართველო სახელმწიფო წყობილების, სამეფო ხელისუფლება ყუთლუ-არსლანის დასის წინააღმდეგ ბრძოლაში ხელმძღვანელობდა ღმერთის უძლეველობისა და სახელმწიფო ხელისუფლების ღვთაებრივი წარმოშობის რელიგიური დოგმატებით (ისტორიანი და აზმანი... 1959, 31-32). გარდაქმნის იურიდიულ საფუძვლად მიჩნეულია სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების საერო მოძღვრება (აბაშმაძე 1992, 95). ყუთლუ-არსლანის დასის იდეური საფუძვლების ხსენებისას, გამოყოფენ 2 ვარიანტს: პირველი, ის, რომ, თბილისს საუკუნეების განმავლობაში განსაკუთრებული საქალაქო წყობილება ჰქონდა, რამაც ყველაზე თვალსაჩინოდ მისი

დამოუკიდებელი არსებობის უკანასკნელი 40 წლის განმავლობაში იჩინა თავი, როდესაც არაბი ისტორიკოსის ალ-ფარიკის ცნობით, რესპუბლიკურ პრინციპებზე აგებული „ხალხის (ბერების) მმართველობა ჩამოყალიბდა (მესხია 1962, 66-81), (გაბაშვილი 1947, 331-385).

1122 წელს დავით აღმაშენებელმა, დიდგორის ბრძოლიდან ერთი წლის თავზე, თბილისი გაათავისუფლა ოთხსაუკუნოვანი უღლისგან და შემოუერთა საქართველოს, მაგრამ ქალაქის მოსახლეობაში, რომელთა საგრძნობი ნაწილი ქართველები და ქრისტიანები იყვნენ (კიკვიძე 1942, 23), კვლავ დიდხანს ცოცხლობდა „მესამე წოდების“ ინტერესების გამომხატველი რესპუბლიკური იდეები, რომლებმაც თავისი გამოვლინება ჰპოვეს თამარის მეორედ გამეფების დროს (1184 წელს), როცა დიდგვაროვანმა აზნაურებმა აჯანყება დაიწყეს თამარის წინააღმდეგ და მიაღწიეს მნიშვნელოვან დათმობებს და არსებული პოლიტიკური რეჟიმის შეცვლას. იდეური საფუძვლის მეორე ვარიანტი იყო იმ პერიოდამდე (გიორგი მთაწმინდელის ეპოქიდან მოყოლებული საეკლესიო სამონასტრო ცხოვრებაში დამკვიდრებული ახალი და ჰუმანური იდეები. გიორგი მთაწმინდელთანაა დაკავშირებული მონასტრებში ეკლესიის წინამძღვართა არჩევის წილნაყრობის (ფარული არჩევნების) წესით ჩატარება. ემიგრანტი ქართველი კულტურის მკვლევარის, ისიდორე მანწკავას მტკიცებით, გიორგი მთაწმინდელი, მთელ საქრისტიანო მსოფლიოში პირველი საეკლესიო მოღვაწეა, რომელიც საეკლესიო-სამონასტრო ცხოვრებაში პირველი შეებრძოლა ფეოდალიზმს XI საუკუნეში და ამით მისცა კარგი მაგალითი შემდგომი ეპოქის პროგრესულ აზრებს და მოღვაწეებს (მჭედლიშვილი 2004, 46).

ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლა იმ ეპოქის გამოძახილი იყო. იმ ეპოქაზე ნათელ წარმოდგენას გვაძლევს შოთა რუსთაველის გენიალური „ვეფხისტყაოსანი“, რომლის პირველი ნაწილი დემნა უფლისწულის აჯანყების მერეა დაწერილი 1177-79 წლებში.[1]

საყოველთაოდ ცნობილია, რომ გიორგი მესამის გარდაცვალებით ისარგებლეს დიდგვარიანმა, აზნაურებმა და წაუყენეს ულტიმატუმი ახალგაზრდა, გამოუცდელ თამარს - ხელმეორედ კურთხევა ტახტზე და მათთვის მიუღებელი დაბალი

[1] ამის შესახებ, ჩვენ ცალკე პარაგრაფში ვისაუბრებთ ქვემოთ.

წარმოშობის ვეზირების - აფრიდონისა და ყუბასარის გადაყენება, ანუ იმ რეჟიმის შეცვლა, რაც საშუალებას აძლევდა შედარებით დაბალი წარმოშობის, მაგრამ დიდი ნიჭისა და უნარ- ჩვევების მქონე პირებს დაეკავებინათ მაღალი თანამდებობები სამეფო კარზე. დიდაზნაურებმა მაშინ თავისას მიაღწიეს და აიძულეს თამარი მათი მოთხოვნები შეესრულებინა (საერთოდ უნდა ითქვას, რომ თამარის მეფობის პირველი ათწლეული დიდი კატაკლიზმებით იყო აღსავსე, რამაც გამოიწვია დიდი რყევები ქვეყანაში და მისი დასუსტება).

თამარის წინააღმდეგ დიდგვაროვან აზნაურებს მაშინ გვერდით არ დადგომია ყუთლუ-არსლანის დასი, რომელიც ასევე კარგა ხანია ამზადებდა გამოსვლას მეფის წინააღმდეგ, თუმცა ხელსაყრელ დროს ელოდებოდა. მათ გაერთიანებას ხელი შეუშალა დაჯგუფებათა სხვადასხვა სოციალურმა შემადგენლობამ და განსხვავებულმა პოლიტიკურმა პროგრამამ. მათ აერთიანებდათ იდეურად ერთი რამ - მეფის ხელისუფლების შეზღუდვის სურვილი, თუმცა ეს შეზღუდვა ამ ჯგუფებს სხვადასხვანაირად ესმოდა.

სწორად მიუთითებს ვ. აბაშმაძე, „რომ დიდგვარიან აზნაურთა შეთქმულების შედეგად ქვეყანაში წინათ არსებული პროგრესული პოლიტიკური რეჟიმის, (რომლის ფუძემდებელი იყო დავით აღმაშენებელი და მომდევნო მისი მემკვიდრეები) შეცვლა ყველაზე მწვავედ დაბალი წარმოშობის სოციალურმა ფენებმა განიცადეს, რადგანაც გიორგი მესამის მეფობისას არსებული პოლიტიკური რეჟიმის დამხობამ საბოლოოდ დაუხშო გზა დაბალი სოციალური ფენების წარმომადგენლებს სახელმწიფოებრივი ხელისუფლებისაკენ. სწორედ ამიტომ მათთვის სასურველი პოლიტიკური რეჟიმის შეცვლას დაბალმა სოციალურმა ფენებმა დაუყოვნებლივ უპასუხეს დიდი აჯანყებით, რომელიც, როგორც წყაროებიდან ირკვევა, ანტიფეოდალურ ხასიათს ატარებდა. აჯანყებულები მოითხოვდნენ სამეფო ხელისუფლების უკიდურესად შეზღუდვას, ხელისუფლების დანაწილების გზით (აბაშმაძე 1992, 100), რაც თამარის მეფობის დასასრულს მოასწავებდა.

ყუთლუ-არსლანის დასის პოლიტიკური პროგრამა და იდეოლოგია კარგად ჩანს მათ მოთხოვნებში სამეფო კარისადმი. მემატიანის თქმით, ყუთლუ-არსლანმა „ითხოვა კარავი დადგმად ველსა ისანისასა და სანახებსა საღოდებლისასა და თქვა: „დასხდომილნი მუნ შიგა, გამგებელნი მიცემისა და მოღებისა, წყალობისა და

შერისხვისანი, ვჰკადრებდთ და ვაცნობებდეთ თამარს, მეფესა და დედოფალსა; მაშინღა სრულ იქმნებოდეს განგებულნი ჩვენი“ („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“).

როგორც ივანე ჯავახიშვილმა გამოიკვლია, „მიცემა და მოღება, წყალობა და შერისხვა“ საკანონმდებლო და სასამართლო ძალაუფლების აღმნიშვნელია (ჯავახიშვილი 1929, 171).

მკვლევართა სამართლიანი ვარაუდით ყუთლუ-არსლანის დასი მოითხოვდა ისანში სამეფო ხელისუფლების რეზიდენციის გვერდით სრულიად ახალი დაწესებულების „კარვის“ ჩამოყალიბებას, რომელიც საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებას გააკონტროლებდა, ხოლო მეფეს რჩებოდა მათი აღსრულების მოვალეობა, ანუ მათი დადგენილის აღსრულება. ვ. აბაშმაძის აზრით, ყუთლუ-არსლანის პოლიტიკურ პროგრამაში მთავარია არა პარლამენტის მსგავსი დაწესებულების შექმნა, არამედ სახელმწიფოებრივი ხელისუფლების დანაწილება და მისი განხორციელება სხვადასხვა ორგანოების მიერ (ჯავახიშვილი 1929, 101).

ყუთლუ-არსლანის დასის მოთხოვნით, მეფეს „კარავთან“ არავითარი კავშირი არ უნდა ჰქონოდა, იგი არ უნდა დასწრებოდა „კარვის“ სხდომებს, მას არ უნდა ჰქონოდა „კარვის“ დადგენილების შეჩერების უფლება. მეფეს მხოლოდ ევალებოდა „კარვის“ წევრთა მიღებული დადგენილებების სისრულეში მოყვანა, ანუ აღსრულება.

დღემდე არც ერთმა მკვლევარმა, პროფ. ვ. შუბითიძის გარდა, არ მიაქცია ყურადღება ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს. ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლამდე და მერეც არსებობდა სახელმწიფო დარბაზი, სათათბირო ორგანო, რომელზეც მეფის თაოსნობით იხილებოდა უმნიშვნელოვანესი საშინაო თუ საგარეო საკითხები.

დარბაზობას ესწრებოდნენ თანამდებობის პირები და უმაღლესი სამღვდელოება. დარბაზს ჰქონდა სათათბირო უფლება და იგი თავს ვერ მოახვევდა მეფეს რაიმე გადაწყვეტილებას. ყუთლუ-არსლანის დასი, როგორც ჩანს, დარბაზს ხელუხლებლად ტოვებდა და იგი ითხოვდა ახალი, საგანგებო დაწესებულების „კარვის“ შექმნას, რომელშიც არ შევიდოდნენ დარბაზის წევრნი.

ეს ნიშნავს იმას, რომ „კარავში“ წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო ყველა მნიშვნელოვანი ჯგუფი თუ ფენა (მათ შორის ოპოზიციურიც), რომელთა მიერ მიღებულ დადგენილებას მეფე ვეტოს ვერ დაადებდა, ანუ ვერ დაბლოკავდა და,

სავარაუდოდ, ვერც დაითხოვდა, ეს კი დაახლოებით სენატის, ანუ პარლამენტის მთავარი ზედა პალატის მსგავსი რამაა, რომელიც გაცილებით მოგვიანებით ჩნდება ევროპასა და მთელ მსოფლიოში.

თუ კარვის წევრებს მეფე ვერ დანიშნავდა და ვერ დაბლოკავდა, ეს ნიშნავს იმას, რომ წევრები იქ, სავარაუდოდ, არჩევნების ან რაღაც ფართოდ შეთანხმებული წესით უნდა არჩეულიყვნენ გარკვეული ვადის განმავლობაში. ეს კი მეფის ხელისუფლების სერიოზული შეზღუდვა და კონსტიტუციური მონარქიის ჩამოყალიბების წანამძღვარია და XII საუკუნისათვის ძალიან უნიკალური და მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენაა ნამდვილად.

ასეთი რესპუბლიკური იდეა, როგორც რადიკალური სიახლე იმ დროის სახელმწიფო პოლიტიკურ და კონსტიტუციურ აზროვნებაში, საქართველოს უკვე წარმოაჩენდა დიდი კულტურულ-ისტორიული მისიის მეურვედ. მაშინდელი მსოფლიოს ყველაზე დაწინაურებული ქვეყნის ბიზანტიის კონკურენტად და ადგილმონაცვლედ.

ამრიგად, დიდაზნაურთაგან განსხვავებით, აქ კარგად ჩანს ყუთლუ-არსლანის წინდახედულება, ეშმაკობა და დიპლომატიურობა. მან, როგორც ჩანს, კარგად იცოდა დიდაზნაურთა გეგმები, მაგრამ თავისი გამოსვლა არ დაამთხვია მისას - იგი ელოდებოდა მეფის რეაქციას და იმასაც, თუ ვინ გამოვიდოდა გამარჯვებული მეფისა და დიდაზნაურთა დაპირისპირებაში: თუ გაიმარჯვებდნენ დიდებულები, მაშინ ყუთლუ-არსლანი და მისი დასი უფრო ადვილად მოახვევდა თავის პირობებს დასუსტებულ მეფეს, თუ გაიმარჯვებდა მეფე, მაშინ მას მოთხოვდნენ მესამე წოდების წარმომადგენლობისთვის მეტი დათმობების გაკეთებას დიდაზნაურთა უგულებელყოფის ხარჯზე. როგორც ცნობილია, დიდაზნაურებმა აიძულეს თამარი, რომ გადაეყენებინა მათთვის საძულველი, დაბალი სოციალური წრიდან გამოსული ვეზირები და ამ თანამდებობაზე თამარმა დანიშნა დიდგვაროვნები. დიდაზნაურთა გამარჯვება ნიშნავდა ყუთლუ-არსლანის დასის შესუსტებას, რადგან ამიერიდან დაბალი სოციალური წარმოშობის მატერიალურად შეძლებულ ხალხს გზა ეხშობოდა სახელმწიფოებრივი მაღალი თანამდებობების დაკავებისაკენ. ყუთლუ-არსლანის დასი უკვე ვეღარ დაუშვებდა დიდაზნაურთა კიდევ უფრო გაძლიერებას და ამიტომაც მათ წარმატებას ყუთლუ-არსლანის დასმა უპასუხა დიდი აჯანყებით.

ამრიგად, ყუთლუ-არსლანის დასი მოითხოვდა სამეფო ხელისუფლების უკიდურესად შეზღუდვას ისანში „კარავის“ დაარსებით - ხელისუფლების დანაწილების გზით - მეფეს რჩებოდა მხოლოდ აღმასრულებელი ხელისუფლება, მას ევალებოდა კარავში გადაწყვეტილი და დადგენილი საკითხების მხოლოდ აღსრულება, რაც, როგორც მემატიანეც ხვდება, იყო დასაწყისი „დასასრულისა ხელმწიფობისა პატრონისასა“ (ისტორიანი და აზმანი...1959, 31). როგორც ჩანს მეფეს ამირსპასალარის დანიშვნის უფლებასაც აღარ უტოვებდნენ, რადგან თავად ყუთლუ-არსლანი „ლორესა დაჯდომად“ ემზადებოდა და ამირსპასალარობას მიელტვოდა (ისტორიანი და აზმანი...1959, 32).

სამეცნიერო ლიტერატურაში, რომელიც სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების თეორიის ისტორიისადმია მიძღვნილი, ერთხმადაა აღიარებული, რომ XIII საუკუნემდე დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ეს თეორია ჯერ კიდევ უცნობია. სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების მოძღვრება ფეოდალიზმის ეპოქაში პირველად გვხვდება XIII საუკუნის მოაზროვნის, ერთ დროს პარიზის უნივერსიტეტის რექტორის, მარსილუს პადუელის ნაშრომებში (აბაშმაძე 1992, 114).

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლა და მათი პოლიტიკური პროგრამა ეს იყო იმ დროის მსოფლიოში პირველი შემთხვევა, როცა ხელისუფლების დანაწილების საკითხი რეალურად დადგა დღის წესრიგში.

სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების თეორია, ყველგან, სადაც კი იგი განვითარდა, ყოველთვის დაკავშირებული იყო განვითარებულ ფეოდალურ ურთიერთობებთან, რომლის წიაღში ისახება ახალი, მესამე წოდების ინტერესების შესაბამისი საზოგადოებრივი, და მოგვიანებით, პოლიტიკური ურთიერთობები. ეს თეორია რეალურად მიმართულია იმ ფეოდალური სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ, რომელიც ვერ ითმენს სახელმწიფოებრივი ხელისუფლების დანაწილებას. თავად თამარ მეფესა და დიდგვარიან აზნაურებს შორის ბრძოლაშიც, რომელიც ასევე მეფის ხელისუფლების სხვანაირად შეზღუდვას ისახავდა მიზნად, ვერც ერთი მხარე ვერ აყენებს სახელმწიფო ხელისუფლების განაწილების მოსაზრებას, რადგანაც იგი არ შეესაბამება ფეოდალურ იდეოლოგიას, რითაც ხელმძღვანელობდა ორივე მხარე.

მართალია გ. სოსელია და გ. მჭედლიძე (იხ. დასახ. ნაშრ.) უარყოფენ ამ დროის საქართველოში „მესამე წოდების“ არსებობას, მაგრამ ივ. ჯავახიშვილის, ნ. ბერძენიშვილის, შ. მესხიას, დ. გვრიტიშვილის, მ. დუმბაძის, ა. სურგულაძის, გ. წერეთლის, ვ. ფუთურიძის და სხვათა ნაშრომებით მტკიცდება, რომ XII საუკუნის საქართველოს ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ვაჭრობასა და ხელოსნობას, განვითარებული ფულად-სასაქონლო მეურნეობა კი ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა მესამე წოდების ჩამოყალიბებისა და სწრაფი განვითარებისთვის.

მესამე წოდების პოლიტიკური იდეოლოგია ყველგან ყალიბდება ბურჟუაზიის უფლებებისათვის ბრძოლის პირველივე ეტაპზე, როცა კაპიტალისტური ურთიერთობანი უკვე სერიოზულ ჩამოყალიბებას იწყებენ ამა თუ იმ საზოგადოებაში. ასე მოხდა დასავლეთ ევროპაში. ამასთანავე ცნობილია ისიც, რომ XII საუკუნის საქართველოს ეკონომიკური განვითარების დონე დასავლეთ ევროპის ქვეყნების განვითარების დონეზე საგრძნობლად მაღალი იყო. აკად. ივანე ჯავახიშვილს ამის საილუსტრაციოდ მოჰყავს უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური მახასიათებელი: „საქართველო, თავისი ინტენსიური მეურნეობისა და ფართო აღებ-მიცემობის წყალობით, ფინანსურად მდიდარი ქვეყანა იყო. სპარსელი გეოგრაფის აბდალაჰ ყაზვინის ცნობით, საკუთრივ საქართველოს (ყმადნაფიცი ქვეყნების გარეშე) ყოველწლიური სახელმწიფო სალაროს შემოსავალი 3 მილიონ 750 ათას ოქროს მანეთს უდრიდა. ამ ხანაში კი მცირე აზიის შემოსავალიც 2 475 000 მან., არაბეთის ერაყის 2 250 000 მან. და ფარსის 2153 000მან. შეადგენდა მხოლოდ. დასავლეთ ევროპის ქვეყნებიდანაც, ზომბარტის მიხედვით, ინგლისის მეფის შემოსავალი 1300 წელს 4 მილიონ ოქროს ფრანკს, ხოლო საფრანგეთის 1311 წელს 3 მილიონ ფრანკს არ აღემატებოდა. საქართველოს ეკონომიკაში ზემოაღნიშნული შემოსავლის თანხა მხოლოდ ფულადი შემოსავლის ოდენობაა. ამას გარდა, მას სულადად დაწესებული გადასახადების შემოსავალიც ჰქონდა. მხოლოდ სწორედ ასეთმა ეკონომიკურმა კეთილდღეობამ მისცა საშუალება საქართველოს და ხალხს, აეტანა ის საშინელი პოლიტიკური და ეკონომიკური განსაცდელი, რომელიც მას XIII საუკუნეში დაატყდა თავს“ (ჯავახიშვილი 1965, 394).

ყუთლუ-არსლანის დასის პროგრესული პოლიტიკური იდეები რომ XII საუკუნის ფეოდალური საქართველოს ეკონომიკის ადეკვატური იყო, იქიდანაც ჩანს,

რომ სამეფო ხელისუფლებამ ვერ გაბედა მესამე წოდების ინტერესთა გამომხატველი ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური მოთხოვნების მთლად უგულებელყოფა და ყუთლუ-არსლანის დასთან კომპრომისის გზა აირჩია (თამარის ბრძანებით ყუთლუ-არსლანის დაპატიმრების შემდეგ მისი „თანაშეფიცულნი და თანაშემწენი“ შეიყარნენ და მოსთხოვეს მეფეს ყუთლუ-არსლანის დაუსჯელად გაშვება, წინააღმდეგ შემთხვევაში „განემზადეს ისანისაცა შემობმად“. თამარი დიპლომატიურად მიუდგა ამ საქმეს, შეიარაღებულ „კარვისელებს“ მიუგზავნა ორი საპატიო დედოფალი - კრავაი ჯაყელი და ხვაშაქ ცოქალი, რომლებმაც შეძლეს განდგომილთა დაყოლიება უვნებლობის ფიცის მიღებისა და ყუთლუ-არსლანის გათავისუფლების შემდეგ).

მართალია სამეფო ხელისუფლებამ უარყო ორპალატიანი პარლამენტის შექმნისა და ხელისუფლების დანაწილების იდეა, მაგრამ სამაგიეროდ, ამიერიდან სახელმწიფოებრივი საკითხების გადაწყვეტისას იგი ხელმძღვანელობს არა თვითმპყრობელობის, არამედ „თანადგომისა და ერთნებაობის“ პრინციპებით (ივ. ჯავახიშვილი) და გაფართოებულ სახელმწიფო დარბაზში თვალსაჩინო როლს ასრულებენ მესამე წოდების წარმომადგენელნი. ამას მოწმობს ყუთლუ-არსლანის (რომელიც მერე ქრონიკებში აღარ ჩანს - ა.კ.) პოლიტიკური დასის გამოსვლის შემდეგ მომხდარი პოლიტიკური მოვლენები - სახელმწიფო დარბაზში თბილისის ამირას აბულასანის მოღვაწეობა და ამ უკანასკნელის ინიციატივით ებრაელი დიდვაჭრის ზანქან ზორაბაბელის გაგზავნა თამარის საქმროდ - გიორგი რუსის ჩამოსაყვანად (არის მოსაზრება, რომ გიორგი რუსი „კარვისელთა“ კანდიდატი იყო - გ. მჭედლიშვილი), დაბალი სოციალური წარმოშობის ეგარსლან ბაკურციხელისა და მესტუმრე ჯიქურის დაწინაურება (უმეფობის ხანაში და დავით ულუს დროს).

ყუთლუ-არსლანის დასის პროგრამამ და მისმა დაპირისპირებამ თვითმპყრობელ მეფესთან განსაკუთრებული და უდიდესი როლი შეასრულა XII- XIII საუკუნის საქართველოს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში. იგი ჩამოყალიბდა და გამომჟღავნდა XII საუკუნის ფეოდალური ეპოქის საქართველოში, როცა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურმა განვითარებამ ისეთ მაღალ მიჯნას მიაღწია, რომ „მისი შემდგომი განვითარება ამ ფეოდალური ურთიერთობების რღვევისა და ახალი კაპიტალისტური ურთიერთობების ჩასახვა-წარმოქმნის გზით შეიძლება მხოლოდ წასულიყო“ (ჯავახიშვილი 1965).

ვახტანგ აბაშმაძე საგანგებოდ მიანიშნებს იმ დიდ დამსახურებაზე, რაც აკად. ივანე ჯავახიშვილს მიუძღვის ყუთლუ-არსლანის დასის პროგრამისა და მისი გამოსვლის შესწავლისა და გააზრების საქმეში (აქვე უნდა ითქვას, რომ მასაც არანაკლები წვლილი აქვს შეტანილი ამ მოვლენის მსოფლიო პრიზმაში გააზრებისთვის).

ყუთლუ-არსლანის დასის პირველმა მკვლევარმა, ივ. ჯავახიშვილმა ამ მოვლენის შესწავლის შემდეგ ასეთი დასკვნები გააკეთა:

I. ყუთლუ-არსლანის დასის პოლიტიკური გამოსვლა და მისი პოლიტიკური მოთხოვნები სწორედ რომ „მასშტაბურ მოვლენას“ წარმოადგენდა;

II. ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური პროგრამა ემყარება არისტოტელეს მიერ შემუშავებულ სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების თეორიას;

III. ყუთლუ-არსლანის დასის აჯანყება მხოლოდ მესამე წოდების ინტერესების განხორციელებას ისახავდა მიზნად სამეფო ხელისუფლების შეზღუდვის გზით.

აქვე ივ. ჯავახიშვილი მიუთითებდა, რომ აჯანყებულები მიზნად ისახავდნენ სამეფო ხელისუფლების შეზღუდვას პარლამენტით, რასაც იგი მსოფლიო ისტორიის უდიდეს მოვლენად მიიჩნევდა (ჯავახიშვილი 1929, 410-411).

„ქართლის ცხოვრების“ კომენტარებისას სიმონ ყაუხჩიშვილმა ივანე ჯავახიშვილის დასკვნის საფუძველზე მიუთითა, რომ ეს არის „უზარმაზარი ამბავი პარლამენტური წყობილების შემოღების ცდისა“ („ქართლის ცხოვრება“, რედაქტორის წინასიტყვაობა, 1959, 15). ივანე ჯავახიშვილი ასევე პირველი იყო, ვინც ყუთლუ-არსლანის დასის პოლიტიკური მოთხოვნები („განგება“, „სრულქმნა“, „წყალობა“ და „შერისხვა“ ა.კ.) ხელისუფლების დანაწილების თეორიას დაუკავშირა: „მეჭურჭლეთუხუცესის დასის პროგრამა რომ თანამედროვე იურიდიული ტერმინოლოგიით გამოითქვას, მეფეს უნდა მხოლოდ აღმასრულებელი ხელისუფლება შერჩენოდა, კანონმდებელი ხელისუფლება კი - მარტო „კარავში“ დასხდომილთ უნდა ჰქონოდათ“ (ჯავახიშვილი 1929, 173).

ერთადერთი დასკვნა, რომელიც გაზვიადებულად გვეჩვენება ივ. ჯავახიშვილის ნააზრევიდან, არის შემდეგი: „თუ საქმის ამ ვითარებასა და პოლიტიკურ პროგრამას თანამედროვე იურიდიული ტერმინოლოგიით დავახასიათებთ, ეს დაახლოებით იმას

უდრიდა, რომ საქართველოს მანამდე არსებული მონარქიული წესწყობილება რესპუბლიკურად უნდა შეცვლილიყო“ ( ჯავახიშვილი 1929, 183).

შეიძლება ყუთლუ-არსლანის დასის მოთხოვნები მართლაც რესპუბლიკური ხასიათის მოთხოვნებად ჩავთვალოთ, მაგრამ იგი, ცხადია, მიზნად არ ისახავდა რესპუბლიკური წყობის დამყარებას, არამედ მისი ჩანასახი, პირველი ნაბიჯი შეიძლება ყოფილიყო. ეს კრიტიკა ვ. აბაშმაძესაც ეხება, რომელმაც გაიზიარა დიდი ივანეს ეს დასკვნა.

საბოლოოდ, სრულიად ვიზიარებთ ივანე ჯავახიშვილის დასკვნას, რომ „რაც უნდა იყოს, ერთი რამ სრულებით ცხადი და უცილობელია: ყუთლუ-არსლანისა და მისი თანამოაზრეების მიერ წამოყენებული მოთხოვნილებანი საქართველოს სახელმწიფო ცხოვრებაში განსაკუთრებულ და მეტად საგულისხმო მოვლენად უნდა ჩაითვალოს; რამდენადაც ვიცით, არასდროს არავისგან ასე მკაფიოდ და ნათლად არ ყოფილა წამოყენებული საკითხი საქართველოს სახელმწიფო წეს-წყობილების შეცვლის საჭიროების შესახებ, რომ მეფეს „თვითმპყრობელობის“ და მხოლოდ მას საკუთრივ სახელმწიფო საქმეების გადაწყვეტის უფლება არა ჰქონდა, არამედ ეს უფლება განსაკუთრებულს უზენაეს დაწესებულებას მიენიჭებოდა, მეფეს კი მარტო ამ დაწესებულების გადაწყვეტილების „განგებულის“ აღსრულების, „სრულქმნის“ უფლება შერჩენოდა. მაშასადამე, აქ საუცხოოდ არის ერთმანეთს შორის განსაზღვრული კანონმდებლობისა და განგების უფლება ერთი მხრით და სრულყოფის უფლება მეორე მხრით. მარტო ეს განსაზღვრა ქართული სახელმწიფო სამართლისა და აზროვნების დიდი განვითარების დამამტკიცებელია“ (ჯავახიშვილი 1965, 248-249).

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ყუთლუ-არსლანის დასის პოლიტიკური პროგრამა და მათი დაპირისპირება - აჯანყება მეფის წინააღმდეგ - ეს იყო მესამე წოდების წარმომადგენელთა მიერ ხელისუფლების დანაწილების რეალური მცდელობა, რომელიც მიზნად ისახავდა მეფის ხელისუფლების სერიოზულ შეზღუდვას თითქმის კონსტიტუციური მონარქიის დონეზე, სამეფო დარბაზთან ერთად პარლამენტის შემოღების მცდელობას ორი პალატით, რომელშიც მთავარი უნდა ყოფილიყო „კარავი“ ისანში და რომელიც გააკონტროლებდა საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებას, მეფეს კი უტოვებდა აღმასრულებელ ხელისუფლებას.

ეს ყველაფერი კი იყო  იმდროინდელი მსოფლიო პოლიტიკურ ცხოვრებაში  დიდი გარღვევა და უნიკალური მოვლენა, დიდი კონსტიტუციური და ცივილიზაციური სიახლე.

არ შეიძლება არ გაიზიარო დიდი ივანე ჯავახიშვილის შემაჯამებელი დასკვნაც, რომ ყუთლუ-არსლანის დასის „სწორედ ამ მოწესრიგებულმა სოციალ-პოლიტიკურმა ბრძოლამ გახადა ამ პერიოდის საქართველოს ისტორია არაჩვეულებრივად ინტერესის მქონედ და საგულისხმოდ არა მარტო ადგილობრივი, არამედ ზოგად-ისტორიული თვალსაზრისითაც“ (ჯავახიშვილი 1965, 247).

ანალოგიური შეფასება მისცა ამ მოვლენას და თამარის მეფობას ცნობილმა ირლანდიელმა ისტორიკოსმა უილიამ ალენმა. მისი სიტყვებით, „თამარი იყო მატრიარქი, ბრძენი და პურიტანი მმართველი, ფრთხილი და გონიერი დიპლომატი, ურყევი მებრძოლი, ღვთისმოსავი, გულმოწყალე და შემწყნარებელი ხელმწიფე. აღსანიშნავია ისიც, რომ პირველად მსოფლიო ისტორიაში გაჩნდა იდეა პარლამენტის მსგავსი ტიპის ორგანოს დაარსებისა სახელწოდებით „კარავი“.

## 1.3. პიროვნების თავისუფლებისა და კონსტიტუციური უფლებებისათვის ბრძოლა - შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ მთავარი იდეა

როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ ყუთლუ-არსლანის დასის „ისნის კარვის“ უაღრესად ნოვატორულ იდეაზე, როგორც XII საუკუნის საქართველოში ჩამოყალიბებულ იდეოლოგიაზე, ამ ეპოქის დასახასიათებლად არ შეიძლბა, რომ არ შევეხოთ რუსთაველის გენიალურ „ვეფხისტყაოსანს“, ნაწარმოებს, რომელმაც არა მარტო ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ  განვითარებაზე მოახდინა გავლენა, არამედ თავის თანადროულ და მის შემდგომ არსებულ მსოფლიოზე, კაცობრიობისა და ცივილიზაციის დიდ ნიშანსვეტებზე.

„ვეფხისტყაოსანში“ არაჩვეულებრივი რეალიზმით დასმული და გადაწყვეტილია არამარტო XII საუკუნის საქართველოს, არამედ, მაშინდელი მსოფლიოს და ჩვენი მეზობელი ქვეყნების საზოგადოებრივი ცხოვრების პრობლემები, ზოგადსაკაცობრიო და არა ვიწრო ნაციონალური ინტერესით.

ამასთან, რუსთველის „ვეფხისტყაოსანში“ მხატვრული ფორმით გადმოცემულია XII საუკუნის გაერთიანებული საქართველოს მთლიანი სურათი და სამეფო

ხელისუფლების დიდი საზოგადოებრივ-პოლიტიკური იდეები, რომელიც ქართული სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების, დაცვისა და განმტკიცების აუცილებლობის დასაბუთებას ისახავდა მიზნად (აბაშმაძე 1992, 127).

„ვეფხისტყაოსნის“ მთავარი თემის შესახებ დღემდე დაწერილ 3 ათასამდე ნაშრომში სხვადასხვა, ურთიერთსაწინააღმდეგო აზრია გატარებული და გამოთქმული.

პროფესორ ვახტანგ აბაშმაძეს მიაჩნდა, რომ არც ერთი არ შეიძლებოდა ჩათვლილიყო მართებულად, რადგან ისინი არასრულ წარმოდგენას გვაძლევენ XI-XII საუკუნეების ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი საფუძვლის შესახებ. მისი სამართლიანი მოსაზრებით „ძმადნაფიცობა, ისევე როგორც სიყვარული და მეგობრობა ცალ-ცალკე არ წარმოადგენს „ვეფხისტყაოსნის“ მთავარ თემას“ (აბაშმაძე 1992, 128).

მისი თქმით, „რა თქმა უნდა, ძმადნაფიცობის, სიყვარულისა და მეგობრობის ცხოველმყოფელ იდეებს დიდი ადგილი აქვს დათმობილი „ვეფხისტყაოსანში“, მაგრამ ყველა ისინი ერთად აღებული, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის აზრით, დაქვემდებარებულია XII საუკუნის საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების უმთავრესი ამოცანის - კავკასიის ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხებზე ქართული სახელმწიფოებრიობის წარმატებით განხორციელებასთან და მასთან დაკავშირებულ საზოგადოებრივი სოლიდარიზმისა და კლასობრივი ზავის უზრუნველყოფასთან, რაც შოთა რუსთაველის აზრით, ვეფხისტყაოსნის მთავარ თემას და იდეას წარმოადგენს (აბაშმაძე 1992,129).

პატივცემულმა მკვლევარმა სწორად გააკრიტიკა სხვები, რომ ძმადნაფიცობა, სიყვარული და მეგობრობა არ არის „ვეფხისტყაოსნის“ მთავარი თემა, მაგრამ აქვე შეცდა, როცა თქვა, რა არის ვეფხისტყაოსნის მთავარი თემა და იდეა.

რა თქმა უნდა, მის მიერ დასახელებული საზოგადოებრივი სოლიდარობისა და კლასობრივი ზავის, სოციალური მშვიდობიანობის იდეა ძალზე მნიშვნელოვანია, მაგრამ, ჩვენის აზრით, იგი არ არის „ვეფხისტყაოსნის“ მთავარი თემა და იდეა.

ჩვენი მოსაზრებით, „ვეფხისტყაოსნის“ მთავარი იდეა არის პიროვნების თავისუფლებისა და კონსტიტუციური უფლებების განხორციელებისათვის ბრძოლა, თუ რატომ, ამაზე ქვევით მოგახსენებთ.

ცნობილია, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ შემავალი ისტორიული თხზულებების ანონიმი თუ არაანონიმი ავტორები ოფიციალური, სამეფო კარის ხედვებს წარმოადგენდნენ და იზიარებდნენ, მაგრამ მარტო ოფიციალური წერილობითი ისტორია საკმარისი არაა ამა თუ იმ ეპოქის შესასწავლად. მით უმეტეს, რომ ისეთი დიდი გენიოსი, როგორიც არის შოთა რუსთაველი, მაშინდელ ისტორიულ წყაროებს საერთოდ მოხსენიებული არა ჰყავთ, რითაც მტკიცდება ის ფაქტი, რომ სამეფო კარი და სამღვდელოება კრიტიკულად ან უფრო უარესი, ნეგატიურად იყო განწყობილი რუსთაველის მიმართ, სწორედ მისი შეხედულებებისა და იდეების და არა სხვა რამის გამო.

ამ შემთხვევაში რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ როგორც უაღრესად რეალისტური ნაწარმოები, თავადაა არა მარტო პირველხარისხოვანი მხატვრული ნაწარმოები, არამედ როგორც ისტორიული წყარო. მიუხედავად უდიდესი ღირსებებისა, რომლებიც გააჩნია „ქართლის ცხოვრებას“, ძნელი შესამჩნევი არაა მისი ცალმხრივობაც, რადგან მასში ვერ მოხდა იმ ავტორთა თხზულებები, რომლებიც მეფეთა პოლიტიკური ხაზის ოპონენტები არიან და მათ ჩვენამდე არც მოუღწევიათ. ამიტომ, „ქართლის ცხოვრება“ ფარავს ბევრ საიდუმლოს, რომლის აღდგენა სხვადასხვა ალტერნატიული წყაროებიდან უნდა მოვახერხოთ და ლოგიკური მსჯელობით გარკვეულ დასკვნებამდე მივიდეთ. ერთ-ერთი ასეთი წყარო არის თავად „ვეფხისტყაოსანი“.

შოთა რუსთაველის სიდიდე იმაშიც მდგომარეობს, რომ იგი არც ფეოდალური საზოგადოების და არც სამეფო კარის იდეოლოგიით არ შეიზღუდა და ეზოპეს ენით უზარმაზარი ალეგორია დაგვიხატა საქართველოს რეალური სურათისა, ვითომ ინდოეთის, არაბეთის, გულანშაროს და სხვა ქვეყნების სახით.

„ვეფხისტყაოსანს“ აშკარად ახასიათებს ორპლანიანობა და ქვეტექსტურობა. მიუხედავად იმისა,რომ ნაწარმოები ყველასათვის გასაგებ ენაზეა დაწერილი. თავად პოემაში ხშირად არის ნახსენები „ჭრელად ლაპარაკი“, რაც ორჭოფულად ლაპარაკს, ცარიელი სიტყვებით შენიღბულ სიცრუეს ნიშნავს. „მომისმინე, მართლად გითხრობ, არა ჭრელად“ მიმართავს ავთანდილი შერმადინს. სწორად აღნიშნავს პროფესორი გიორგი მჭედლიშვილი, რომ „ჭრელად“ ელაპარაკება თინათინი ავთანდილს, ავთანდილი - როსტევანს, როსეტევანი - ავთანდილს და თვით ტარიელი ფარსადანს.

ე.ი. „ჭრელად ლაპარაკი“ სასახლის ენაა, რომლის გაუთვალისწინებლობა არ შეიძლება“ (მჭედლიშვილი 2004, 15).

გასარკვევი კი მართლაც ისაა, რომ დავით აღმაშენებლის მიერ ცენტრალიზებული, ძლიერი სახელმწიფოს შექმნის შემდგომ, რა იყო ასეთი აკრძალული, რასაც სამეფო კარის ისტორიკოსები და მეხოტბე პოეტები გვერდს უვლიან, ხოლო დიდ რეალისტს და ეპოქის მეისტორიე რუსთაველს კი სრული აკრძალვის პირობებში დააჭირვა „ჭრელად ლაპარაკი“ და ეზოპეს ენა, ფარული მინიშნებანი? როგორ ასახა რუსთაველმა თავისი ეპოქის ეს სინამდვილე და როგორ გაუგო თავისმა და შემდგომი ეპოქის საზოგადოებამ ეს სინამდვილე რუსთაველს?

რთულ და ხანგრძლივად მიმდინარე საქართველოს გაერთიანების პროცესში მეფის ცენტრალიზებული ხელისუფლება პროგრესულ როლს ასრულებდა - იცავდა წესრიგს სამეფოში, საზღვრებს, ხელს უწყობდა ეკონომიკისა და კულტურის განვითარებას. ამ პერიოდში, ყველაფერი მთავარ მოტივს - ერთიანი და ძლიერი საქართველოსთვის ბრძოლას ექვემდებარებოდა, თუნდაც იგი სასტიკსა და თავნება, ოღონდ სამშობლოსთვის უღალატო და თავგანწირულ მეფეს განეხორციელებინა. სწორად მიუთითებს გ. მჭედლიშვილი, რომ „ამ ჩანაფიქრის მიმდევრებისათვის გამქრალიყო პიროვნული ინტერესი, იგი დაეკავებინა სახელმწფოებრივად აზროვნებას. ეს ერის მისია იყო და ამიტომ ცალკეული ადამიანები, რა რიგ ნიჭიერნი და ინდივიდუალური თვისებებით ყოფილიყვნენ დაჯილდოებულნი, ამ ამოცანის განხორციელებას უნდა დამორჩილებოდნენ. აი, რა აზრით არ შეიძლება საქართველოს გაერთიანებისათვის მებრძოლი მეფეები, მიუხედავად მათი სისასტიკისა, მივიჩნიოთ ტირანებად“ (მჭედლიშვილი 2004, 17).

ქვეყნის გაერთიანებისა და გაძლიერების გზაზე უდიდესი მეფის დავით აღმაშენებლის მიერ მიღწეულმა წარმატებებმა საბაბი მისცა ცენტრალური ხელისუფლების მომხრეებს და „ქართლის ცხოვრების“ ავტორებს მნიშვნელოვანი ცვლილებები შეეტანათ სამეფო კარის იდეოლოგიაშიც. ეკლესიის დამორჩილების და გაწმენდის შემდეგ, შემუშავდა მეფის ე.წ. „ღვთისმიერობის“ თეორია, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოს მეფის, როგორც ერის ბელადის შეგნებულ იდეალიზაციას და გაღმერთებას, მისთვის ზეციური ძლიერებისა და უცოდველობის თვისების მიკუთვნებას. ეს იმასაც გულისხმობდა, რომ თუ მეფე ღმერთისგანაა და

ღმერთის სწორია, ცხადია, რომ მისი არც ტახტზე ასვლა და არც ტახტიდან გადაგდება ფეოდალთა და ყმათა ნება-სურვილზე ვერ იქნება დამოკიდებული. უფრო მეტიც, მეფის ნება-სურვილი იგივე ღმერთის ნება-სურვილია და ამიტომ, ყველა მისი ქვეშევრდომი, მათ შორის მთავრები და დიდაზნაურნი, მეფეს უსიტყვოდ უნდა ემორჩლებოდეს და ყველა მის ბრძანებას ასრულებდეს. ამ ტენდენციამ ქვეყნის ძლიერების ზრდასთან ერთად შესაბამის დროსა და პირობებში მიიღო უკიდურესი ხასიათი, რაც კარგად შეამჩნია ივანე ჯავახიშვილმა: „რაკი საქართველოს მეფეები და მათი თანამოაზრენი ასეთ შეხედულებას მისდევდნენ, ცხადია, მეფეები თავიანთ თავს სრულ თვითმპყრობელებად ჩათვლიდნენ და კეისრობის ძლიერების მოხვეჭასაც მოინდომებდნენ“ (ჯავახიშვილი 1929, 133).

დიდგორის ომის შემდგომ, ქვეყნის გაერთიანებისა და წინა აზიის უძლიერეს სახელმწიფოდ გადაქცევის შემდეგ, საქართველოში მმართველობის ფორმა განმტკიცების შემდეგ თანდათან იწყებს გადაგვარებას და ხალხისგან თავისებურ გაუცხოებას. სწორად აღნიშნავდა გ. მჭედლიშვილი, რომ „თუ ბაგრატ III, გიორგიI, ბაგრატ IV და დავით აღმაშენებელი საქართველოში, ქვეყნის ერთიანობისათვის მებრძოლი პიროვნებისათვის მამოძრავებელი იმპულსია პატივი, გიორგი III-ის სამეფოში მას დესპოტიის შიში თრგუნავს“ (მჭედლიშვილი 2004, 20). ამ დროს მმართველობა აშკარად ღებულობს აბსოლუტური მონარქიის ნიშნებს. ჯერ მემკვიდრეობის უფლების წესის უხეში დარღვევით გიორგი III-ის გამეფება დემეტრე I-ის მიერ (ტახტი ეკუთვნოდა წესით გიორგის ძმიშვილს დემნას, რომელიც იყო მეფის შვილი ანუ უფლისწული), ხოლო შემდეგ გიორგი III-ის მიერ სამეფო ტახტზე ქალის აყვანა ტრადიციით განმტკიცებული მეფობის დამკვიდრების ხელყოფას წარმოადგენდა, რამაც საფუძველი ჩაუყარა საქართველოს შინაგან და მერე საგარეო დასუსტებასა და საბოლოო კოლაფსს ჯალალ ედ-დინ - მონღოლების ხანაში. ამ საკითხებზე „ქართლის ცხოვრება“ დუმს და ამით ჩქმალავს ბევრ საიდუმლოს, კერძოდ იმას, რომ დემეტრე I-მაც და გიორგი III-მაც არასწორი გადაწყვეტილება მიიღეს, ხოლო გიორგი III-მ კი საერთოდ ტახტის უზურპაცია მოახდინა (მას თავიდანვე უნდა დაეთმო ტახტი ძმისშვილისათვის, ან უკიდურეს შემთხვევაში თანამეფედ არა თამარი, არამედ დემნა უნდა დაესვა, რაც არ მოხდა).

დიდაზნაურებმა ტრადიციის ამ აშკარა დარღვევაში თავისი უფლებების შეზღუდვა დაინახეს, ხოლო დემნა უფლისწული მიხვდა, რომ პირდაპირ კარგავდა ტახტს და ამ ფეოდალთა დახმარებით აჯანყდა კიდეც 1177 წელს. დემნასა და მისი მხარდამჭერების მოთხოვნები სრულიად კანონიერი იყო (მეფედ კურთხევის ქართული წესის თანახმად, ქალის გამეფება არ შეიძლებოდა, რადგან მეფობის უფლებები მეფე-ქალის შემდეგ სხვა გვარზე გადადიოდა) და რაკი, დემნამ ამას მშვიდობიანი ფორმით ვერ მიაღწია, აჯანყების გზას დაადგა {რუსთაველის ტარიელივით (მჭედლიშვილი 2004, 22)}.

აქვე ხაზი უნდა გაესვას იმასაც, რომ თამარისა და რუსუდანის შემდეგ ქალის მეფობას საქართველოში ადგილი აღარ ჰქონია [ლაშა-გიორგის რომ კანონიერი მემკვიდრე ჰყოლოდა (დავით ულუს არც ეკლესია და არც დიდებულები კანონიერ მემკვიდრედ არა თვლიდნენ), რუსუდანი ვერ ეღირსებოდა მეფობას]. ე.ი. მათ მეფობას გამონაკლისი ხასიათი ჰქონდა და ქართულ სამართალს ეს წესი საბოლოოდ არ მიუღია, მაგრამ გაერთიანებული საქართველოს სამეფო ტახტზე ქალის აყვანა (გიორგი III-ს ვაჟი არ ჰყავდა, საგანგებოდ შერჩეულ ხარჭასთანაც ისევ ქალი, რუსუდანი, გაუჩნდა) მარტო ეკლესიის მოსყიდვით (მეფემ ეკლესია გაათავისუფლა გადასახადებისაგან მხარდაჭერის სანაცვლოდ) და ოპოზიციისა და დემნა უფლისწულის სასტიკად დასჯით ვერ გადაწყდებოდა - მისი იდეოლოგიური დასაბუთება  იყო საჭირო, რაც ურთულეს საქმეს წარმოადგენდა. საქმე იმაშია, რომ როგორც ძველ, ისე შუა საუკუნეებშიც საზოგადოებაში ქალი არ შეიძლებოდა მამაკაცის თანასწორი ყოფილიყო როგორც აღმოსავლეთში, ისე ევროპაში. 1304 წელს ფრანგებმა კანონით დაადგინეს, რომ საფრანგეთის ტახტზე ქალის დასმა არ შეიძლებოდა. რასაკვირველია, ფეოდალური საქართველოც გამონაკლისს არ წარმოადგენდა ამ მხრივ (მჭედლიშვილი 2004, 24).

თამარის გამეფებას აქტიურად, სიტყვით და საქმით მხარს უჭერდა საქართველოს კათალიკოსი ნიკოლოზ გულაბერიძე, რომელმაც „საკითხავი სვეტიცხოვლისა“ დაწერა თამარის სამეფო უფლებების განსამტკიცებლად (აი, ასეთი ერთგული კათალიკოსის გადაყენებას და სამეფო სახლისთვის საძულველი სამღვდელო პირის, მიქაელის პატრიარქობას იძულებით დათანხმდა გიორგი III, რომ სამღვდელოთაგან ქალის მეფობის უფლება მიეღო) (მჭედლიშვილი 2004, 25).

ასე შეისხა თამარის - მეფე-ქალის  სახემ ხორცი დიდ შოთა რუსთაველთანაც (ცხადია, იგი საკმაოდ ცნობილი პოეტი უნდა ყოფილიყო, რომ მისთვის ასეთი რამ შეეკვეთათ: „მიბრძანეს მათთად საქებრად თქმა ლექსებისა ტკბილისა“. მკვლევართა უმეტესობა მიიჩნევს, რომ რუსთაველმა მხატვრული ენით დაასაბუთა თამარის გამეფების კანონზომიერება და გონივრულობა („ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია“- 39 სტროფი).

მიღებული წესის საპირისპიროდ, რუსთაველმა გააფართოვა ტახტის მემკვიდრეთა წრე და სავსებით  დასაშვებად ჩათვალა ღირსეული ქალის ტახტზე აყვანა და მეფის მემკვიდრეობა.  ყოველივე არსებულის შემქმნელ ღმერთს სიკეთე და ბედნიერება მოაქვს ადამიანებისათვის, სწორედ ამის გამო თინათინი შეიძლება იყოს ტახტის კანონიერი მემკვიდრე, რადგან იგი ადამიანებისათვის სიკეთისა და ბედნიერების მიმნიჭებელი ღმერთის მიერ არის შექმნილი „თუცა ქალია, ხელმწიფედ მართ ღმრთისა დანაბადია“ (39 სტრ.).

დაკვეთით თხზულების შექმნა მიღებული იყო მაშინდელ ევროპაშიც და აღმოსავლეთშიც, მაგრამ აქ ყურადღებას სხვა რამ იქცევს, ის, რაზედაც ჯერ კიდევ დავით კარიჭაშვილი წერდა: „პოეტს რომ ნდომებოდეს თამარ მეფის გამოსახვა თავის მოთხრობაში თინათინის სახით, ნუთუ დასჯერდებოდა იმას, რაც თინათინს არგუნა თავის თხზულებაში“...?

ამას გარდა, პოემაში დამკვეთის, გიორგი III-ის მოუხსენიებლობაც ერთგვარ გაკვირვებას იწვევს: „თუ გიორგი მეფისთვის საინტერესო ნაწილი პოემისა (ანუ ძირითადი ნაწილი პროლოგის გარეშე ა.კ.) მის სიცოცხლეში გავრცელდა, რატომ ერთი სიტყვითაც არ მოიხსენია პოეტმა თავისი მბრძანებელი და შრომის დამკვეთი“ - კითხულობს აკადემიკოსი ალექსანდრე ბარამიძე (მჭედლიშვილი 2004, 25).

ამ ეჭვებს შესაძლოა მართლაც ჰქონოდა საფუძველი პოემაში მარტოოდენ თამარის, როგორც ქალის გამეფების საკითხი რომ იდგეს. საქართველოში ბევრი ფიქრობდა და ახლაც ფიქრობს, რომ ეს არ არის „ვეფხისტყაოსნის“ ცენტრალური საკითხი, უფრო მეტიც, როგორც ივანე ჯავახიშვილი მიიჩნევდა „პოემაში ოქროსავით მიმობნეულია სოციალური ხასიათის სიბრძნე იმ საკითხებზეც, რომლებიც მაშინ მოწინავე ქართველ საზოგადოებას აღელვებდა“ (ჯავახიშვილი 1929, 135).

ამგვარ ნიადაგზე, როცა უკვე იდეოლოგიური დასაბუთება ეძლეოდა ქალის გამეფებას, შეიძლებოდა ამბოხება აღმოცენებულიყო და აღმოცენდა კიდეც. დემნა უფლისწული არ დაელოდა ბიძის გარდაცვალებას და მის სიცოცხლეშივე, არსებული საფრთხიდან გამომდინარე, შეეცადა წართმეული ტახტის დაბრუნებას, თუმცა მწარედ დამარცხდა.

დემნას სასტიკად დასჯამ განსაკუთრებული გავლენა იქონია მაშინდელ საზოგადოებაზე. ღვთითგვირგვინოსან ბაგრატიონთან ღვთივ დამკვიდრებულის (დემნას) სასიკვდილოდ გამეტებით ცხადი უნდა გამხდარიყო, რომ გიორგი III-ის ეს წინდაუხედავი და შეუწყნარებელი საქციელი გვირგვინოსნებისათვის სამომავლოდ საბედისწერო პრეცენდენტი გახდებოდა და გახდა კიდეც. თამარ მეფის არათუ მეფობას, არამედ სიცოცხლესაც კი დიდი საფრთხე დაემუქრა -1184 წელს თამარის წინააღდეგ ამხედრებული ზოგიერთი რადიკალი „კარვისელისგან“ და ასევე გამეფებული და უკან დიდი აჯანყებით მობრუნებული თამარის ყოფილი ქმრის გიორგისგან (სვეუბედური რუსისგან) (ჯავახიშვილი 1929, 137).

აღსანიშნავია, რომ თამარის ისტორიკოსები უდიერად იხსენიებენ მიქაელ კათალიკოსს. ტრადიციული შეხედულებით, მიქაელი კარიერისტი და მძლავრობის მოტრფიალეა, იყო ეკლესიის წინაშე გიორგი III-ის დათმობათა მოთავე და ერთ-ერთი თავკაცთაგანი, იყო დამწყები იმ დიდი ბრძოლისა მეფის თვითმპყრობელობის მომხრეთა და მის მოწინააღმდეგეთა შორის, რომელიც გიორგი III-ის დროს დაიწყო და თამარის მეფობის მთელ მანძილზე არ შეწყვეტილა. ეს ბრძოლა ხან პოლიტიკური გამოსვლით ხასიათდებოდა (ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლა), ხან შეიარაღებული შეთქმულების სახეს ღებულობდა, ხან კი ფარულ ფორმებში მიმდინარეობდა. შედეგი კი იყო ის, რომ მეფის ხელისუფლება სახელმწიფო დარბაზის „თანადგომითა და ერთიანობით“ სერიოზულად შეიზღუდა და ივ. ჯავახიშვილის თქმით „თამარის მეფობის დროს საქართველოში დამყარდა შეზღუდული მონარქია“ (ჯავახიშვილი 1929, 135).

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ზოგიერთ მკვლევართა გასაკვირად, რუსთველს მიქაელ კათალიკოსი დადებითად ჰყავს მოხსენიებული. ცხადია, ქალის მეფობის საკითხში, როგორც თანამოაზრე, რუსთაველთან ახლოს უნდა ყოფილიყო ნიკოლოზ გულაბერიძე, მაგრამ, როგორც სწორად შენიშნავს კორნელი კეკელიძე, „ქალის

უფლების“ საკითხი, როგორც არ უნდა ესმოდეთ ეს ჩვენს მკვლევართ, არ არის მთავარი, ცენტრალური საკითხი „ვეფხისტყაოსნისა“. როგორც აღინიშნა, ამასთან რუსთაველი გარკვეული პოლიტიკური შეხედულებებისა და იდეოლოგიის მატარებელია, რასაც ამჟღავნებს ცალკეული მნიშვნელოვანი საკითხების მიმართ (ჯავახიშვილი 1929, 136).

რეოგორც ცნობილია, 1189 წელს პირველი წარუმატებელი ქორწინების შემდეგ, თამარმა მეორედ იქორწინა და ქმრად შეირთო დავით სოსლანი. მკვლევარები მიუთითებენ იმაზე, რომ გიორგი რუსი, პირველი ქმარი, „კარვისელთა“ (ყუთლუ-არსლანის დასის) კანდიდატი იყო, ხოლო დავით სოსლანი თამარის „ერთგულთა“ სასურველი. გამოდის ისე, რომ ორივე შემთხვევაში თამარის შეუღლება გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებით იყო ნაკარნახევი და არა სიყვარულით (მჭედლიშვილი 2004, 34).

რუსთაველმა ეს ფაქტი პოემაში ალეგორიულად ასახა და გაილაშქრა ქალ-ვაჟის ძალდატანებითი შეუღლების წინააღმდეგ, დაგმო იძულებითი ქორწინება, ხოლო ცოლ-ქმრული ურთიერთობის საფუძვლად აღიარა თავისუფალი სიყვარული, რომელიც ადამიანს ამაღლებს და აკეთილშობილებს ზნეობრივად. თავისუფალი სიყვარულის უფლების მოსაპოვებლად რუსთაველმა თანადროული სინამდვილის, არსებული საზოგადოებრივი წყობის შეცვლის აუცილებლობა გამოაცხადა, რაც იმ დროისათვის გაუგონარ ამბად ჩაითვლებოდა (მჭედლიშვილი 2004, 34).

უდიდესი ქართველი ფილოლოგოსი და „ვეფხისტყაოსნის“ აღიარებული მკვლევარი ნიკო მარი 1933 წელს წერდა, რომ „რუსთველი, „ვინმე მესხი“, არ არის მიღწევა წინა დროის ქართული ლიტერატურისა, რომელიც ევოლუციურად ვითარდებოდა. ის გამოჩნდა როგორც მეტეორი და არავითარი წინაპირობა მწერლობაში არ მოეპოვება, ამნაირადვე მას არა აქვს არავითარი  საერთო საქართველოს საზოგადოებრივ აზრთან და საზოგადოებრივ მსოფლმხედველობასთან არც იდეოლოგიურად, არც ფორმალურად“ (მჭედლიშვილი 2004, 35).

ანუ ის იდეა თუ იდეოლოგია, რომელიც შექმნა რუსთველმა, სრულიად განსხვავებულია მაშინ საქართველოში გავრცელებული იდეებისაგან და ავტორის დიდი გაბედულების და ორიგინალობის მიმანიშნებელია, მათ შორის სიუჟეტური თვალსაზრისითაც.

ყველა მკვლევარი თანხმდება იმაზე, რომ „ვეფხისტყაოსანში“ რეალურად პოეტს ასახული აქვს ფეოდალური საქართველოს სურათი. რუსთველს პოემაში მოყვანილი აქვს შვიდი სახელმწიფო (შვიდი ქართული სამეფოს ანალოგიით), რომელთაგან ყველა მონარქიულია და მათ მეფე მართავს. რუსთაველი მხარს უჭერს იდეას, რომ მეფეებს უდიდესი პატივისცემითა და რიდით ეპყრობოდნენ. პოემის მიხედვით მეფე ღვთის სწორია, მას ხელმწიფობა ღმრთისგან აქვს მიღებული. მეფისთვის თავდადებას და სიკვდილს რუსთაველი საპატიო მისიად და მოვალეობად უთვლის ქვეშევრდომთ. „ვინცა მოკვდეს მეფეთათვის, მათნი სულნი ზეცას რბიან“. რუსთველი სამეფოში წესრიგის წარმომადგენლად სწორედ მეფეს მიიჩნევს, რომლის გარეშე ქვეყნის დაცვა, მისი განვითარება შეუძლებელია. ამასთანავე, პოეტი გმობს სეპარატიზმს და ურჩი ქვეგამხედვარი ვასალის დამორჩილებას დიდ პატრიოტულ საქმედ თვლის (მჭედლიშვილი 2004, 36).

რუსთაველის მიერ დახატული სამეფოები ცენტრალიზებულია. მართალია პოეტი მეფის ძლიერ ხელისუფლებას უჭერს მხარს, მაგრამ პოემაში მეფეთა ხელისუფლება არ არის ძლიერი და მსხვილი ფეოდალები, ვასალები, ყოველთვის არ ემორჩლებიან მეფეს. რუსთაველს წესით უნდა მოეცა ყოვლისშემძლე მეფე პატრონის სახე, რომლის სიტყვა კანონია, მაგრამ პოემაში ბევრი რამ სხვანაირადაა. როდესაც ტარიელი ინდოეთის მეფეს, ფარსადანს აუჯანყდა და სასიძო მოკლა, - გაიქცა, წავიდა საკუთარ სამფლობელოში მოუწოდა თავის ქვეშევრდომთ, შეყარა ჯარი და თავის ციხე-ქალაქში გამაგრდა. ავთანდილიც ასევე ხანდახან ეურჩება თავის მეფეს როსტევანს, ასეთ შემთხვევაში მეფენი უძლურნი არიან რამე იღონონ, გარდა იმისა, რომ გულისწყრომა გამოხატონ (მჭედლიშვილი 2004, 37).

ამრიგად, რუსთველი პოემაში ყველგან მეფის ერთგულება-მორჩლებას და მისადმი კრძალვა-რიდს ქადაგებს, მაგრამ მისთვის სულერთი როდია, როგორი იქნება მეფე.

როდესაც რუსთველი თავიდან როსტევან მეფეს ახასიათებს („იყო არაბეთს როსტევან“...), თითქმის იდეალურად გამოჰყავს, მაგრამ პოემის სიუჟეტის განვითარების პროცესში იგი შეფარვით მკაცრად აკრიტიკებს თავისმიერვე ნაქებ მეფეს (რომელიც, უთუოდ, გიორგი III-ის პროტოტიპია). თუ შავთელისა და ჩახრუხაძისათვის მეფე (დავით აღმაშენებელი და თამარი) ღვთისგან არის

მოვლინებული, რუსთველის „ვეფხისტყაოსანში“ მეფისადმი კრიტიკული დამოკიდებულება იგრძნობა. უფრო ზუსტად კი, რუსთველი ასხვავებს მეფეებს, ყველა მეფე მისთვის ერთნაირი არ არის - „შუა უზის დიდი ზღვარი“ (ეს იმ პერიოდისთვის ძალზე თამამი და გაუგონარი, სამეფო კარისათვის სრულიად მიუღებელი ხედვა იყო, რამაც ბოლოს თავი იჩინა რუსთვლეთან დამოკიდებულებაში) (მჭედლიშვილი 2004, 38).

რუსთველის აზრით, მეფე არა მარტო დადებითი თვისებებით უნდა იყოს შემკული, პირველ რიგში, სამართლიანობას უნდა ემსახურებოდეს. ამიტომაც მეფე უნდა იყოს განათლებული, სამართლიანი, უხვი, ღარიბთა განმკითხავი და ქვეშევრდომებზე მზრუნველი, არა რეტროგრადი. იგი ქვეშევრდომთა მიმართ უნდა ატარებდეს მკაცრ, სამართლიან და ზომიერ პოლიტიკას. აი, რას ითხოვდა რუსთველი მონარქისაგან, წინააღდეგ შემთხვევაში სახელმწიფო ხელისუფლება ვერ უზრუნველყოფდა საზოგადოებაში კლასობრივი ჰარმონიის და მშვიდობიანობის შენარჩუნებას და შესაბამისად, ქვეშევრდომნიც კეთილსინდისიერად ვერ აასრულებდნენ წოდებრივ მოვალეობებს.

რუსთველი უფრო კრიტიკულია ფარსადან მეფის, ვიდრე როსტევანის მიმართ, თუმცა ორივეს მაინც აერთიანებს დესპოტიზმის ნიშნით. ასეთი პროგრესული თვისებების მატარებელი როსტევანიც კი, თითქმის, არავითარ ანგარიშს არ უწევს ქალ-ვაჟის პირად გრძნობებს, მათ სიყვარულს. იგი ასევე გულგრილია მეგობრობის მიმართაც და ვერც კი წარმოუდგენია, რომ მარტო მეგობრული გრძნობების კარნახით შეიძლებოდეს შორეულ ქვეყანაში გამგზავრება და საკუთარი სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდება. თავის ცნობილ ანდერძში როსტევანისადმი ავთანდილი ამუნათებს თავის გამზრდელს  და განმარტებას აძლევს, თუ როგორ უნდა გვესმოდეს მოციქულთა სწავლა სიყვარულზე: „შენ არ სჯერ ხარ, უსწავლელნი კაცნი ვითმცა შევაჯერენ“ (მჭედლიშვილი 2004, 39).

რუსთაველის აზრით, კაცისა და ქალის ცოლ-ქმრობა და მთლიანობაში მათი ურთიერთობა მათ და არა სხვის ნებას უნდა ემყარებოდეს. ეს პოემაში კარგად ჩანს ნესტან-დარეჯანისა და ტარიელის ურთიერთობაში. ნესტანი ტარიელს ქვეყნისა და მათი სიყვარულის გადასარჩენად სასიძოს ფარულად მოკვლას ავალებს და მიიჩნევს, რომ ამით „ქმნა მართლისა სამართლისა, ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად“. ტარიელი

დათანხმდება, მოკლავს სასიძოს და ნესტანის ფარული დავალებით აუჯანყდება კიდეც სასიმამროს, ანუ მის გამზრდელ მეფეს (ამით ფაქტიურად რუსთველი თავად აუმხედრდა თავისი დროის სახელმწიფოებრივ უსამართლო სამართალს, რომლითაც გიორგი მეფემ შესაძლებელი გახადა უდანაშაულო  უფლისწული, რომელსაც რეალურად ეკუთვნოდა სამეფო ტახტი, არა მარტო ჩამოეშორებინა სამეფო ტახტისთვის, არამედ ფიზიკურად მოესპო კიდეც).

სწორედ აღნიშნავს პროფესორი გიორგი მჭედლიშვილი, რომ „მართალი სამართალი“ რუსთველისთვის (ვინაიდან სხვა შემთხვევაში იგი იგივე ბუნებითი სამართალია) იმ დანაშაულის გამართლებაა, რასაც საზოგადოების შინაგან წინააღმდეგობათა გამო ჩადიან უდანაშაულონი და არსებულ ფეოდალურ წესს, ფეოდალურ სამართალს, რომლის დრომოჭმულობაც ადამიანთა უბედურების მიზეზად ქცეულა, არ შეუძლია არათუ მათი გადარჩენა, გამართლებაც კი (მჭედლიშვილი 2004, 40).

აქ ყველაზე თვალნათლივ ჩანს პოეტის უდიდესი ჰუმანიზმი და პროგრესულობა. შოთა  რუსთველის აზრით, ადამიანის მოქმედება უნდა განისაზღვრებოდეს მეგობრობის, სიყვარულის, პატრიოტიზმის მაღალი იდეებით. რუსთველმა აქ წამოაყენა სიყვარულის განთავისუფლების იდეა, რასაც დიდი წინააღმდეგობანი ხვდებოდა ცხოვრებაში. ამიტომ უნდა დაინგრეს ყველაფერი, რაც მას და სამართლიანობას წინ ეღობება. თუ მეფის ქმედება ეწინააღმდეგება ამ მაღალ იდეებს, მაშინ შეიძლება მონარქიის სურვილის წინააღმდეგ გამოსვლა, მისი ნებართვის გარეშე მოქმედება, მეტიც, მის წინააღმდეგ აჯანყების მოწყობაც კი {„ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად“ (შოთა  რუსთაველი)- ნამდვილი, სწორი სიმართლით, სამართლიანობის აღსრულებით ხმელი ხეც კი გაცოცხლდებაო}.

რუსთველი მთელი არსებით იბრძვის ძლიერი მეფის ხელისუფლებისათვის და ამავე დროს, თუ მეფე უსამართლოდ და უკანონოდ მოქმედებს, შესაძლებლად მიიჩნევს მის წინააღმდეგ არა მარტო აჯანყების მოწყობას (ეს უთუოდ გამოძახილია დემნა უფლისწულის, ტახტის კანონიერი მემკვიდრის, უსამართლოდ დასჯისა ალეგორიული ხერხით), არამედ კუთვნილი ტახტის დაუფლებასაც (ტარიელი ინდოთა ტახტს წაეპოტინა და გახდა კიდეც ბოლოს ინდოთა მეფე).

ამრიგად, რუსთველი „ვეფხისტყაოსანში“ პირდაპირ აღიარებს ტირანი და ახირებული, უკანონოდ განმსჯელი მეფის წინააღმდეგ აჯანყების უფლებას, რაც იმ დროისათვის წარმოუდგენილი და რევოლუციური აზრი იყო მთელს სამყაროში და არა მარტო საქართველოში. ამ იდეამდე ევროპული სამეცნიერო და შემოქმედებითი აზროვნება მივიდა XVII საუკუნეში ჯონ ლოკის ნააზრევის სახით (ხოლო პრაქტიკულად პირველად მოიმოქმედეს კრომველმა ინგლისში და ნაპოლეონ ბონაპარტემ საფრანგეთში, როცა სამეფო ტახტი წაართვეს კანონიერ მფლობელებს). ლოკის ეს მოსაზრება მოგვიანებით აისახა აშშ-ის კონსტიტუციაშიც. ჯონ ლოკის ნაშრომში „მეორე ტრაქტატი სამოქალაქო მმართველობის შესახებ“ გატარებულია შემდეგი აზრი: „დესპოტურ სახელმწიფოში მე წართმეული მაქვს თავისუფლება, ანუ ვიღაც სხვას აქვს შეუზღუდავი ძალაუფლება ჩემს სიცოცხლესა და საკუთრებაზე. მე დამოკიდებული ვარ მის კეთილ ნებაზე - თუ დესპოტურმა მმართველობამ ასეთი ნება არ გამოიჩინა და ჩემს სიცოცხლესა და საკუთრებას დაემუქრა, არ არსებობს მიუკერძოებული მოსამართლე, რომელსაც შემიძლია მივმართო. მაგრამ მე თავდაცვის აღარც ის რესურსები დამრჩენია, რაც ბუნებით მდგომარეობაში გამაჩნია, მაშინ როდესაც სახელმწიფოს გაცილებით მეტად შეუძლია შეზღუდოს ჩემი უფლებები, ვიდრე ბუნებით მდგომარეობაში მოქმედ ბოროტმოქმედს. საუბარიც კი იმაზე, როგორ შეიძლება დაიცვას საზოგადოებამ თავი დესპოტური მმართველობისაგან, იდევნება, როგორც „ღალატი“, ან სახელმწიფოს ძირგამომთხრელი საქმიანობა. ყველაზე დაუცველი ადამიანი დესპოტური მმართველობის პირობებშია. აქედან გამომდინარე, სრულიად სამართლიანია, თუ ადამიანები აუჯანყდებიან დესპოტურ ხელისუფლებას და დაიბრუნებენ უფლებებს, რაც ბუნებისაგან (ან ღვთისგან) აქვთ მონიჭებული“ (შესავალი თანამედროვე აზროვნებაში 2017, 211-212).

ჟან ჟაკ რუსო მიიჩნევდა, რომ როდესაც მთავრობა უზურპატორი ხდება, საზოგადოებირივი ხელშეკრულება ირღვევა, ქვეშევრდომი, მოქალაქე არ არის ვალდებული დაემორჩლოს უზურპატორს. ეს ყველაფერი კი რუსთველმა გამოამჟღავნა და გააჟღერა XII საუკუნეში თავის გენიალურ პოემაში, სადაც გამოხატა სიმპატია იმ პირებისადმი, რომლებიც სამართლიანობის და თავისი იდეისთვის ბრძოლის მიზნით არც ცნობენ მეფის უკანონო გადაწყვეტილებებს და უჯანყდებიან კიდეც მას და მისი დროის სამართალს. ამადაც არის „ვეფხისტყაოსნის“ მთავარი იდეა

პიროვნების თავისუფლებისა და კონსტიტუციური უფლებებისათვის ბრძოლა, რითაც მან ირიბი ზეგავლენა მოახდინა ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლაზეც და მის მსოფლიო- ისტორიულ იდეაზე (შესავალი თანამედროვე აზროვნებაში 2017, 305 ).

ბრძოლა პიროვნების თავისუფლებისა და კონსტიტუციური უფლებებისათვის მართლაც იყო რენესანსის დადგომის მაუწყებელი იდეა, ხოლო ადამიანი, როგორც სუვერენული, თავისუფალი პიროვნების აღმოჩენა კი მხოლოდ იმ სოციალური წყობის დაშლის შედეგად შეიძლებოდა მომხდარიყო, რომელიც მანამდე ინდივიდის განვითარებას გზას უხშობდა და აფერხებდა (მჭედლიშვილი 2004, 42-43).

რუსთველის ბრძოლა ცუდი მეფის წინააღმდეგ უკეთესი მეფის დაპირისპირებით შეიძლება გავიგოთ როგორც ერთგვარი მოწოდება საქართველოს რომელიმე მეფის (ალბათ, უფრო გიორგი III-ის) წინააღმდეგ. რუსთველი ფარულად დაუპირისპირდა დესპოტიას და სამეფო ტახტის უზურპაციას, რაც პოემის მთავარ ქვაკუთხედად აქცია ალეგორიული პერსონაჟებით და რაც გადამდები აღმოჩნდა სხვებისთვის, კერძოდ ყუთლუ-არსლანის დასის წევრებისთვის.

როგორ შეეძლო მოეხდინა რუსთაველს გავლენა ამ დასის მიერ წამოყენებულ იდეაზე? როდისაა დაწერილი „ვეფხისტყაოსანი“?

რადგან ჩვენ ვიცით ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლის თარიღი (1184-85 წლების მიჯნაზე), გამოდის, რომ რუსთველის პოემის ძირითადი ნაწილი ამ დროს უკვე დაწერილი იყო.

სწორია აზრი, რომ „ვეფხისტყაოსანი“ საქართველოში ხელისუფლებისთვის მიმდინარე ბრძოლების პირობებში იწერებოდა (მჭედლიშვილი 2004, 51).

როგორც ზემოთ ითქვა, რუსთველი დაუპირისპირდა ქალ-ვაჟის ძალდატანებით შეუღლებას და დაგმო იძულებითი ქორწინება, რომელიც, როგორც ქართული სინამდვილის ერთგვარი ანარეკლი, თამართან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. ცნობილია ისიც, რომ 1185 წელსვე, დიდებულთა ზეწოლით მეფე-ქალის დაქორწინებას მისი ნების წინააღმდეგ, წინ უძღოდა ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლა, რასაც შედეგად მოჰყვა მეფესა და დიდაზნაურებს, მესამე წოდებას შორის დადებული ქვეყნის მართვის ერთგვარი ხელშეკრულება („ერთნებაობით და თანაზიარობით“), რამაც ასახვა ჰპოვა პოემაში რუსთველის რევოლუციური და რენესანსული პოლიტიკური მოძღვრების სახით. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ

რუსთველი პოეტთან ერთად სერიოზული პოლიტიკური მოღვაწე იყო (დადასტურებულია მისი მეჭურჭლეთუხუცესობა 1189-91 წლებში და საგანგებო დავალებათა დესპანობა 1192 წლიდან). სავარაუდოდ, პოემა იწერებოდა იმ დროიდან, როცა თამარის მემკვიდრეობის საკითხს, სამეფო ტახტის შეუვალობას დასაბუთება და დაცვა სჭირდებოდა, ანუ 1177-1191 წლებს შუა, უფრო კონკრეტულად კი, დემნა უფლისწულის აჯანყების ჩახშობისა და გიორგი III-ის სიცოცხლეში თამარის მეფედ ხელდასმას შორის. პოემაში გიორგი III-ის მოუხსენებლობა და თამარის ქების უადგილობა კიდევ უფრო მიანიშნებს, რომ პოემა ხანგრძლივი დროის მანძილზე იწერებოდა [პოემის პროლოგი და ეპილოგი აშკარად გვიან არის ჩამატებული გარკვეული მოსაზრებით (მჭედლიშვილი 2004, 49)].

თუ გიორგი III-სთვის საინტერესო ნაწილი პოემისა მის სიცოცხლეში გავრცელდა, ე.ი. 1177-78 წლებს შუა, ხოლო პროლოგსა და ეპილოგში ხოტბაა მეფე მზე-თამარის და მისი „ლომის“ დავით სოსლანის, რაც მხოლოდ მათი ქორწინების მერეა შესაძლებელი, ე.ი. 1190 წლიდან, გამოდის, რომ რუსთველი მოწმე უნდა ყოფილიყო დემნას აჯანყებისა, მარცხის, თვალების დათხრის და დასაჭურისებისა, ორბელთა შემუსვრის, ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლისა და მიქაელ კათალიკოსის მძლავრობისა, გიორგი რუსის თანამეფედ დასმისა და მის მიერ მოწყობილი ორი აჯანყებისა თამარ მეფის წინააღმდეგ (მჭედლიშვილი 2004, 50).

ამას გარდა, ლაშა გიორგი, მომავალი უფლისწული და მეფე, თამარის ვაჟი, შოთას პოემის დაწერის დროს დაბადებული რომ ყოფილიყო (დაიბადა 1192 წელს), ეს ფაქტი უცილოდ აისახებოდა „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგში მაინც.

აქედან გამომდინარე, სწორია პროფ. გ. მჭედლიშვილის დასკვნა, რომ პოემის ძირითადი ტექსტი, პროლოგი და ეპილოგი შექმნილი უნდა ყოფილიყო 1177-1191 წლებში (მჭედლიშვილი 2004, 51).

1191 წელს გიორგი რუსის მეორე აჯანყების დამარცხებით დამთავრდა ქვეყანაში 14 წლიანი პოლიტიკური კრიზისი. თამარმა და დავით სოსლანმა განიმტკიცეს ძალაუფლება, ამას კი მოჰყვა მართვა-გამგეობიდან სამეფო სახლისათვის არასაიმედო პირთა და თამამი იდეების ავტორთა გადაყენება.

„ვეფხისტყაოსნის“ არც-ერთი სტროფიდან არა ჩანს, რომ რუსთველი განდევნეს სამეფო კარიდან, ერთი მხრივ, პოემის შინაარსი, მეორეს მხრივ, მომდევნო

საუკუნეებში „ვეფხისტყაოსნის“ „დაკარგვა“ (სამი საუკუნის მანძილზე უკვალოდ იყო დაკარგული თუ აკრძალული) და მის გარშემო ამტყდარი დიდი კამათი და ბოლოს პოემის პროლოგი (რომელსაც თითქოს ახსნა-განმარტების და აღსარების სახე აქვს და უფრო გვიანაა დაწერილი ძირითად ტექსტთან შედარებით, სავარაუდოდ 1190-91 წლებს შორის), საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ „ვეფხისტყაოსანი“ რუსთველის სიცოცხლეშივე ყოფილიყო დაგმობილ-უარყოფილი (მჭედლიშვილი 2004, 54).

თუ დავუშვებთ, რომ რუსთველი მეჭურჭლეთუხუცესი იყო 1189-1191 წლებში, მაშინ საფუძველი ეცლება მოსაზრებას, რომ ყუთლუ-არსლანი და რუსთველი ერთი და იგივე პიროვნებაა, რადგან დამცრობის მერე ყუთლუს აღარავინ დანიშნავდა მეორედ ამ თანამდებობაზე. ამ შემთხვევაში უფრო მეტი დამაჯერებლობა ეძლევა მოსაზრებას, რომ 1192 წელს იერუსალიმში სალადინთან თამარის დავალებით გაგზავნილი ქართველი დესპანი შესაძლოა რუსთველი ყოფილიყო და იერუსალიმში მისი გაგზავნა იმავდროულად მისი საპატიო გადასახლება და ექსორიაქმნილობაც შეიძლება ყოფილიყო.

რუსთველის იდეები კიდევ უფრო მეტად არ მოსწონდა ეკლესიას და სავარაუდოდ ამის გამო სდევნიდნენ კიდეც პოემას. ჯერ კიდევ ოლივერ უორდროპმა მიაქცია ყურადღება იმას, რომ რუსთველი თავისუფალია რელიგიური მიკერძოებისაგან (რის გამოც ზოგმა მას მუსულმანობა მიაწერა). მიუხედავად იმისა, რომ ეკლესიის ცალკეული წარმომადგენლები თავად ებრძოდნენ მეფის ტირანიას (ამიტომ ჰყავს რუსთველს დადებითად გამოყვანილი ინდო-ხატაელთა ამბავში მიქაელ კათალიკოსი). ზოგიერთ მღვდელმთავარს არ მოსწონდა ისიც, რომ თუმცა რუსთველი ქრისტიანი იყო, მაგრამ არ იყო მიმდევარი და მოტრფიალე დოგმატური ქრისტიანობისა.

საკმარისი იყო მის პოემაში თვით ქრისტიანობის შიგნით არსებული, უმთავრესად ადრინდელი პროგრესული დემოკრატიული პრინციპებისა (მაგ. გიორგი მთაწმინდელის) და შემდგომი დროის მოწინავე ქრისტიან-ფილოსოფოსთა შეხედულებების გაცოცხლება მოეხდინა, რომ კლერიკალური წრეები მას დაპირისპირებოდნენ. თუ იმ საკითხების, დებულებებისა და ცნებების მიხედვით ვიმსჯელებთ, რომლებისთვისაც დაიწერა „პროლოგი“ და რასაც წარმოაჩენს და იცავს რუსთველი, ადვილი მისახვედრია, რომ მას ბრალად ედებოდა:

ა) მრუშობისა და სიძვის აპოლოგია;

ბ) ლექსისა და შაირის დოგმების დარღვევა;

გ) უღმერთობა, წმინდა სამების არხსენება პოემაში;

დ) და კიდევ ერთი დიდი ბრალდება, ნაცვლად იმისა, რომ ნაწარმოები ყოფილიყო ქებათაქება თამარისა და დავით სოსლანისა - არის უცხო ამბავი, რომელშიც თამარი და დავითი არათუ ხოტბაშესხმული (იგულისხმება თვით პოემის ძირითადი ნაწილი), არამედ ნახსენებიც კი არ არიან (მჭედლიშვილი 2004, 57).

ამ ე.წ. ოთხი ბრალდებიდან ერთ-ერთს, „უღმერთობას“ საინტერესოდ პასუხობს ნოე ჟორდანია 1930 წელს პარიზში გამოცემულ ბროშურაში „ვეფხისტყაოსანი“.

იგი წერს, რომ რუსთველი თავის რელიგიურ დოქტრინასაც პოლიტიკურ მიზნებს უმორჩილებს: „შუა საუკუნეებში ქრისტიანულ სამყაროში არ დაწერილა არც ერთი პოემა, სადაც არ იყოს ქრისტიანობის აპოლოგია, ქრისტეს მოძღვრების ქებათა-ქება. ჯვაროსნული ომები იმ ეპოქაში წარმოებდა. ამ საერთო რელიგიური აღტყინების პერიოდში იწერება გენიალური „ვეფსხისტყაოსანი“ და შიგ ერთი სიტყვითაც არაა ნახსენები არც ქრისტიანობა, არც სამება, არც მართლმადიდებლობა და მისი რელიგიური დოგმატები. რუსთველი რელიგიური მინიზმის მიმდევარია - ღმერთი ერთია. პოემაში ღმერთი ნახსენებია 193 (!) ჯერ და ყოველთვის ერთი და იმავე აზრით... რუსთველის რელიგიური მსოფლხედვა არც პანთეისტურია, არც ათეისტური. ის თეისტურია. მისი თეიზმი არც ქრისტიანულია, არც მაჰმადიანური, არც სექტანტური. ის არის საყოველთაო, საკაცობრიო, ადამიანური (ჟორდანია 1930, 32). აქვე ნოე ჟორდანია მიუთითებს, რომ რუსთველის რელიგიური ხედვა შეესაბამება სახელმწიფო პოლიტიკას საქართველოს მრავალეროვნულ ქვეყანაში: „სხვადასხვა არაქრისტიან ერებს შორის მოქცეული მცირერიცხოვანი ქართველი ერი თავს ვერ გადაირჩენდა სარწმუნოებრივი ფანატიზმით და დროშით. მას უნდა გამოენახა საერთო ენა მეზობლებთან, რომელთაგან მას ჰყოფდა სარწმუნოება. საერთოდ სარწმუნოების თითოეული ხალხის შინაურ საქმედ გამოცხადება - აი, რით ხასიათდება საქართველოს მეფეთა პოლიტიკა, დაწყებული დავით აღმაშენებლიდან. ეს მიდრეკილება კიდევ უფრო განვითარდა თამარის მეფობისას. რით შეეძლო თამარს მის საბრძანებელში შემავალი უამრავი ეროვნების მილიონობით ადამიანთა ერთი ინტერესით შეკვრა? - მხოლოდ ერთით: შემაკავშირებელი მომენტების წინ წამოწევით

და რელიგიური ბრძოლის სავსებით განდევნით. ამრიგად, რელიგიური მშიდობიანობა, ყველა რელიგიის პატივისცემა და დახმარება საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა იყო. ერთი სიტყვით, თამარ მეფის ხანაში გაბატონებული პოლიტიკა მოითხოვდა  რელიგიური საკითხების  უკუგდებას და საერთო პოლიტიკურ და სოციალურ ინტერესებზე სახელწმიფოს დაყრდნობას... რუსთველის ურელიგიობა მისი პოლიტიკაა, სახელმწიფო მოსაზრებაა. ის უგალობს არა ქრისტიანს ან მაჰმადიანს, არამედ ადამიანს, საზოგადოებას“ (ჟორდანია 1930, 35).

სამწუხარო ფაქტია, რომ საქართველოს ძლიერების ოქროს ხანაში შექმნილი ხალხის მიერ ასე გათავისებული და შეყვარებული გენიალური პოემა დღემდე იდუმალებითაა მოცული. ფაქტი ერთია, რომ რუსთველის სიცოცხლეშივე მის ირგვლივ შექმნილმა შურიანმა გარემომ, მართალია, „ვეფხისტყაოსანი“ ვერ მოსპო, მაგრამ იმდენი მაინც შეძლო, რომ მისი ავტორის ვინაობა და ღვაწლი საუკუნეთა განმავლობაში გაურკვევლობით და წყვდიადით ყოფილიყო მოსილი. თავად ის ფაქტი, რომ შოთას „ვეფხისტყაოსანი“ ასე ზეპირად შემოინახა ქართველმა ხალხმა და მართლაც ხელიხელსაგოგმანები გახადა, ალბათ იმ გარემოებამაც განაპირობა, რომ იგი უთუოდ აკრძალული იყო. ამის შემდეგ ადვილი მისახვედრია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგი  მას შემდეგ დაიწერა შოთას მიერ, რაც მბრალდებელთა მიერ პოემა უარყოფილ, დაგმობილ და განკიცხულ იქნა და დაიწერა იგი არა როგორც დასაწყისი, შესავალი, წინასიტყვაობა, პროლოგი ან მოძღვრება შაირობასა და მიჯნურობაზე, არამედ როგორც ბრალდებული კაცის საბოლოო სიტყვა და ვედრება. მისი ადრესატი ღმერთის გარდა თამარი და დავითია, ან ორივე ერთად, და კიდევ, იგი დაწერილია სასახლის იმ წრის თუ დასის წინააღმდეგ, რომელთაც დაასმინეს რუსთველი სასახლის კარზე, გაწირეს და, როგორც ჩანს, პიროვნულად გაანადგურეს კიდეც. შესაძლოა აქ ვეძებოთ მიზეზი რუსთველის პალესტინაში გადახვეწისა (მჭედლიშვილი 2004, 57).

ხალხური ზეპირი გადმოცემებითაც პოეტი საქართველოდან იძულებით გადახვეწილა, შემდგარა ბერად იერუსალიმის ქართველთა მონასტერში, იქვე გარდაცვლილა და დაუსაფლავებიათ. რუსთველის ჯვრის მონასტრის ფრესკაზე აღბეჭდვა და აღაპებში მოხსენიება არა მარტო მისი დიდი სახელგასმენილობის გამო უნდა მომხდარიყო, არამედ ამ ეკლესიის წინაშე მისი განსაკუთრებული დამსახურებისათვის. შეიძლება ეს ყოფილიყო წარმატებული მოლაპარაკება სულთან

სალადინთან იერუსალიმის ქართული ქრისტიანული სავანეების გამო ან კიდევ, როგორც იერუსალიმში 1757 წელს ნამყოფი მიტროპოლიტი ტიმოთე გაბაშვილი (რომელიც რუსთველს უწოდებს „მთქმელი ლექსთა ბოროტთასა“) წერდა, რუსთველს „გუმბათს ქვეით სვეტნი გაუახლებია, და დაუხატვინებია“ (მჭედლიშვილი 2004, 59).

ის, რომ რუსთველი იერუსალიმში თავისი ნებით არ წასულა, ჩანს იქიდანაც, რომ რუსთველი გაამწესეს იერუსალიმის ჯვრის მონასტერში, სადაც გიორგი III-ის ერთგულმა კათალიკოსმა ნიკოლოზ გულაბერიძემ რამდენიმე წელი გაატარა და ცხადია, სამეფო კარმა იქ თავის მომხრეთა შორის მიუჩინა რუსთველს ადგილი ცოდვათა მოსანანიებლად.

ამ მოსაზრებას კიდევ უფრო დამაჯერებელს ხდის ჯვრის მონასტრის ცნობილი ფრესკის კომპოზიციის შინაარსიც: რუსთველთან ერთად ფრესკაზე გამოსახული მაქსიმე აღმსარებელი აღიქმება როგორც პოეტის დევნილობის მანიშნებელი, იოანე დამასკელი კი მისი საბოლოო ბინადრობის გამომხატველი. ამ წმინდანებს შორის მოთავსებულია რუსთველი, რომელმაც თავად ისურვა დაემახსოვრებინა მნახველს მუხლმოდრეკილი და ცისკენ ხელაპყრობილი, სხვათა და საკუთარ ბედზე დაფიქრებული მლოცველი, თითქოსდა ცოდვათა მონანიების მთხოვნელი მოხუცი (ჟორდანია 1930, 36).

ამრიგად, თუ შევაჯამებთ ყოველივე ზემოთქმულს, შეიძლება დავასკვნათ, რომ შოთა რუსთველის გენიალური „ვეფხისტყაოსნის“ მთავარი თემა და იდეა არის ბრძოლა პიროვნების თავისუფლებისა და კონსტიტუციური უფლებებისთვის, რასაც, თავის მხრივ, შეიძლება გარკვეული იდეური გავლენა მოეხდინა არა მარტო ყუთლუ-არსლანის დასის სამოქმედო გეგმაზე (რომელიც იყო უაღრესად რევოლუციური და პროგრესული იმ ეპოქისათვის), არამედ ქართული რენესანსის დაწყებაზე, რომელმაც თავის მხრივ უდიდესი ზეგავლენა მოახდინა ევროპული რენესანსის დაწყება-განვითარებაზე.

# თავი II

# შუა საუკუნეების(IV-XVIIIს.ს.) ქართული კონსტიტუციური და სამართლებრივი აზროვნების ისტორია

## 2.1. კონსტიტუციური და სამართლებრივი აზროვნების ისტორიის წყაროები

ქართული კონსტიტუციური და სამართლებრივი აზროვნების მაღალი დონის დამადასტურებელია შუა საუკუნეებში შექმნილი წყაროები - უცხოელ ავტორთა ცნობები საქართველოს შესახებ, მხატვრული ნაწარმოებნი და აგიოგრაფიული თხზულებანი, საკანონმდებლო ძეგლები, წარწერები, სიგელები, ქართული მატიანეები, ტრაქტატები, ნათარგმნი საერო და სასულიერო ლიტერატურა, ეთნოლოგიური, არქეოლოგიური, ფოლკლორული მასალები და სხვ.

სამართლის წყაროებიდან ყველაზე გამორჩეული და წონიანია საერო თუ საეკლესიო ხელისუფალთა მიერ შექმნილი საკანონმდებლო ძეგლები, რომლებსაც მიეკუთვნება: გიორგი V ბრწყინვალის (1318-1346) „ძეგლის დადება“, ბექა-აღბუღას სამართლის წიგნი, ვახტანგ VI-ის (1703-1724) სამართლის წიგნი და კათალიკოსთა სამართალი, ერეკლე II-სა (1744-1798) და კათალიკოს ანტონის კანონი, ლევან და ვახტანგ ბატონიშვილების კანონები.

ბერძენი ავტორების სტრაბონის (I საუკუნე ახ.წ.აღ.) და აგათია სქოლასტიკოსის (536-582 წ.წ.) დატოვილი ცნობები იბერიისა და ლაზიკის (ეგრისის) შესახებ ძალზე მნიშვნელოვანი წყაროა; კერძოდ, სტრაბონის ცნობები იბერიის შესახებ გამოსადეგია სახელმწიფოებრივი წყობილების ზოგიერთი საკითხის გამოსარკვევად (ყაუხჩიშვილი, 1957), აგათია სქოლასტიკოსის ცნობები ლაზიკის სამეფოს პოლიტიკური ორიენტაციის, რიტორიკული, სკოლის, უცნობი კოლხი იურისტების შესახებ ასევე ძალზე მნიშვნელოვანი წყაროა (გეორგიკა, 1936). არმაზის ორენოვანი წარწერა (მასში მოხსენებულნი არიან იბერიის მეფე თავისი მოხელეებითურთ) ძალზე მნიშვნელოვანია I-II საუკუნეების იბერიის სახელმწიფოებრივი წყობილების დასახასიათებლად (წერეთელი, 1943). ქართული სამართლის ზოგიერთი ტერმინის შინაარსის დასადგენად დიდი მნიშვნელობა შეიძინა ბიბლიის ქართულმა თარგმანმა. იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამების“ მიხედვით ვიაზრებთ ქართლის მეფის,

ირანის შაჰის და ვარსქენ პიტიახშის ურთიერთობას, შეტევას ქრისტეიანობაზე ირანელთა მხრიდან, ქართლის მძიმე პოლიტიკურ მდგომარეობას შაჰ პეროზის დროს, ქალთა უფლებრივ მდგომარეობას და ა.შ. (ცურტაველი 1938). იოანე საბანის ძის „აბოს წამება“ საშუალებას გვაძლევს შევისწავლოთ ამ ეპოქის პატიმართა უფლებრივი მდგომარეობა და რელიგიური სურათი არაბთა მიერ დაპყრობილ ქვეყანაში (ძველი ქართული აგიოგრაფიული ძეგლები 1964); „მოქცევაი ქართლისაი“-ში დაცულია ძალზე საინტერესო ცნობები ქართლის სახელმწიფოებრივი წყობილების და ქრისტიანობამდელი არსებული რეალობის (მოქცევაი ქართლისაი, 1964) და ა.შ.

სახელმწიფო და სამოხელეო წყობის, სამართლებრივი ინსტიტუტების და სოციალური ფენების, ქალთა უფლებების და ა.შ. შესახებ ძალზე საინტერესო ცნობები აქვთ როგორც „ქართლის ცხოვრებაში“ შემავალი, ისე მის გარეთ არსებულ ისტორიულ წყაროებს და ქართულ მემატიანეებს - ჯუანშერს, ლეონტი მროველს, „მატიანე ქართლისაის“ ავტორს, დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ისტორიკოსებს, ჟამთააღმწერელს, ფარსადან გორგიჯანიძეს, ბერ ეგნატიშვილს, სეხნია ჩხეიძეს, ვახუშტი ბატონიშვილს, პაპუნა ორბელიანს, ომან ხერხეულიძეს, ვახტანგ ირაკლის ძეს და დავით გიორგის-ძეს (ბაგრატიონები) შრომებში საქართველოს ისტორიიდან, აგრეთვე იოანე და თეიმურაზ ბაგრატიონებს თავიანთ ნაშრომებში.

ჩვენ ზემოთ ვისაუბრეთ ქართული მხატვრული ლიტერატურის მსოფლიო შედევრში - „ვეფხისტყაოსანში“ გაჟღერებულ გენიალურ იდეებზე. პოემაში სახელმწიფოსა და სამართლის, კონსტიტუციური აზრებისა და იდეების, სამართლის სხვადასხვა ტერმინის შესახებ მრავალი ინფორმაციაა გაბნეული (ისევე როგორც „ამირან-დარეჯანიანში“,, თეიმურაზ I-ის, არჩილ მეფის, სულხან-საბა ორბელიანის, დავით გურამიშვილის და სხვა თხზულებებში. სრულიად ახლებური კუთხით განიხილა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ თანამედროვე ქართველმა მკვლევარმა, პროფესორმა ალიკო ცინცაძემ. თავის წიგნებში „ქართული კაბალა“ (2018 წ.) და „ჰემატრია ვეფხისტყაოსანში“ (2019 წ.), ჰემატრიული კვლევის საფუძველზე მან გაშიფრა (ქართული ჰემატრია ძველი ქართული სიტყვის გაშიფვრის მეთოდია) ვეფხისტყაოსნის უმთავრესი საიდუმლო. სახისმეტყველებას (ალეგორია) ბიბლიურ ტექსტებში მოიხსენიებენ, როგორც „ჭრელად საუბარს“. იგი ნიშნავს სიცრუის სიბრძნეს, ირიბ მინიშნებას. მისი სიმბოლოა ჭრელი სამოსელი, რაც, როგორც წესი

ღმერთებისა და მეფეთა ღირსება იყო, კვართის სიჭრელე ვეფხის ტყავის, გველის პერანგის სიჭრელეთი გადმოიცემოდა. ძველ ქართულში მას „ვარსკულავე“ ეწოდებოდა (ცინცაძე 2019, 43). „ჭრელობის სიბრძნეს“ ვეფხისტყაოსანში ხსნის რუსთაველი (მას ატარებდა მედეაც): „მართალს გითხრობ არა ჭრელად“. პროფ. ალიკო ცინცაძის მტკიცებით, სახისმეტყველებით ნესტან-დარეჯანი მზეცაა, მთვარეც და ცისკარიც, რადგან იგი-მათი კრებსითი სამყოფელი ცაა-იბერიელთა ოდინდელი უმაღლესი დედა-ქალღმერთი. ამიტომაც ხან მზეს ადრის რუსთველი მას, ხან მთვარეს, ხანაც ცისკარი რიჟრაჟებს („შენ პატრონი ცისა ზომთა“ (1127 სტრ.). ცა - იბერიელთა დედა-ქალღმერთი, იბერიის ალეგორიული სახეა (ცინცაძე 2019, 157). ანუ ვეფხისტყაოსანში ნესტან-დარეჯანი გაიგივებულია იმ სამშობლოსთან, იბერიელისთვის ღვთის ხატთან, რომლის უმაღლეს დედა-ქალღმერთი (ცა) იყო. ამით პოემის სიუჟეტურ ქარგა ემსგავსება ამირანისას: მთავარი გმირის სახეში - სამშობლოა დანახული, მაგრამ თუ ამირანი მარადიულად კლდეზე მიჯაჭვისთვისაა განწირული, ასე არაა „ვეფხისტყაოსანში“ - ნესტან-დარეჯანს ქაჯთა ტყვეობიდან იხსნიან. რატომ ხდება ასე? XII საუკუნის პოეტს თავისი ქვეყნის მარადიული ტყვეობიდან დახსნის იმედი რომ გასჩენოდა, გასაკვირი არ იქნებოდა - თამარის დროის „ოქროს ეპოქა“ ქმნიდა ამის წინაპირობას. მითუმეტეს იგი იმდროინდელ ეპოქაზე კი არა, იმ მომავალ დროზე საუბრობს, როცა ჰემატრიის საიდუმლო (კიდობანი) გაიხსნება. ეს წინასწარმეტყველური ინფორმაციაა, რადგან კიდობანი რეალობაში მომავლისთვის არის გამიზნული (ცინცაძე 2019, 160).

როცა ქაჯეთის ციხის - ტყვედქმნილი ხვთის ხატის - ნესტან-დარეჯანის, დედა-ქალღმერთის ქაჯთაგან დახსნაზე დგება საქმე, ტარიელს 40 კარიანი, დევებისაგან „შეკაფული“ გამოქვაბულის საჭურჭლე ახსენდება, რომელიც დევებს წაართვა თავის დროზე. იქ უნდა იყოს ის ყოვლისშემძლე იარაღი, რომლითაც მისი დახსნა შეიძლება. ცნობილმა მკვლევარმა ც.ინწკირველმა სწორად განმარტა ეს საკითხი და სახისმეტყველების ანალიზით იგი ქართულ ანბანთან დააკავშირა - ძველ ანბანშიც ხომ 40 ასოა (ინწკირველი 2000). საჭურჭლეში მდებარე საკვირველი აბჯრის დამტევი, გაუხსნელი კიდობანი, ალიკო ცინცაძის მტკიცებით, ჰემატრიაა, ქართული ჰემატრია. იგი იმ დროს გაუხსნელი იყო და მხოლოდ ღვთის ხატის დახსნისათვის თუ გაიხსნებოდა... ეს იგივე ნოეს კიდობანია, თუ იგი ყველა ჯურის ცხოველს უყრიდა

თავს და წარღვნიდან გადასარჩენად, ქართული ჰემატრია ყველა რიცხ-ნიშნას უყრის თავს და კიდევ უფრო დიდი, ღმერთების დონის წარღვნის გადავლის მოლოდინში, როგორც გადარჩენის ერთადერთი იარაღი, თავის დროს ელის (ცინცაძე 2019, 162). ა.ცინცაძის აზრით ჰემატრიაშია დაფლული ქალდეას, საქართველოს, იბერიის საიდუმლოც. რუსთველი დევებისაგან (ძველი ღმერთების) მიტოვებულ გამოქვაბულში მიკვლეულ კიდობანში ჰემატრიას გულისხმობდა, ამიტომაც ახსენებს ლუსკუმაში ჩასვენებულ ალმასისპირიან ხმალს. როცა ეს იარაღი ხელში აქვთ, პოემის გმირებმაც იციან, რომ ჭეშმარიტება განცხადება... ნესტან-დარეჯანს დაიხსნიან, ეს იბერია აღდგება, მეორედ მოვა, „იბერია“ გაბრწყინდება (ცინცაძე 2019, 166).

ვეფხისტყაოსანის მიხედვით კიდობანში სამი ტანი აბჯარია - ქართული ანბანის სამი სახეობა. ა.ცინცაძის განმარტებით, როგორც ნესტან-დარეჯანი აღმოჩნდა უსენის და მისი მეფის ხელში, ასე აღმოჩნდა ჰემატრიის ნაშთები და ქურუმთა კასტის სადავეები სხვა ხალხთა ხელში. რუსთველი პოემაში არცთუ ორაზროვნად გვიჩვენებს - ვინ ფლობდა ქურუმთა სადავეებს და ვინ არის ჰემატრიის ჭეშმარიტი შემოქმედი (იბერია, მზისა და მთვარის თაყვანისმცემელი იბერია) და ამიტომაც გამოდევნა იგი, პოეტი, იერუსალიმს (ცინცაძე 2019, 182).

ვეფხისტყაოსანში ნათლადაა გადმოცემული IX-XI საუკუნეებში იბერიელ განდობილებში შეფარვით არსებული, დიდი იბერიის აღდგენისა და მის სათავეში ქალდეველ მეფეთა დინასტიის გაცხადებულად გაგრძელების განწყობა. ეს ის პერიოდია, რომლიდანაც შემოდის ქვეყნის გამაფრთიანებელი სახელწოდება - საქართველო (ქალდეური - ქალდ-ული - ქართული).

ტიტანების და ღმერთების ჰემატრია (666) ემთხვევა ერთმანეთს. დასაწყისში ტიტანებს ბერძნული მითოლოგია და წერილობითი წყაროები კაბირებად (იგივე საბიელები ე.ი. ქალდეველები) მოიხსენიებდა - ისინი იბერები არიან, ძველი ატლანტიდის შთამომავლები - „ისნი იყვნენ დიადი კოსმოსური ღმერთები“ (ბლავაცკაია 1994). მათ მოაქვთ კაცობრიობისათვის ცეცხლი, მსოფლმხედველობითი და ტრადიციული საწყისები და მათ კაბალაში უყრიან თავს. „მათ მისცეს პირველი იმპულსი ცივილიზაციის განვითარებას (ბლავაცკაია 1994), შექმნეს რა ლითონმცოდნეობის, ქიმიის, ასტრონომიის, მათემატიკის, მედიცინის, ბიოლოგიის საწყისები (ბ.ვან დერ-ვარდენი), შექმნეს პირველი ანბანი და ზოგადად სარწმუნოების

პირველი ისტორია. მათი კრებსითი სახეა - ტიტანი (ცინცაძე 2019, 198). ატლანტიდის, ქალდეა და მზის და მთვარის ღმერთების ისტორიის მესაიდუმლე - მათი მშობელი ენა, იბერიელი ენაა. ე.ი. დიდი იბერიის საიდუმლო მათ მშობელ ენაში დასაფლავდა დათქმულ დრომდე.

პირველი ცნობა ატლანტიდის შესახებ ფიქსირდება ძვ.წ. აღ-ის V-IV საუკუნეებში ფილოსოფოს პლატონის მიერ, რომელიც თავის ინფორმაციას ეგვიპტელ ქურუმებზე დაყრდნობით იძლევა. კონტინენტ ატლანტიდის დაღუპვის სავარაუდო თარიღად ძვ.წ.აღ-ის 11500 წელი სახელდება. ერთ-ერთი ვერსიით ეგვიპტე ატლანტიდის კოლონია იყო. ატლანტიდა დაიღუპა, მაგრამ მისი ხალხები გადარჩნენ (იგი 10 სამეფოს - ტომის გაერთიანება იყო). მათ შემოინახეს ცნობები თავიანთი ღმერთების შესახებ, მათი სახელების კი. ჰეროდოტეს მიხედვით ელადამ ღმერთის ყველა სახელი ეგვიპტიდან გადმოიტანა, მათ კი, თავის მხრივ ბარბაროსთაგან აიღეს. ღმერთების კონსტანის (ჰემატიურად ერთი და იგივე რიცხვის) შენარჩუნება ვერ მოხერხდებოდა, თუ ანბანი არ იარსებებდა და ღმერთთა სახელები მისი და ჰემატრიის გამოყენებით არ შეიქმნებოდა. ეს უკვე ნიშნავს, რომ ანბანური წერის კულტურა იქმადე შეიქმნა. ატლანტისეულთა ისტორიის გამოჩენილი მკვლევარი იგნატიუს დონელი წერდა: ფინიკელთა ანბანი, რომელმაც წარმოქმნა ევროპული ანბანი, თავის მხრივ შეიქმნა ატლანტისელთა ანბანისაგან (იაქაშვილი 2003, 66). რადგან ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ღმერთის სახელი მხოლოდ ქართული ანბანითა და ჰემატრიით, იძლევა სწორედ იმ, ერთი და იგივე რიცხვს, უნდა გამოეთქვათ არგუმენტირებული ვარაუდი, რომ ეს ქართული ასომთავრულია. ანუ ატლანტიდელთა გადარჩენილი ანბანი-ქართული ასომთავრულია (ცინცაძე 2019, 206).

თუ მოკლედ შევაჯამებთ ვეფხისტყაოსანში გატარებულ, დაფარულ, მაგრამ პოემისთვის ძირითად სიუჟეტურ ქარგას, იგი მასში აღმოჩენილი ჰემატრიული ინფორმაციის ფონზე, ასეთ სახეს მიიღებს:

პოემაში დაფარულია იბერიის დედა-ქალღმერთის (ცა-ნესტან-დარეჯანი) ტყვეობიდან განთავისუფლების იდეა. ქაჯეთის ციხიდან განთავისუფლების იარაღი, იქამდე „კიდობანში დაბეჭდილი“ ჰემატრიაა. მისი მეშვეობით დედა-ენიდან აღდგება, მასში ჭრელობის მეცნიერებით დაფლული, უძველესი ატლანტიდის, ქალდეველ მეფეთა ჭეშმარიტი ისტორია. ბიბლიურად, ეს იქნება მეორედ მოსვლის ჟამს... როცა

ყველას თავისი წილი მიეგება და ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა მითუმეტეს რომ ქალდეას რელიგიური სიმბოლო ლერწამია. იესო ქრისტეს ჯვარზე გაკვრისას მარჯვენა ხელში დააჭერინეს ლერწამი: „და მარჯვენა ხელში მისცეს ლერწამი... და აიღეს და თავზე ამტვრევდნენ მას“ (მათე 27.27-30) - შეასვეს მწარე ბალღამი (ნაღველი) - ქალდეველთა გამწარებული ხვედრის სიმბოლო.

მაცხოვარი ქალდეველია (ცინცაძე 2019, 217). პავლე მოციქული ებრაელთა მიმართ ეპისტოლეში ასწავლის: ის, ვისზედაც ლაპარაკია (ქრისტე) ეკუთვნოდა სხვა ტომს, რომლისგანაც არავინ მიჰკარებია სამსვერპლოს (ებრ. შ.13). „სამსხვერპლო“ ძველი ქართული ენის ლექსიკონის მიხედვით არიელს ნიშნავს, ანუ „ის, ვისზედაც ლაპარაკია, ეკუთვნოდა სხვა ტომს, რომლისგანაც არავინ მიჰკარებია არიელს (იესოს)...

მაცხოვარი არიელი ძირისაა.

მაცხოვარი ქალდეველ მეფეთა შტოა.

ასეთ ზოგადსაკაცობრიო უმთავრეს საიდუმლოს იფარავს „ვეფხისტყაოსანი“.

ამიტომაც დასაწყისშივე პირდაპირ წერს რუსთაველი:

„ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმნები“...

ქალდეველ მეფეთა ამბავის ქარგა, რასაც ის ჭრელობის მეცნიერებითა და ჰემატრიით შეფარულად მოგვითხრობს, ბუნებრივია, ქალდური ამბავია. ხოლო ქალდეა, აქემუნდიების შემოჭრის შემდეგ, სწორედაც სპარსეთის ტერიტორიის ნაწილი იყო, [მისი ერთ-ერთი სატრაპია (ცინცაძე 2019, 219)].

ალიკო ცინცაძის საბოლოო დასკვნით, მზადდებოდა ანბანური წერის კულტურის, ჰემატრიის, ქურუმთა ფარული ენის შემქმნელი, ასტრო-ინფორმაციის მომპოვებელი, კაბალას, ამირანის, გილგამეშის, პრომეთეს მითების, ღმერთის (იესოს) ხორცეულად მოსვლის მისტერული იმპულსების შემოქმედი ხალხების, დიდი იბერიის აღდგენის თეორიული წანამძღვრები. ამიტომაც სტუმრობდნენ 1117-1118 წლებში საქართველოს ტაძრული (ჯვაროსანი - ა.კ.) რაინდები, რომელიც კელტურ იბერიაში დაბრუნებისთანავე, 1118 წელს აარსებენ კიდეც ტამპლიერთა (იბერიულ) ორდენს (ცინცაძე 2019, 220-221). მაშინ, რიგი ობიექტური მიზეზების გამო ეს საქმე ბოლომდე ვერ მივიდა.

დღეს შეიძლება ითქვას, რომ ვეფხისტყაოსანში აღწერილი კიდობანი გახსნილია და ქართული ჰემატრია აღდგენილია პროფ. ალიკო ცინცაძის მიერ („ქართული ჰემატრია“).

ქართული სამართლის ისტორიის შესასწავლად ასევე უმნიშვნელოვანესია ძველი სიგელ-გუჯრები: ბაგრატ IV- ის წყალობის სიგელი, ოპიზის სიგელი, დავით აღმაშენებლის ანდერძი, გიორგი III-ის სიგელი-სამპარავთმძებნელო დაწესებულების შესახებ, ქართული სამეფოს მანდატურთუხუცესის სიგელი შიო მღვიმის მონასტრისადმი (1184-1185 წ.წ.), თამარ მეფის წყალობის სიგელი, გრიგოლ ერისთავთერისთავის ანდერძი (1227-1230 წ.წ), სასიხლო სიგელები, ძეგლი ერისთავთა, სამთავნელის სარგო და საკანონო (1459), ქსნის ერისთავის 1470 წლის სიგელი, სვიმონ მეფის 1590 წლის სიგელი მეკობრეთმძებნელის შესახებ, სასამართლო გადაწყვეტილება დიდი მოურავისა (გიორგი სააკაძე) და ჯავახიშვილის დავის გამო, წილკნელის სარგო და გარიგების წიგნი, ქალაქის მოურავის სარგო (1803), მელიქ მამასახლისის სარგო (1813) და სხ.

ქართული სამართლის ისტორიის შესასწავლად ასევე აღსანიშნავია ვაჰანის ქვაბთა განგება (XIII ს.), იესე ოსეს-ძის ანდერძი (XVIII ს-ის II ნახევარი), ალექსანდრე ამილახვარის შრომები (იგივე პერიოდი) და სხვა (სურგულაძე 2000, 17).

საეკლესიო შინაარსის ძეგლებს ქრისტიანულ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, მოქმედი სამართლის მნიშვნელობა ჰქონდათ. ასეთი ძეგლები ძირითადად ორგვარია, მსოფლიო კრებების კანონმდებლობა, გადმოთარგმნილი ქართულად და ადგილლობრივი, ქართული საეკლესიო კრებების დადგენილებანი.

საეკლესიო შინაარსის ძეგლებს საეროზე არანაკლები მნიშვნელობა გააჩნიათ - მათში ასევე მრავლადაა სახელმწიფო სამართლის, სისხლისა და სამოქალაქო სამართლის ინსტიტუტების შესახებ საინტერესო მასალა. მათი მეშვეობით შეიძლება გათვალისწინებული იქნეს სახელმწიფოსა და ეკლესიის დამოკიდებულების საკითხები.

ეკლესია საოჯახო საკითხებისადმი ინტერესს ყოველთვის იჩენდა და იჩენს. საეკლესიო სასამართლოს ექვემდებარებოდა ზოგიერთი საერო შინაარსის საქმე: მაგალითად, ქორწინების, გაყრის, ცოლ-ქმართა დამოკიდებულებისა და სხვ. ამასთანავე, სისხლის სამართლის ზოგიერთი საქმე, საერო სასამართლოს სასჯელის

გარდა, დამატებითი სახით, საეკლესიო სასამართლოს სასჯელსაც იწვევდა. იმავდროულად, ეკლესია გარკვეულ ორმხრივ ურთიერთობაში იმყოფებოდა სამეფო ხელისუფლებასთან: ჰყავდა მოხელეები, ჰქონდა თავისი დროშა და ქონება, ჰყავდა ჯარი. ამ საეკლესიო შინაარსის ძეგლებში გამოირიცხება ისეთები, რომლებსაც დოგმატიკური, ე.ი. სარწმუნოებრივ-აღმსარებლობითი შინაარსი აქვთ (სურგულაძე 2000, 19).

## 2.2. ქართული სამართლებრივი და კონსტიტუციური აზროვნება შუა საუკუნეებში

ახალი წელთაღრიცხვის IV საუკუნიდან საქართველოს მთელი ტერიტორია წარმოადგენდა ჯერ ირანისა და ბიზანტიის, მერე არაბების, შემდგომ თურქ-სელჩუკებისა და მონღოლების, მერმის ირანისა და თურქეთის ბოლოს კი რუსეთის თარეშის და დაპყრობების ობიექტს, რამაც ტრაგიკული დაღი დაასვა ჩვენს ისტორიას.

ამის მიუხედავად, ქართველი ხალხი თავდაცვით ბრძოლებთან ერთად ახერხებდა იმდროინდელი ცივილიზაციური მიღწევების არა მარტო ათვისებას, არამედ ახლის შექმნასაც.

ჯერ კიდევ IV საუკუნის შუა ხანებში ცნობილი ბერძენი ფილოსოფოსი და რიტორი (იურისტი) თემისტიოსი წერდა, რომ განათლება მიიღო „არა წყნარსა და ელინურ ადგილას“, არამედ „ფაზისის მახლობლად, სადაც არგომ, თესალიიდან წამოსულმა, დაისადგურა, - რასაც პოეტები გაკვირვებით მოგვითხრობენ“ (თემისტიოსი 1961, 50-51).

სწორედ IV საუკუნედან მოხდა უმნიშვნელოვანესი მოვლენები ჩვენი ხალხის ისტორიაში, რომლებმაც განაპირობებს ღრმა ცვლილებანი საქართველოს ისტორიაში: - ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადება, მეფობის გაუქმება, ერისმთავრის ხელისუფლების წარმოქმნა, ადრეფეოდალური დაქუცმაცებულობა, არაბთა სამასწლოვანი ბატონობა, ფეოდალური სამეფო-სამთავროების წარმოშობა და ბრძოლა ამ ახალ ფეპდალურ ერთეულთა გაფართოება-განმტკიცებისათვის, ქვეყნის გაერთიანება და კულტურულ-ეკონომიკური აღმავლობა, ერთიანი სამეფოს დაშლა და ბრძოლა დამოუკიდებლობისა და ქვეყნის გადარჩენისათვის (აბაშმაძე 1992, 9).

ფაზისის (კოლხეთს) აკადემიაში სხვა საგნებთან ერთად ისწავლებოდა რიტორიკა, ანუ მაშინდელი იურიდიული (სამართლებრივი) მეცნიერება. პროფ. ვახტანგ აბაშმაძე არცთუ უსაფუძვლოდ ვარაუდობდა, რომ იქ უნდა აღზრდილიყვნენ ისეთი ცნობილი პოლიტიკოსები, იურისტები და ორატორები, რომლებიც იყვნენ VI საუკუნის მოღვაწენი აიეტი და ფარტაძე და გუბაზ მეფის მკვლელობის (554 წ.) გამო მოწყობილ სასამართლო პროცესზე ეროვნული ინტერესების დამცველად გამოსული ანონიმი ქართველი სწავლული იურისტები (აბაშმაძე 1992, 10).

მათ შესახებ ინფორმაცია ქართულ ისტორიულ წყაროებს არ შემოუნახავს. მათზე გადმოცემები ეკუთვნის ბიზანტიის იმპერატორ იუსტინიანეს (527-565 წ.წ) სასახლის დიდმოხელეს, აგათია სქოლასტიკოსს (536-582 წ.წ), რომელიც თავად იყო მომსწრე ამ დრამატულ მოვლენების.

VI საუკუნის შუა ხანებში მიმდინარეობდა ბიზანტია-სპარსეთის ომი, რომელშიც ლაზიკა (კოლხეთის სამეფო) ბიზანტიის მხარეს იჭერდა. 551 წელს ტელეფისის ციხესთან მომხარი ბრძოლა ბიზანტიელთა დამარცხებით დამთავრდა. კოლხთა მეფე გუბაზი ამ დამარცხებას ბიზანტიელი სარდლების უნიჭობას და უგერგილობას აბრალებდა და ამაზე ღიად საუბრობდა. ბიზანტიელმა სარდლებმა, რომლებსაც ეშინოდათ, რომ გუბაზი მათ იუსტინიანესთან დააბეზღებდა, ასევე მისდამი შურის გამო, 554 წელს გუბაზ მეფე ღალატით მოაკვლევინეს. მეფის მკვლელობამ შელახა ამაყი და თავისუფალი კოლხების ეროვნული თავმოყვარეობა, ისინი შეიკრიბნენ მთის ერთ-ერთ ხეობაში სახალხო კრებაზე, რათა განესაზღვრათ ქვეყნის მომავალი პოლიტიკური ორიენტაცია-სპარსელების მხარეს გადასულიყვნენ, თუ ბიზანტიელებთან დარჩენილიყვნენ (აგათია  სქოლასტიკოსი 1936, 63). აგათიას მონათხრობიდან ჩანს, რომ სამეფო ხელისუფლების გარდა კოლხეთის სამეფოში არსებობდა სახალხო კრება და სახალხო საბჭო“ (აგათია  სქოლასტიკოსი  1936, 63-64), რომელთაც იწვევდნენ ქვეყანაში შექმნილი საგანგებო მდგომარეობის დროს, იმ შემთხვევაში, როცა მეფე ადგილზე არ იყო, ანდა ტახტი ვაკანტური იყო. კრების დღის წესრიგს ადგენდნენ ქვეყნის მმართველები და მასში მონაწილეობის უფლება ჰქონდა დიდებულებსაც და მოსახლეობის დაბალ ფენებსაც მონების გარდა. ყველა დამსწრეს ჰქონდა საკითხის განხილვაში მონაწილეობის უფლება. „ყველა გამომსვლელი შუა

დგებოდა და ისე ლაპარაკობდა, როგორც სახალხო საბჭოში ლაპარაკობენ“ (თემისტიოსი 1961, 54-55).

სწორად მიუთითებს ვახტანგ აბაშმაძე, რომ სახალხო კრების ფუნქციონირებამ (ანალოგიური რამ რუსეთში, ნოვგოროდში იმართება 600 წლის მერე-ა.კ.) მნიშვნელოვნად განსაზღვრა კოლხეთის სახელმწიფოს პოლიტიკური ცხოვრების მაღალი დონე, მოსახლეობის აქტიური მონაწილეობა საზოგადოებრივ საქმიანობაში. სახალხო კრებაზე ქართველი პოლიტიკოსებისა და იურისტების – აიეტისა და ფარტაძეს მიერ მაღალი ორატორული ხელოვნებით ნათქვამი სიტყვების შინაარსობრივი სიღრმე, ურთულეს პოლიტიკურ და სამართლებრივ ინსტიტუტებზე მათი მსჯელობის საბუთიანობა, ურთიერთშეპირისპირებულ შეხედულებათა ბრძოლაში ჭეშმარიტი გადაწყვეტილებისაკენ მისწრაფება ცხადყოფს კოლხეთის სახელმწიფოში იურიდიული აზრის მაღალ დონეს (აბაშმაძე 1992, 12-13).

აგათიას მონათხრობიდან ნათლად ჩანს, რომ ლაზიკაში აზრის თავისუფლება ბატონობს, სახალხო კრებებზე ადგილი აქვს განსხვავებულ შეხედულებათა შორის ბრძოლას, კერძოდ, პოლიტიკურ დავაში კრება ღებულობს ყველაზე გონივრულ და ქვეყნისათვის სასარგებლო, პრაგმატულ გადაწყვეტილებას, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის სუვერენიტეტი რეალურად შელახულია ბიზანტიელთა მიერ. ამასთან ჩანს ისიც, რომ დიდებულებთან ერთად შედარებით მდაბიოებსაც აქვთ სიტყვის წარმოთქმის უფლება, მაგრამ გადის ის წინადადება, რომელსაც ხალხი გონივრულად და სასარგებლოდ მიიჩნევს (აგათია სქოლასტიკოსი 1936, 70).

ამის კარგი მაგალითია კოლხი წარჩინებულის აიეტის და „მეტად მდაბიური ქცევისა და წარმოშობის, მაგრამ კოლხთა შორის გავლენიანი და გონიერი“ (აგათია სქოლასტიკოსი 1936, 71), ფარტაზის სიტყვიერი ჭიდილი, რომელიც ფარტაზის გამარჯვებით დამთავრდა; ანუ გაიმარჯვა არა დიდებულთა, არამედ შედარებით დაბალი, მდაბიური წარმოშობის მოსახლეობის აზრმა, რაც დღესაც კი პრობლემაა „დემოკრატიულ“ საქართველოში.

საინტერესოა აიეტის მიერ მოტანილი პოლიტიკური და სამართლებრივი არგუმენტები კოლხეთის სამეფოში არსებული რეალური სურათის დასანახად.

აიეტის გონივრული მოსაზრებით ხალხებისა და სახელმწიფოების ურთიერთდამოკიდებულება უნდა შეფასდეს ერთნაირი და სამართლიანი საზომით, –

კერძოდ, შეუძლებელია პოლიტიკურად გაერთიანებული ერთი ეროვნების ხალხი, რომელიც მეგობრული ხელშეკრულებით არის დაკავშირებული სხვა ეროვნების ხალხთან, სისტემატურად უსამართლოდ ეპყრობოდეს მეორეს, ხოლო ამგვარი მოპყრობით შეურაცყოფილი და დაზარალებული ხალხი კეთილშობილურად ასრულებდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და სამაგიეროს მიზღვით თავის დაცვაზე უარს ამბობდეს (აქ დასმულია საერთაშორისო ურთიერთობების მუდმივი დილემა დიდისა და პატარის, სუსტისა და ძლიერის არათანაბარ მდგომარეობაში ყოფნის პრობლემა, რაც დღესაც აქტუალურია და მომავალშიც ასე იქნება-დიდები და ძლიერები ყოველთვის ძალადობენ პატარებსა და სუსტებზე და თავიანთი გააქვთ). აიეტმა აქ მიუთითა იმ ფაქტზე, რომ რომაელები (ბიზანტიელები) უსამართლოდ გვეპყრობიან არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც, ჩვენ კოლხები კი „სამაგიეროს გადახდის შემთხვევას ვკარგავთ იმაზე, რომ ვყოყმანობთ და ვთათბირობთ“ (აგათია სქოლასტიკოსი 1936, 64). ცხადია, მოქმედების იურიდიული კვალიფიკაცია მხოლოდ ეჭვებით შეუძლებელია, იგი უნდა დამტკიცდეს საბუთებით, რაც შეეხება რომაელებს, „ხომ არავის შეუძლია იმის მტკიცება, თითქოს მტერი (უკვე მიცემულია ბიზანტიელებზე მტრის კვალიფიკაცია - ა.კ.) ბოროტ ქცევაში ჯერ არ იყოს შემჩნეული, და თითქოს მხოლოდ ეჭვები არსებობდეს, რომ ის ამგვარ აზრებსა და ზრახვებს ატარებს; არც საბუთების მოგონებაა საჭირო მისი, ვითომც დაფარული ვერაგობის დასამტკიცებლად“ (აგათია სქოლასტიკოსი 1936, 64).

ამ შემთხვევაში აიეტის მიერ რომაელთათვის მიცემული შეფასება ემყარებოდა არა მარტო მის პირად, არამედ სამეფო ხელისუფლების და დიდებულთა თვალსაზრისსაც. ამას არა მარტო აგათია, არამედ პროკოფი კესარიელიც ადასტურებს, რომ კოლხეთ-ბიზანტიას შორის დადებული ხელშეკრულების მიუხედავად, რომაელები იტყუებოდნენ და ფეხქვეშ თელავდნენ კოლხეთის სახელმწიფოს სუვერენიტეტს. პროკოფი კესარიელის ცნობით, რომაელთა ვერაგული საქმიანობით შევიწროებულ გუბაზს ელჩებიც კი მიუგზავნა ხოსროსთან დახმარების თაობაზე. ელჩები არწმუნებდნენ სპარსეთის მბრძანებელს, რომ ხელშეკრულებით რომაელების მეგობრებად ვითვლებით, მაგრამ ფაქტობრივად მათ ერთგულ მონებად ვიქეცით, რადგან რომაელებმა „ჩვენს მეფეს ხომ მეფობის მხოლოდ გარეგნული ნიშნები

დაუტოვეს, ხოლო ძალაუფლება საქმეებში თვითონ მიითვისეს, მეფეც მოსამსახურის ბედში იმყოფება და განმკარგულებელი სტრატეგოსის ეშინია“ (აგათია სქოლასტიკოსი 1936, 50).

უამრავი ჯარიც ჩაგვიყენეს, მაგრამ არა მარტო იმიტომ, რომ დაიცვან ქვეყანა შემწუხებელთაგან, არამედ რათა დავემწყვდიეთ ჩვენ როგორც სადილეგოში და ჩვენს ქონებას დაჰპატრონებდნენ [(აგათია  სქოლასტიკოსი 1936, 50-51) (ძალიან ჰგავს ერეკლე II-ის გარდაცვალების შემდეგ რუსეთის მიერ ქართლ-კახეთში შექმნილ სიტუაციას-ა.კ.)].

აიეტი თვლის, რომ „თუ ჩვენ ბიზანტიელთა ამ ბოროტმოქმედებას უყურადღებოდ დავტოვებთ, ისინი არ მოგვეშვებიან და გულხელდაკრეფილნი რომ ვისხდებით, უფრო შეუპოვრად აგვხდიან ნამუსს“ (აგათია სქოლასტიკოსი 1936, 65). აიეტის თქმით, ბუნების კანონია, რომ ვინც მორჩილია, მას უფრო მოურიდებლად და თავხედურად ეპყრობიან. ქვეყნად არსებულ ყველა ხალხს აქვს საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული საკუთარი ჩვეულება, რომელიც განსაზღვრავს მათ ბუნებასა და ხასიათს. ბერძნები ბუნებით მოღალატენი და ვერაგები არიან, მეფეც გაიძვერა ჰყავთ (შესაძლოა აქედან იყოს აღებული კონსტანტინე გამსახურდიას ცნობილი გამონათქვამი „დიდოსტატის მარჯვენიდან“ ბერძენთა შესახებ: „საერთოდ ქურდებია ბიზანტიელები, სჯული ებრაელებს მოპარეს, ენა-ძველბერძნებს, ბულგარელებს - ცეტინიუმი, სომხებს - ანისი, ბასიანს გადაღმა ქვეყნები – ქართველებს, მაგრამ სინდისი ვერავის წაგლიჯეს, რადგან ასეთი რამ არ სჭირიათ ჯერაც“ – აქ ბიზანტიელებში მწერალი რუსებს გულისხმობდა), ამიტომ ცხადია, ბერძნებს, „რა ჩვეულებაც წინათ ჰქონდათ, იმასვე მისდევენ“. სპარსელები, აიეტის თქმით, „ასეთი ხასიათისანი არ არიან. ისინი შორს არიან ამისგან. თუ ვინმე გაიხადეს თავში მეგობრად, ისინი ცდილობენ უთუოდ დაიცვან სიყვარული, ხოლო მტრის მიმართ რისხვას განაგრძობენ მანამ, სანამ ის მტრად რჩება“ (აგათია სქოლასტიკოსი 1936, 66) [არაა გამორიცხული, რომ სპარსელებთან, შაჰ ხოსროსთან წარგზავნილ ელჩებს, აიეტი ხელმძღვანელობდა - ა.კ.)

საბოლოოდ აიეტი კოლხებს ორიენტაციის შეცვლისკენ - სპარსელების მხარეს გადასვლისკენ მოუწოდებს და ამას თვლის იძულებით ნაბიჯად: „მე ვინატრიდი კოლხეთის სახელმწიფოს ჰქონდეს მისი ძველი ძლიერება, რომ მას არ დასჭირებოდეს

უცხო და გარეშე დახმარება და რომ ამგვარ საქმიანობაში როგორც ომიანობის, ისე მშვიდობიანობის დროს, მხოლოდ საკუთარ თავს ეყრდნობოდეს, მაგრამ როდესაც ჩვენ ჟამთა ტრიალის, ან ბედის უკუღმართობის, ან ორივეს წყალობით, ისეთს უძლურებაში ჩავვარდით, რომ სხვათა ხელქვეითნი გავხდით, მე ვფიქრობ, უმჯობესია იმათ ხელში ვიყოთ, ვინც უფრო კეთილსმსურველია, ვინც ურყევად იცავს კეთილგანწყობილებას თავისთანებისა და მოკავშირეთა მიმართ“ (აგათია სქოლასტიკოსი 1936, 66).

აიეტის პოლიტიკურ-სამართლებრივ მოძღვრებაში მთავარი ადგილი უკავია თავისუფალი და სუვერენული პატარა სახელმწიფოს პრობლემას. ასეთმა სახელმწიფომ თავისი ხალხის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული-მეფის მკვლელობა, როცა ის ტირანი არაა და თავისი ქვეყნის ინტერესებისათვის იბრძვის, დაუსჯელი არ უნდა დატოვოს მიუხედავად იმისა, თუ ვინ იყო ამის ჩამდენი-შინაური თუ გარეული.

აგათიას გადმოცემიდან ჩანს, რომ იმდროინდელ კოლხეთის სამართალში ფართოდ იყო გავრცელებული სისხლის აღების ადათი, რომელსაც მკაცრად იცავდნენ და საკუთარი ღირსების შელახვად მიიჩნევდნენ ამ წეს-ჩვეულებების შეუსრულებლობას: „სიმტკიცე, ამბობს აიეტი, - გონიერების თვალსაზრისით უნდა განვსაჯოთ: არსებული მდგომარეობის მოთმენა ყოველთვის კი არ არის საქები, არამედ მხოლოდ მაშინ, როდესაც მას გონიერი მოსაზრებები ახლავს თან. მაგრამ, როდესაც ისე ხდება, რომ უგულებელყოფენ იმას, რაც უნდა ახსოვდეთ, ხოლო აკეთებენ იმას, რაც შეუძლებელია, მაშინ უფრო გასაკიცხია ის, ვინც ძველ ვითარებას მისდევს, ვიდრე ის, ვინც ახალს ემხრობა“ (აგათია  სქოლასტიკოსი 1936, 70).

აიეტის ზემოაღნიშნულ თვალთახედვას მარტო თეორიული მნიშვნელობა როდი ჰქონდა, არამედ მიმართული იყო პრაქტიკული დანიშნულებითაც და მიზნად ისახავდა სახალხო კრების მონაწილეებზე ზემოქმედებას, ბიზანტიიდან სპარსეთზე ორიენტაციის აღებას.

მისმა თეორიულად დასაბუთებულმა და პოლიტიკურად დამაჯერებელმა სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრეებზე და ისინი ბიზანტიის წინააღმდეგ განაწყო.

მაგრამ ეს მოხდა დროებით.

აგათიას გადმოცემით კრებაზე გამოჩნდა „ერთი ვინმე, სახელად ფარტაზი, კაცი კოლხთა შორის გავლენიანი, გონიერი და თავისი ქცევით მეტად მდაბიური“ (აგათია სქოლასტიკოსი 1936, 71), რომელმაც ჯერ შეანელა, მერე კი შეცვალა კრების მონაწილეთა ემოციური განწყობა.

ფარტაზიც მოითხოვს, რომ ქვეყანაში მოქმედი სამართლებრივი ნორმები (ანუ „მშობლიური წესები““) ყველა შემთხვევაში დაცული იყოს. მისი აზრით, „უგუნური ადამიანები სულ მუდამ დასტირიან განვლილ უბედურებას, ხოლო გონიერნი შეიცნობენ ხოლმე ბედის უკუღმართ ტრიალს და მათ არ აშფოთებთ ცვლილებები, და როდესაც წინანდელ მდგომარეობას ჰკარგავენ, არ ისპობენ მომავლის იმედებს. ფარტაძე, აიეტივით, მიიჩნევეს, რომ მეფის-სახელმწიფოს მეთაურის-მოკვლა უმძიმესი დანაშაულია და მკვლელების გარდა უნდა დაისაჯონ ისინიც, რომელთაც ეს მკვლელობა გაეხარდათ და მაინცდამაინც არ აშფოთებულან.

ფარტაზის აზრით აიეტი ცდილობს, სახალხო კრებას თავს მოახვიოს თავისი აზრი და მისი საჯაროდ განხილვის გარეშე ყველაზე უკეთეს გადაწყვეტილებად გამოაცხადოს: „რაღა აზრი აქვს კრებას, თუ ჯერ დადგენილება იქნება და მერე კრება?“; - სვამს იგი ლოგიკურ კითხვას (აგათია სქოლასტიკოსი 1936, 75).

ფარტაზის აზრით, არ არსებობს მტკიცებულება, რომ იმ ბიზანტიელი სარდლების გარდა, რომლებმაც უშუალოდ მოკლეს გუბაზ II, მათ ან იმპერატორი იუსტინიანე, ან რომაელთა მთავარსარდლობა თანაუგრძნობდა. მისი თქმით, „უმართებული იქნებოდა და ამასთანავე ერთად მიზანშეუწონელიც, ერთი და ორი კაცის დანაშაულის გამო შევსწყრომოდით საზოგადოებრივ კანონებს, რომელთა დაცვა აგვიღია ჩვენს თავზე“ (აგათია სქოლასტიკოსი 1936, 76).

აიეტისგან განსხვავებით, რომელიც არაქრისტიანულ რწმენასთან შემრიგებლურ მოსაზრებებს ავითარებს, ფარტაზი ქრისტიანობის თავდადებული მომხრეა (აბაშმაძე 1992, 31).

ფარტაზი ბიზანტიის მხარეზე დარჩენისათვის ბრძოლაში მთავარ მნიშვნელობას ანიჭებს იმას, რომ ბიზანტიელები - მართლმადიდებლები არიან, ხოლო სპარსელები კი - ქრისტიანობის მტერი, ამიტომ კოლხებს არ შეეფერებათ ქრისტიანობის ღალატი და ამ წმინდა სარწმუნოების მტრების მიმხრობა. „თუ ისინი აგვიკრძალავენ ჩვენი

საღმრთო წესების შესრულებას და თავიანთ წესებზე გადაგვიყვანენ, ამაზე უფრო სამძიმო რა უნდა განვიცადოთ ჩვენ?“ (აგათია სქოლასტიკოსი 1936, 76).

ფარტაზი თვლის, რომ სპარსელების მხარეზე გადასვლა წამგებიანი იქნება კოლხებისათვის, რადგან ისინი ჩვენთვის უცხონი არიან, ადამიანები კი ბუნებით ვერ ეგუებიან შეხედულებათა სხვადასხვაობას. ამიტომაც, განსხვავებულ შეხედულებათა მქონე ხალხს შორის ნდობა ვერ იქნება: „ადამიანები ვერ იწყნარებენ ხოლმე აზრთა სხვადასხვაობას და მაშინაც კი, როდესაც გაჭირვება ან რაიმე, მოპირდაპირის მიერ ჩადენილი, კეთილი საქმე აიძულებს მათ კავშირში ყოფნას, მათ შორის ნდობა არასდროს არაა მტკიცე: ეს შეიძლება იყოს მხოლოდ მაშინ, როდესაც მათ შორის აზრთა ერთიანობაა თუ ვინიცობაა ეს ერთიანობა არ არსებობს, მათი დაახლოვება და მეგობრობა ცარიელი სიტყვაა საქმით ისინი ერთმანეთისთვის უცნობნი რჩებიან“ (აგათია სქოლასტიკოსი 1936, 76). რწმენით, ხასიათით და შეხედულებებით კოლხები და სპარსელები განსხვავებულნი არიან, ამასთან სპარსელები შორს არიან კოლხეთისაგან, რომელიც ელის დახმარებას, მაშინ, როცა რომაელები „ჩვენს ქვეყანას ფლობენ და ჩვენს ქალაქში ცხოვრობენ“ (აგათია სქოლასტიკოსი 1936, 78).

წინაპრების ადათ-წესებისადმი პატივისცემას ქვეშევრდომთა შორის ადგენს სამეფო ხელისუფლება, რომელიც მემკვიდრეობით გადადის, და ამ წესსაც მკაცრად უნდა იცავდეს სახელმწიფო, მთელი ხალხი, როცა ქვეყანა დგას მძიმე არჩევანის წინაშე.

კოლხეთის სახალხო კრება წყვეტს რა სახელწიფო ორიენტაციის საკითხს, სთხოვს იმპერატორ იუსტინიანეს, რომ გუბაზის მკვლელები-ბერძენი სარდლები მკაცრად დასაჯოს (რაც მოხდა კიდეც შემდეგში - ა.კ.) და „მეფედ ვინმე უცხოელს, არათვისტომს ნუ დაგვიყენებს, არამედ წათე გამოგვიგზავნოს, გუბაზის უმცროსი ძმა, რომელიც ბიზანტიონში ცხოვრობს, რათა დაცულ იქნეს მამა-პაპური წესი და მთელი სამეფო გვარი შეურყვნელი დარჩეს (აგათია სქოლასტიკოსი 1936, 81).

ფარტაზის გუბაზიც მამაც ადამიანად ჰყავს წარმოჩენილი. მისი აზრით, ის რომ ცოცხალი ყოფილიყო, „გაგვკიცხავდა ჩვენ ამგვარი ზრახვებისთვის; მოგვიწოდებდა, არ მივცემოდით სასოწარკვეთილებას და გულაჩუყებას, და მონების მსგავსად კი არ გავქცეულიყავით, არამედ აღჭურვილყავით კოლხის თავისუფალი შეგნებით,

ვაჟკაცურად აგვეტანა უბედურება და არაფერი სასირცხვილო და მამაპაპური წესების შემბილწველი არ ჩაგვედინა“ (აგათია სქოლასტიკოსი 1936, 81).

ფარტაზის გონივრულმა, ლოგიკურმა და კარგად მოფიქრებულმა სიტყვამ ფაქტიურად სრულად გააქარწყლა აიეტის ემოციური სიტყვის ეფექტი.

ამიტომ ფარტაზის რაციონალურმა წინადადებამ გაიმარჯვა. სახალხო კრების გადაწყვეტილების შესაბამისად, დიდებულებმა აცნობეს იმპერატორ იუსტინიანეს გუბაზ მეფის მკვლელობის ყველა ნიუანსი და ხაზი გაესვა იმასაც, რომ გუბაზს არასოდეს უღალატია ბიზანტიისათვის, რომ იგი მოკლეს პირადი შურის და მტრობის გამო და მოთხოვეს იმპერატორისაგან მეფის მკვლელთა-ბერძენი სარდლების დასჯა და ახალ მეფედ არა უცხოელის, არამედ ბიზანტიაში მყოფი მყოფი გუბაზის ძმის, წათეს დასმა.

იმპერატორმა იუსტინიანემ კოლხთა სახალხო კრების ეს მოთხოვნა ზუსტად და სწრაფად აასრულა-გამოგზავნა გავლენიანი დიდმოხელე ათანასი სასამართლო მოხელეებით კოლხეთში გუბაზის საქმის გამოსაძიებლად და დაავალა, რომ დამნაშავენი დაეკავებინათ და გაესამართლებინათ რომაული სამართლის მიხედვით. ათანასი ჩავიდა კოლხეთში, ქალაქ აფსარუნტის (სავარაუდოდ გონიო) ცნობილ საპატიმროში და გამოძიების დამთავრებამდე ჩასვა იქ ბორკილგაყრილი ბერძენი სარდლები-დანაშაულში ეჭვმიტანილები. გუბაზის უმცროსი ძმა წათე იუსტინიანემ გამოგზავნა ბიზანტიიდან სტრატეგოს სოტრიქესთან ერთად, როგორც კოლხთა ახალი მეფე, რომელსაც უკვე მიეღო იმპერატორისგან „როგორც ეს ძველთაგანვე დაწესებული იყო, მამა-პაპის სახელი და საამისო (სამეფო) ნიშნები, „წათე ჩაუდგა სამეფოს სათავეში, შეუდგა ამიერიდან საქმეების მოწესრიგებას და უვლიდა თვისტომი, როგორც მას სურდა და როგორც ამის მამაპაპური წესი უკარნახებდა“ (აგათია სქოლასტიკოსი 1936, 81).

გუბაზის მკვლელთა სასამართლო, აგათიას თქმით, გადაიდო, რადგან ამ დროს ბიზანტიელებსა და კოლხებს კვლავ მოუწიათ სპარსთა წინააღმდეგ ომის წარმოებამ ომის გამარჯვებით დამთავრებისთანავე ათანასიმ განაახლა სასამართლო პროცესი, რომელშიც თავი გამოიჩინეს ანონიმმა კოლხმა სწავლულმა იურისტებმა, როგორც ბრალდებლებმა (აბაშმაძე 1992, 37). უცნობია მათი ვინაობა, რადგან აგათია მათ მოიხსენიებს, რომ ისინი იყვნენ „დარბაისელი კოლხები, რომელთაც უკვე კარგა ხანია

შეესწავლათ ელინთა ენა“ (აგათია  სქოლასტიკოსი 1936, 143) და რომ მათ იკისრეს რთული საქმე - გამოსულიყვნენ ბრალმდებლებად გუბაზ მეფის სასამართლო პროცესზე და ცხადყვეს მაღალი იურიდიული განათლება, კოლხეთის სამართლისა და მამაპაპურ ადათთან ერთად რომის სამართლის ცოდნა, რომლის მიხედვითაც სამართლდებოდნენ მკლელები. რამდენი იყვნენ ისინი და რა თანამდებობა ეკავათ მათ, ჩვენთვის უცნობია.

უცნობმა ქართველმა სწავლულმა იურისტებმა წარმატებით შეასრულეს ბრალმდებლის მოვალეობა სასამართლოზე, რომელიც მეფე გუბაზის მკვლელთა (ძმების - რუსტიკესა და იოანეს) საქმეს იხილავდა არა კოლხური, არამედ რომაული სამართლის მიხედვით, თავი გაართვეს ურთულეს საქმეს, ნათელყვეს ბერძენი სარდლების მიერ ჩადენილი მძიმე დანაშაული და მისი რთულად გამოსაკვლევი მხარეები, სამართლის მეცნიერების ურთულესი ინსტიტუტები და კატეგორიები მიუსადაგეს და გამოიყვანეს დამნაშავეთა ბრალის დასადგენად. კოლხები აღზრდილნი იყვნენ ჰუმანისტური სამართალშეგნებით და მათთვის მართლაც უცხო იყო ბერძნულ ინკვიზიციური სამართალი პროცესი (იუსტინიანემ სარდლების გასამართლება რომაულ სამართლის „წესითა და გარეგნული მორთულობით ბრძანა... იმიტომ, რომ აქ მყოფ ბარბაროსთათვის კვეხნით ეჩვენებინა რომაული წესები და გაეკვირვებინა ისინი ამით“ (აგათია სქოლასტიკოსი 1936, 125-126).

კოლხი იურისტები საფუძვლიანად იცნობდნენ მაშინდელ მსოფლიო სამართლის სისტემებს, ერთმანეთისაგან ანსხვავებენ სხვადასხვა ქვეყნის სამართალს და მათ ეროვნულ თავისებურებებს, იძლევიან სამართლის ნორმების მეცნიერულ კლასიკაციას და მის კრიტერიუმებს (აბაშმაძე 1992, 57).

აგათიას მონათხრობიდან კარგად ჩანს, რომ ბიზანტიის ხელისუფლება სამხედრო პოლიტიკური ზემოქმედების გარდა, ცდილობს, რომ ლაზიკაში საზოგადოებრივი ურთიერთობები წესრიგდებოდეს არა კოლხური, არამედ რომაული სამართლის მიხედვით, რის გამოც მიმდინარეობდა დაპირისპირება ქართულ და ბიზანტიურ სამართალს შორის. მისი მიზანი იყო და ბიზანტია ყველა ზომას მიმართავდა იმისათვის, რომ კოლხები სულ უფრო მეტად შეჩვეოდნენ რომაელთა მმართველობას. თავისუფლებისმოყვარე კოლხებისათვის კი ძნელი შესაგუებელი და თითქმის შეუძლებელია უცხო სამართლის მიხედვით ცხოვრება, ამიტომ ისინი

ყველანაირად ცდილობენ უცხოელთა ბატონობისაგან თავის დაღწევას, რაც კარგად დაიჭირა აგათიამ. იგი წერის: „მთელი ეს ბარბაროსული მოდგმა, თუმცა ის რომაელთა ქვეშევრდომია, მაგრამ თავისი შეხედულებით ძალიან დაშორებულია მათ... ის ისწრაფვის გადატრიალებისა და აჯანყებისაკენ. სანამ სხვის ხელქვეით არის, მას არ შეუძლია მშვიდად ცხოვრება (აგათია სქოლასტიკოსი 1936, 145).

ანონიმი კოლხი იურისტები სათანადოდ აფასებენ რომის სამართალს, მიუთითებენ კიდეც მის მაღალ თეორიულ დონეზე, არ მიაჩნიათ მისი ნორმების შესრულება ეროვნული ღირსების დამცირებად, თუმცა სათანადო პატივს მიაგებენ და ყველა ხალხის ცხოვრებაში გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებენ მშობლიურ, მამა-პაპურ წესებს და ადათს (აბაშმაძე 1992, 57).

ისინი გამოდიან ხალხთა და სახელმწიფოთა სამართლებრივი თანასწორობის პოზიციებიდან. ჰუმანიზმი მათი მსოფლმხედველობის განმსაზღვრელია, რამაც მოგვიანებით ხორცი შეისხა და სრული განვითარება ჰპოვა გაერთიანებულ საქართველოს რენესანსულ იდეოლოგიაში, რომლის ფუძემდებლები იყვნენ დავით აღმაშენებელი, შოთა რუსთაველი, ყუთლუ-არსლანი და სხვები.

დავით აღმაშენებლის მმართველობა და მისი შიდა პოლიტიკა, რომელიც მიმართული იყო ფეოდალური დაქუცმაცებულობის ლიკვიდაციისა და ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნისაკენ, ძირითადად განსაზღვრავს მის სამართლებრივ შეხედულებებს, რომელიც ასოლუტური მონარქიის შექმნისაკენ იყო მიმართული და სრულად ახალი პროგრესული ფორმა იყო თვით ეცროპისთვისაც კი. 1103 წლის რუის-ურბნისის კრების დადგენილებასა და დავითის უნიკალურ ნაწარმოებში „გალობანი სინანულისანი“ მოცემულია დავით აღმაშენებლის ბუნებითი სამართლის მოძღვრების ლოგიკურად გამართული და თანმიმდევრული სისტემა.

დავით აღმაშენებელი, იმისათვის რომ აამაღლოს დაშლილ-დაქუცმაცებულ ფეოდალურ სამეფოებზე და სამთავროებზე გაბატონებული სამეფო ხელისუფლების ავტორიტეტი და ხაზი გაუსვას სამეფო ხელისუფლების მიერ დადგენილი სამართლებრივი ნორმების უპირატესობას, ფეოდალური დაქუცმაცებულობის დროს ასრებულ სამართლებრივ პარტიკულარიზმთან შედარებით იყენებს ბუნებითი სამართლის პროგრესულ მოძღვრებას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფეოდალური საქართველოს სამართლის ისტორიაში ბუნებითი სამართლის მოძღვრება ნაკლებად შესწავლილია. მისი არსებობის შესახებ ზოგადი მითითება ივანე ჯავახიშვილმა მოგვცა (ჯავახიშვილი 1984, 43). შედარებით უფრო ფართოდ და საფუძვლიანად მას შეეხო პროფ. ვ.აბაშმაძე (აბაშმაძე 1992).

დავით IV აღმაშენებელი (1089-1125) ზოგადად სამართლის ნორმებს სამ კატეგორიად ჰყოფს:

ბუნებითი,

ღვთაებრივი და

დადებითი.

მეფის აზრით ბუნებითი სამართლის ნორმებს სხვა სამართლის ნორმებს შორის იერარქიულად ყველაზე მაღალი მდგომარეობა უკავია. ბუნებითი სამართალი გამოხატავს იმ არსთაგამრიგის ნებას, რომელმაც შეექმნა სამყარო და ადამიანებს განუსაზღვრა თავისი ადგილი საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამასთან ერთად არსთაგამრიგემ ადამიანებს დაუწესა სამართალი, რომელიც ემყარება რა მხოლოდ შემოქმედის (ღმერთის) ნებას, განსაზღვრავს მის მიერ შექმნილ და მოწყობილ სამყაროში ადამიანთა ბუნებას.

დავითის თქმით, შემოქმედის ნების გამომხატველი ბუნებით სამართლის ნორმებში მოცემული წესები ადამიანებმა ფეხქვეშ გათელეს.

დავით აღმაშენებლის აზრით, საზოგადოებრივი ცხოვრების პირობებში ასევე მოქმედებს დადებითი, პოზიტიური სამართლის ნორმები, რომლებიც დადგენილია სახელმწიფოებრივი ხელისუფლების მიერ და რომლებიც უნდა გამოხატავდნენ ბუნებითი სამართლის ნორმებს, ისევე როგორც ამ უკანასკნელს შეესაბამება ღვთაებრივი სამართალი (აბაშმაძე 1992, 86).

დავითის პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა სისტემაში ყველაზე დიდი ადგილი უკავია ბუნებითი სამართლის მოძღვრებას, რომელიც მეფის მიერ შექმნილ ძლიერ ცენტრალიზებულ მრავალფეროვან სახელმწიფოში მეფის აბსოლუტური ხელისუფლების შექმნისა და განმტკიცების თეორიულ საფუძველს შეადგენს. ერთიანი, ძლიერი სამეფოს შესაქმნელად მის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებს იგი შემოქმედის ნებით განსაზღვრული ბუნებითი სამართლის გამოხატულებად მიიჩნევს. სწორედ ამიტომ იგი სამეფო ხელისუფლების

განხორციელებისას აბსოლუტიზმის იდეებით ხელმძღვანელობს და ხელისუფლების მეშვეობით აქტიურად ერევა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში, განსაზღვრავს მრავალფეროვანი ცენტრალიზებული იმპერიის ტერიტორიაზე მოქმედი ყველა დაწესებულებისა და ორგანოს საქმიანობას. ამასვე აკეთებდა იგი დამორჩილებულ სახელმწიფოებშიც (აბაშმაძე 1992, 87).

მანვე განასრულა ქართული ხალხის 400 წლოვანი ოცნება, როდესაც 1122 წელს შემოიერთა თბილისი, სადაც ჯაფარიდების დინასტიის ამოწყვეტის შემდეგ ე.წ. „ბერების მმართველობა“ და 1080-იანი წლებიდან რესპუბლიკური წყობილების სერიოზული ჩამოყალიბება მიდიოდა, როგორც კი დავითმა თბილისი შემოიერთა, მაშინვე მოსპო ყოველივე რესპუბლიკური რეციდივები და დაწესებულებანი და აქაც აბსოლუტიზმის პრინციპებზე აგებული მმართველობა დააკანონა, რაც მაშინ ქვეყნის ერთიანობის შესანარჩუნებლად ყველაზე შესაფერისი ფორმა იყო. მმართველობის ეს ფორმა - აბსოლუტური მონარქია ევროპაში რამდენიმე საუკუნის მერე დამკვიდრდა მისი კლასიკური ფორმა საფრანგეთში, ლუდოვიკო XIV-ის დროს XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე.

თუ რა დონეზე იდგა ქართული სამართალი და კონსტიტუციური აზროვნება, კარგად ჩანს ქართულ საეკლესიო კრებების დადგენილებებში, რომელთაც მოქმედი კანონის მნიშვნელობა ჰქონდათ. ერთ-ერთი ასეთი ძეგლია დავით აღმაშენებლის მეფობის დროს, 1103 წელს მიღებული რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა.

რუის-ურბნისის საეკლესიო კრების ინიციატორი რომ დავით IV აღმაშენებელი იყო, ეს კარგად ჩანს ძეგლის სრული დასათაურებიდან: „ძეგლისწერა წმიდისა და ღრმთივ შეკრებულისა კრებისაი, რომელი შემოკრიბა ბრძანებითა და კეთილად მსახურისა და ღმრთივ დაცვულისა მეფისა ჩუენისა დავით აფხაზთა და ქართველთა, რანთა და კახთა მეფისასა, პირთათვის რომელნი ქუემო მოხსენენულ არიან (რუის-ურბნისის კრების ძეგლისდება 1970, 106).

მეფის ხელისუფლების განმტკიცების, ქვეყნის გაერთიანებისათვის ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ეკლესიის დამორჩილებას და სახელმწიფო იდეის გარშემო მის გაერთიანებას, ვინაიდან ეკლესია ამ პროცესებს იმ მომენტში ძლიერ აფერხებდა და დავითის ისტორიკოსის თქმით მას „ქუაბ-ავაზაკნი“ დაეუფლნენ და ქონებით დაიპყრეს „საეპისკოპოსნი, ვითარცა ავაზაკთა“. ანუ ქვეყანას მოევლინენ

ამორალურნი საეკლესიო მღვდელმთავრები, რომლებმაც „მათნივე მსგავსნი“ დაადგინეს ქვედა საფეხურებზე და ეკლესია გახრწნის პირას აღმოჩნდა, (დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი 1955, 327). ამრიგად, კრების მიზანს წარმოადგენდა არა დოგმატიკური საკითხების, არამედ სამღვდელოთა შესახებ მკაცრი მსჯელობა უღირსთა გადაყენება და ახალთა დადგენა.

სწორად აღნიშნავს ნიკო ურბნელი (ხიზანიშვილი), რომ დავითის საგანგებო ჩანაფიქრის მიხედვით, რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა „სასულიერო წოდების უმაღლეს წარმომადგენლებს ებრძვის, მათ წინააღმდეგაა მიმართული... კრების სახელითა და შემწეობით მეფეს სწადდა გაეძლიერებინა სამეფო ტახტის მნიშვნელობა, ფეოდალების ძალა მოესპო, მთავარნი და ერისთავნი დაესუსტებინა, სახელმწიფო ეკლესიაზე მაღლა დაეყენებინა (ივერია 1888).

რუის-ურბნისის საეკლესიო კრება მიწვეულ იქნა 1103 წელს, შიდა ქართლში. კრების თავმჯდომარე ყოფილა კათოლიკოსი იოანე. კრების მონაწილეობაში აქტიურად მონაწილეობდნენ მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი გიორგი მონაზონი და არსენ მონაზონი (იყალთოელი). კრების ძეგლისწერა 15 მუხლისგან შედგება (კეკელიძე 1951, 542).

კორნელი კეკელიძის აზრით, კრების ძეგლისწერა 3 ნაწილისაგან შედგება:

1. შესავალი
2. კანონები
3. სინოდიკონი (კეკელიძე 1951, 542)

ე.ი. შესავალს მოსდევს კანონები, ანუ დადგენილებანი, შემდეგ კი წინადადება: „მეფესა დავითს მონაზონი არსენი“, სადაც მოცემულია დავით აღმაშენებლისადმი მიმართული შესხმა, ქება-დიდება და განდიდება. ივანე ჯავახიშვილი ვარაუდობდა, რომ არსენ მონაზონი კრების მდივნის მოვალეობას ასრულებდა, მაშინ ძეგლის შემდგენელი არსენია. ე.ი. მას ეკუთვნის არა მარტო დავითის შესხმა, არამედ ამ შესხმის წინა და მომდევნო ნაწილიც (ჯავახიშვილი 1928, 42). ძეგლის ცნობილი მკვლევარი ენრიკო გაბიძაშვილიც ძეგლში მოხსენებულ არსენს იყალთოელად მიიჩნევს (გაბიძაშვილი 1972, 7-10).

ძეგლისწერა ჩვენთვის საინტერესო სამართლის ფილოსოფიის საკითხებსაც აყენებს. მის მიხედვით არსებობს ბუნებითი სამართალი, ე.ი. თანდაყოლილი

სამართალი. იგი უპირისპირდება პოზიტიურ სამართალს. ბუნებით სამართალი ცნობილი იყო საბერძნეთში, რომში. ფეოდალიზმის ეპოქაში მას სარწმუნოებრივი ხასიათი მიეცა და ღვთაებრივ სამართალს უწოდებდნენ. ძეგლისწერის მიხედვით არსებობს ბუნებითი და დაწრილი სჯული, ე.ი. კანონი, სამართალი (რუის-ურბნისის კრების ძეგლისდება 1970, 108-113).

„დაწერილი სჯული“ არის პოზიტიური, მოქმედი, ბუნებითი სამართალი კი მისი საპირისპიროა, რომელიც ბუნებიდან ან ღვთისაგან მომდინარეობს და მას, თავის მხრივ, უნდა ემყარებოდეს პოზიტიური სამართალი.

რუის-ურბნისის ძეგლისწერის მიხედვით „ყოველი ქვეყანა საქართველოისა“ ნიშნავს ერთიან საქართველოს, საქართველოს ყველა ნაწილს ერთად აღებულს (ჯავახიშვილი 1928, 43).

საეკლესიო კრების მიერ მიღებული კანონები ეხება ეკლესიის მსახურთ და მათ ცოდვა-დანაშაულს, რომელიც შეიძლება ჩაიდინოს როგორც მღვდელმა, ისე ერისკაცმაც:

ა) კრების ძეგლისწერა თანამდებობიდან გადაყენებულად აცხადებს უღირს მღვდელმთავარს. უღირსად ითვლება ის ეკლესიის მსახური, რომელსაც, ქრისტიანული სარწმუნოების მიხედვით, სულისათვის ხორცი არ დაეთრგუნავს. ამასთანავე, საეკლესიო პირს ასაკიც შესაფერისი უნდა ჰქონდეს (რუის-ურბნისის კრების ძეგლისდება 1970, 114-115);

ბ) ეპისკოპოსი უნდა იყოს არანაკლებ 35 წლის, მღვდელი - ოცდაათის, დიაკონი - ოცდახუთის, ხოლო წიგნის მკითხველი - 8 წლის. ხელდასხმა უნდა ხდებოდეს ჯერ უმცროს თანამდებობაზე, შემდეგ თანდათანობით - უფროსზე (ქართული სამართლის ძეგლები, III, რუის-ურბნისის კრების ძეგლისდება 1970, 115-116); გ) ხელდასხმა და ეკლესიის კურთხევა უნდა ჩატარდეს გიორგი მთაწმინდელის გაწესების მიხედვით (რუის-ურბნისის კრების ძეგლისდება 1970, 116); დ)ძეგლისწერა კრძალავს მღვდლის ხელდასხმას ქრთამით, საფასით ან ძღვენით-აკრძალულია ეს ყველაფერი კათალიკოსმა მიიღოს ეპისკოპოსისაგან და ეპისკოპოსზე უფრო დაბალი რანგის მსახურთაგან, ხოლო ეპისკოპოსმა-ეკლესიის მსახურთაგან (რუის-ურბნისის კრების ძეგლისდება 1970, 116); ე) საეკლესიო ქონება, საეკლესიო ჭურჭელი, ნაყიდი ან შემოწირული, მხოლოდ თავისი დანიშნულებისამებრ უნდა იხმარებოდეს, ხელი არ

უნდა ახლონ ტყვის გამოხსნის დროსაც კი. 3)ქორწინება, მონათვლა, მონაზვნად განწესება ხდებოდა განსაზღვრული წესით და ამ წესის დარღვევა აკრძალული იყო. გვირგვინის კურთხევა მხოლოდ ეკლესიაში უნდა შესრულებულიყო. კრების ძეგლისწერაში ნახსენებია პირველი და მეორე ქორწინება. როგორც ჩანს, მესამე და მომდევნო ქორწინებას ის არ ცნობდა (რუის-ურბნისის კრების ძეგლისდება 1970, 116); ზ) დაქორწინებისათვის საჭირო იყო განსაზღვრული ასაკი - ქალი უნდა ყოფილიყო არანაკლებ 12 წლისა; თ) კათალიკოსსა და ეპისკოპოსთაგან უნდა შეირჩნენ ეკლესიის ისეთი მსახურნი, რომლებიც გათვითცნობიერებულნი არიან საქრისტიანო წესებში. ამასთანავე მღვდელი იქნება, დიაკონი თუ, საერთოდ ეკლესიის მსახური, უანგაროდ უნდა ემსახურებოდეს ეკლესიის საქმეს; ი) რუის-ურბნისის ძეგლისწერის მიხედვით, მოძღვართა სიმრავლე მონასტერში... „მრავლისა შფოთისა და განხეთქილების მიზეზსა შემოიღებს“, ამიტომ მოძღვართა რიცხვი უნდა განისაზღვროს: დიდ მონასტერში დასაშვებია ორი მოძღვარი, ხოლო პატარაში - ერთიც საკმარისია (რუის-ურბნისის კრების ძეგლისდება 1970, 118);

კ) ძეგლისწერა კრძალავს მონასტერში ერისკაცთა მიერ „სამოქალაქო“ და „სოფლის“ საქმიანობას - ვაჭრობას, განმარტავს, რომ მონასტერი არის სამლოცველო დაწესებულება და იქ ერისკაცების შეკრება, საერო ხასიათის საქმიანობისთვის, დაუშვებელია (რუის-ურბნისი კრების ძეგლისდება 1970, 119); ლ) ძეგლისწერაში განმარტებულია, თუ სად, როგორ, ვის მიერ უნდა სრულდებოდეს ცოცხალთა და მიცვალებულთა ლოცვა და „ჟამისწირვა“. გ)რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერის მიხედვით, სომეხნი სარწმუნოებით მწვალებელნი არიან და თუ სომეხი მართლმადიდებლობას აღიარებს, მართლმადიდებელმა ეკლესიამ ისეთი წესით უნდა მიიღოს, როგორი წესითაც ღებულობს წარმართს (რუის-ურბნისის კრების ძეგლისდება 1970, 119-120); ნ) ძეგლისწერით აიკრძალა მართლმადიდებლისა და წარმართის შეუღლება. ო)აკრძალულია ასევე წარმომადგენლობითი ქორწინება (რუის-ურბნისის კრების ძეგლისდება1970, 120-121); როცა შესაუღლებელნი სხვადასხვა ადგილს არიან და მათი ერთად შეყრა არ ხერხდება, მაშინ გვირგვინის კურთხევის დროს საქმროს მაგიერ მისი წარმომადგენელი უნდა იყოს. კ)კრების ძეგლისწერა ეხება სოდომურ დანაშაულსაც, ე.ი. არაბუნებრივ სქესობრივ კავშირს, მამათმავლობას, ჰომოსექსუალიზმს. ძეგლი უფრო დაწვრილებით განიხილავს ამ

დანაშაულს და მიიჩნევს მას ბუნების საწინააღმდეგოს. იგი ასახელებს ცოდვებს: ადამიანთა შორის მტრობას, შურს, სიძულვილს, კაცისკვლას, მრუშობას, ცრუ-ფიცს და მათ შორის ყველაზე დიდ ცოდვად თვლის კერპმსახურებას.

ძეგლისწერის მიხედვით სოდომური ცოდვაც განსხვავებულია ჩმოთვლილი ცოდვებისაგან. ყოველგვარი ნივთი, საგანი ღმერთმა გააჩინა და მათ გარკვეული დანიშნულება მისცა ადამიანის სასარგებლოდ, ხოლო სოდომური ცოდვა „წინსაუკუმო ბუნებისა შესცვალებენ ბუნებითსა ძალსა თვისსა“; სოდომური ცოდვა ღვთისა და ბუნების საწინააღმდეგო მოვლენაა. ამ ცოდვამ დაღუპა მრავალი სახელმწიფო, მრავალ ხალხს დაუკარგა თავისუფლება (რუის-ურბნისის კრების ძეგლისდება 1970, 121-123).

რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერაში ასეთი პარალელები და დაპირისპირებული ცნებებია მოცემული: მდიდარი და გლახაკი, აზნაური და მდაბიო, მღვდელი და უმღვდელო, მოწესე და ერისკაცი. მოცემულია ადამიანის ასაკთა გრადაცია: მოხუცებული, შუა-კაცი და ჭაბუკი (სურგულაძე 2000,186).

ასეთივე საინტერესო სამართლებრივ საკითხებს ვხვდებით დავით აღმაშენებლის ანდერძში შიომღვიმის მონასტრისადმი (1123 წ.). ამ ანდერძით მეფე უმტკიცებს მონასტერს მამულებს და განსაზღვრავს მის შეუვალობას ანუ იმუნიტეტს.

ეს მონასტერმა დაიმსახურა იმით, რომ დაეხმარა მეფეს თავგასული ფეოდალის ძაგანის შეპყრობაში, რომელიც მტრობდა მეფეს და ქვეყანას. რუის-ურბნისის საეკლესიო კრების შემდეგ დავით IV მსხვილი ფეოდალების და უზნეო მღვდელმთავრების წინააღმდეგ გაატარა როგორც საკადრო, ასევე სადამსჯელო ღონისძიებანი, საეკლესიო თანამდებობაზე მოვიდნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც მსხვილ ფეოდალებს არ ეკუთვნოდნენ. ანდერძში ხაზგასმულია, რომ შიომღვიმის მონასტერი მეფის ერთგულია სიტყვით და საქმით, რის გამოც მადლიერი მეფე მას და მის მამულებს კათალიკოსის იურისდიქციიდან ათავისუფლებს და ანიჭებს იმუნიტეტს. ანდერძის მიხედვით კი მონასტრის ყმებს ასამართლებს დიაკონი და შემოსავალი მონასტერს უნდა მოხმარდეს ზეთის საყიდლად (დავით მეფის ანდერძი შიომღვიმის მონასტრისადმი 1965, 14).

ანდერძში ნახსენებია „საავაზაკონი და წარტყუენილი“, რაც ნიშნავს ძალადობით წართმეულს. ავაზაკი ყაჩაღს, მძარცველს ნიშნავდა. მეფე ამ დოკუმენტით კრძალავს

მონასტრის შევიწროებას, ვისგანაც არ უნდა იყოს ან რა საფუძველზეც არ უნდა მოხდეს ეს; ერთი ასეთი მიზეზია „ქრთამი“, ე.ი. თუ რომელიმე ხელისუფალმა „ქრთამის“ აღების შედეგად ზიანი მიაყენა მონასტერს (სურგულაძე 1973, 191-195).

ივ. სურგულაძის თქმით, „ქრთამს“ ძველ ქართლში ორგვარი მნიშვნელობა ჰქონდა: მოხელისათვის დანიშნული კანონიერი გასამრჯელოსი და სამართლის გამრუდებისათვის მოხელის მიერ აღებული საფასური. წყაროებში ცნება „ქრთამი“ გვხდება როგორც კანონიერი გასამრჯელოს, ისე დანაშაულის მნიშვნელობით (სურგულაძე 2000, 22-23).

სასამართლო საქმის გარჩევას იმ პერიოდში „განსჯა“ ეწოდებოდა (ჟორდანია 1896, 15-19) „სამკვიდრებელი“, საერთოდ მემკვიდრეობას ნიშნავს, ხოლო ძეგლის მიხედვით, ყოველგვარ ქონებას, რომელიც ადამიანმა მემკვიდრეობით მიიღო; ანდერძის მიხედვით, ვინც ჩემი ანდერძი დაარღვიოს „სამკვიდრებელი მისი ოხერ და ნაშობნი მისანი მოსასვრელ“ იყოს. ანდერძის თავი და ბოლო მხედრულით არის შესრულებული თვითონ დავით აღმაშენებლის მიერ (შანიძე 1924, 47-48).

ანდერძში გვსვდება ერთმანეთთან დაპირისპირებული სხვადასხვა ტერმინები: მეფე და მთავარი, ეპისკოპოსი და მონაზონი, გლეხი და აზნაური. ცალკეა დასახელებული ხელისუფალი (ქართული სამართლის ძეგლები, II, დავით მეფის ანდერძი შიომღვიმის მონასტრისადმი 1965, 18). მთავარი ანდერძის დაწერის მომენტში მეფის მოხელე იყო ან დიდი ფეოდალი - მოხელეობის (თანამდებობის) გარეშე. ეპისკოპოსი ანდერძის მიხედვით ეპარქიის გამგებელია, ხოლო მონაზონი - მოწესეა. ხელისუფალი კი ეწოდება დიდ მოხელეს (სურგულაძე 2000, 23).

## 2.3 განვითარებული და გვიანი ფეოდალური ხანის ქართული სამართლებრივი და კონსტიტუციური აზროვნება

XII საუკუნის ქართული სამართლებრივი და კონსტიტუციური აზროვნების ისტორიისათვის მნიშვნელოვანი მოვლენაა სამეფო ტახტის უზურპაცია გიორგი III (1156-1184) მიერ.

დავით აღმაშენებლის ანდერძის თანახმად სამეფო ტახტზე ავიდა დემეტრე I (1125-1156) ანდერძის თანახმად, როცა დემეტრეს უმცროსი ძმა (ნახევარძმა) ვახტანგი

წამოიზრდებოდა და ქვეყნის მართვას ისწავლიდა, დავითის სურვილით, დემეტრეს ის უნდა გაემეფებინა.

1130 წელს ვახტანგის (ცვატას ეძახდნენ მოფერებით) მომხრეები შეეცადნენ მის ტახტზე ძალით აყვანას. დემეტრემ შეთქმულნი დასაჯა, მათ შორის ვახტანგის თვალები დათხარა. ამის მერე იგი ერთპიროვნულად მართავდა ქვეყანას. დემეტრეს ორი ვაჟი ჰყავდა დავითი და გიორგი. ტახტი კანონით ეკუთვნოდა უფროს ვაჟს დავითს, რომელიც ეჭვობდა, რომ მამამისი მეფედ მის უმცროს ძმას- გიორგის ამზადებდა.

1155 წელს დავითმა ტახტი წაართვა მამას, რომელიც იძულებით ბერად აღიკვეცა. დავითს დიდხანს არ უმეფია - ის უეცრად გარდაიცვალა (ვარაუდობენ, რომ მოწამლეს).

დემეტრემ ეკლესია და ბერობა მიატოვა და კვლავ ტახტზე დაბრუნდა. წესით და კანონით ტახტი ეკუთვნებოდა დავითის ვაჟს დემეტრეს (დემნას), რომელიც მაშინ მცირეწლოვანი იყო. მაგრამ დემეტრე მეფის სურვილით ტახტი დაიკავა მისმა ფავორიტმა შვილმა გიორგი მესამემ (1156-1184), რომელმაც პირობა დადო, რომ დემნას სამეფოდ მომწიფების ჟამს მას მეფობას დაუბრუნებდა. გიორგი მესამეს დედოფლისგან ჰყავდა ასული თამარი (მომავალი თამარ მეფე), ვაჟი კი არ ჰყავდა. სასახლეში საგანგებოდ მიყვანილი მაღალი წრის ხარჯისგანაც მას კვლავ ქალწული (რუსუდანი) შეეძინა. ამრიგად, მას ვაჟი არ ჰყავდა და ყველა წესით დემნა უფლისწული უნდა გაემეფებინა.

ჩვენ ვეთანხმებით პროფესორ ვაჟა შუბითიძის მოსაზრებას, რომ სწორედ გიორგი III-ის დროს უნდა მომხდარიყო დავით მეფის ანდერძის (1125 წ) გაყალბება და იქ ჩამატება იმ მუხლის, რომ ტახტი უფროსი ძმიდან მომდევნო ძმაზე გადასულიყო, რითაც მისი მეფობის გამართლება და ლეგიმიტაცია მოხდებოდა.

როდესაც დემნა უფლისწული და მისი სიმამრი, ამირსპასალარი ივანე ორბელი დარწმუნდნენ, რომ გიორგი III აღარ აპირებდა ძმისშვილისთვის ტახტის დაბრუნებას და პირიქით, დაიწყო მზადება თამარის თანამეფედ დასასმელად, 1177 წელს მათ აჯანყება დაიწყეს, ახლოს იყვნენ წარმატებასთან, რადგან დიდაზნაურთა უმრავლესობა მათ კანონიერ პრეტენზიას სწორად თვლიდა და მხარს უჭერდა, თუმცა საბოლოოდ დამარცხდნენ. გიორგი მესამემ სასტიკად დასაჯა აჯანყების მეთაურები,

რომლებიც თავისით ჩაბარდნენ მეფეს. დემნას ჯერ თვალები დათხარეს, მერე კი ციხეში დაასაჭურისეს, სადაც გარდაიცვალა კიდეც.

დემნა უფლისწულის სიკვდილით დასჯით გიორგი მეორემ 2 უდიდესი გადაცდომა დაუშვა:

I. საბოლოოდ მოახდინა სამეფო ტახტის და ხელისუფლების უზურპაცია;

II. ამოწყვიტა მეფობის კანდიდატთა - ბაგრატიონების მამაკაცთა შტო, რომლებზეც გადადიოდა წესით მეფობა (თამარის შვილები - გიორგი  და რუსუდანი, ასევე მათი შვილები რეალურად უკანონო მმართველები და ნამდვილი ბაგრატიონები არ იყვნენ).

სწორედ ამან ჩაუყარა საფუძველი 1178 წლიდან სახელისუფლებო კრიზისს [რომელიც 1195-1204 წლებში შამქორში, ბასიანში და ტრაპიზონში მიღწეული წარმატების მიუხედავად, ღრმავდებოდა და საბოლოოდ კატასტროფით დამთავრდა ჯალალ ედ-დინისა (1225-30) და მონღოლების (1235-1335) დროს]. ეს ყველაფერი კი გამოიწვია ტახტის უზურპაციამ გიორგი III-ის დროს.

XIII საუკუნეში ქართული სამართლებრივი აზროვნება კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე ავიდა. იმჟამად, არც ერთ ევროპელ ქვეყანაში არ იყო გამომუშავებული საკუთრების უფლების ამსახველი ტერმინი, ხოლო X საუკუნის ქართულ ძეგლში „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“ ასეთი ტერმინი დამოწმებულია (სურგულაძე, 1949), დამოწმებულია აგრეთვე საკრედიტო ამხანაგობა (რკინის სიგელი). აქვთიმე მთაწმინდელის (XI ს.) მიერ ბრალის პრობლემის დამუშავება მაღალ საფეხურზეა აყვანილი (სურგულაძე 1953, 149-172).

სამართლებრივი და პოლიტიკური თავლსაზრისით ასევე ძალზე მნიშვნელოვანია XIV საუკუნის ძეგლი „ხელმწიფის კარის გარიგება“, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია XVIII საუკუნის ხენაწერის სახით. ძეგლი ერთ-ერთი თავადის ოჯახში შემთხვევით აღმოაჩინა და დაღუპვას გადაარჩინა (მოახლე ნაგავში უპირებდა გადაგდებას) პროფ. ექვთიმე თაყაიშვილმა. ძეგლი ნაკლული და ამდენად ძნელად გასაგებია. მის აღდგენაზე მუშაობდნენ ექვთიმე თაყაიშვილი, ივანე ჯავახიშვილი და ნიკო მარი.

შუა საუკუნეების ამ ბრწყინვალე ძეგლში დახასიათებულია იმ პერიოდის საქართველოს სახელმწიფოებრივი მოწყობა. ამ ძეგლის მიხედვით, მეფე საერო და

საეკლესიო ხელისუფლების მეთაურია (ხელმწიფის კარის გარიგება 1965, 81-82). მეფე იწვევს დარბაზს თავისი შეხედულებით „დიდითა წესითა და უმცროსითა“, ანუ დარბაზის სხდომის წესი ორგვარია - დიდი, გაფართოებული წესით და პატარა ვიწრო წესით.

„ხელმწიფის კარის გარიგებით“ მეფე განსაკუთრებულ უფლებებით და პატივით სარგებლობს. ყველა მისი ნაბიჯი და მოქმედება გათვლილია: დილით ტანის ჩაცმა, მასზე მისალმება, კარისკაცთა მიღება და სხვა (ხელმწიფის კარის გარიგება 1965, 82). ისიც კი გათვალისწინებულია, თუ ვინაა მასთან, როცა მეფე „უკაზმავია“, ვინ იძინებს მეფის გვერდით ოთახში, ვინ აწვდის ღამით წყალს, თუ ასეთი რამ მოუნდება და სხვა მეფის ცხოვრება ისე არის აღწერილი, როგორც აბსოლუტური მონარქისა საფრანგეთში (ხელმწიფის კარის გარიგება 1965, 83). ძეგლის მიხედვით, მეფის ხელისუფლება შეუზღუდველია. ივ. სურგულაძის აზრით, რომელიც უფრო მარქსისტულ კლიშეებს ეყრდნობა, აბსოლუტიზმი წარმოიშობა მაშინ, როცა ფეოდალიზმის წიაღში კაპიტალიზმის ჩანასახებია განვითარებული, აბსოლუტიზმი ფეოდალიზმის უკანასკნელი საფეხურია, ასეთი ვითარება-გარემოება კი XIV საუკუნის საქართველოში არ იყოო (საბჭოთა სამართალი, 1959).

ჯერ კიდევ XII საუკუნიდან, დავითის ეპოქიდან, მერე კი გიორგი III და თამარის მეფობაში უკვე ჩანს (მათ შორის კარგად ჩანს „ვეფხისტყაოსანშიც“), რომ საქართველოში უკვე საფუძველი ეყრებოდა ვაჭრობაზე და მცირე მეწარმეობაზე აგებულ კაპიტალისტური წყობის ელემენტებს და სრულადაც არაა გასაკვირი, რომ პირველად აქ გაჩნდა აბსოლუტიზმის ნიშნები და მერე, მოგვიანებით განვითარდა იგი ევროპაში, რომელიც ეკონომიკური განვითარებით XII-XIII საუკუნეების პერიოდში ჩამოგვრჩებოდა ჩვენ.

„ხელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით მეფის ხელისუფლება გარკვეულად შეზღუდულია. მეფე ქვეყანას მართავდა „ერთნებობითა შვიდსავე სამეფოსა დიდებულთა“ (ხელმწიფის კარის გარიგება 1965, 86). მეფე დარბაზს თავისი შეხედულებით კი იწვევდა, მაგრამ დიდი მოხელეების დანიშვნის, ომის და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს, დიდებულებთან დაკითხვით, მათთან შეთანხმებით წყვეტდა, ანუ მეფე მათთან ერთად მართავდა ქვეყანას. ასეთი სიყუაცია არ იყო ძლიერი მეფეების - დავით IV-ის, გიორგი III-ის დროს და გაჩნდა ახალგაზრდა

თამარის გამეფებიდან. ეს ნიშნავს, რომ „ხელმწიფის კარის გარიგება“ თამარის ან მისი შემდგომი მეფეების დროსაა შედგენილი და მერე გადაწერილი. რა იგულისხმებოდა ერთიან ქართულ სახელმწიფოში? მართალია დავით IV და გიორგი III-ის დროს მეფის ხელისუფლება ფორმალურად არ იყო შეზღუდული, მაგრამ ფაქტიური მდგომარეობით მეფე მთავრებთან და მსხვილ ფეოდალებთან მუდმივ ბრძოლაში იმყოფებოდა (ყივჩაღთა ჩამოსახლების ერთ-ერთი სერიოზული მიზეზი საგარეო ფაქტორთან ერთად ოპოზიციის დათრგუნვა იყო). სწორად აღნიშნავს ივ.სურგულაძე, რომ „მართალია, ქვეყანა გაერთიანებული იყო, მაგრამ მეფეები ამ ერთიან სამეფოში შემავალ სამეფო-სამთავროებს ამ უკანასკნელთათვის დამახასიათებელი კანონებითა და წეს-ჩვეულებებით მართავდნენ. დავით აღმაშენებელმა სახელმწიფოს ცენტრალური ხელისუფლების განსამტკიცებლად მნიშვნელოვანი რეფორმები ჩაატარა, მაგრამ შემდეგში მოვლენათა განვითარება სამეფოს ცენტრალიზაციის გაძლიერების მიმართულებით არ წავიდა“ (სურგულაძე 2000, 56). ამის მიზეზები იყო ის, რომ მსხვილი ფეოდალების ასალაგმავად საჭირო იყო მათი ეკონომიკური დასუსტება და არა მათთვის ახალი მიწების და საკარგავების მიცემა. რეალურად მეფეები (დავით IV-ის მერე) მთავრებთან და დიდაზნაურებთან მოსარიგებლად მათ ახალ მიწებს ან სახელებს აძლევდნენ, რის გამოც გლეხობა და წვრილი აზნაურობა მსხვილ აზნაურთა ხელში გადადიოდა და ნელ-ნელა მათი დაყმევება ხდებოდა. ამას გარდა, საქართველოს გაერთიანებას, რომელიც დიდხანს მიდიოდა, წინ უსწრებდა საქართველოს ცალკე სამეფოებად დაყოფის ხანგრძლივი პერიოდი. ეს ტრადიცია კი ძლიერი აღმოჩნდა და „ვეფხისტყაოსანშიც“ აისახა. ველური დამპყრობლები (თურქ-სელჩუკები, მონღოლები და სხვ.) შეგნებულად ასუსტებდნენ მეფეთა ხელისუფლებას როგორც პოლიტიკურად, ასევე ეკონომიკურად და პირიქით, აძლიერებდნენ დიდაზნაურებს (სურგულაძე 2000, 57).

„დარბაზის“ სიძლიერის გასანეიტრალებლად და საწინააღმდეგოდ მეფეები ეყრდნობოდნენ სავაზიროს. „ხელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით სავაზიროში 6 ვეზირი შედის (ხელმწიფის კარის გარიგება 1965, 89). „სავაზირო“ გვხვდება X საუკუნის ძეგლში „მამათა ცხოვრება“ და ის „სათათბიროს“ ნიშნავს (აბულაძე 1973). ივ.სურგულაძის მიხედვით „ამირან-დარეჯანიანში“ დამოწმებულია „ვაზირთა უხუცესი“, ასეთი კი იყო მწიგნობართუხუცეს - ჭყონდიდელი, „ვეფხისტყაოსანში“

ნახსენებია მთავარი ვეზირი არაბეთის მეფის კარზე, აგრეთვე ამირსპასალარი, ამილახორი და სხვა (სურგულაძე, 2000:58). სავაზირო მთავრობაა, ანუ მუდმივად მოქმედი დაწესებულება, რომელსაც ხელი უნდა შეეწყო მეფის ხელისუფლების გაძლიერებისათვის. სავაზირო ექვსი ვეზირისაგან შედგებოდა. მეექვსე ვეზირი - მსახურთ- უხუცესი რუსუდანის (1223-1245) დროიდან გვხვდებოდა. რაც შეეხება ათაბაგობას, იგი თამარის მეფობის ბოლო წლებში (1212 წლიდან) შემოიღეს და პირველი ათაბაგი მსახურთუხუცესი ივანე მხარგრძელი იყო, რომელმაც ათაბაგობა მეფეს პირადად თხოვა, როგორც უფლისწულის (გიორგი-ლაშა) აღმზრდელმა (სურგულაძე 1965, 36).

რაც შეეხება მწიგნობართუხუცესს, დავით IV აღმშენებელმა ეს თანამდებობა თავად შექმნა და უბოძა (გაუერთიანა) ჭყონდიდელს იმ მიზნით, რომ მეფის ხელისუფლებას ეკლესიაც მორჩილ ჰყოლოდა და როგორც სასულიერო მაღალი იერარქი, უცოლო, ის არ მოითხოვდა მიწებს და პრივილეგიებს მეფისგან. ჭყონდიდელის, როგორც ეპისკოპოსის, მეშვეობით მეფე ერეოდა ეკლესიის საქმეები, რადგან ჭყონდიდელი პატრიარქის შემდეგ მეორე პირი იყო ეკლესიაში და ასევე მეორე პირი საერო მმართველობაში მეფის შემდეგ.

გიორგი III-ის დროს „ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენებულნი არიან ვეზირები, მაგრამ ისინი კონკრეტულად დასახელებულნი არ არიან („ქართლის ცხოვრება, I, ისტორიანი და აზმანი... 1955, 10). გიორგი მესამის დროიდან იხსენიება ამირსპასალარი და მანდატურთუხუცესი (ისტორიანი და აზმანი... 1959, 6-20), თამარის დროს - მეჭურჭლეთუხუცესი ყურთლუ არსლანი (ბასილი ეზოსმოძღვარი 1959, 31). ე.ი. თამარის დროს იყო სამეფო კარის შემდეგი თანამდებობანი: მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი, ამირსპასალარი, მანდატურთუხუცესი, მეჭურჭლეთუხუცესი, მსახურთუხუცესი თუმცა ეს უკანასკნელი არ იყო ვეზირი). „მსახურთუხუცესი მანაველი“ რუსუდან მეფეს შეუყვანია სავაზიროში“ (ხელმწიფის კარის გარიგება 1965, 81).

„ხელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით სავაზიროს მოწვევა შემდეგნაირად ხდებოდა: „და თუ ვეზირობა იყოს, მათ მოახსენონ ჭყონდიდელსა, ათაბაგსა, ამირსპასალარსა, მეჭურჭლეთუხუცესსა, მსახურთუხუცესსა და ამილახორსა“ (ხელმწიფის კარის გარიგება 1965, 87).

სავაზიროს მოწვევის ინიციატივა მეფის პრეროგატივა იყო, თუმცა მას ხშირად მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი იწვევდა; „გარიგების“ მიხედვით „ჭყონდიდელი მამა არს მეფისა, აგრეთვე საურავი უმისოდ არ იქნების“ (ხელმწიფის კარის გარიგება 1965, 89).

სავაზირო მუდმივმოქმედი დაწესებულება იყო, რომლის სხდომებს პერიოდულად იწვევდნენ. თუ მას მეფე ესწრებოდა იგი ხელმძღვანელობდა სავაზიროს მუშაობას, მეფის არყოფნის დროს კი - მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი. „ხელმწიფის კარის გარიგებაში“ აღწერილია სავაზიროს სხდომა, რომელსაც მეფე ხელმძღვანელობს და ატარებს თავის სასახლეში. სავაზიროს სხდომის დაწყებამდე ხდებოდა „ჯალაბის გაყრა“ (ანუ ცოლის და ყმაწვილების გაყვანა). როცა მეფე სავაზიროში თავის ადგილს დაიჭერდა მსახურთუხუცესი ვეზირებს სხდომის დაწყებას აუწყებდა, ჩამოთვლილი ვეზირები მათთვის განკუთვნილ ადგილებზე დასხდებოდნენ. იდგა მხოლოდ ამილახორი „ვეზირობა ესმის და იგი არას იტყვის“ (ხელმწიფის კარის გარიგება 1965, 86). მწიგნობართუხუცეს ჭყონდიდელთან იდგა საწოლის მწიგნობარი, როგორც მისი მოადგილე, რომელსაც ხელში საწერელი უჭირავს, „ამირეჯიბი შუაზე დგას“ (ხელმწიფის კარის გარიგება 1965, 87). იგი მანდატურთუხუცესის მოადგილეა და სავაზიროს სხდომას სათათბირო ხმის უფლებით ესწრება, ისევე როგორც ამილახორი. მესაწოლეთუხუცესი გარეთ დგას, „მეფის ზურგით“ (ხელმწიფის კარის გარიგება 1965, 86). ის დიდი და მეფის ნდობით აღჭურვილი მოხელეა და ემსახურება მეფეს მაშინაც კი, როცა ის „უკაზმავია“. მას ექვემდებარება 700 სახლი მესაწოლე, ძირითადად აზნაურები, რომლებიც იცავენ მეფის უსაფრთხოებას, სავაზიროს სხდომის დროს იქვე არის მოლარეთუხუცესი, რომელიც „სალაროს კართა შიგან დგას, გამოსავალსა“ (ხელმწიფის კარის გარიგება 1965, 88). იქვე, თუმცა სავაზიროს გარეთ იცდიან: მეაბჯრეთუხუცესი, განმგეთუხუცესი, საჭურჭლის ნაცვალი, მესტუმრე და ზარდახნის მწიგნობარი - დიდი მოხელეები, რომლებიც სავაზიროს რაიმე განკარგულებას უცდიან: „ვინცა ხელისუფალნი სამოციქულოდ უნდათ, შეასხმენ და გაგზავნიან“ (ხელმწიფის კარის გარიგება 1965, 90). ამასთანავე „ჭყონდიდელი მწიგნობარს გადასცემს და ასწერენ და იურვიან, რაც სასაურვო იყოს“ (ხელმწიფის კარის გარიგება 1965, 90).

სააჯო კარს (ანუ სასამართლოს) მწიგნობართუხუცესი უძღვებოდა ყოველ ორშაბათს, როცა იგი საქმეების განსახილველად ჯდებოდა, მას თან ახლდნენ და მის მითითებებს იწერდნენ გვერდიგვერდ მდგარი საწოლისა და ზარდახნის მწიგნობარნი“ (ხელმწიფის კარის გარიგება 1965, 84). მათ გარდა მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელს ექვემდებარებოდა 24 მწიგნობარი (ხელმწიფის კარის გარიგება 1965, 86).

სავაზიროს საქმიანობა მოითხოვდა სხვადასხვა ხასიათის და სირთულის დოკუმენტის შედგენას, რასაც მწიგნობარნი და მეფის კანცელარია აკეთებდა მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის ხელმძღვანელობით (ხელმწიფის კარის გარიგება 1965, 87).

სავაზირო თავიდან 4 თანამდებობის პირისგან (მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი, ამირსპასალარი, მანდატურთუხუცესი და მეჭურჭლეთუხუცესი) შედგებოდა, რომელსაც რუსუდანის დროს ემატება ათაბაგი და მსახურთუხუცესი და სავაზირო 6 კაციანი ხდება.

„ხელმწიფის კარის გარიგება“ იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ მხოლოდ მასში გვხვდება უნიკალური ცნობა მოძღვართ-მოძღვრის ინსტიტუტის შესახებ. „გარიგების“ მიხედვით, მეფე ყველაზე დიდ პატივს მიაგებს მოძღვარი-მოძღვარს და ტახტიდან ყველაზე შორს, 10-12 ნაბიჯს გადადგამს და ისე მიეგებება. მეფე მას უფრო დიდ პატივს მიაგებს, ვიდრე კათალიკოსსა და მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელს (ხელმწიფის კარის გარიგება 1965, 90-96).

მოძღვართ-მოძღვარი სწავლული ბერია, მოძღვართა მასწავლებელი, რომელსაც საკუთარი სკოლა ჰქონდა და საკუთარი მიმდევრები და მოწაფეებიც ჰყავდა. დარბაზის სხდომაზე ის მეფის მერე პირველი პირი იყო, ვარაუდობენ რომ იყო გელათის აკადემიის რექტორი ან განათლების საქმის მეთაური (გინდ მინისტრი) საქართველოში (თაყაიშვილი 1920). ეს კიდევ ერთი დასტურია იმისა, თუ განვითარების რა დონეზე იდგა მაშინ საქართველო.

ამრიგად, „ხელმწიფის კარის გარიგება“ XIV საუკუნის უნიკალური ქართული ძეგლია, სადაც კარგად ჩანს, თუ რა მაღალ მიჯნას მიაღწია ქართულმა სამართლებრივ-პოლიტიკური აზროვნების დონემ. XII-XIII საუკუნეების საქართველოს პოლიტიკური

და სამართლებრივი მოძღვრებანი თავისი ხასიათით რენესანსულია და მსოფლიო დონეს შეესაბამება, რიგ შემთხვევებში კი უსწრებს კიდეც მას.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ქართული სამართლის ერთ-ერთ წყაროს რომის სამართალი წარმოადგენდა საქართველოში, მართლმადიდებლურ, ქრისტიანულ ქვეყანაში მოქმედება დიდი სჯულის და მცირე სჯულის კანონები. დიდი სჯულის კანონი XII საუკუნეში ბერძნულიდან თარგმნა გამოჩენილმა ქართველმა მოღვაწემ არსენ იყალთოელმა. დიდი სჯულის კანონში საეკლესიო სამართლის ნორმებთან ერთად საერო სამართლის ნორმებიცაა მოცემული. მკვლევართა აზრით, ამ ძეგლში მოთავსებულია ადგილები იუსტინიანეს დიგესტებიდან, ნოველებიდან და ინსტიტუციებიდან. ამ გზით შესაძლებელი გახდა საქართველოში რომაულ-ბიზანტიური სამართლის იდეების გადმოტანა-დამკვიდრება (საქართველო ევროპულ სივრცეში 2011, 223).

ამიტომაც აღარაა გასაკვირი, რომ ყუთლუ-არსლანის დასის დროს გადასწრებული სიახლე შემზადებული იყო არა მარტო რუსთაველის იდეებით, არამედ ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების ნააზრევითაც და იდეებითაც. ექვთიმე მთაწმინდელმა შეადგინა მცირე სჯულის კანონი ბერძნული კანონიკურ სამართლის სხვადასხვა წყაროს გადამუშავებისა და მასში ქართული მასალების შეტანის გზით. ამ ძეგლში მრავალი მუხლი თვით ექვთიმეს დაუწერია და ეს ძეგლი მეტად მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს სისხლის სამართლის სხვადასხვა საკითხზე, მასში დამუშავებულია ისეთი პრობლემები, როგორიცაა დანაშაული და სასჯელი, ბრალი და მისი ცალკეული სახეები, განზრახვა და გაუფრთხილებლობა, ასევე შემთხვევა ანუ კაზუსი (საქართველო ევროპულ სივრცეში, 2011, 224).

გიორგი მთაწმინდელმა ქართული მონასტრების წინამძღვართა დანიშვნისას შემოიღო „წილნაყრობის წესი“, ანუ თანამედროვე გაგებით პირდაპირი და ფარული არჩევნები: „საკმარისია XI საუკუნის დამდეგს ქართულ სამონასტრო წეს-წყობილებაში მომხდარი ცვლილება გავიხსენოთ, როდესაც წინანდელი მამასახლისისგან თანამდებობის პირთა დანიშვნის მონარქიული წესი რესპუბლიკურ წესად შეიცვალა და მონასტრებში ყველა წევრთა „თანადგომითა და ერთნებობით“ მოწყობილი არჩევნები იქნა შემოღებული, რომ თამარის დროს ყუთლუ-არსლანის დასის პოლიტიკური მოძრაობის შედეგად საქართველოს სახელმწიფო წეს-წყობილებაში

მომხდარი ცვლილებების იდეური სათავის სადაურობა ცხადი შეიქნას“ (ჯავახიშვილი 1983, 376).

დიდი ქართველი მეფეები დავით IV აღმაშენებელი, თამარი, გიორგი ბრწყინვალე ამკვიდრებდნენ წმინდა ქართულ (დღეს უკვე ევროპულ) იდეალებსა და პრინციპებს, ისეთებს, როგორიცაა: რელიგიური მშვიდობიანობა (ტოლერანტიზმი), ყველა რელიგიის პატივისცემა და დახმარება ხელისუფლების მხრიდან, არააბორიგენების მიმართ შეღავათებს და მათი ენის და კულტურის დაცვას, კერძო საკუთრების ხელშეუხებლობას და პატივისცემას, სახელმწიფო სამსახურში დგომის ტრადიციას, და არა წარმომავლობით ოდენ სიამაყეს, სიკვდილით დასჯის შეჩერება, ასოების მოკვეთის გაუქმება, ქველმოქმედება (შემოსავლის 10% იხარჯებოდა ქველმოქმედებაზე, გაჭირვებულებზე) ეს ყველაფერი საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა იყო, რომელიც მერე დამკვიდრდა ევროპაში (საქართველო ევროპულ სივრცეში 2011, 144).

ეს ყველაფერი კიდევ ერთხელ მეტყველებს, რომ ქართული სამართალი, კონსტიტუციური აზროვნება, მაშინ მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ჰუმანური და დემოკრატიული სფერო იყო. ამიტომ წერდა დიდი ივანე ჯავახიშვილი, რომ „სამართლის საქმეთა ორგანიზაციაშიც საქართველომ იმ ეპოქაში საგრძნობ პროგრესს მიაღწია. სისხლის სამართლის თეორიის უდიდესი მიღწევების გვერდით, იმ მიღწევების, რომელთა მშვენიერი მაგალითი მოცემულია ექვთიმე ათონელის მოძღვრებაში მკვლელობისა და ჭრილობათა მიყენების შესახებ, საქართველოში მთელი რიგი ღონისძიება იყო ჩატარებული პრაქტიკული ხასიათისაც: შექმნილი იყო საგანგებო დაწესებულება, რომელიც განაგებდა მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეებს... ამგვარად, გამიჯნულ იქნა სფერო სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საქმის წარმოებისა. შემდეგ საკასაციო საჩივართა გარჩევა დავით აღმაშენებელმა ჩამოართვა უზენაესი ხელისუფლების ფუნქციებს (ე.ი. სასამართლო გამოყო აღმასრულებელი ხელისუფლებიდან და ცალკე ორგანოდ, ხელისუფლებად აქცია - ა.კ.). ნაცვლად ამისა შეიქმნა უზენაესი საკასაციო კოლეგიური სასამართლო“ (ჯავახიშვილი 1983, 409).

ცნობილია, რომ მაშინდელ საქართველოში არათუ სისხლის სამართლის კოდექსები, არამედ ცალკეული სახელმწიფო უწყებებისათვის საგანგებო და

სპეციალური იურიდიული აქტებიც იქმნებოდა. მაგ: გიორგი III-ის სიგელის მიხედვით საქართველოში ჩამოყალიბებულია სამპარავთმძებნელო დაწესებულება, რომელიც თავისი შტატი და დებულებაც გააჩნია (სურგულაძე 2000, 81). ქართული განვითარებული სამართლის საწყისების გავლენა ჩანს გიორგი V ბრწყინვალეს (1318-1346 წწ.) ბრძანებით 1334-1336 წლებში შექმნილ „ძეგლის დადებაში“. მიუხედავად იმისა, რომ ეს ძეგლი მაშინ ჩამორჩენილი მთიულეთის თვისაა შექმნილი და მისი ძირითადი წყარო ადათობრივი სამართალია, მხედევლობაშია მიღებული სისხლის აღების ჩვეულებაც, იგი ცდილობს, სადაც კი შესაძლებელია გაატაროს განვითარებული სამართლის საწყისები. მაგ: ძეგლის მიხედვით, კვალიფიციურ მკვლელობად ითვლება დედის, მამისა და ძმის მკვლელობა (მუხლი 15,17). კანონმდებელი ასევე იხილავს თანამონაწილეობის საკითხს - თანამონაწილეები ერთდროულად ისჯებიან, მშობლის მოკვლა კი უმძიმესი დანაშაულია (სურგულაძე 2000, 82).

რომის სამართლის გავლენა იგრძნობა ბაგრატ კურაპალატისა და ბექა-აღბუღას (XIV ს.) სამართლის წიგნებში, რომლებიც ქართულ სამართლებრივი აზროვნების მნიშვნელოვანი ძეგლებია. ძეგლის შესავალი (დასაწყისი) თავად აღბუღასია, პირველი 65 მუხლი მისი პაპის მანდატურთუხუცეს ბექასი, 65 მუხლიდან 98-მდე-აღბუღასი, ხოლო 100 დან 103 მუხლის ჩათვლით და შეიძლება მეტიც ბაგრატ კურაპალატს ეკუთვნის. აკადემიკოს ისიდორე დოლიძის (რომელმაც გამოსცა ძეგლი 1672 წლის უძველესი ხელნაწერის მიხედვით) აზრით, ეს არის ბექა-აღბუღას სამართალი, რომლის სახელწოდებაა „წიგნი სამართლისა კაცთა შეცოდებისა ყოველთავე“ (ქართული სამართლის ძეგლები, I 1963), სულ მოიცავს 176 მუხლს. აღნიშნული სამართლის წიგნი აღბუღას მიერ შედგენილ უნდა იყოს 1381-1386 წლებს შორის (ი. დოლიძე), თემურ-ლენგის შემოსევამდე. ეს სამართლის წიგნი ადგილობრივი დანიშნულებისაა, იგი მხოლოდ სამცხე-საათაბაგოსთვის იყო შედგენილი. ამ სამართლის წიგნით უმაღლესი ხელისუფალია არა მეფე, არამედ ათაბაგი, ხოლო ეკლესიის უმაღლესი იერარქია არა კათალიკოსი, არამედ მაწყვერელი (სურგულაძე 2000, 85).

ბექა-აღბუღას სამართლის წიგნში მოცემულია ნორმები სამართლის სხვადასხვა დარგიდან. აქ გვხვდება ძირიათადად სისხლის სამართლის ნორმები (მკვლელობა,

დაჭრა, მეკობრეობა და სხვ. და მათი საზღაური), ხოლო სამოქალაქო სამართლის ნორმებით სამართლის წიგნი ეხება საკუთრების უფლებას, ნასყიდობას, გირავნობას, სესხსა და სხვ. წიგნი ეხება სამოსამართლო სამართლის საკითხებს (ბჭე, შუაკაცი, მტკიცების საშუალებანი და სხვ.)(სურგულაძე 2000, 87).

პროფესორები გია ნადარეიშვილი და ვალერიან მეტრეველი მიიჩნევენ, რომ ბერძნული და როამული სამართალი სხვადასხვა დროს გავლენას ახდენდა ქართულ სამართალზე, თუმცა იყო პირიქითაც. ვ.მეტრეველის აზრით რომის სამართლის გავლენის პირდაპირი დამამტკიცებელი საბუთია ვახტანგ VI სამართლის წიგნთა კრებულში შესული „სამართალი ბერძნული“, რომელიც რომაული სამართლიდან არის რეცეპტირებული, მაგრამ, რადგან საბერძნეთში მოქმედებდა, ბერძნული სამართლის სახელწოდებით საქართველოში გადმოიტანეს. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ბერძნული სამართალი ზოგჯერ „იუსტინიანე მეფის“ სამართლად მოიხსენიება (საქართველო ევროპულ სივრცეში, 2011, 224).

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულის ძირითადი ნაწილი ვახტანგის სამართლის წიგნია, რომლის სათაურია „სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა“. კრებული შედგენილია ვახტანგის ჯანიშინობის პერიოდში, როცა ვახტანგი გიორგი XI-ის ნაცვლად ქართლს მართავდა და გიორგი XI ჯერ კიდევ ცოცხალი იყო (1704-1709 წწ.)

ვახტანგის სამართლის წიგნის ძირითადი წყარო ქართული ჩვეულებითი სამართალია. ვახტანგმა შეადგინა საკოდიფიკაციო კომისია, რომელმაც დიდი სამუშაო გასწია.

ვახტანგმა VI-ის სამართლის წიგნისათვის წყაროდ გამოყენებულია გიორგი V ბრწყინვალეს ძეგლის დადება, ბექა-აღბუღას სამართალი, კათალიკოსის სამართალი, ბერძნული, ებრაული და სომხური სამართალი, საიდანაც კრებულის შემდგენელი იღებს ამა თუ იმ ინსტიტუტს და აძლევს მას ამა თუ იმ შინაარსს, ფორმას, რომელიც კანონმდებელს თავისი დროისა და ვითარების შესაბამისად მიაჩნია (სურგულაძე 2000, 87).

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი ერთიანი სისტემით არაა დაწერილი და შედგენილი. 204-ე მუხლის მერე ვხვდებით კანონმდებლის ბოლოსიტყვაობას, რის შემდეგაც მოდის 205-ე მუხლი. ეს ნიშნავს, რომ პირველი ვარიანტი ვახტანგის

სამართლის წიგნისაა 204-ე მუხლით მთავრდებოდა და შემდეგაა დამატებული დანარჩენი მუხლები.

შემდგენელი ბოლოსიტყვაობაში წერდა: თუ „მოიძაგოთ და ინებოთ შეცვლა სამართალთა სხვებრ რათმე, ამას ნუ ჰყოფთ, ნურცა გარყვნით წერილთა ჩვენთა. რომელი აგვეწეროს, არამედ რომელმან უმჯობესი სიბრძნით თვისით ჰპოოს, იგი ჩართვით თვისივე თქმელად, სად ენებოს მუნ დაწეროს და იგიც ეგოს“ (ვახტანგVI სამართლის წიგნი 1963, 533).

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის 105-167 მუხლები შედგენილია თვით ვახტანგის დროს. 205 მუხლამდე ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი გარკვეული სისტემითაა შედგენილი, საკითხები დალაგებულია გარკვეული პრინციპით, მსგავსი ინსტიტუტები ერთმანეთს მოსდევს. 205-ე მუხლიდან კი კანონების დალაგებას შემთხვევითი ხასიათი აქვს, ადგილი აქვს განმეორებებს (სურგულაძე 2000, 111).

კანონთა შემდგენელმა კარგად იცის, რომ კაზუსები ამოუწურავია და არც იჩემებს, რომ მას რამე არ აკლია, ამიტომ ვინც მიხვდეს, თვითონ შეადგინოს შესაფერისი მუხლი, რითაც კარგ საქმეს გააკეთებსო. საეკლესიო და საერო პირებთან შეთანხმებით, „ჭკვიანი“ და „მოხუცებული“ კაცების მიწვევით, მოუძიებიათ და გადმოუთარგმნიათ კიდეც, რასაც ორი წელი დასჭირვებია. ნათარგმნში იგულისხმება ბერძნული, ებრაული და სომხური სამართლის წიგნები, თუმცა ესენი „უფრო ჩვენდა უხმარ არს“, რადგან საქართველოს სახელმწიფო წყობა, სხვაა „სხვა არს დიდებული და თავადი, სხვა არს სისხლი და სხვ. (ვახტანგVI სამართლის წიგნი 1963, 532).

ვახტანგ VI-ის სამართლის კრებულს სავალდებულო ძალა აქვს, მაგრამ საკუთრივ ვახტანგის სამართლის წიგნის გარდა, სხვა სამართლის წიგნებს ამავე კრებულში, დამატებითი მნიშვნელობა აქვს და მოსამართლე. მათ მაშინ იყენებს, როცა სათანადო ნორმას ვახტანგის სამართლის წიგნში ვერ იპოვის.

ვინაიდან ვახტანგ VI ქართლის მეფე იყო, ამ კანონებს სავალდებულო ძალა მხოლოდ ქართლში ჰქონდათ, სხვა კუთხეებში კი, თუკი მაინც გამოიყენებოდა, უფრო იმიტომ, რომ ვახტანგის სამართლის წიგნი ქართულ ჩვეულებათა საფუძველზე იყო შედგენილი, თუმცა სავალდებულო ძალა სხვა კუთხეებში მას არ ჰქონდა.

ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ შემთხვევის (კაზუსი) მნიშვნელობა ცნობილი იყო გაერთიანების ხანის საქართველოში და მის შემდეგაც (სურგულაძე 2000, 112).

ექვთიმე მთაწმინდელი სიტყვა შემთხვევის (კაზუსის) მნიშვნელობით ხმარობს ტერმინს „იშობრივს“, სულხან-საბა ორბელიანი კი ამ სიტყვას განმარტავს შემდეგნაირად: „იშობრიე-ფათერაკსავით (ფათერაკად)“. როგორც ჩანს სპარსული წარმოშობის „ფათერაკი“ (ხიფათი, უბედური შემთხვევა) საქართველოში გვიან შემოდის ხმარებაში, მანამდე კი მას ცვლის ტერმინი „იშობრივ“. ივ.ჯავახიშვილი სიტყვა „იშობრივს“ გადმოგვცემს ტერმინით „უეცრად“ (ჯავახიშვილი 1929, 250).

კანონმდებელი მკვლელობის შემთხვევაში არჩევს:

1. მოწამვლით მკვლელობას (მიჩნეულად ყველაზე მძიმე ფორმად);
2. შუღლით მკვლელობას;
3. „მტრობით სიკვდილს“ და
4. „ფათერაკით სიკვდილს“ (მუხლი 252)

სულხან-საბა ორბელიანი თავის ქართულ ლექსიკონში „ფათერაკის“ ასეთ განმარტებას იძლევა: „ფათერაკი-მოულოდნელად და უნებლიედ იქმნას რამ ანაზდათ“ (ორბელიანი 1938, 47)

ვახტანგის სამართლის წიგნში „ფათერაკი“ შემთხვევა-გაუფრთხილებლობას ნიშნავს. ვახტანგის სამართლის მიხედვით, ისე როგორც მის თანადროულ ევროპაში, მოცემულია განზრახვისა და აგრეთვე, არაგანზრახვითი მოქმედების დიფერენცირება; სამართლის წიგნმა იცის როგორც გაუფრთხილებლობის ცნება, ისე შემთხვევაც, მაგრამ მათ შორის მტკიცე დეემარკაციული ხაზი არ გაუვლია; ბრალის ცნების ის დიფერენცირება, რომელიც ვახტანგის სამართლის წიგნშია მოცემული, სამართლის განვითარების მაღალ დონეს ავლენს. სწორად მიუთითებს ივ.სურგულაძე, რომ გაერთიანების ხანაში ორდალებს (ღვთის მსჯავრს) იმიტომაც არ უნდა ჰქონოდა ადგილი, რომ ქართული სამართლის განვითარების დონე მაღალი იყო; ამას უნდა დავუმატოთ შემდეგი: ქართულმა სამართალმა X საუკუნეში შეიმუშავა საკუთრების უფლების ცნების ამსახველი ტერმინი, რომელიც დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მხოლოდ რამდენიმე საუკუნის შემდეგ შემუშავდა. ამას გარდა, გაერთიანებული საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობილების შესახებ „ხელმწიფის კარის

გარიგებაში“ მოცემულია ფრიად პროგრესული და ახალი იდეები აბსოლუტური მონარქიის შესახებ, ამავე ძეგლში დადასტურებულია ის იშვიათი გარემოება, რომ გაერთიანების ხანის საქართველოში მეცნიერებას (მოძღვართ-მოძღვარი - ა.კ.) უმაღლეს პატივს მიაგებდნენ და უსმენდნენ (სურგულაძე 2000, 128-129).

ამრიგად, ვახტანგ VI-ის სამართალში ერთიანი პერიოდის საქართველოს სამართლის განვითარების მაღალი დონის საწყისებიც არის მოცემული და ჩამორჩენილობის მაუწყებული ინსტიტუტებიც. ჩამორჩენილობის მაუწყებელია ის გარემოებაც, რომ ვახტანგის სამართლით, მოწმე სათანადოდ არ არის დაფასებული. მოწმე, წერს კანონმდებელი მე-13 მუხლში, ბერძნებს, ფრანგებსა და რუსებს სწამთ, ხოლო „ქართლში უფრო არ განუწესებიათ“ (სურგულაძე 2000, 130).

ვახტანგის სამართლის წიგნმა იცის აგრეთვე მოფიცარი (შეგდებული და შეუგდებელი მოფიცარი - მუხლი 10). ვახტანგის სამართლის წიგნში შემორჩენილია კოლექტიური პასუხისმგებლობის საწყისები. ამ ჩამორჩენილობის მაუწყებელ ნიშნებთან ერთად, ვახტანგის სამართლის წიგნმა იცის სხვა საკითხებიც, სხვა ინსტიტუტებიც, რომლებიც სამართლის პროგრესული და განვითარების მაღალი დონის მაჩვენებელნი არიან (სურგულაძე 2000, 131).

განსაკუთრებით ხაზგასმის ღირსია ის, რომ ვახტანგის სამართლის წიგნი კატეგორიულად კრძალავს თვითნებობას, თვითგასწორებას. ყოველი პირი რაიმე პრეტენზიის შემთხვევაში ვალდებულია ხელისუფალთ მიმართოს. არავის არა აქვს უფლება (მუხლი 214), ხელისუფლების გარეშე გადასახადები შემოიღოს (სურგულაძე 1963, 79-82).

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნში სამოქალაქო სამართალი განვითარების მაღალი დონითა ასახული, მაგ: ნასყიდობის საფუძველზე წარმოშობილი საკუთრების უფლების სიმტკიცე (მუხ. 160). წყაროების მიხედვით დადასტურებულია, რომ საკუთრების უფლების დიფერენცირება სახეზედ და ღრმადაა წასული. საბუთებიდან ვლინდება საკუთრების მრავალი სახე: მამული, დედული, მონაგები, ნამზითვევი, ნასყიდი, სამემკვიდრეო, ნაჩუქარი, ნაწყალობევი და სხვ. ვახტანგის სამართლის წიგნი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ხელშეკრულების დადების დროს მხარეთა ფორმალურ ნება-სურვილს (მუხ.16). თუ მხარეები დადებენ ნასყიდობის ხელშეკრულებას, მისი მოშლა არავის შეუძლია.

ამრიგად, ვახტანგ VI-ის სამართალმა შეინარჩუნა და მთელ რიგ ასპექტებში განავითარა ქართული სამართლის დონე სამართლებრივი, კონსტიტუციური და ეკონომიკური თვალსაზრისით ასევე მნიშვნელოვანია ვახტანგ VI-ის მიერ შედგენილი კანონთა კრებული „დასტურლამალი“, რომელიც თავისი შინაარსით სახელმწიფო სამართალს განეკუთვნება. დღემდე ნაპოვნია მისი 15 ერთეული ხელწერილი, პირველად იგი გამოსცა პეტრე უმიკაშვილმა 1886 წელს.

„დასტურლამალი“ ფაქტიურად სასახლის განაწესია, რითაც იგი წააგავს „ხელმწიფის კარის გარიგებას“. მასში მოცემულია მეფის ხელისუფლებისა და მმართველობის ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების დახასიათება და განსაზღვრულია მათი ფუნქციები (სურგულაძე 2000, 135).

ქართლის სამეფოს ეკონომიკური მდგომარეობის დასახასიათებლად „დასტურლამალს“ ვერც ერთი ძეგლი ვერ შეედრება (სურგულაძე 2000, 137). მასში უამრავი მასალაა ქართლის საგადასახადო სისტემისა და ფინანსების შესახებ, აღწერილია გლეხთა გადასახადები და დახასიათებელია გადამხდელთა სხვადასხვა კატეგორიის იურიდიული რეჟიმი.

„დასტურლამალში“ ასევე დახასიათებულია სასამართლო ორგანიზაცია, საპოლიციო აპარატი და საფინანსო ორგანოების მოხელეები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ცნობები ვეზირისა და მუსტოფის შესახებ. ძეგლში კარგად ჩანს მეფე-ფეოდალთა ურთიერთობანი, საქალაქო წყობილება. ძეგლის შესწავლას დიდი ამაგი დასდო პროფ. ივანე სურგულაძემ, რომელმაც 1970 წელს გამოსცა კიდეც იგი ყველაზე სრულყოფილი სახით (სურგულაძე 2000, 137).

პროფესორმა ვალერიან გაბაშვილმა შეადარა ქართული „დასტურლამალის“ სარჩევი სპარსული „დასტურლამალის“ სარჩევს, ამოკრიფა ორივედან მსგავსი ადგილები და შესადარებელი მასალისა შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე დაასკვნა, რომ ქართული „დასტურლამალი“ ორიგინალური ქართული ძეგლია, წარმოშობილი ქართული ფეოდალური საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური პირობების საფუძველზე. ამასთანავე, „დასტურლამალში“ შეტანილია ისეთი იურიდიული აქტები, რომელიც გამოხატავენ და ცხადყოფენ ქართლის ვასალურ დამოკიდებულებას ირანთან. მასში არის ისეთი გარიგებანი, რომლებიც ასახავენ ირანის სახელმწიფოებრივი წყობილების გავლენას ქართლის სამეფოზე.

პროფ. ვ.გაბაშვილი თავის შრომაში ასაბუთებს, რომ გვიანფეოდალურ პერიოდში ახლო აღმოსავლეთში „დასტურლამალი“ ეწოდებოდა „სახელმწიფო სამართლის ძეგლს“ და ის გავრცელებული იყო ირანში, თურქეთში, მონღოლების ინდოეთში და ამიერკავკასიის სახანოებში და ეს ტერმინი ჩვენთან დამკვიდრდა XVIII საუკუნიდან (გაბაშვილი 1949, 191-220).

პროფესორი შოთა მესხიას ნაშრომში „მასალები ეკონომიკური ისტორიისათვის“ გაანალიზებულია რუსეთში, სანკ-პეტერბურგში სალტიკოვ-შედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკაში, ხელნაწერთა განყოფილებაში დაცული „დასტურლამალის“ ორი ნუსხა, ერთი იოანე ბაგრატიონი კოლექციიდან, მეორე - ქობულაშვილის ხელნაწერი. მ.მესხია განსაკუთრებით საყურადღებოდ თვლიდა ქობულაშვილის მიერ გადაწერილ „დასტურლამალს“, რადგანაც მას დართული ჰქონდა „ქალაქის ბაჟის, ყაფნისა და ციხის კარის შართლამა“ (მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის 1954, 30).

„დასტურლამალი“ შედგენილია 1707-1709 წლებს შორის. იგი ერთგვარი კრებულია, რომელიც შედგენილია სხვადასხვა დროის საკანონმდებლო აქტებისაგან და იგი გააერთიანა ვახტანგ VI-მ. „დასტურლამალი“ სპარსულ-არაბული სიტყვაა და ნიშნავს სახელმძღვანელოს, ინსტრუქციას, გარიგებას. ქართლის სამეფო კარზე, ამ კრებულის მიხედვით, ვეზირისა და მუსტოფის თანამდებობა არსებობდა, რომლებიც ირანიდან იყვნენ დანიშნულ და ერთგვარი საკონტროლო ფუნქცია ჰქონდათ ვასალურ ქართლში.

ქართული სამართლის ისტორიის ძეგლებიდან შინაარსის მიხედვით „დასტურლამალს“ ყველაზე უფრო ემსგავსება „ხელმწიფის კარის გარიგება“ - ორივე ძეგლი სახელმწიფო სამართალს განეკუთვნება და პირველ ყოვლისა, სასახლის განაწესს წარმოადგენენ; ირივეგან საუბარია სასახლის აუდიენციისა, დარბაზობისა, პურობისა და ამ მოვლენებთან დაკავშირებულ სასახლის წესჩვეულებების შესახებ; ამასთანავე მოცემულია მეფის ხელისუფლებისა და მმართველობის ცენტრალური და ადგილობრივი მოხელეების დახასიათება (სურგულაძე 2000, 148) ორივეგან აუდიენცია სასახლეში იმართებოდა დიდი და მცირე წესით.

„დასტურლამალისაგან“ განსხვავებით „ხელმწიფის კარის გარიგება“ - ში დარბაზობის წესი, მოწვევის რიგი უფრო დაწვრილებით არის წარმოდგენილი,

„დასტურლამალში“ კი უფრო დაწვრილებით არის ჩამოთვლილი სამეჯლისო საჭმელები, მასში უკვე აღარ გვხვდება გაერთიანებული პერიოდის ვეზირები და მათი მოადგილეები. ორივე ძეგლში საუბარია მეფეზე, მის სასახლეზე, დარბაზობასა და სხვა ღონისძიებათა შესახებ. ყველაზე მეტი მსგავსება კი ამ ძეგლებს შორის იმაშია, რომ ორივე სასახლის განაწესს ეხება, ორივე სასახლის გარიგებაა.

განსხვავება ამ ორ ძეგლს შორის იმაში მდგომარეობს, რომ „ხელმწიფის კარის გარიგება“ ანონიმი ავტორის მიერ შედგენილი იურიდიული შინაარსის ტრაქტატია „დასტურლამალი“ კი - საკანონმდებლო აქტია. პირველი გაერთიანებული საქართველოს სახელმწიფოებრივ წყობილებას ასახავს, როცა იგი დამოუკიდებელი, ძლიერი ქვეყანა იყო და ჰყავდა ვასალები, მეორე კი - მხოლოდ ირანის ვასალურ ჩაგვრაში მყოფ ქართლის სახელმწიფოებრივ წყობილებას ასახავს, რომელიც ირანს ხარკს უხდის.

„დასტურლამალი“ მოქმედებდა ქართლის სამეფოში ვახტანგ VI-ის მიერ მისი შედგენიდან ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთებამდე (1801-1802 წწ.).

როგორც ზემოთ აღინიშნა, ქართულ საზოგადოებრივ მეცნიერებას ყოველთვის ჰქონდა ევროპული გზით განვითარების გარკვეული ტენდენცია. ასეთი მიდრეკილება ცხადად იგრძნობოდა XVIII საუკუნის ქართულ პოლიტიკურ და სამართლებრივ აზროვნებაში. ქართველი მოღვაწეები არა მარტო ეცნობოდნენ უცხოელთა თეორიებს, მოძღვრებებს, ახალ იდეებს, არამედ თავისებურად ეხმაურებოდნენ მათ. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ყველა ვითარებაში ქართველ მოღვაწეებს აინტერესებდათ თავისი ქვეყნის ბედი. ისინი სხვა ქვეყნის კულტურას, მეცნიერებას, სამართალს ეცნობოდნენ იმისათვის, რომ საკუთარ ეროვნულ ტრადიციებზე დაყრდნობით გამოეყენებინათ თავისი ქვეყნის საკეთილდღეოდ (სურგულაძე 2000, 149).

ამის ჩინებული მაგალითია ქართველი განმანათლებლების ალექსანდრე ამილახვარის, დავით და იოანე ბაგრატიონების მიერ დაწერილი თხზულებანი, ტრაქტატები და რეფორმის პროდუქტები, რომლებიც მიზნად ისახავდა ქართული სახელმწიფოს ევროპულ რელსებზე დაყენებას.

1780 წელს ალექსანდრე ამილახვარმა დაწერა ტრაქტატი სახელმწიფო მოწყობის შესახებ, რომელიც მიართვა იმერეთის მეფეს სოლომონ პირველს (1752-1784), რათა ქვეყანა ემართა ტრაქტატში მოცემულ პრინციპებზე დაყრდნობით. ევროპელ

განმანათლებელთა მსგავსად და მათ გავლენით იგი მომხრეა განათლებული მონარქისა, რომელიც მთელ დროს იმაზე ფიქრში ატარებს, როგორ დაადგეს სწორ გზას ქვეყნის კეთილდღეობისათვის, მაგრამ მეფე თუ ვერ შეასრულებს ამ მისიას, ალექსანდრე ამილახვრის აზრით, ხალხს უფლება აქვს არ დაემორჩილოს ასეთ მეფეს, მკვლევარ ნანა ნიორაძის აზრით ქართველი განმანათლებელი ალ.ამილახვარი უფრო ვოლტერის რესპუბლიკური იდეებისკენ იხრებოდა (ნიორაძე 2009, 123).

1798-1800 წლებში დავით ბატონიშვილმა შექმნა კანონთა კრებულის პროექტი, რომელიც ეხება სისხლის, სამოქალაქოსა და სამართლის ინსტიტუტებს, სახელმწიფო წყობილების საკითხებს.

პროფესორი გივი ლობჟანიძის აზრით დავით ბატონიშვილის „სამართალი“ იწერებოდა ფეოდალურ ეპოქაში, მაგრამ, სადაც „საუბარია მომავალი საქართველოს აღორძინების ამოცანებზე, იგი ძირითადად ეყრდნობა ბუნებით სამართალს (ლობჟანიძე 2001, 16).

ბუნებითი სამართლის შესახებ საფუძვლიან მსჯელობას ვხვდებით დავით ბაგრატიონის ძმის იოანე ბაგრატიონის XVIII საუკუნის ბოლოს შექმნილ სჯულდებასა და ენციკლოპედიურ თხზულებაში „კალმასობა“.

იოანე ბაგრატიონი თავისი ფილოსოფიური, პოლიტიკური და იურიდიული შეხედულებებით განმანათლებელია. იგი ეყრდნობა რა მდიდარ ქართულ კულტურულ ტრადიციებს, ამავე დროს ფლობს ევროპულ განმანათლებელთა ახალ პოლიტიკურ, ფილოსოფიურ და სამართლებრივ თეორიებს. მან სოლომონ დოდაშვილთან ერთად, ალექსანდრე ტატიშვილის აზრით, ქართული ფილოსოფიური და პოლიტიკური აზროვნება ევროპული გზით წარმართა (საქართველო ევროპულ სივრცეში 2011, 228).

„სჯულდებაში“ იოანე ბაგრატიონს ჩამოუყალიბებელი აქვს ის პრინციპები, რომლებიც საფუძვლად უნდა დასდებოდა ახალ ქართულ სამართალს. „სჯულდების“ მთავარი იდეა სახელმწიფო მმართველობის ცენტრალიზაცია, მსხვილი ფეოდალების დამორჩილება, მათი პოლიტიკური, ეკონომიკური, იურიდიული და სხვა სახის პრივილეგიების შეზღუდვა.

იოანე ბაგრატიონის „კალმასობა“ ენციკლოპედიური ხასიათის და მამხილებელი, კრიტიკული შინაარსის თხზულებაა, ავტორი იცავს ბუნებითი სამართლის თეორიას

და ამართლებს უსამართლოდ ჩაგრული ყმის მიერ ბატონისთვის წინააღმდეგობის გაწევას.

ი.ბაგრატიონი, რომელიც ბრწყინვალედ ფლობს ევროპულ მეცნიერებას, ასხვავებს აღმოსავლურ და ევროპულ კულტურას და ამ უკანასკნელის დანერგვას ცდილობს საქართველოში. როდესაც ერთ-ერთი პერსონაჟი ეკითხება იოანეს „რანაირი განათლება გვაქვს?“, „ევროპის გვარზედ თუ აზიის გვარზედ?“, იოანე პასუხობს: „ჩვენ უფრო ბერძენთა და ევროპელთა გვარი გვაქვს სწავლასა შინა“ (საქართველო ევროპულ სივრცეში 2011, 229).

ევროპული განათლების პროპაგანდას ბევრ ადგილას ვხვდებით. იოანე სწორედაც რომ ევროპულ მეცნიერებას, ლიტერატურას, ფილოსოფიას, ხელოვნებას აცნობს ქართველ მკითხველს და უნდა, რომ საქართველო ევროპის გზით განვითარდეს სამომავლოდ.

მეფის რუსეთის მიერ საქართველოს ძალით და მოტყუებით მიერთებამ ამ და ბევრი სხვა მოღვაწეების ოცნებები და იმედები ჩაკლა და დაამსხვრია.

ამრიგად, ფეოდალურ ეპოქაში (V-XVIII ს.ს.) ქართულმა სამართლებრივმა და კონსტიტუციურმა აზროვნებამ განვითარების მაღალ დონეს მიაღწია; განსაკუთრებით ეს ითქმის XI-XII საუკუნეებზე, როდესაც ქართულმა სამართლებრივმა და კონსტიტუციურმა აზროოვნებამ ბევრად გადაასწრო ევროპულს და სათავე დაუდო რენესანსს ამ სფეროშიც. შოთა რუსთაველისა და ყურთლუ-არსლანის დასის იდეებმა ცხადი გახდა, რომ საქართველოში იბადებოდა სრულიად ახალი იდეები - ხელისუფლების დანაწილების, აბსოლუტური მონარქიის, ორპალატიანი პარლამენტის, ტოლერანტობის, ქალთა უფლებების სამართლებრივი უზრუნველყოფის, საკუთრების აღმნიშვნელი ტერმინების დამკვიდრების, ადამიანის დასახიჩრების და სიკვდილით დასჯის შეჩერების და ა.შ., რაც ევროპაში აქტუალური გახდა მოგვიანებით, რამდენიმე საუკუნის შემდეგ. გვიანფეოდალურ ხანაში (XVI-XVIII საუკუნეებში) საქართველოში ფეოდალური და - დაქუცმაცებულობის და დაცემის მიუხედავად, ქვეყანამ მაინც შეძლო სათანადო დონის შენარჩუნება და ახლის შექმნაც კი (ვახტანგ VI-ის სამართალი და სხვა ქართველ მოღვაწეთა ნააზრევი ამ მიმართულებით), რაც საბოლოოდ შეაფერხა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობამ.

# თავი III

# ქართული კონსტიტუციური აზროვნება XX საუკუნის პირველ ნახევარში

## 3.1. 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია - ქართული კონსტიტუციური აზროვნების კვინტენსეცია

მიუხედავად იმისა, რომ იმ ეპოქისათვის უაღრესად მოწინავე და დემოკრატიული 1921 წლის 21 თებერვლის ისტორიული კონსტიტუცია გარკვეულწილად ირეკლავდა უცხოეთის დემოკრატიული სახელმწიფოების (შვეიცარია, საფრანგეთი და სხვ.) პრაქტიკას, იგი ქართველი ერის დემოკრატიული კონსტიტუციური აზროვნების შეჯამება და ქვეყნის ამ უმთავრეს კანონში ასახვა იყო.

მართალია, მაშინდელ სოციალ-დემოკრატებს საქართველოს დამფუძნებელ კრებაში აბსოლუტური უმრავლესობა ჰქონდათ, (130 მანდატიდან - 109), მაგრამ კონსტიტუციის განხილვაში აქტიურად მონაწილეობდა ყველა პოლიტიკური პარტია და საზოგადოებრივი ორგანიზაცია, ცალკეული მოქალაქეები. კონსტიტუციაში გათვალისწინებულ იქნა თერგდალეულთა (ილია ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე, არჩილ ჯორჯაძე და სხვ.) კონსტიტუციური შეხედულებანი და ნააზრევი, სურვილები საქართველოს პოლიტიკური და სამართლებრივი, ადმინისტრაციული მოწყობის, მოქალაქეთა სოციალურ-პოლიტიკური და ეროვნული უფლებების, სასამართლოს შესახებ და ა.შ.

ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძე მიიჩნევდა, რომ „იგი კანონი არ არის, თუ მის წინაშე დიდპატარაობას, მაღალ-მდაბლობას ადგილი და სავალი ექმნება კაცთა მოქალაქურ ცხოვრების გზაზედ“. ილია ხაზს უსვამდა მოსამართლის (მსაჯულის) უდიდეს მოვალეობას ერის და სახელმწიფოს წინაშე. იგი მიიჩნევდა, რომ ადამიანის ერთ-ერთი უდიდესი მოვალეობა მსაჯულობაა. მისი თქმით, მსაჯული ის რჩეული კაცია, რომელსაც აბარია ჩვენი ქონება, ღირსება, ჩვენი სიცოცხლე, ჩვენი სული და ხორცი, ერთი სიტყვით, ჩვენი კაცური კაცობა, ჩვენი ადამიანობა (შუბითიძე 2013, 101).

1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციაში შევიდა მუხლი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღების შესახებ. ეს იდეა საქართველოში პირველად გააჟღერა

დიდმა ქართველმა მოაზროვნემ, „ულმობელი საქმის კაცმა“ ნიკო ნიკოლაძემ. მან 1881 წელს რუსულ ჟურნალში „იურიდიჩესკოე ობოზრენიე“ (#2,5,18,19) სერიის სახით გამოაქვეყნა ვრცელი სტატია „სისხლის სამართლის საფუძვლების შესახებ“, რომელიც ეძღვნებოდა სამართლის ძალზე აქტუალურ საკითხებს (შუბითიძე 2013, 110).

ამ სტატიებში ნიკო ნიკოლაძე იცავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს იდეას, და უპირისპირდება ცნობილ ავსტრიელ იურისტსა და მეცნიერს გუე-გლუნეკს, რომელმაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღების წინ (1863 წ.) წაიკითხა 7 საჯარო ლექცია, რომლებშიც ხაზს უსვამდა, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღება უარყოფით შედეგებამდე მიიყვანდა კაცობრიობას [საკითხის ისტორიისათვის უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღების შესახებ ნ. ნიკოლაძემ პირველად დაწერა ჯერ კიდევ 1874 წელს სტატიაში „დანაშაულისა და სასჯელის შესახებ“ (ნიკოლაძე 1964)].

ნ. ნიკოლაძე მიუთითებს, რომ იდეალური კანონიც კი უძლურია მოაწესრიგოს ცხოვრების ათასგვარი წვრილმანები, რომ „კანონი კი არ ქმნის ცხოვრებას, არამედ თვით ცხოვრება ქმნის კანონს. შესაბამისად, ცხოვრება კი არ არის დამოკიდებული კანონზე, არამედ - კანონი ცხოვრებაზე“ (ნიკოლაძე 2003,429). ნიკოლაძეს მიაჩნია, რომ ამ უბრალო და მარტივი პრინციპის გაუგებრობამ მთელ კაცობრიობას დიდი დანაკარგები მოუტანა და მრავალი ქარიშხალი დაატეხა თავს. იგი თვლიდა, რომ ყველაზე მშვენიერი და მაღალი თეორიული პრინციპებიც კი შეიძლება ისე დამახინჯდნენ ცხოვრებაში, რომ ვეღარც კი ვიცნოთ. ნ.ნიკოლაძე წერს, რომ რუსეთში 1864 წელს ფორმალური მტკიცების თეორიის გაუქმების შემდეგ ბრალდებულის ბედი მთლიანად მოსამართლის ხელში აღმოჩნდა. ასე, რომ მოსამართლეს „თუ უნდა შეგვიწყალებს, თუ უნდა - დაგვსჯის“. ნიკო ნიკოლაძისთვის ასეთი მიდგომა კატეგორიულად მიუღებელია: „სისხლის სამართლის განაჩენს მოსამართლის პირადი შეხედულებები და მისი თვითნებობა კი არ უნდა დაედოს საფუძვლად, არამედ მკაცრი და ცხადი შეგნება, რომელიც დაფუძნებული იქნება იმ მონაცემებზე, მეცნიერებამ რომ გამოიმუშავა და შემოწმდა სასამართლო პრაქტიკით“ (ნიკოლაძე 2003, 434).

ნიკო ნიკოლაძე ჯერ კიდევ 150 წლის წინ სწორად აცნობიერებდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს უპირატესობას ჩვეულებრივ სასამართლოსთან და

მოსამართლესთან შედარებით. ნიკოლაძის აზრით იურისტის მიერ მრავალი წლის მანძილზე კანონების შესწავლა, მათი ხშირი გამოყენება ბოლოს მას უჩენს ილუზიას, რომ კანონმდებლობით გამოსახული ცნებები ჩვეულებრივი ცნებებია... რაც უფრო სოლიდური ხდება იგი თავის სპეციალობაში, სულ უფრო მეტად და მეტად სცილდება სინამდვილეს და ბოლოს სრულად სწყდება მას, ბრმავდება, აღარ ესმის ცხოვრების მოთხოვნილებანი, ვეღარ ხედავს მის მოუწესრიგებლობას: „მოსამართლე ახალი თვალით უნდა უყურებდეს ყოველ საქმეს, განზე გაუხედავად, იმ თვალით, რომელიც წინასწარ განპირობებული არაა არავითარი ტიპებით, თეოროებითა თუ ჩარჩოებით. ასეთი მოსამართლე კი შეიძლება იყოს მხოლოდ ის კაცი, ვისთვისაც სასამართლო არ არის მუდმივი სამუშაო ადგილი, ასეთი მოსამართლისთვის მოსამართლეობა პროფესია კი არ არის, არამედ დროებითი სამოქალაქო ვალის მოხდაა. მხოლოდ ასეთ მოსამართლეს შეუძლია შეიტანოს სისხლის სამართლის პროცესში ცხოვრებისეული ელემენტები, ურომლისოდაც ყოველი ადამიანის ნამოქმედარი ბრმა და დამანგრეველი ძალაა, რასაც არსებობის არავითარი უფლება არა აქვს“ (ნიკოლაძე 2003, 440).

ნიკოლაძე თვლის, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სხვა ღირსებაც და უპირატესობაც აქვს იურისტთა სასამართლოსთან შედარებით - ესაა ხალხის ნდობა. სასამართლო ცუდადაა ორგანიზებული იქ, სადაც ხალხი არ იჩენს საკმარის ნდობას მისადმი და მისი განაჩენისადმი. მისი აზრით ნდობა არც არის და არც შეიძლება იყოს იქ, სადაც სასამართლო ხელისუფლება იმ პირთა ხელშია, რომელთაც ნდობას უცხადებენ მხოლოდ აღმასრულებელი ხელისუფალნი: „ყოველი ადამიანის ცხოვრებას, მის თავისუფლებას, ღირსებასა და ქონებას ყოველ წუთს შეიძლება შეექმნას საფრთხე იქ, სადაც მართლმსაჯულება უხეიროდაა ორგანიზებული და სადაც მოსამართლენი არ იცნობენ ცხოვრებას, არაკეთილსინდისიერნი ან მექრთამენი არიან. იქ, სადაც საზოგადოებას არა აქვს საკმარისი ნდობა თავისი სასამართლოსადმი, თვით საზოგადოების ცხოვრება გაუფასურებული და უაზროა... ამგვარად, სასამართლოსადმი ნდობა, ე.ი. თითოეული მოქალაქის რწმენა, რომ იგი თვითნებურად და უსამართლოდ არ დაისჯება სისხლის სამართლის კანონით, რომ შესაბამის შემთხვევაში გარდაუვალი საზოგადოებრივი ცხოვრების აუცილებლობის გამო კანონს მის მიმართაც გამოიყენებენ სამართლიანობის ზუსტი დაცვით და

სასჯელის გარკვეული ზომით აი, ეს წარმოადგენს სამართლიანი და მშვიდი ცხოვრების ერთ-ერთ საფუძველს“ (ნიკოლაძე 2003, 445).

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ერთ-ერთ მთავარ ღირსებად ნიკოლაძეს მიაჩნდა მისი აღმზრდელობითი ხასიათი -არ არსებობს ხალხისთვის მსაჯულთა სასამართლოზე უკეთესი იურიდიული სკოლაო: „არაფერი არ უწყობს ხელს საზოგადოებაში იურიდიული ჭეშმარიტების, კანონების დანერგვასა და განმტკიცებას უკეთ, ვიდრე საზოგადოების პირადი მონაწილეობა სასამართლო წარმოებაში გამოცდილი და განათლებული იურისტის ხელმძღვანელობით. ის ასი თუ ათასი მოქალაქე, რომლებიც ყოველწლიურად ესწრებიან სასამართლო სესიას მსაჯულთა მოვალეობის აღსასრულებლად, სახლში ჯანსაღი იურიდიული ცნებების მარაგითა და ცოდნით ბრუნდებიან და ამ ცოდნას უნებლიედ გადასცემენ თავიანთ შვილებსა და თანამოქალაქეებს, რომლებიც მოუთმენლად ელიან თავიანთ რიგს, რათა საკუთარი წვლილი შეიტანონ საზოგადოებრივ საქმეში. სამი-ოთხი თაობის შემდეგ იურისპრუდენცია, არა როგორც სქოლასტიკური სიბრძნე, არამედ როგორც საზოგადოების მაღალი ინტერესების ცოდნა, შეაღწევს საზოგადოების ზნეჩვეულებებში და სწავლულთა კაბინეტებზე გავლით, უფრო სწორად და უკეთესად, ვიდრე რომელიმე სხვა გზით, ხალხში გადავა და მისი მონაპოვარი გახდება“ (ნიკოლაძე, 2003, 446).

თავისი დებულების მართებულობის დასამტკიცებლად ნიკოლაძეს მოაქვს ცნობილი ინგლისელი იურისტის უილიამ ფორსაიტის აზრი, რომელიც თავის ერთ-ერთ ნაშრომში ლაპარაკობს პრესის თავისუფლებაზე, რითაც სამართლიანად ამაყობენ ინგლისელები, როგორც ერთ-ერთ ყველაზე დიდ სიკეთეზე, რაც ხალხს სწორედ ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ მოუტანა. ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება იქ უშუალოდ მსაჯულთა ხელშია: „ხელისუფლების მორჩილი ან მექრთამე მოსამართლეებისაგან განსხვავებით, რომელთაც თვითნებურად ცვლიან, ნაფიცი მსაჯულები არასოდეს წარმართავენ საკუთარ თავს ისეთ მნიშვნელოვან რამეში, როგორიცაა სიტყვის თავისუფლება. ისინი არ ჩათვლიან მკრეხელურად ნაწარმოებებს მხოლოდ იმიტომ, რომ მასში განხილულია ხელისუფლების მოქმედება, რადგან შეგნებული აქვთ, რომ უფლებამოსილნი არიან განიხილონ და გააკრიტიკონ ხელისუფლების მოქმედება. ამიტომ პრესა-აზრისა და სიტყვის ეს ახალი დროის უძლიერესი მოღვაწე -

განსაკუთრებითაა დაინტერესებული ისეთი სასამართლოს არსებობით, რომელიც აძლევს მას უფლებას ზედამხედველობა გაეწიოს აღმასრულებელი ხელისუფლების მოქმედებას (ნიკოლაძე 2003, 447-448).

ანალოგიური მაგალითი მოჰყავს ნ.ნიკოლაძეს საფრანგეთის რეალობიდან, როცა სენატმა მიიღო კანონი პრესის შესახებ, რომლის ძალით პრესის საქმეები დაექვემდებარა მსაჯულთა სასამართლოს და ყველა გონიერი ადამიანი ამ კანონს თვლის უდიდეს მონაპოვრად. ამ კანონის ძალით ავტორებს ბრალი დაედებათ არა საკუთარი აზრის გამოთქმის გამო (არავის უნდა ეკრძალებოდეს პატიოსნად გამოთქვას თავისი აზრი, თუნდაც ყველაზე მცდარი), არამედ იმ შესაძლო შედეგების გამო, რომელიც შესაძლოა მოჰყვეს მათ აზრებს“ (ნიკოლაძე 2003, 455).

ნიკო ნიკოლაძე გუე-გლუნეკის კიდევ ერთ მოსაზრებას მიიჩნევს არასწორად და აღნიშნავს, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსაგან განსხვავებით ჩვეულებრივი სასამართლო და მოსამართლეები რეალურად დამოუკიდებელნი ვერ გახდებიან.

გუე-გლუნეკი თვლიდა, რომ საკმარისია ჩვეულებრივ მოსამართლეებს დაუნიშნონ მაღალი ხელფასები და გაანთავისუფლონ მათი სამსახურებრივი კარიერა ადმინისტრაციული ხელისუფლების ზეგავლენისაგან, მაშინ აღმოიფხვრება ყოველგვარი დამოკიდებულება, ანუ პატივის, ჯილდოებისა და წარჩინების ძიება, რასაც მონტესკიე გარკვეული წესწყობილების სახელმწიფოების მიმართ ასეთი დამახასიათებელი სიტყვით განსაზღვრავს - „კორუფცია“. ნიკოლაძე ირონიით წერს, რომ „გუე-გლუნეკი უნდა ჩამოსულიყო რუსეთში (და თანამედროვე საქართველოში - ა.კ.) რათა გაემდიდრებინა ის ცხოვრებისეული გამოცდილება, რაც უდაოდ აკლია... აქ მოსამართლეებს ისეთი ხელფასები დაუნიშნეს, რომ მაშინ ყველა გაკვირვებული იყო ასეთი ხელგაშლილობით. მოსამართლეები გამოაცხადეს შეუცვლელ მოხელეებად, არ შეიძლება ისინი გადაყვანილ ყოფილიყვნენ ერთი ადგილიდან მეორეზე მათივე თანხმობის გარეშე, სამსახურიდან მათი დათხოვნა შეიძლებოდა ან პირადი სურვილით, ან სასამართლოს გადაწყვეტილებით. თანამდებობის პირთა შეცვლა თვით სასამართლოს კოლეგიების წარდგენით უნდა მომხდარიყო. უკეთესი რაღა უნდა ყოფილიყო? როგორც საარსებო სახსრები, ისე პრესტიჟული სამსახურებრივი მდგომარეობა და კარიერა მთლიანად უზრუნველყოფილი ჰქონდათ, მაგრამ გავიდა 15

წელი და ვის შეუძლია ახლა ღიმილის გარეშე ილაპარაკოს მოსამართლეთა შეუცვლელობაზე და მათ მატერიალურ უზრუნველყოფაზე“ (ნიკოლაძე 2003, 456).

ნიკო ნიკოლაძე სკეპტიკურად უყურებდა გუე-გლუნეკის იმ არგუმენტსაც, რომ არც ნაფიც მსაჯულთა სასამართლო იქნება დამოუკიდებელი. აღმოჩნდება მსაჯულებს შორის ნოქარი? იგი თავის პატრონზეა დამოკიდებული და, ცხადია, საქმეს ისე გადაწყვეტს, როგორც მის პატრონს სურს. აღმოჩნდება ვაჭარი ან ნოტარიუსი? ისინი თავიანთ კლიენტებზე არიან დამოკიდებულნი, - მიაჩნდა მას. ნიკოლაძის აზრით, ეს აზრები იმდენად გულუბრყვილოა, რომ მათი უარყოფა მარგალიტის ფანტვას ემსგავსებოდა. საერთოდ კი, გუე-გლუნეკი თვლიდა, რომ მსაჯულთა სასამართლო ყოველთვის დამოკიდებულია საზოგადოებრივ აზრზე, რასაც იგი ეწოდება „vox popul”, მაგრამ განა ეს ცუდია? - ასკვნის ნიკო ნიკოლაძე, „რატომ გვავიწყდება, რომ „vox popul - vox dei” (ხმა ღვთისა და ხმა ერისა), იდეალური ადამიანური დაწესებულებანი ხომ არასდროს არსებულა“ (ნიკოლაძე 2003, 457).

ამრიგად, ნიკო ნიკოლაძემ ჯერ კიდევ 150 წლის წინ დაინახა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მნიშვნელობა ქვეყნის სასამართლო სისტემაში და მისი დანერგვა იქადაგა, რაც 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციაში გათვალისწინებულ იქნა. დღეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ევროპული ცივილიზაციის ერთ-ერთ მონაპოვრად ითვლება და საამაყოა, რომ საუკუნეზე მეტი ხნის წინ დამოუკიდებელმა საქართველომ ის გაითვალისწინა, რითაც განავითარა ქართული კონსტიტუციური აზრი.

მიუხედავად იმისა, რომ 1921 წლის 21 თებერვალს კონსტიტუციამ რეალურად ამოქმედებაც კი ვერ მოასწრო (25 თებერვალს თბილისში ბოლშევიკი ოკუპანტები შემოვიდნენ რუსულ XI არმიასთან ერთად, ეროვნული მთავრობა კი იძულებული გახდა 17 მარტს დამფუძნებელი კრების დადგენილებით ემიგრაციაში, საფრანგეთში წასულიყო), მისი მიღება უაღრესად დიდმნიშვნელოვანი ფაქტია საქართველოს ახალ ისტორიაში. ქართველი და უცხოელი კონსტიტუციონალისტების აზრით, ამ უაღრესად დემოკრატიულმა კონსტიტუციამ დროს გადაუსწრო და დღესაც კი პროგრესულად შეიძლება მივიჩნიოთ მთელი მსოფლიოს მასშტაბით. 1921 წლის 21 თებერვალს კონსტიტუციამ გააუქმა საქართველოში სიკვდილით დასჯა, რაც

მოგვიანებით გააკეთეს ევროპის ქვეყნებმა, ხოლო აშშ-ში და ბევრ განვითარებულ ქვეყანაში დღემდე არ გაუუქმებიათ.

1921 წლის 21 თებერვლის საქართველოს კონსტიტუცია აღიარებდა უმაღლეს დონეზე ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, თანასწორობას კანონის წინაშე, მათ შორის გენდერული ასპექტით (დამფუძნებელ კრებაში 1919 წელს არჩეული იყო 5 ქალბატონი), იცავდა რწმენის, შეკრების და გაფიცვის თავისუფლებას და ა.შ.) [1992 წლის გაზაფხულზე ის კვლავ აამოქმედა საქართველოს სამხედრო საბჭომ (სიგუა, კიტოვანი, იოსელიანი) და 1995 წლი 24 აგვისტომდე, ახალი კონსტიტუციის მიღებამდე მოქმედებდა]. იმ დროს მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეული, დაბალანსებული და დემოკრატიული კონსტიტუციის მიღება ქართული კონსტიტუციური აზროვნების მაღალ დონეზე მიუთითებდა და მასში ასახული იყო წინა თაობების ნააზრევი და ნამოღვაწარი.

ეს უაღრესად მნიშვნელოვანი და დემოკრატიული კონსტიტუცია იქმნებოდა 1918-1921 წლებში, როცა მიმდინარეობდა მძიმე ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად და რეალური სუვერენულობის მისაღწევად აგრესიულ ბოლშევიკურ რუსეთთან მიმართებაში. ჯერ კიდევ 1918 წლის ივნისში შეიქმნა პირველი საკონსტიტუციო კომისია 9 წევრის შემადგენლობით, რომელმაც შეიმუშავა გარკვეული მოსაზრებები კონსტიტუციასთან მიმართებაში. 1919 წლის 18 მარტს, დამფუძნებელი კრების არჩევნების შემდეგ , შეიქმნა მეორე, ძალზე წარმომადგენლობითი საკონსტიტუციო კომისია 15 დეპუტატის შემადგენლობით, პ.საყვარელიძის მეთაურობით, რომელიც წარმოდგენდა მმართველ პარტიას. ამ კომისიამ „1920 წლის მაისში შეადგინა და გამოაქვეყნა კონსტიტუციის პროექტი, განხილვა კი იმავე წლის ნოემბერში დაიწყო“(კობახიძე 2019, 20).

სწორად შენიშნავს პროფ. მ.მაცაბერიძე, რომ „კონსტიტუციის ფუძემდებლობისათვის უდავოდ იყო მიჩნეული, რომ საქართველოსთვის უნდა შეემუშავებინათ უაღრესად დემოკრატიული, ამ მხრივ სხვებისათვის სანიმუშო კონსტიტუცია” (მაცაბერიძე 2021, 199).

მმართველმა სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ და მისმა აღიარებულმა ლიდერმა ნოე ჟორდანიამ სწორად განსაზღვრეს ის ძირითადი საკითხები, რომელიც უნდა გადაეწყვიტა ამ კონსტიტუციას. ნოე ჟორდანია აღნიშნავდა, რომ ყველა

კონსტიტუციის წინაშე ერთი და იგივე პრობლემა დგას... რანაირად შეიძლება აწყობა ხალხის უფლებისა, ე.ი. რანაირად უნდა იმუშაოს სახელმწიფოს ორგანოებმა ისე, რომ ეს ორგანოები ერთი მეორეს ხელს არ უშლიდნენ, ერთი მეორეს ეხმარებოდნენ და საბოლოოდ, ამ ორგანოების მუშაობა ჰქმნიდეს ერთ მთლიან სახელმწიფოს... ნ.ჟორდანიას ასევე უმნიშვნელოვანეს საკითხად მიაჩნდა შესაბამისობის საკითხი წერილობით კონსტიტუციასა და ე.წ. ფაქტიურ კონსტიტიციას შორის. იგი მიიჩნევდა, რომ „კონსტიტუცია არავითარ ახალ უფლებას არ ქმნის, ის მხოლოდ აღბეჭდავს იმას, რაც უკვე არის ცხოვრებაში თუ ფაქტიური კონსტიტუცია ერთია და დაწერილი კი - მეორე, აქ, რასაკვირველია წერილობითი კონსტიტუცია იძულებული იქნება ადგილი დაუთმოს ფაქტიურს და ამ ორ წყებას შორის მოხდება სრული კოლიზია და ამ ბრძოლაში, ეჭვის გარეშეა, გაიმარჯვებს ფაქტიური კონსტიტუცია... თუ ტანისამოსი ადამიანის ტანზე არ არის გამოჭრილი, თავისთავად ცხადია, მისი მატარებელი იძულებული გახდება ის გაიხადოს და ახალი მკერვალი ეძიოს, ისეთი მკერვალი, რომელიც მის ტანზე გამოჭრის ტანისამოსს“ (მაცაბერიძე 2021, 15-16).

ამასთან გამოითქმებოდა მოსაზრებაც. რომ მართალია კონსტიტუცია ემყარება და მჭიდრო კავშირშია არსებულ რეალობასთან, მაგრამ მისი შემუშავების დროს არაა საჭირო „რეალობის ყმად“ გადაქცევა... კონსტიტუცია, როგორც ქვეყნის მოწყობის და მართვის იურიდიული ფორმა, მიზნად უნდა ასახავდეს არა მარტო აწმყოს, არამედ მომავალსაც. ე.ი. მასში უნდა იყოს ჩაქსოვილი შესაძლებლობა სოციალური ცხოვრების წინსვლისა და ყოველმხრივი განვითარებისა“ (ჩხენკელი 1984).

საქართველოს მაშინდელი პოლიტელიტა სანიმუშოდ მიიჩნევდა აშშ-ის და შვეიცარიის კონსტიტუციებს, მოსწონდათ ფრანგულიც ვინაიდან საქართველოს არ შეეძლო მიებაძა და გადაეღო ორპალატიანი და ფედერალური მართვის მოდელი, ამიტომ ცალკეული დებულებები აღებულ იქნა შვეიცარიის და საფრანგეთის კონსტიტუციიდან. როგორც მაშინ გამომავალი ერთი გაზეთი წერდა, „საქართველოს კონსტიტუცია თავისი საბოლოო რედაქციით შეიძლება საერთო-ეროვნულ ქმნილებად ქცეულიყო, მთელი ხალხის თავისუფლებისა და ბედნიერების წმინდა პალადიუმად, რომელიც ერთნაირად მახლობელი და ძვირფასი იქნება საქართველოს ყველა მოქალაქისათვის, პარტიული, კლასობრივი და ეროვნული განსხვავების მიუხედავად“ („სლოვო“, 25.XI. 1920). ამიტომ აღნიშნავდა საკონსტიტუციო კომისიის

თავმჯდომარე პ.საყვარელიძე 1920 წ. 24 ნოემბერს პარლამენტში გამოსვლისას, რომ დამფუძნებელი კრება „მიიღებს არა მენშევიკურ, არა ფედერალისტურს... არ საბჭოთა, არამედ დემოკრატიულ კონსტიტუციას“-ო (მაცაბერიძე 2021, 17).

პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია შედგებოდა 17 თავისა და 149 მუხლისაგან{ აღსანიშნავია, რომ 1995 წლის კონსტიტუციაში 1921 წლის კონსტიტუციის მთელი რიგი ნორმები სიტყვასიტყვით არის გადმოტანილი(დემეტრაშვილი, კობახიძე 2014, 45-50)}.

ხაზი ესმებოდა იმასაც, რომ კონსტიტუციას ქართული მოსახლეობის პრიორიტეტულობის მიუხედავად, ასევე უნდა კარგად გამოეხატა საქართველოს მრავალეროვნული მოსახლეობის - ეროვნული უმცირესობების ინტერესებიც. მხოლოდ ამ შემთხვევაში უზრუნველყოფდა კონსტიტუცია „საქართველოს მტკიცე და ბედნიერ განვითარებას“ („სლოვო“ 25.XI. 1920).

1921 წლის კონსტიტუციის შემოქმედთა აზრით ეროვნული დამოუკიდებლობის დამკვიდრებას ქვეყანაში პირდაპირ უკავშირდებოდა დემოკრატიული მართვა გამგეობის და წყობის დამყარებაც - მათთვის ეროვნული სახელმწიფო და დემოკრატია, ადამიანის უფლება-თავისუფლებები ერთმანეთისგან განუყოფელი ფასეულობანი იყო.

სამთავრობო გაზეთში გამოქვეყნებული სტატია პირდაპირ მიუთითებდა, რომ მხოლოდ ნაციონალური სახელმწიფოს პირობებში შეუძლიათ დემოკრატიულ ძალებს „სრული განვითარება, სამართლიანობის იდეალებისათვის ყოველმხრივ დაუბრკოლებელი წინმსვლელობა. დემოკრატია ნაციონალურ სახელმწიფოში ნახულობს თავის თავსა და ძალ-ღონეს“ („საქართველოს რესპუბლიკა“, 3.04. 1920).

დამოუკიდებელი საქართველო და მისი მთავრობა დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე გაემიჯნა რუსულ ბოლშევიზმს, მის იდეოლოგიას, მართვა-გამგეობას და ანტიჰუმანიზმს, ადამიანის და ერის უფლებათა არარსებობას და ამან ასახვა ჰპოვა 1921 წლის კონსტიტუციაში. ცნობილი ეროვნულ-დემოკრატი გიორგი გვაზავა პირდაპირ მიუთითებდა, რომ საქართველო ყოველთვის დასავლური ცივილიზაციისკენ მიისწრაფოდა (მაცაბერიძე 2021, 23). უმრავლესობას დემოკრატიული წყობილების დამკვიდრების გზად კონსტიტუციის შემოღება და მისით ქვეყნის მართვა მიაჩნდა, ხოლო ასეთ დემოკრატიულ ღირებულებებზე და

მართვის წესებზე დაყრდნობა თავისთავად გულისხმობდა კიდეც მათ დასავლურ და არა პრობოლშევიკურ ორიენტაციას.

სწორად შენიშნავს პროფესორი მ. მაცაბერიძე, რომ ქართული კონსტიტუციონალიზმის ჩამოყალიბება მიმდინარეობდა იმდროინდელი მოწინავე დასავლური სამართლებრივი თეორიის მიღწევების შეთვისების გზით. მის თეორიულ საფუძველს ქმნიდა ისეთი დოქტრინები, როგორიცაა ხალხის სუვერენიტეტი და პარლამენტარიზმი.

„კონსტიტუციის შესამუშავებლად უნდა ვისარგებლოთ ევროპის გამოცდილებით: - აღნიშნავდა ა.ჩხენკელი. საჭიროა კრიტიკული ანალიზი სხვადასხვა ქვეყნის კონსტიტუციის მდგომარეობისა“ - მიუთითებდა სპირიდონ კედია საკონსტიტუციო კომისიის სხდომაზე“ (სცსსა, ფ.1833, ანაწ.1, საქმ.181, ფურც.17).

მაშინდელი საკონსტიტუციო კომისიის დავალებით სვიტოშმა რუსულად თარგმნა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის 1920 წლის კონსტიტუცია, ხოლო იმნაიშვილმა - ქართულად გადმოთარგმნა 1919 წლის გერმანიის კონსტიტუცია (სცსსა, ფ. 1833, ანაწ. 1, საქმ. 181, ფურც. 263), გამოყენებული იქნა ასევე აშშ-ის, ბელგიის და საფრანგეთის კონსტიტუციებიც.

კ.მიქელაძე ხაზს უსვამდა, რომ ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადება 1918 წლის 26 მაისს, გამიჯვნა რუსული ბოლშევიზმისგან ამავე დროს იყო დემოკრატიული პრინციპების გამარჯვება XX საუკუნის რუსულ ბარბაროსობაზე. ეს პრინციპები იდენტური იყო პოლიტიკურად ფრიად განვითარებული ქვეყნების პრინციპებისა. დემოკრატიული ინსტიტუტების დამკვიდრების გარანტად კ.მიქელაძეს მიაჩნდა „ქართველი ხალხის პოლიტიკური სიმწიფე და უნარი ადვილად იმის შეთვისებისა, რაც მის ცხოვრებას არც ერთი მხრივ აქამდე არ მიჰკარებია“ (მიქელაძე 1918, 63).

საინტერესოდ მსჯელობდა ამავე საკითხზე ეროვნულ-დემოკრატი და იურისტი გიორგი გვაზავა. მისი აზრით, შეუძლებელია ჩამორჩენილ ხალხს „მოახვიოთ თავზე დემოკრატიული რესპუბლიკა“, რომ ამისათვის აუცილებელია ეროვნული განვითარების, კულტურის გარკვეული დონე: „მთავრობა და საზოგადოდ უფლებრივი წესწყობილება პირდაპირი შედეგია ეროვნული განვითარების, საზოგადო კულტურისა და შეგნების და არა პიროვნული სურვილისა და ფანტაზიების“ (გვაზავა 1920, 1).

გიორგი გვაზავაც, სხვათა მსგავსად, დაასკვნის, რომ „ერთადერთი პრინციპი, რომელზედაც უნდა იქნეს აგებული ჩვენი სახელმწიფოებრივი ცხოვრება, არის დემოკრატიზმი“ (გვაზავა 1920, 10). მისი მტკიცებით, ეს არის საქართველოს ისტორიული განვითარების ლოგიკური შედეგი - „საქართველო არ არის ახლად დაბადებული ერი. იმას თან მოაქვს ოცი საუკუნის კულტურა, სახელმწიფოებრივი შეგნება და იდეალები... თამარ მეფის დროს ყოფილა დიდი პოლიტიკური მოძრაობაც (ყუთლუ არსლანის დასის გამოსვლა - ა. კ.) საკონსტიტუციო წყობილების დასამყარებლად. ხოლო მე-20 საუკუნის დამდეგის ქართველი ხალხის „პოლიტიკური აზრი და ეროვნული შეგნება“ მზად იყო დემოკრატიზმის პრინციპის საფუძველზე სახელმწიფოებრივი ცხოვრების მოსაწყობად, რომლის დროსაც „ყველა თავისუფალია და თანასწორი, ყველა თანაბრად ღებულობს მონაწილეობას სახელმწიფო საქმეების მართვა-გამგეობაში“ (გვაზავა 1920, 6).

გიორგი გვაზავა თვლიდა, რომ იმდროინდელი საერთაშორისო მდგომარეობა ხელს შეუწყობდა საქართველოში დემოკრატიული წყობილების შენებას და დამკვიდრებას. საქართველო, რომ შესულიყო მოწინავე ერთა ოჯახში, ამისათვის მხოლოდ ერთი გზა არსებობდა - მიღება და ცხოვრებაში გატარება იმავე პრინციპებისა, რომლებზედაც აგებულია სახელმწიფოებრივი ცხოვრება „სხვა მოწინავე ქვეყნებისა“ (გვაზავა 1920 10).

კარგად ჩანს, რომ როგორც სოციალ-დემოკრატებს, ისე ეროვნულ-დემოკრატებსაც დემოკრატიული საზოგადოების საძირკვლის ჩაყრა და მშენებლობა სრულად რეალურ და დაძლევად ამოცანად ესახებოდათ, რაც დაამტკიცა კიდევ 1918-1921 წლების დამოუკიდებელ საქართველოში რეალურად დამყარებულმა დემოკრატიულმა ატმოსფერომ და სიტუაციამ.

საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის ამოსავალი და საფუძველმდები პრინციპები ჩამოყალიბებულ იქნა 1918 წლის 26 მაისს დამოუკიდებლობის აქტში.

შემდგომში საკონსტიტუციო კომისიის გადაწყვეტილებით დამოუკიდებლობის აქტში ასახული პრინციპები არა მარტო საფუძვლად დაედო კონსტიტუციის შესაბამის მუხლებს, არამედ თვით დამოუკიდებლობის აქტიც მთლიანად დაერთო კონსტიტუციის პროექტს შესავალი ნაწილის სახით. სწორად აღნიშნავდა გიორგი

გვაზავა, რომ დამოუკიდებლობის აქტი „არის დაბადება ჩვენი სახელმწიფოსი“, იგი „უნდა მივიღოთ, როგორც შესავალი კონსტიტუციისა, რადგან ეს არის ფაქტი, რომლის შემდეგაც მომდინარეობს, მოსჩქეფს ჩვენი უფლებანი, რასაკვირველია ეს უნდა ედგას სათავეში ჩვენს კონსტიტუციას“ (სცსსა, ფონდი 1833, ანაწ. 1, საქმ. 859, ფურც 139). ეს მოსაზრება მთლიანად გაიზიარა დამფუძნებელმა კრებამ და დამოუკიდებლობის აქტი დაერთო კონსტიტუციას შესავლის სახით.

საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია შედგებოდა 149 მუხლისაგან, საიდანაც 55 მუხლი, ანუ მესამედზე მეტი ეძღვნებოდა მოქალაქეთა უფლებების დაცვას განურჩევლად სქესისა, რელიგიური კუთვნილებისა და ეროვნებისა.

1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტში შეტანილი პრინციპები ნეიტრალიტეტისა და კეთილმეზობლური ურთიერთობების შესახებ სხვა ქვეყნებთან კონსტიტუციაში აღარ შეუტანიათ, რადგან ეს მუხლები უფრო დეკლარაციულ ხასიათს ატარებდა.

ასევე დამოუკიდებლობის აქტით დეკლარირებული დემოკრატიული რესპუბლიკა ამ კონსტიტუციით მმართველობის მუდმივ და უცვლელ ფორმად გამოცხადდა. დამფუძნებელმა კრებამ შეიმუშავა დემოკრატიული რესპუბლიკის ორიგინალური და სპეციფიკური მოდელი, რომელიც მართლაც მიმართული იყო ხალხის სუვერენიტეტის მაქსიმალურ უზრუნველყოფაზე (გვაზავა 1920 12).

მმართველი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხედვა ქართული სახელმწიფოს და მისი მომავალი კონსტიტუციის საკითხთან დაკავშირებით მკაფიოდაა ჩამოყალიბებული მათი ლიდერის და მომავალში მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას ნაშრომში „სოციალ-დემოკრატია და საქართველოს სახელმწიფო ორგანიზაცია“ - ესაა მოხსენება, რომელიც მან გააკეთა 1918 წლის 4 აგვისტოს სოციალ-დემოკრატთა (მენშევიკთა) პარტიულ სხდომაზე თბილისში. ნ. ჟორდანია მიიჩნევდა, რომ საპარლამენტო რესპუბლიკისაგან (რომელიც დღესაა საქართველოში - ა.კ.) დემოკრატიული რესპუბლიკა პრინციპულად განსხვავდება, რადგან საფუძვლად უდევს ხალხის პოლიტიკური თვითმმართველობის პრინციპი. აქ ხელისუფლება თავმოყრილია არა ცენტრში, არამედ გადანაწილებულია ცენტრსა და პერიფერიას შორის, ხელისუფლების დიდი ნაწილი უშუალოდ რჩება ხალხის ხელში, ხალხი

უშუალოდ მონაწილეობს მართვაში. როცა ხელისუფლება ასეა გადანაწილებული, ცენტრალური ხელისუფლება ვეღარ უპირისპირდება ხალხს და გადაიქცევა სახალხო ხელისუფლებად.

ნ.ჟორდანია მიუთითებდა, რომ საქართველოსთვის მიუღებელი იყო აშშ-სა და შვეიცარიაში არსებული დემოკრატიული რესპუბლიკის ფედერაციული ფორმა და საქართველოში უნდა დამკვიდრებულიყო უნიტარული დემოკრატიული რესპუბლიკა. მის შესასრულებლად კი საქართველოს ესაჭიროებოდა ორი პირობა - ნამდვილი დამოუკიდებლობა და ძლიერი დემოკრატიული ხელისუფლება. ჟორდანია მიიჩნევდა, რომ საქართველოს მომავალი საკანონმდებლო ორგანო ერთპალატიანი უნდა ყოფილიყო და მისი უზენაესობა უნდა შეზღუდულიყო კონსტიტუციით და სახალხო რეფერენდუმით, რომლითაც შევიდოდა ცვლილებები კონსტიტუციაში. ნ. ჟორდანია ყურადღებას აქცევდა იმასაც, რომ რეფერენდუმის დროს ხალხმა შეიძლება უარყოს პროგრესული კანონებიც - მისი სირთულის ან მოსახლეობის ჩამორჩენილობის გამო. ამიტომ, მხოლოდ ზოგიერთ ძირითად საკითხზე გამოცემული კანონები უნდა მიეღოთ რეფერენდუმის გზით (მაცაბერიძე 2021, 60). ნ. ჟორდანია თვლიდა, რომ უნდა ეხელმძღვანელათ ერთი პრინციპით: „ეს მთავრობა რაც შეიძლება ნაკლებ მმართველობდეს ხალხზე და მეტს ნივთებზე, ე.ი. ის უნდა ცდილობდეს სახელმწიფოებრივი მეურნეობის და ხალხის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას“ (ჟორდანია 1919, 27).

კონსტიტუციის შემქმნელებმა საქართველოსათვის შესაფერისად ჩათვალეს ადგილობრივი თვითმმართველობის დიდბრიტანული (ინგლისური) ტიპი; რომელიც მათი თქმით, „ხასიათდებოდა ერთის მხრივ ფართო კომპეტენციით, რომლის ფარგლებში შედის სახელმწიფოებრივი მმართველობის ფუნქციის ერთი ნაწილი, როგორც არის მილიციისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელობა; მეორე მხრივ, საგრძნობელი დამოუკიდებლობა ცენტრისაგან. ამ მდგომარეობას უზრუნველყოფს ის წესი, რომელიც თვითმმართველობების მოქმედების კონტროლს შეეხება: კონტროლი შესაძლებელია მხოლოდ კანონიერების და არა მიზანშეწონილი თვალსაზრისით“ (სცსა, ფონდი 1836, ანაწ. 1, საქმ. 420, ფურც. 161). ამავე დროს, თვითმმართველობის ამ ინგლისურ ტიპს არსებითი ცვლილებები უნდა განეცადა - დემოკრატიზაციისა და კომპეტენციის გაფართოების მიმართულებით.

კონსტიტუციის პროექტისათვის მომზადდა ადგილობრივი მმართველობის 3 პუნქტიანი დებულება, რომლის მიხედვით „ადგილობრივი თვითმმართველობანი - ერობათა და ქალაქთა - აწესრიგებენ ადგილობრივ და სხვადასხვა დარგის სამეურნეო საქმეებს და იმავე დროს ასრულებენ ადგილობრივ თავისი ტერიტორიის ფარგლებში, სახელმწიფოებრივ მართვა-გამგეობის ფუნქციებს, რომ ქალაქთა და ერობათა თვითმმართველობანი ირჩევიან საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭისყრის საფუძველზე“ (სცსსა, ფ.1836, ანაწ. 1., საქმ. 420, ფურცელი 161).

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ამ დებულების მესამე პუნქტი, რომლის მსგავსს ვერ შეხვდებით ვერც ქართულ დღევანდელ რეალობაში და ვერც 1995 წლის საქართველოს კონსტიტუციაში და მის ჩასწორებებში 2010 და 2017 წელს: „სახელმწიფოს ცენტრალურ ორგანოს არა აქვს უფლება ჩაერიოს ადგილობრივ თვითმმართველობათა საქმეებში, გააუქმოს და შეაჩეროს რომელიმე მათი დადგენილება“ (სცსსა, ფ.1836, ანაწ. 1., საქმ. 420, ფურცელი 161).

საინტერესო პუნქტებს შეიცავდა ასევე დებულება „სახელმწიფო მოხელეთა შესახებ“, რომელიც შეადგინა კ. მიქელაძემ. ეს დებულება არა მარტო მოვალეობებს აკისრებდა სახელმწიფო მოხელეებს, არამედ მნიშვნელოვან უფლებებსაც აძლევდა. მე-6 მუხლით მოხელეს ენიჭებოდა პენსიის მიღების უფლება, რაც პირველად წესდებოდა ოფიციალურად საქართველოში. ამასთან, დებულების მიხედვით, მოხელის გადაყენებას ოფიციალურად საქართველოში. ამასთან, დებულების მიხედვით, მოხელის გადაყენებას თანამდებობიდან უნდა მოჰყოლოდა მისი სამართალში მიცემა (მუხლი 4). თუ სასამართლო მას გაამართლებდა, ამას უნდა მოჰყოლოდა „სათანადო მდგომარეობის აღდგენა და მატერიალური ზარალის ანაზღაურება“ (მუხლი 5). თითოეულ მოხელეს ეკისრებოდა სისხლის სასამართლოს პასუხისმგებლობა სამსახურში ჩადენილი ბოროტმოქმედებისა და იმ მოქმედებისათვის, რომელიც მოქალაქეს მატერიალურ ან მორალურ ზიანს მიაყენებდა (სცსსა, ფონდი 183 წ., ანაწ. 1, საქმ. 420, ფურც. 56).

კონსტიტუციის განხილვის დროს გარკვეული ცვლილებები შევიდა თითქმის ყველა თავში. მაგ: 90-ე მუხლით „სასამართლოს არც-ერთი განაჩენი არ შეიძლება გაუქმებულ, შეცვლილ ან შეჩერებულ იქნეს კანონმდებელი, აღმასრულებელი ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ“ დაამატეს აღნიშვნა, რომ აქ გამონაკლისს

წარმოადგენდა ამნისტია და შეწყალება. პროექტის 92-ე მუხლში ეწერა, რომ „ყოველგვარ სისხლის სამართლის, პოლიტიკურის და აგრეთვე ბეჭდვითი დანაშაულისათვის არსებობს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი“. აქ სიტყვა „ყოველგვარი“ შეიცვალა „მძიმე“-თი („მძიმე სისხლის სამართლის“...). 93-ე მუხლს დაემატა წინადადება, რომ „ყოველი მოსამართლე აირჩევა ვადით“ (სცსსა, ფონდი 1825, ანაწ., 1, საქმ. 170, ფურც. 7). 925-ე მუხლის თანახმად „პირველდაწყებით სკოლაში უღარიბეს ბავშვებს საზრდო, ჩასაცმელ-დასახური და სასწავლო ნივთები უფასოდ მიეცეთ“ - ამ მუხლს დაემატა მისი განხორციელებისათვის ფინანსური წყაროს აღნიშვნაც: „ამ მიზნის განსახორციელებლად სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობანი თავის შემოსავლის ერთ ნაწილს სდებენ ყოველ წლიურად (სცსსა, ფონდი 1825, ანაწ. 1, საქმ. 170, ფურც. 9).

პროექტის 161-ე მუხლით „არც ერთ სარწმუნოებას არა აქვს უპირატესობა“ ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: „ყველა სარწმუნოება თანასწორია. სარწმუნოება თავისუფალია“ (სცსსა, ფონდი 1825, ანაწ. 1, საქმ. 170, ფურც. 9).

მე-13 თავი ეხებოდა მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკურ უფლებებს. 39-ე მუხლში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ „პროფკავშირები თავისუფალნი არიან ისე, როგორც სხვა ყოველგვარი კავშირები“, 42-ე მუხლით კი წესდებოდა, რომ „მუშათა გაფიცვა თავისუფალი, არავითარი შეზღუდვა ამ პრინციპისა კონსტიტუციაში არ უნდა იქნეს“ (სცსსა, ფ. 1825, ანაწ. 1, საქმ. 156, ფურც. 5).

რ. არსენიძე დაეთანხმა კარლ კაუცკის შენიშვნას, რომ საჭირო არ იყო პარლამენტის თავმჯდომარის ყოველწლიურად არჩევა, მაგრამ არ დაეთანხმა ანალოგიურ თვალსაზრისს მთავრობის თავმჯდომარის შესახებ. მისი თქმით, თუ მთავრობის თავმჯდომარე ყოველწლირად არ იქნებოდა არჩეული, მაშინ შესაძლებლობა ჩნდებოდა პიროვნების კულტის ჩამოყალიბებისათვის. ამ იდეას მხარი დაუჭირა ნოე ჟორდანიამაც და დაწესდა, რომ მთავრობის თავმჯდომარე უნდა არჩეულიყო ყოველწლიურად, ზედიზედ მხოლოდ ორჯერ. ალბათ ისტორიაში პირველი შემთხვევაა, რომ მთავრობის თავმჯდომარემ თავის თავს კონსტიტუციური შეზღუდვა დაუწესა (ამას დემოკრატიული მაქსიმალიზმი ანუ დემოკრატიით ზედმეტი გატაცება ეწოდა შემდგომ). კონსტიტუციაში ასევე ჩაიწერა, რომ „ყოველკვირეულ სამუშაო დრო არ უნდა აღემატებოდეს 48 საათს, სასოფლო

მეურნეობაში სამუშაო დრო უნდა ეგუებოდეს მის სეზონურ ხასიათს (გაზეთი „ერთობა“, 23.01.1921).

მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო ასევე ეროვნულ უმცირესობათა საკითხებს - მაშინ საქართველოში 15 ეროვნული საბჭო მოქმედებდა. აკაკი ჩხენკელი ხაზს უსვამდა, რომ „ეროვნულ უმცირესობათა პროექტები უნდობლობას შეიცავს ჩვენი რესპუბლიკისადმი“, ამიტომ „მათ პროექტებს არ უნდა დავემყაროთ“. მან სწორად მიუთითა, რომ ამოსავალი უნდა ყოფილიყო სახელმწიფოს ინტერესები: „ყველაფერი უნდა მიეცეთ, რაც შესაძლებელი იქნება და სახელმწიფოს არ ავნებს“ (სცსაა, ფონდი 1825, ანაწ. 1, საქმე 129, ფურც. 39). ნოე ჟორდანიასათვის მთავარი საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესები იყო. ის მიუთითებდა, რომ რუსეთის იმპერიაში მარქსისტები როცა ითხოვდნენ პატარა ერებისათვის დიდ უფლებებს, კიდევაც რომ მიეცათ, პატარა ერები „მაინც ვერაფერს დააკლებდნენ რუსეთს, როგორც დიდ სახელმწიფოს“. ჩვენი ქვეყნისათვის კი ასეთი რამ დამღუპველი იქნებოდა: „ჩვენ პატარა სახელმწიფო ვართ, აქ კი 16-მდე ნატეხი ერებია. ამდენი ხალხი რომ საჯარო უფლებებით აღვჭურვოთ, ისინი უფრო დიდი ცენტრი შეიქმნებიან ჩვენს რესპუბლიკაში“. ნ. ჟორდანიამ მოითხოვა ეროვნულ უმცირესობათა განსახლება რაიონებში ნაციონალური თემების შექმნა, რაც არსებითად ნაციონალურ-ტერიტორიული კავშირი იქნებოდა და მათ კულტურულ განვითარებასაც შეუწყობდა ხელს (სცსსა, ფონდი 1825, ანაწ. 1, საქმ. 129, ფურც. 37). მისი მთავარი პრინციპი იყო ძალიან საინტერესო: „არ შეიძლება იყოს სახელმწიფოში მეორე სახელმწიფო“.

1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის 52-ე მუხლი ხაზს უსვამდა, რომ „ხელმწიფება ეკუთვნის მთელს ერს“, რომ სუვერენი ხალხია. კონსტიტუციის მე-4 თავის კომენტარში დაფიქსირებულია, რომ „დემოკრატიაში ხალხს უჭირავს უპირველესი ადგილი... ხალხის ნება არის აბსოლუტური. არ არსებობს სახელმწიფოში ნება, რომელიც იდგეს ხალხის ნებაზე მაღლა... მისი ხელისუფლება არ ისაზღვრება გარედან. თავის ნებას ის თვით ზღუდავს, თვით ხალხი იძლევა იმ საზღვრებს, რომელშიდაც უნდა გაიშალოს და იბატონოს მისმა ნებამ... ყველაფერში და ყველგან მისი ნება სჭარბობს“ (სცსსა, ფონდი 1833, ანაწ. 1, საქმ. 182, ფურც. 58).

ამრიგად, ძირითადი პრინციპი, რომლის დამკვიდრებასაც ცდილობდნენ 1921 წლის კონსტიტუციის შემოქმედნი, ხალხის მმართველების დამყარება იყო. ხაზი

ესმებოდა იმასაც, რომ ხალხის სუვერენობის აღიარებას დეკლარაციული ხასიათი არ ჰქონოდა და ქვეყნის მოქალაქეებს მართლაც მიეღოთ მონაწილეობა სახელმწიფოს მართვაში. ხალხის ხელისუფლება კი რეალურად უნდა განხორციელებულიყო რეფერენდუმისა და საკანონმდებლო ინიციატივის მეშვეობით, რაც მათი აზრით, შეიცავდა ხალხის პირდაპირი მართვის ელემენტებს.

ამ კონსტიტუციის მიხედვით პარლამენტს - ხალხის სუვერენობა ეკუთვნის მხოლოდ კონსტიტუციის ფარგლებში: „რაც კონსტიტუციით პარლამენტს არა აქვს გადაცემული, ის ხალხს აქვს დარჩენილი; კონსტიტუცია და თვით ხალხი პარლამენტზე მაღლა დგას“. იმავდროულად პარლამენტის სუვერენობა ნიშნავდა, რომ აღმასრულებელი ხელისუფლება და სასამართლო მასზე მაღლა არ იდგა. გარდა კონსტიტუციისა, სხვა სახელმწიფო ინსტიტუტების მოქმედებას საზღვრავდა პარლამენტი. ამრიგად, 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციით „სუვერენის სახელი ეკუთვნის ერს და შემდეგ შეზღუდული სახით პარლამენტს მეტს არავის“ (სცსსა, ფონდი 1833, ანაწ. 1, საქმ. 182, ფურც. 54).

კონსტიტუციის მიხედვით, 30 ათასი ამომრჩევლის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, პარლამენტი ვალდებული იყო ახალმიღებული კანონი სარეფერენდუმოდ წარედგინა ხალხისთვის, რითაც მკვიდრდებოდა ე.წ. ფაკულტატური რეფერენდუმი (რაც ამოღებულია დღევანდელ კონსტიტუციაში - ა.კ.) (მაცაბერიძე 2021, 198).

1921 წლის კონსტიტუციის ავტორებს ჰქონდათ ამბიცია, რომ საქართველო ყოფილიყო ერთ-ერთი ყველაზე დემოკრატიული ქვეყანა მთელს მსოფლიოში, რომ უნდა შეემუშავებინათ მართლაც სუპერდემოკრატიული, ყველა ერისათვის სანიმუშო კონსტიტუცია. საამისოდ მართლაც ყველაფერი გაკეთდა და ბევრი კომპრომისი შედგა დაპირისპირებულ მხარეებს შორის პარლამენტში.

მაშინ მსოფლიოც და ქართველობაც მიიჩნევდა, რომ ყველაზე დემოკრატიული ქვეყანა იყო პატარა შვეიცარია, რომლის მართვის მოდელიდან ზოგიერთი რამ იქნა 1921 წლის კონსტიტუციაში გადმოტანილი. აქედან გამომდინარე, კონსტიტუციის პროექტს საფუძვლად დაედო დემოკრატიული რესპუბლიკის შერეული, კომპრომისული მოდელი: უცვლელი დარჩა უკვე არსებული სახელმწიფოებრივი პრაქტიკა - საპარლამენტო დემოკრატია, ე.ი. „არჩევა პარლამენტის მიერ მთავრობის

თავმჯდომარისა და შემდეგ თავმჯდომარის მიერ შედგენა პარლამენტარულ მთავრობისა“. ხოლო „ხალხის თვითმპყრობელობის“ უზრუნველყოფის მიზნით მას შეუერთეს პირდაპირი დემოკრატიის ზოგიერთი ინსტიტუტი, კერძოდ - რეფერენდუმი - „ხალხის მოთხოვნა, რომ მას გადასცეს კანონი დასადასტურებლად“ და სახალხო ინიციატივა - რომ „ესა თუ ის კანონპროექტი განხილულ იქნეს“.

ამრიგად, ერთი მხრივ, მკვიდრდებოდა საპარლამენტო დემოკრატია, მეორე მხრივ, რეფერენდუმ-ინიციატივის სისტემის შემოღებით, მთავრობის თავმჯდომარის ყოველწლიური არჩევით, მისთვის რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლის როლის მინიჭებით, ერთი და იმავე პირის მთავრობის თავმჯდომარის ადგილზე არჩევის შეზღუდვით და სხვა, კონსტიტუცია გარკვეულწილად უახლოვდებოდა შვეიცარიული ტიპის დემოკრატიას (მაცაბერიძე 2021, 202).

1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის დასაწყისშივე-პირველ მუხლში მითითებული იყო, რომ საქართველო არის „განუყოფელი სახელმწიფო“. კონსტიტუციის შემქმნელთა აზრით, ამით ცხადდებოდა „ჩვენი სახელმწიფოს არსი - უნიტარული რესპუბლიკა“ (სცსსა, ფონდი 1833, ანაწ. 1 , საქმე 181, ფურცელი 301). მათი თვალთახედვით, განუყოფლობა ნიშნავდა, რომ ერთი მხრივ, დაუშვებელი იყო სახელმწიფო ტერიტორიის გაყოფა, განაწილება, გაყიდვა, სხვა ქვეყნისთვის გადაცემა, მეორე მხრივ კი გამორიცხული იყო ქვეყნის ფედერალური ან კონფედერაციული მოწყობა. საქართველოს უნიტარულ მოწყობას მხარი დაუჭირეს სოციალ-ფედერალისტებმაც - ამ საკითხში საკონსტიტუციო კომისია გაჰყვა ბელგიის კონსტიტუციას. უნიტარული დემოკრატიული რესპუბლიკის პრინციპს უთავსდებოდა კონსტიტუციის XI თავით აღიარებული ავტონომია, რომელიც ენიჭებოდა ბათუმის ოლქს, აფხაზეთსა და ზაქათალას (საინგილოს). სწორად მიუთითებდა სოციალ-დემოკრატი პავლე საყვარელიძე, რომ არ იყო არავითარი წინააღმდეგობა უნიტარიზმსა და ავტონომიის პრინციპს შორის, რადგან ეს არ იყო სახელმწიფოებრივი ავტონომია, რომელიც ნიშნავს „საკუთარ ტერიტორიალურ და მოქალაქეობრივ უფლებას“, „საკუთარ სახელმწიფო უფლებას“ და განმარტავდა, რომ „სახელმწიფოს საზღვრებში არ არის ცალკე სახელმწიფო ტერიტორია აფხაზეთისა, ტერიტორია აჭარისა, არამედ არის ტერიტორია საქართველოს რესპუბლიკისა და ამ ტერიტორიის ფარგლებში ამ ნაწილთ მიეცემათ განსაკუთრებული მართვა-გამგეობა“

(სცსსა, ფონდი 1833, ანაწ. 1, საქმ. 859 ფურც. 26-27). დამფუძნებელთა აზრით ავტონომია არ არღვევდა „განუყოფელ ტერიტორიალიზმს“ და „დემოკრატიული სახელმწიფოს მთლიანობას. კონსტიტუციით, ქვეყანა უნდა ყოფილიყო ერთიანი, მთლიანი და განუყოფელი, რაც სრულიად პასუხობდა საქართველოს ეროვნულ ინტერესებს.

1921 წლის კონსტიტუცია, პირველად საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში, საფუძველს უყრიდა სამართლებრივ სახელმწიფოს, ამიტომ ავტორებმა კონსტიტუციაში შეიტანეს ისეთი მუხლები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ კანონის უზენაესობას და სასამართლოს რეალურ დამოუკიდებლობას. კონსტიტუციის 78-ე მუხლით გამოცხადდა, რომ „სასამართლო დამოუკიდებელია და მხოლოდ კანონს ემორჩილება. 79-ე მუხლი კი იძლეოდა გარანტიას, რომ სასამართლოს არც ერთი განაჩენი არ შეიძლება გაუქმებელი, შეჩერებული ან შეცვლილი იქნას „კანონმდებელი, აღმასრულებელი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ“.

სასამართლო იყოფოდა სამ მიმართულებად: სისხლის საქმეთა, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ. უმაღლესი სასამართლო სახით შეიქმნა სენატი. ყველაფერი გაკეთდა იმის უზრუნველსაყოფად, რომ სასამართლო ხალხთან ყოფილიყო დაახლოებული: „სისხლის სამართლის საქმეებში ხალხმა უნდა მიიღოს მონაწილეობა სასამართლოში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის სახით“ (სცსსა, ფონდი 1833, ანაწ. 1, საქმ. 181, ფურც. 40). საინტერესოა ისიც, რომ კონსტიტუციის 81-ე მუხლით მკვიდრდებოდა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი არა მარტო მძიმე სისხლის სამართლის, არამედ აგრეთვე პოლიტიკური და ბეჭდვითი დანაშაულისათვის, რაც დიდი ბრიტანეთიდან და საფრანგეთიდან იქნა გადმოღებული (ეს ფუნქცია დღეს აღარ აქვს თანამედროვე საქართველოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს). სასამართლოს სხდომები საჯაროდ ცხადდებოდა და „მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც ამას მოითხოვდა ზნეობისა და საზოგადო მშვიდობიანობის დაცვის ინტერესი, სხდომა შეიძლება „კარდახშულ იქნეს თვით სასამართლოს დადგენილებით“ (მუხლი 80). კონსტიტუციის 82-ე მუხლით მოსამართლე ირჩეოდა ვადით, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მოსამართლის უფლებებისა და დამოუკიდებლობის დაცვას (მუხლი 83). უმაღლეს სასამართლოს, სენატს ირჩევდა პარლამენტი. სენატის ფუნქცია იყო თვალყური ედევნებინა კანონის დაცვისა და

სასწრაფოდ აღსრულებისათვის და როგორც საკასაციო სასამართლოს, განეგო სასამარლო ნაწილი (სცსსა, ფ. 1833, ანაწ. 1, საქმ. 181, ფურც. 248).

ამრიგად, როგორც ზემოთ აღინიშნა, 1921 წლის კონსტიტუციის ფუძემდებლების იდეალს წარმოადგენდა „უფლებრივი სახელმწიფო“ (ახლანდელი ტერმინოლოგიით სამართლებრივი სახელმწიფო“. ისინი ხაზს უსვამდნენ სამართლებრივი (უფლებრივი) სახელმწიფოს ორ ნიშანს.

1) კანონმდებლობა და კონტროლი კანონის შესრულებაზე ეკუთვნის ხალხს მისი წარმომადგენლების სახით;

2)სახელმწიფო ხელისუფლება შეზღუდულია კანონით. სახელმწიფო ხელისუფლება შეზღუდულია მოქალაქეთა მიმართ და გამიჯნულია სახელმწიფოსა და მოქალაქის უფლებები (სცსსა, ფონდი 1833, ანაწ. 1, საქმ. 192, ფურც. 41). ხაზგასმული იყო, რომ დემოკრატიულ ქვეყანაში კანონი გამოხატავს ხალხის ნება-სურვილს, რომელსაც „უსიტყვოდ უნდა დაემორჩილოს ყველა, იქნება ეს უბრალო მოქალაქე თუ მთავრობის წარმომადგენელი ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო“ (სცსსა, ფონდი 1833, ანაწ. 1, საქმ. 1385, ფურც. 249).

უფლებრივი (სამართლებრივი) სახელმწიფო გაგებული იყო როგორც კანონის უზენაესობა და მოქალაქეთა უფლებების განუხრელი დაცვა („შეუძლებელია დასჯა კაცისა, თუ არა კანონის დარღვევისათვის“).

საგანგებო მნიშვნელობა ენიჭებოდა კონსტიტუციის უზენაესობის დაცვას. აკრძალული იყო „კონსტიტუციის დებულებებისა და მათი დედა აზრის“ საწინააღმდეგო კანონის, დეკრეტის, ბრძანების ან განკარგულების გამოცემა. ხელისუფლების ყველა შტოს წარმომადგენლის განუხრელ მოვალეობად ცხადდებოდა კონსტიტუციის მოთხოვნების შესრულება და მისი პრინციპების გატარება კანონმდებლობასა და მართვა-გამგეობაში (სცსსა, ფონდი 1833, ანაწ. 1, საქმ. 1385, ფურც. 250).

1921 წლის კონსტიტუციის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ღირსება იყო მოქალაქეთა სოციალური პოლიტიკური უფლებების მაღალ დონეზე უზრუნველყოფა. ისინი ჩამოყალიბებულია კონსტიტუციის მე-3 თავში „მოქალაქის უფლებანი“, რომელთა კონსტიტუციური აღიარება და დაცვა აუცილებელი იყო სამართლებრივი სახელმწიფოს ფარგლებში.

კონსტიტუციით მოქალაქის უპირველეს და მთავარ უფლებად მიჩნეულია პიროვნული თავისუფლება: „კანონით დადებულ ფარგლებში ყოველი მოქალაქე თავისუფალია და მას რაიმე მოქმედებებისათვის არავისგან წინასწარი ნებართვა არ სჭირდება“ (სცსსა, ფონდი 1833, ანაწ. 1., საქმ. 192, ფურცლ. 41). საამისო გარანტიას წარმოადგენდა ის, რომ მოქალაქის თვაისუფალ მოქმედებაში ჩარევა შეიძლებოდა მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში და სასამართლოს დადგენილებით.

1921 წლის კონსტიტუციაში მოქალაქეთა პიროვნული თავისუფლების დაფიქსირებას წინ უძღოდა ძირითადი დებულებები უფლებრივი თანასწორობის შესახებ, რაც განიხილებოდა როგორც მოქალაქის უდიდესი უფლება და „მასთან აუცილებელი პირობა პიროვნული თავისუფლებისა“ (სცსსა ფონდი, 1933 ანაწ. 1, საქმ. 192, ფურც. 41).

კონსტიტუციამ გააუქმა წოდებასთან, ეროვნებასთან, სარწმუნოებასთან და სქესთან დაკავშირებული უფლებრივი უთანასწორობა, წოდებრივი ტიტულები. მე-18 მუხლში ხაზგასმულია, რომ „ხარისხის მინიჭება, გარდა აკადემიურისა, აკრძალულია. ორდენი გაუქმებულია“. კონსტიტუციის 21-ე მუხლით „ყოველი მოქალაქე გასამართლებულ უნდა იქნეს საერთო წესით“ . უქმდებოდა ყოველგვარი უწყებრივი სასამართლოები, ოღონდ მე-20 მუხლში მითითებული იყო, რომ „გამონაკლისია კანონით განსაზღვრული დისციპლინური წესი“.

პიროვნების თავისუფლებიდან ლოგიკურად გამომდინარეობდა პიროვნების ხელშეუხლებლობის უფლება - „ფიზიკური თავისუფლების შეზღუდვა ხდება კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში სასამართლოს ორგანოთა დადგენილებით“, (სცსსა, ფონდი 1833, ანაწ. 1, საქმე 192, ფურცელი 511). კერძო პირთა და ადმინისტრაციის, მილიციის თვითნებობით შეპყრობისაგან მოქალაქეს იცავდა სასამართლო კონტროლი (მუხლი 27), ასევე 25 და 26-ე მუხლებით დაწესებული გარანტიები. კონსტიტუცია აწესებდა ბინის შეუვალობას (მუხლი 28), კერძო მიწერ-მოწერის ხელშეუხებლობის (მუხლი 29) გარანტიას. ასევე მკვიდრდებოდა მიმოსვლისა და ბინადრობის არჩევის სრული თავისუფლება (მუხლი 30).

კონსტიტუცია აცხადებდა სარწმუნოების თავისუფლებას. ხაზი ესმებოდა, რომ „სინდისის თავისუფლება განუსაზღვრელია. კულტისა და კავშირის თავისუფლება შეზღუდულია კანონით“ (სცსსა, ფონდი 1833, ანაწ. 1, საქმე 192, ფურც. 41).

კონსტიტუციით მოქალაქეებს ენიჭებოდათ ფართო პოლიტიკური უფლებები და თავისუფლებები. ესენია: სიტყვისა და ბეჭდვის თავისუფლება (მუხლი 32), გაუქმებულად ცხადდებოდა ცენზურა, რადგან „ცენზურაში გატარებული და შეცვლილი აზრი მის ავტორს აღარ ეკუთვნის“ (სცსსა, ფონდი 1833, ანაწ. 1, საქმე 192, ფურც. 41). მოქალაქეებს თავისუფლად შეეძლოთ თავიანთი აზრების გამოთქმა და გავრცელება „მთავრობის წინასწარ ნებადაურთველად“ (მუხლი 32). დაშვებული იყო კრებებისა და შეკრებების თავისუფლება მოქალაქეებს ჰქონდათ უფლება, რომ მთავრობის ნებადაურთველად შეკრებილიყვნენ „საჯაროდ და უიარაღოდ“ (მუხლი 33), ხოლო თუ შეკრება დანაშაულებრივ და ანტისახემწიფოებრივ ხასიათს მიიღებდა, ადმინისტრაციას ეძლეოდა მისი დახურვის (დაშლის) უფლება (მუხლი 34).

კონსტიტუცია აცხადებდა კავშირების შექმნის (მუხლი 36) და მუშათა გაფიცვების (მუხლი 38) თავისუფლებას. ცალკე იყო გამოყოფილი პირადი და კოლექტიური პეტიციის უფლება (მუხლი 37).

1921 წლის კონსტიტუციით ქორწინება „თანასწორობასა და ნებაყოფლობას“ ემყარებოდა. ასევე უფლებრივად თანასწორად ცხადდებოდნენ „ქორწინების გარეშე და ქორწინებაში შობილი“ პირები (მუხლი 40) .

საინტერესოა, რომ კონსტიტუციური გარანტიები უცხოელ მოქალაქეებზეც ვრცელდებოდა. კონსტიტუციის 41-ე მუხლით, რესპუბლიკის ტერიტორიაზე შემოხიზნული პოლიტიკური დევნილი „სხვა სახელმწიფოს არ გადაეცემა“.

როგორც ზემოთ აღინიშნა, კონსტიტუციის XIX მუხლი აუქმებდა სიკვდილით დასჯას, რაც უპრეცენდენტო ამბავი იყო მაშინდელ მსოფლიოში.

კონსტიტუციამ გაითვალისწინა კონსტიტუციური გარანტიების შეჩერების საკითხიც. კ. ჯაფარიძე ხაზს უსვამდა, რომ ადამიანის უფლებათა კონსტიტუციური გარანტიები გათვალისწინებულ იყო სახელმწიფოს ნორმალური მდგომარეობისთვის, ხოლო განსაკუთრებულ მდგომარეობაში - შინაური ამბოხების ან საგარეო ომის დროს, სახელმწიფოც განსაკუთრებული უფლებებით უნდა აღიჭურვოს (სცსსა, ფონდი 1833, ანაწ. 1, საქმე 192, ფურც. 42).

კონსტიტუციის 43-ე მუხლის თანახმად, ადამიანის უფლებების გარანტიების ცალკეული მუხლების შეჩერების უფლება ჰქონდა პარლამენტს, ხოლო თუ პარლამენტი შეკრებილი არ იყო, ამის უფლება ეძლეოდა მთავრობას. „ამბოხებისა და

ომიანობის დროს დაშვებული იყო სიკვდილით დასჯაც“ (44-ე მუხლით). დიდ ეპიდემიებთან ბროლის დროსაც მთავრობას ეძლეოდა უფლება დროებით შეეჩერებინა კონსტიტუციიც 22-ე , 25-ე, 26-ე, 30-ე მუხლებით გათვალისწინებული გარანტიების მოქმედება. გარანტიების შეჩერების დროს გათვალისწინებული იყო უცხოური გამოცდილება მაშინ გარანტიის შეჩერება აკრძალული იყო ბელგიასა და შვეიცარიაში. ნაწილობრივ შეჩერება ინგლისსა და ამერიკაში, სრულებით შეჩერება დაშვებული იყო გერმანიასა და საფრანგეთში.

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია ერთ-ერთი პირველია მსოფლიოში, რომელშიც დაფიქსირებული და გარანტირებული იყო „მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკური უფლებანი“, რაც თავისთავად ისტორიული მნიშვნელობის ფაქტია ქართული კონსტიტუციური აზროვნებისა და შემოქმედებისათვის. ამ თავით განსაკუთრებით ამაყობდა მმართველი სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომელიც გამოხატავდა ყველას მაგრამ განსაკუთრებით მშრომელთა ინტერესებს.

კონსტიტუციის ეს XIII თავი ორი ძირითადი ნაწილისგან შედგებოდა. პირველ ნაწილში ჩამოყალიბებულია ადამიანის უფლებები სოციალურ ეკონომიკურ სფეროში და ჩამოყალიბებულია ამ უფლებების ცხოვრებაში განხორციელების გზები და საშუალებები. მეორე ნაწილში გადმოცემულია „სახელმწიფოსა და მმართველობის ეკონომიკური გეზი“, რომელიც მიმართული იყო „სოციალიზმის დამყარებისაკენ“. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მუშათა კლასის უფლებების უზრუნველყოფას. აქვე გათვალისინებული იყო დახმარება მოხუცებისა და ავადმყობებისათვის, „რომლებიც ამ ბრძოლას მოსწყდნენ“ (სცსსა, ფონდი 1833, ანაწ. 1, საქმე 859, ფურც. 74-76).

კონსტიტუციის 115-ე მუხლი ქვეყნის მიზნად აცხადებდა „ერთი მთლიანი საზოგადოებრივი მეურნეობის შექმნას“ მაგრამ ამავე დროს მართველი სოციალ დემოკრატები ემიჯნებოდნენ ესერებს (სოციალისტ-რევოლუციონერებს), რომლებიც „ერთი ხელის დაკვრით ერთი დეკრეტით“ სპობდნენ კერძო საკუთრებას და 24 საათში ახორციელებდნენ ეკონომიკურ გადატრიალებას. 1921 წლის კონსტიტუციის შემოქმედდათვის უდავო იყო, რომ კერძო საკუთრების არსებობა აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა (სცსსა, ფონდი 1833, ანაწ. 1, საქმე 859, ფურც. 77).

ამრიგად, 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია წარმოადგენდა ქართული კონსტიტუციური აზროვნების ახალ საფეხურს და მისი განვითარების კვინტენსენციას. იგი გვერდში ედგა მსოფლიოს წამყვან კონსტიტუციებს და ცალკეულ სფეროებში აღემატებოდა კიდეც მათ. მასში ასახვა ჰპოვა ქართული კონსტიტუციური აზროვნების მნიშვნელოვანმა მიღწევებმა. საამაყოა, რომ ეს უაღრესად დემოკრატიული კონსტიტუცია, რომელიც ბევრ სფეროში აღემატება თანამედროვე საქართველოს მოქმედ 1995 წლის კონსტიტუციას, შექმნა მონობიდან ახლად განთავისუფლებული ქვეყნის ხალხმა, რომელსაც არასოდეს უცხოვრია კონსტიტუციურ გარემოში და კონსტიტუციური გარანტიებით.

## 3.2 ქართული კონსტიტუციური აზროვნება ემიგრაციაში - მიხეილ მუსხელიშვილი და ევროპის ფედერალური კონსტიტუციის პროექტი

1921 წლის თებერვალ-მარტში ბოლშევიკურმა რუსეთმა მოახდინა დამოუკიდებელი საქართველოს ანექსია და ოკუპაცია, განდევნა აქედან კანონიერი მთავრობა და ხელისუფლებაში დასვა მარიონეტი ქართველი ბოლშევიკები, შემდგომში კომუნისტებად წოდებულნი. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ოკუპაციის წლებში (1921-1991) საქართველოში მიღებული იქნა რამდენიმე კონსტიტუცია (1922, 1927, 1937, 1978), ქვეყანაში კონსტიტუციური აზროვნება ჩიხში შევიდა, რადგან მოაზროვნე ადამიანებს, მათ შორის კონსტიტუციონალისტებს, ფაქტიურად აუკრძალეს თავისუფალი აზროვნება და სიმართლის წერა, ხოლო ზემოთნახსენები კონსტიტუციები ფაქტიურად ნათარგმნი იყო საბჭოთა კავშირის (1922-1991) მიერ მიღებული კონსტიტუციებიდან.

ერთადერთი ნათელი გაელვება ამ მიმართულებით დაკავშირებულია 1978 წლის 14 აპრილთან, როდესაც ქართველმა სტუდენტმა-ახალგაზრდობამ შეძლო ქართული ენის სახელმწიფო სტატუსის შენარჩუნება საქართველოს 1978 წქლის კონსტიტუციაში და ეს მოახერხა მშვიდობიანი გამოსვლის მეშვეობით. რუსულმა საბჭოთა ხელმძღვანელობამ, ყველას გასაკვირად, უკან დაიხია და ამით საქართველოში შენარჩუნდა ქართული ენის სახელმწიფო სტატუსი სისხლის დაუღვრელად.

1991 წლის 9 აპრილს ეროვნულმა ხელისუფლებამ ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით აღადგინა საქართველოს დამოუკიდებლობა და გამოაცხადა გარდამავალი პერიოდი, რომლის დროსაც, თანამედროვე რეალობის გათვალისწინებით, კარდინალური ცვლილებები შევიდა 1978 წლის საქართველოს სოციალისტურ კონსტიტუციაში. ამით ნელ-ნელა მომზადდა პირობები ახალი კონსტიტუციის მიღებისათვის.

1991 წლის დეკემბერ-იანვარში საქართველოში მოხდა სამხედრო გადატრიალება, პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია იძულებული გახდა დაეტოვებინა საქართველო და ჯერ სომხეთში, მერე კი ჩეჩნეთში წასულიყო ქვეყნის მმართველმა დროებითმა სამხედრო საბჭომ მცირე ხნით აღადგინა საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია, რომელსაც რეალურად არც უმუშავია. 1995 წლის 24 აგვისტოს ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლებამ მიიღო ახალი კონსტიტუცია ოპოზიციასთან ერთად და ის კონსტიტუცია დღესაც მოქმედია, თუმცა მასში მრავლად იქნა შეტანილი შესწორებები როგორც „ნაციონალური მოძრაობის“ (2004, 2010), ისე „ქართული ოცნების“ (2017) ხელისუფლების დროს. ამ ყველაფერმა ხელი შეუწყო ქართული კონსტიტუციური აზროვნების ნელ-ნელა აღორძინებას და მის გამოსვლას საბჭოთა წნეხიდან და გავლენიდან.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ 1921-1991 წლებში, ოკუპაციის პირობებში ქართული კონსტიტუციური აზროვნება არ განვითარებულა, ვინაიდან საბჭოთა რეჟიმი სასტიკად ებრძოდა კონსტიტუციას და კონსტიტუციურ თავისუფალ აზროვნებას.

სამაგიეროდ, ქართული კონსტიტუციური აზროვნება თავისუფლად განვითარდა ევროპაში, კონკრეტულად საფრანგეთში, სადაც გამიზნული იყო ქართული ემიგრანტელი მთავრობა და მოაზროვნე ქართველების ნაწილი.

თანამედროვე ქართველ კონსტიტუციონალისტებიდან და იურისტებიდან ცოტას თუ სმენია მიხეილ მუსხელიშვილის (1903-1964 წწ.) გვარი და მისი გაკეთებული საქმეები.

საბჭოთა პერიოდში ცნობილი ქართველი მეცნიერებიდან მას იცნობდა და პირადად შეხვედრია პროფესორი ილია ტაბაღუა. ის საფრანგეთში სამეცნიერო მივლინების დროს, 1961 წელს შეხვდა სტასბურგის უნივერსიტეტის პროფესორს

მიხეილ მუსხელიშვილს, დაესწრო მის ლექციებს, თუმცა ვერ შეძლო მისი დარწმუნება საქართველოში დაბრუნების თაობაზე, სადღაც მას რეპრესიები ემუქრებოდა.

შემდგომში პროფესორმა ილია ტაბაღუამ დააფუძნა „ევროპისა და ამერიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი (1993 წ.), რომლის ეგიდით უშვებდა ძალზე მნიშვნელოვან კრებულს „საქართველოს ურთიერთობა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებთან“, რომლებშიც (#1-1994 წელს და #2-1995 წელს) დაიბეჭდა მასალები როგორც მიხეილ მუსხელიშვილის შესახებ, ასევე მისი ნაშრომები „საქართველო და ევროპა“ (#2, გვ.180-185) და „რუსეთი არ არის ევროპა“ (#2, გვ.185-188).

მიხეილ მუსხელიშვილს ილია ტაბაღუამ „ერთიანი ევროპის“ შექმნის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი უწოდა (#2, გვ. 180, 1995 წ.).

მიხეილ მუსხელიშვილის შედარებით მოზრდილი ბიოგრაფია და ღვაწლი ასახული აქვს პროფესორ გურამ შარაძეს თავისი ცნობილი სამტომეულის „უცხოეთის ცის ქვეშ“ მესამე ტომში (1993).

მიხეილ მუსხელიშვილის, როგორც ევროინტეგრაციის ერთ-ერთი ქართველი „მამის“ და ევროპის ფედერალური კონსტიტუციის შემქმნელის, ახალი რაკურსით გააზრება დაკავშირებულია პროფესორ ვაჟა შუბითიძის და მოგვიანებით მისი დოქტორანტის, ასოცირებული პროფესორის ედიშერ ჯაფარიძის სახელთან.

1999 წლის 27 აპრილს მოხდა ისტორიული მოვლენა - საქართველო გახდა ევროპის საბჭოს (რეზიდენცია ქ. სტრასბურგი-საფრანგეთი) წევრი. ამის შემდეგ ქართულ-ევროპული ურთიერთობების ახლებურად გააზრება იყო საჭირო და პროფ. ვაჟა შუბითიძის ძალისხმევით მოხდა ეს. სწორედ მან დაასაბუთა მიხეილ მუსხელიშვილის ბიოგრაფიაზე და ნაშრომებზე დაყრდნობით, რომ ქართველებს თავისი წვლილი აქვთ შეტანილი როგორც ევროპის ფედერალურ კონსტიტუციის შექმნაში, ასევე ევროინტეგრაციასა და ევროკავშირის შექმნაში, უვიზო მიმოსვლის შემოღებაში და ბოლონიის სწავლების სისტემის დამკვიდრებაში (იხ. მისი ნაშრომები „ევროპეიზაცია და ქართული პოლიტიკური აზრი XX საუკუნეში“, კრებული „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის საკითხები, III, ბათუმი, 2008, ევროინტეგრაციის სათავეებთან“, ჟურნ. „საისტორიო ვერტიკალები“, სტუ, #7, 2008, „ევროინტეგრაციაში შეტანილი ქართული წვლილი“, კონფერენციის მასალები, ბათუმი, „საქართველო ევრაზიულ სივრცეში“, 2008 წ;, „ევროინტეგრაცია და

საქართველო, კრებული „საქართველო ევროპულ სივრცეში“, სტუ, ვაჟა შუშათიძე ედიშერ ჯაფარიძე იგორ კვესულავა „ევროკავშირის შექმნა და ქართული პოლიტიკური ემიგრაცია, სტუ, თბ., 2020, და სხვ.). ვინ იყო მიხეილ მუსხელიშვილი და რა წვლილი აქვს მას ევროინტეგრაციასა და ევროკავშირის შექმნაში, ევროპის საბჭოს დაარსებაში, ევროპის ფედერალური კონსტიტუციის და ევროკავშირის სამართლის ჩამოყალიბებაში და ამით ქართული კონსტიტუციური აზროვნების განვითარებაშიც?

გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, სტრასბურგის უნივერსიტეტის წამყვანი პროფესორი მიხეილ მუსხელიშვილი (ევროპაში მას იცნობდნენ როგორც მიშელ მუსხელს) დაიბადა 1903 წლის 8 (21) ივლისს ქ.თბილისში ცნობილი ოფთალმოლოგის ვახტანგ სოლომონის ძე მუსხელიშვილის მრავალშვილიან ოჯახში (მას 3 ძმა ჰყავდა).

ამ ძლიერი ქართული ინტელიგენტური ოჯახის ოთხივე შვილმა განათლება ჯერ ლევანდოვსკის გიმნაზიაში მიიღო ქ.თბილისში, მერე კი უმაღლესი განათლება საზღვარგარეთ. მიხეილის ძმებიდან ლევანი ცნობილი არქეოლოგი და ისტორიკოსი იყო, გიორგი - ცნობილი სამთო ინჟინერი, რომელიც დაიღუპა სამხრეთ აფრიკაში პროფესიული მოვალეობის შესრულებისას, სოლომონი კი - ცნობილი ექიმი.

აკადემიკოს დავით მუსხელიშვილის თქმით, ვახტანგ მუსხელიშვილი მიუწვევია ახალგახსნილ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ივანე ჯავახიშვილს სამედიცინო ფაკულტეტზე ოფთალმოლოგიის სპეციალობით. მასვე დაუფუძნებია თბილისში პირველი ქართული ოფთალმოლოგიური კლინიკა, ხოლო მისთვის საჭირო დანადგარები თავისი ხარჯით ჩამოუტანია უცხოეთიდან (ჯაფარიძე 2019, 31).

გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, 1921 წლის ოქტომბერში მიხეილ მუსხელიშვილი მიდის უმაღლესი განათლების მისაღებად უცხოეთში - ჯერ გერმანიაში-გიოტინგენისა და მიუნჰენის, შემდეგ საფრანგეთში - პარიზისა და ლიონის უნივერსიტეტებში იურიდიული განათლების მისაღებად.

1929 წელს მიხეილმა დაასრულა სორბონის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი საერთაშორისო სამართლის სპეციალობით - იგი გახდა პირველი ქართველი საერთაშორისო სამართლის დარგის სპეციალისტი და ასევე პირველი ქართველი ომბუდსმენი ევროპაში ადამიანის უფლებათა და მცირე ერების უფლებათა დამცველი შემდეგში სორბონაშივე დაამთავრა მან ერთწლიანი „აგრეგასინ“

(საკანდიდატო გამოცდები) და მიიღო კანდიდატის ხარისხი, აქვე დაიწყო მუშაობა საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის პრივატდოცენტად, პარალელურად კი - ლექციების კითხვა პარიზის უნივერსიტეტის საერთაშორისო გამოკვლევათა უმაღლეს ინსტიტუტში (შუბითიძე 2013, 137).

მიხეილ მუსხელიშვილი 1935-1948 წლებში მუშაობდა ეგვიპტეში ქაიროს ფრანგული სამართლის სკოლისა და ფუადის უნივერსიტეტის ორდინალურ პროფესორად. 1946-1948 წლებში იგი იყო ამავე უნივერსიტეტის სამართლის კათედრის გამგე, ასევე ეგვიპტის ხელისუფლების მრჩეველი საერთაშორისო სამართლისა და პოლიტიკური მეცნიერებების კუთხით. 1948 წელს მიხეილ მუსხელიშვილი დაბრუნდა საფრანგეთში და 1964 წლამდე-გარდაცვალებამდე იყო სტრასბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ და პოლიტიკურ მეცნიერებათა წამყვანი და აღიარებული პროფესორი (შარაძე 1993, 277).

მიხეილ მუსხელიშვილს ხშირად იწვევდნენ ლექციების წასაკითხად მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში - აშშ-ში, იტალიაში, ნორვეგიაში, ჰოლანდიაში, შვეიცარიაში, შვეციაში, ფინეთში და სხვ. ქართული ემიგრანტული ჟურნალი „ბედი ქართლისა“ 1954 წელს იტყობინებოდა, რომ მიხეილ მუსხელიშვილი მიწვეული იყო აშშ-ში ლექციების ჩასატარებლად. მან წაიკითხა ლექციები და მოხსენებები ჩრდილოეთ ამერიკის ყველა დიდ ქალაქში და უნივერსიტეტში, პოლიტიკურ და დიპლომატურ წრეებში, რელიგიურ საზოგადოებებში. მის ლექციებს უამრავი ხალხი ესწრებოდა. ვაშინგტონში მის მოხსენებაზე მოვიდნენ მთელი დიპლომატიური კორპუსი და კულტურის ატაშეები. იქედან დაბრუნების შემდეგ იგი გაემგზავრა სკანდინავიაში ოსლოსა და უპსალას უნივერსიტეტების მიწვევით. მოხსენების თემა იყო ევროპის ცივილიზაციის კრიზისი და ევროპის კულტურის გაცოცხლების აუცილებლობა (ბედი ქართლისა 1954, 17:30).

მიხეილ მუსხელიშვილის ნაშრომები წლების განმავლობაში იბეჭდებოდა ფრანგულ, გერმანულ და ინგლისურ ენებზე მაღალი რეპუტაციის გამომცემობებში და კრებულებში. მათ შორის ჩვენთვის საინტერესოა:

„რუსეთი არ არის ევროპა“;

„ერთა თვითგამორკვევის უფლებისათვის“;

„დამონებულ ერთა წარმომადგენლობისათვის“;

„საქართველო და ევროპა“;

„სსრკ ანუ მითი ბედნიერ ერებზე“;

„პროლეტარიატის დიქტატურა სახელმწიფო ლევიათანში“;

„საბჭოთა ფედერალიზმ“;

„ეროვნებები და ლინგვისტიკა სსრკ-ში“;

„იურიდიული ბუნება საბჭოთა კავშირში“;

„ევროპის ფედერალიზმის სტრუქტურა“;

„საერთაშორისო სამართლის თანამედროვე მიდგომები“;

„ავტონომია“;

„ფედერალური სახელმწიფოს სამართლის თეორია“;

„ევროპის ფედერალური კონსტიტუციის პროექტი“ (გასტონ სტეფანისთან ერთად, 1948 წელს).

მიხეილ მუსხელიშვილი იყო ევროპის საბჭოთა ერთ-ერთი დამაარსებელი (აქ გაწევრიანდა საქართველო 1999 წელს), აქტიურად მონაწილეობდა „ერთიანი ევროპის“ წარმომადგენელთა არჩევნებში, იყო ჟურნალ „ევროპის ფორმირების“ რედკოლეგიის წევრი და ჟურნალ „სოციალისტური აზრის“ დამაარსებელი და რედაქტორ-გამომცემელი.

1948-1951 წლებში მან დააარსა ევროპის უნივერსიტეტთაშორისი ასოციაცია და იყო მისი პრეზიდენტი.

1952 წლიდან მიხეილ მუსხელიშვილი იყო ევროპულ პროფესორთა ასოციაციის დამაარსებელი და ორგზის გენერალური მდივანი.

1952 წელს მიხეილ მუსხელიშვილი „ევროპის საბჭოს საკონსულტაციო ასამბლეის წარმომადგენლის მანდატის მფლობელი გახდა და კიდევ უფრო აქტიურად ჩაერთო ევროპის საბჭოს საქმიანობაში, ერთიანი ევროპისასთვის ბრძოლაში.

მიხეილ მუსხელიშვილი იყო ასევე ინიციატორი და სულისჩამდგმელი „ევროპული ქართული მოძრაობის“, რომელიც პარიზში დაარსდა 1953 წლის 10 აგვისტოს და რომლის საპატიო თავმჯდომარედ პროფესორი მიხეილ წერეთელი იქნა არჩეული.

სტატიაში „საქართველო და ევროპა“ (ეს სტატია გამოქვეყნდა ფრანგულად ჟურნალში „ბედი ქართლისა“ 1953 წლის სექტემბერში, #15, გვ.1-3. ფრანგულიდან

ქართულად თარგმნეს ნანი თარხნიშვილმა და ილია ტაბაღუამ და დაბეჭდეს კრებულში „საქართველოს ურთიერთობა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებთან, II, გვ. 180-182) მიხეილ მუსხელიშვილი წერდა, რომ „საჭიროა დღეს უკვე ვიფიქროთ იმ ადგილზე, რომელსაც თავისუფალი საქართველო დაიკავებს ხვალინდელ მსოფლიოში. რადგან ანგარიში უნდა გაეწიოს იმას, რომ სამწუხარო წლის შემდეგ, როცა რუსეთის ჯარებმა დაიპყრეს საქართველო, ვითარება ძირფესვიანად შეიცვალა საერთაშორისო საზოგადოებაში. მეორე მსოფლიო ომმა საბოლოოდ დაასრულა ეროვნულ სახელმწიფოთა დამოუკიდებლობის ეპოქა. მეცნიერებისა და ტექნიკის მიერ მოხდენილმა გრანდიოზულმა პროგრესმა შექმნა ისეთი ვითარება, რომელშიც მხოლოდ დიდ პოლიტიკურ გაერთიანებება შეუძლიათ არსებობა“ („საქართველო და ევროპა“ 1995,180).

მიხეილ მუსხელიშვილი თვლიდა, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, რუსეთის (საბჭოთა კავშირის) უზარმაზარი იმპერიის შექმნის შემდეგ, საქართველოს ჰყავს საშიში მეზობელი, რომლისთვის საქართველო ყოველთვის მაცდუნებელი ნადავლი იქნება. როგორ შეუძლია მას გარანტირებული იყოს რუსეთის იმპერიალიზმის საშიშროებისაგან? სვამს იგი კითხვას და თავადვე პასუხობს: „ამის შემდეგ ქართველი ხალხი იძულებით არჩევანის წინაშეა: ან იგი იძულებული იქნება რუსეთს შეუერთდეს, ან კიდევ კავშირები ეძებოს. სიმართლე უნდა ითქვას, რომ მას არა აქვს არჩევანი იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ საქართველო ახლოსაა ევროპასთან და უცხოა რუსეთისათვის. შეგნებული აქვს რა ეს ფაქტი, საქართველო არასოდეს დათანხმდება რუსეთთან შეერთებაზე“ („საქართველო და ევროპა“ 1995, 181).

მიხეილ მუსხელიშვილის აზრით, საქართველო ევროპულია, რუსეთისაგან განსხვავებით. სწორედ აქ იწყება ევროპა. მას მოჰყავს ბატონ ვარანიაკის სიტყვები, რომ სინამდვილეში საქართველოდან დაიძრა პირველი დიდი ტალღა ევროპისაკენ, რომ მოგვიანებით მჭიდრო ურთიერთობები დამყარდა საქართველოსა და საბერძნეთს შორის, რომ პომპეუსმა საქართველოში რომი შემოიყვანა და უკვე I საუკუნეში საქართველოში ქრისტიანობა შემოიჭრა. მუსხელიშვილი ასკვნის, რომ დასავლეთის ცივილიზაციის გარიჟრაჟზე საქართველო მასში მონაწილეობდა და რომ საქართველოს მზერა ყოველთვის მიმათული იყო დასავლეთისაკენ, სანამ იგი რუსეთმა არ დაიპყრო. იყო პერიოდი, როდესაც ქართველებმა შეიგნეს, რომ ისინი ევროპას მიეკუთვნებიან.

ევროპა ახლა აკეთებს ამ დასკვნას. ასევე აუცილებელია, რომ ქართველებმა დაამტკიცონ თავიანთი არსებობა ევროპაში და მიაღებინონ საქართველო დასავლეთის ერების ოჯახში („საქართველო და ევროპა“1995, 182).

მიხეილ მუსხელიშვილი ასევე იყო პოლიტიკურ მეცნიერებათა საერთაშორისო საზოგადოების დამაარსებელი, მეცნიერული პრესის საერთაშორისო კავშირის წევრი და ა.შ. იგი იყო პროფესიონალი ალპინისტიც. სწორედ ამას უკავშირდება მისი გარდაცვალებაც. 1964 წლის 16 ივლისს იგი იტალიის ალპებში, დ’ აოსტას ხეობაში კლდიდან დაცურდა და უფრსკულში გადაიჩეხა. მიხეილ მუსხელიშვილის დაკრძალვაზე სიტყვით გამოვიდნენ სტრასბურგის უნივერსიტეტის რექტორი დ.ანჟელოსი, დეკანი რუიაკრი, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის მოადგილე პ.მოდინი და სხვ. მიხეილ მუსხელიშვილი დაკრძალეს სტრასბურგ-რობერტროს ჩრდილოეთ სასაფლაოზე. ტრადიციისამებრ მისი კუბო სამარეში ჩასვენა მისმა ყოფილმა 6 უახლოესმა სტუდენტმა („ბედი ქართლისა“ 1964, 184-185). ცნობილი პროფესორის გარდაცვალებას გამოეხმაურნენ ფრანგული პრესის ფლაგმანები „ფიგარო“ და „მონდი“. მიხეილ მუსხელიშვილის გარდაცვალებიდან წლისთავზე მისმა ორმა რომაელმა სტუდენტმა ჯანი რუტმა და კარლო გრაციანიმ მწვერვალ მონბლანზე ერთიანი ევროპის დროშა აღმართეს ერთიანი ევროპისათვის მხურვალე მებრძოლის მიხეილ მუსხელიშვილის სახელის უკვდავსაყოფად („ფიგარო“ 12.08.1965).

ამრიგად, შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ პროფესორი მიხეილ მუსხელიშვილი იდგა ევროინტეგრაციის სათავეებთან და მასში საპატიო წვლილიც შეიტანა, აქედან გამომდინარე, სიამაყით შეიძლება იმის თქმა, რომ მის ღვაწლს ამაოდ არ ჩაუვლია და საქართველო ევროპას უბრუნდება არა ცარიელი ხელებით, არამედ ევროინტეგრაციაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილით, რაც მისმა შვილებმა უზრუნველყვეს ევროპაში (მიხეილ მუსხელიშვილი და ალექსანდრე ნიკურაძე).

ევროკავშირის შექმნის გარიჟრაჟზე, როდესაც ევროკავშირის „მამები“ რობერტ შუმანი და ჟან მონე იწყებდნენ საუბარს და ევროკავშირის შექმნის რეალიზებას, პროფესორი მიხეილ მუსხელიშვილი 2-3 წლით ადრე ევროპის სამეცნიერო ჟურნალებსა და გაზეთებში უკვე აქვეყნებდა ნაშრომებს ამ თემაზე და პირადადაც მონაწილეობდა ევროკავშირის შექმნის პროცესში (თავიდან მას „საერთო ბაზარი“

ეწოდებოდა, მერე - ევროგაერთიანება და 1990-იანი წლებიდან - ევროკავშირი), იყო ამ იდეის მხურვალე აპოლიგეტი და მოსურნე.

1948 წელს პროფესორი მიხეილ მუსხელიშვილი სტრანსბურგის უნივერსიტეტში ქმნის საბჭოთა კავშირის (სსრკ) და აღმოსავლეთ ევროპის შემსწავლელ სოველოტოგიურ ცენტრს, რომელსაც მოგვიანებით „მუსხელის ცენტრი“ შეარქვეს და ფუნქციონირდება 2000 წლამდე.

ეს ცენტრი იყო საერთაშორისო სამართლის და სოვეტოლოგიის აღიარებული ცენტრი საფრანგეთსა და ევროპაში, სადაც მუშავდებოდა ერთიანი ევროპის, საზღვრებგარეშე ევროპის კონცეპცია. ფაქტიურად, მიხეილ მუსხელიშვილი იყო პირველი პოლიტიკური მოღვაწე და მეცნიერი, ევროპოლიტიკოსი, ვინც ევროპაში, რომელმაც ევროპის გაერთიანების და მის შიგნით საზღვრების მოშლის იდეა წამოაყენა, რაც მოგვიანებით რეალიზდა შენგენის ვიზის ფარგლებში. 1950 წლის 6 აგვისტოს სტრასბურგში, ევროპის კონფერენციის გახსნის წინა დღეს მიხეილ მუსხელიშვილის წინამძღოლობით სამმა პროფწსორმა და 8 ქვეყნის 300-ზე მეტმა სტუდენტმა სიმბოლურად მოშალეს საფრანგეთ-გერმანიის სასაზღვრო ინფრასტრუქტურა და აღმართეს ერთიანი ევროპის დროშა: „ჩვენ მხოლოდ პატარა კოცონი დავანთეთ, დიდი ცეცხლი ახლა სტრასბურგში უნდა გაჩაღდეს, რომ ევროპული გულებიც აინთოს“ - თქვა მაშინ მიხეილ მუსხელიშვილმა (ჯაფარიძე 2019, 133).

მიხეილ მუსხელიშვილმა ამ სოვეტოლოგიურ ცენტრში დააფუძნა საერთაშორისო სამეცნიერო კრებული, რომელთანაც აქტიურად თანამშრომლობდნენ და სტატიებს აქვეყნებდნენ მსოფლიოში სახელგანთქმული მეცნიერები - ჟორჟ კედელი, რობერ მოსსე, გუი ერო, ანრი შამბრი და სხვ. სწორედ მათი მონაწილეობით იქნა გამოცემული ორი ძალზე რეზონანსული კრებული, რომელსაც მოჰყვა დიდი ინტერესი და გამოხმაურება მთელს მსოფლიოში (გაზ. „ფიგარო“, პარიზი, 2.03.1965). ორივე კრებულის წინასიტყვაობის ავტორი გახლდათ მიხეილ მუსხელიშვილი. მისივე რედაქციით და თანაავტორობით გამოიცა ასევე ორტომიანი მონოგრაფია „ევროპის ფედერალიზმის სტრუქტურა“, რომელიც ასევე ითვლება აღიარებულ სამაგიდო ნაშრომად პოლიტოლოგიისა და საერთაშორისო სამართლის სფეროში.

მიხეილ მუსხელიშვილი ერთადერთი ქართველია, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ევროპის ფედერალური კონსტიტუციის პროექტის შემუშავებაში, რომელიც, მოგვიანებით, საფუძვლად დაედო ევროკავშირის სამართალს. 1948 წელს, ევროკავშირის შექმნამდე (1950 წლის დეკემბერი) ორი წლით ადრე პროფესორმა მიხეილ მუსხელიშვილმა თავის უმცროს კოლეგასთან გასტონ სტეფანისთან ერთად დაწერა ევროპის ფედერალური კონსტიტუციის პროექტი, რითაც, ფაქტიურად, ახალ საფეხურზე აიყვანა ქართული კონსტიტუციური აზროვნება და იგი მასშტაბური გახადა.

კონსტიტუციის პროექტში გამოწვილვითაა გაწერილი მშვიდობასა და სოციალურ სამართლიანობაზე დაფუძნებული პოლიტიკური და სოციალური დემოკრატიის პრინციპები ფედერაციის შიგნით და ფედერალური სახელმწიფოების ურთიერთობებში. ნაშრომი მიეძღვნა ერთიანი ევროპის იდეას. მასში დეტალურადაა ჩამოყალიბებული ერთიანი ევროპის ქვეყნების პოლიტიკური და სამართლებრივი მმართველობის ფორმა ფედერაციის ან კონფედერაციის სახით, დასაბუთებული და განალიზებულია სამართლებრივი და პოლიტიკური მხარეები, ახსნილია მისი იურიდიული ბუნება. ეს ყოველივე დაფუძნებულია საერთაშორისო სამართლის პრინციპებზე და ევროპის ისტორიულ გამოცდილებაზე.

ევროკავშირის დღევანდელი სამართალი მნიშვნელოვნადაა დავალებული მიხეილ მუსხელიშვილის და გასტონ სტეფანის ამ ნაშრომისაგან, მათი იდეებისაგან ევროკავშირის თანამედროვე სამართალი ეფუძნება ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს. ეს კი საერთაშორისო სამართლის ის პრინციპებია, რომელთა დამკვიდრებაში მიხეილ მუსხელიშვილს დიდი წვლილი აქვს შეტანილი - როგორც ადამიანის უფლებათა დამცველს, ომუდსმენს და მცირე ერების ქომაგსა და მათი უფლებების დამცველსაც.

2012 წელს გამოვიდა პროფესორ მიხეილ მუსხელიშვილის შრომათა კრებული სათაურით „კონფედერაცია და ფედერაცია“. იგი გამოსცეს ფრანგმა გამომცემლებმა ჟ.ბიიონმა და ჟ.პრეველმა. მასში შევიდა მიხეილ მუსხელიშვილის 1930-40-50-იან წლებში დაწერილი სტატიები ამ საკითხებზე. ანოტაციაში მითითებულია, რომ, ფედერაცია - ეს არის სუვერენიტეტის ცნება. კონფედერაცია ეფუძნება ხელშეკრულებას, ფედერაცია კი - კონსტიტუციას. კონფედერაცია ქვეყნების

გაერთიანებაა, ფედერაცია კი ამასთან ერთად ინდივიდების საზოგადოებაა. ფედერაციაში კანონი დომინირებს ძალაზე. მიხეილ მუსხელიშვილი აქ საუბრობს ფედერალურ კონსტიტუციაზე და მიუთითებს, რომ იგი უნდა იყოს მოკლე და შემოგვთავაზოს „საერთო იდეალი“. იგი განმარტავს, რომ „თუ კონსტიტუციამ მიიღო გარკვეული ეკონომიკური და სოციალური ლოგიკა, ის შემოიტანს ფედერაციაში განხეთქილების სხვადასხვა მოტივებს, რომელთაც შეეძლებათ ფატალური დისკუსიების პროვოცირება კავშირის შენარჩუნებაზე“ (ჯაფარიძე 2019, 54).

მიხეილ მუსხელიშვილი ხაზს უსვამდა, რომ „უნდა გამოვიდეთ ევროპული რეალობიდან და ფედერალიზმი შევუთავსოთ ამ რეალობებს, ევროპა კი არ უნდა დაექვემდებაროს ფედერალისტურ პრინციპებს, არამედ ფედერალისტური პრინციპები უნდა მოერგოს ევროპულ რეალობას“ (ჯაფარიძე 2019, 54).

ევროპის ფედერალური კონსტიტუციის პროექტის სულისკვეთებას შეესაბამებოდა და მისგან გამომდინარეობდა მიხეილ მუსხელიშვილის შემდგომი ორი იციატივა - ევროპის საერთო ბაზართან ერთად მისი პოლიტიკური ინსტიტუციების შექმნის და ევროპის საგანმანათლებლო სისტემების ჰარმონიზაციისა და დაახლოების შესახებ.

1958 წლის 23-27 აპრილს, ბრიუსელში შედგა ევროპელი პროფესორთა ასოციაციის მორიგი კონგრესი (ამ ასოციაციის ორჯერ არჩეული გენერალური მდივანი იყო მიხეილ მუსხელიშვილი 1952 წლიდან - 1959 წლამდე), რომლის მუშაობის დღის წესრიგში იყო 2 საკითხი:

1) ევროპის საერთო ბაზარი;
2) ევროპის საერთო დაწესებულებები.

კონგრესზე მიხეილ მუსხელიშვილმა გააკეთა ვრცელი მოხსენება ევროპის საერთო ბაზრის შექმნის, მისი ინტეგრაციის და სამართლებრივ ასპექტებზე, რასაც სერიოზული ინტერესი და რეზონანსი ჰქონდა. იგი აუცილებლად თვლიდა ევროპის გაერთიანების შემდეგ ევროპის ბაზრის გაერთიანებას, ევროპის გაერთიანების პოლიტიკური ინსტიტუციების შექმნას (რაც მოგვიანებით განხორციელდა ევროპის საბჭოს, ევროპარლამენტის, ევროკომისიის, ევროკავშირის საბჭოს, ევროსასამართლოს და სხვათა სახით). მუსხელიშვილის აზრით ეს გაადვილებდა სავაჭრო კავშირებს ქვეყნებს შორის და შექმნიდა ერთიან საბაზრო სისტემას ევროპის კონტინენტზე.

ევროპის საერთო ბაზრის სისტემის შექმნა ხელს შეუწყობდა ევროპული ქვეყნების გაერთიანებას და გაერთიანების შემდგომ მისი საერო სიმტკიცის შენარჩუნებას („ბედი ქართლისა“, #28-29, ივნისი 1958, 43-44).

1955 წელს რუმინეთის ქ. ტრიესტში 18 ქვეყნის 120 წარმომადგენელმა კონგრესზე დააფუძნა ევროპულ პროფესორთა ასოციაცია, რაშიც ძალზე აქტიური მონაწილეობდა მიიღო, როგორც გენერალურმა მდივანმა, მიხეილ მუსხელიშვილმა, რომელიც იყო მთავარი მომხსენებელი. კონგრესის მიზანი გახლდათ ევროპის ინტელექტუალური და კულტურული ძალების ერთიანობის და განვითარების ხელშეწყობა, ევროპის უნივერსიტეტებში პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა დაახლოება და ურთიერთგაცვლა, საგანმანათლებლო პროგრამების ჰარმონიზაცია და დაახლოება, სწავლების მეთოდების შემუშავება, მობილობა და სამეცნიერო ურთიერთობების განმტკიცება, ანუ ყოველივე ის, რაც მოგვიანებით საფუძვლად დაედო სწავლების ბოლონიის საერთაშორისო სისტემას - ერთიანი ევროპული სივრცის შექმნა უმაღლესი განათლების გაუმჯობესებისათვის.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ 1921 წლის შემდეგ ქართული კონსტიტუციური აზროვნება გაგრძელდა ემიგრაციაში და უფრო დიდ მასშტაბებს მიაღწია.

პროფესორმა მიხეილ მუსხელიშვილმა შექმნა ევროპის ფედერალური კონსტიტუციის პროექტი, რომელსაც მოგვიანებით დაეფუძნა ევროკავშირის სამართლის მნიშვნელოვანი სეგმენტი, მანვე გააჟღერა უმნიშვნელოვანესი ინიციატივები, რომელიც მოგვიანებით ევროგაერთიანების საბაზო პრინციპები გახდნენ (უვიზო მიმოსვლა იდეა ევროპაში, პოლიტიკური ინსტიტუციების შექმნა, ბოლონიის პროცესისთვის საძირკვლის ჩაყრა).

„ევროპული ქართული მოძრაობის“ შექმნით მანვე განუსაზღვრა მომავალი საქართველოს ცივილიზებულ ხალხებს შორის, როგორც ევროპის ორგანული ნაწილისა.

მისი კონსტიტუციური წვლილი არა მარტო საქართველოსთვის არის მნიშვნელოვანი, არამედ ევროპისა და მსოფლიოსათვისაც, ვინაიდან მსოფლიო გლობალიზმისა და ინტეგრაციისაკენ მიემართება.

# დასკვნა

ამრიგად, ჩვენმა კვლევამ მთლიანად დაადასტურა კვლევის ჰიპოთეზა, რომ „ქართული კონსტიტუციური აზროვნების ისტორიის ეტაპების შესწავლა ნათლად გვაჩვენებს, რომ მისი მთავარი მიმართულებები და პრიორიტეტები სრულ თანხვედრაში იყო და ხანდახან წინ უსწრებდა კიდეც ევროპულ კონსტიტუციურ აზროვნებას (თამარ მეფის ეპოქაში და 1948-1958 წლებში - ემიგრაციაში), რომ ქართულ კონსტიტუციურ აზროვნებას მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი მსოფლიო კონსტიტუციური აზროვნების ისტორიაში“.

შესაბამისად, ამით პასუხი გაეცა ნაშრომის საკვლევ კითხვებსაც,

მთლიანობაში კი ჩვენი ძირითადი დასკვნები ასეთია:

- შუა საუკუნეების უდიდესი კულტურული მოვლენის, რენესანსის იდეური საფუძველი ანტიკურობასთან ერთად სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების მოძღვრება გახდა.

ეს მოძღვრება ერთ ძირითად მიზანს ისახავდა - უფლებაგაზრდილი და განმტკიცებული სამეფო ხელისუფლების შეზღუდვა. შუა საუკუნეებში მეფის განუსაზღვრელი ხელისუფლების წინააღმდეგ იბრძოდა ორი ძირითადი ძალა- საეკლესიო ხელისუფლება და რენესანსის მედროშე „მესამე წოდება“;

- კონსტიტუციური აზროვნების განვითარების ისტორიისათვის საინტერესოა ის ფაქტი, რომ ამ ეპოქის ქართული სამართლის ძეგლებში, უფრო ადრე ევროპასთან შედარებით, გვხვდება ტერმინი „საკუთრება“, ქალის მემკვიდრეობის უფლება ქონებაზე, სიკვდილით დასჯის და დასახიჩრების შეჩერება თამარ მეფის დროს, სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საქმეების ცალ-ცალკე განხილვა. ნიშანდობლივია ისიც, რომ საქართველოს ისტორიამ არ იცის სასამართლოს გადაწყვეტილების ძალით ქალის სიკვდილით დასჯის არც ერთი შემთხვევა. ეს ყველაფერი საქართველოში „მესამე წოდების“ (მეფე-თავადაზნაურობის და ეკლესიის შემდგომ) არსებობის დამადასტურებელი და თანმდევია;
- მსოფლიოში დღემდე ფართოდ გავრცელებული შეხედულებებით ხელისუფლების დანაწილების კლასიკური თეორიის ავტორებად ითვლებიან

ინგლისელი ლოკი და ფრანგი მონტესკიე, რომლებსაც დიდი წვლილი მიუძღვით ამ თეორიის ახალ საფეხურზე აყვანაში, ხოლო საპარლამენტო ტრადიციების ფუძემდებელ ქვეყნად მიჩნეულია ინგლისი, სადაც ეს ორგანო 1265 წლიდან ამოქმედდა, თუმცა ეს ფაქტი ბოლომდე არ შეესაბამება სინამდვილეს და ამ მოვლენის ფესვები უფრო სხვაგანაა საძებნი, კერძოდ - საქართველოში;

- ესპანეთში კასტილიის სამეფოში კორტესებმა (პარლამენტი ესპანურად), როგორც ხალხის წარმომადგენლობითმა ორგანომ, მოღვაწეობა ჯერ კიდევ 1188 წელს დაიწყო - უფრო ადრე, ვიდრე ინგლისის პარლამენტმა და საფრანგეთის გენერალურმა შტატებმა;
- ამ მიმართებით თამარ მეფის დროს ფინანსთა მინისტრის (მეჭურჭლეთუხუცესის) ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური დასის გამოსვლა 1184 წელს კიდევ უფრო მეტ ყურადღებას იპყრობს და დიდ ისტორიულ მნიშვნელობას იძენს, რადგან იგი 3-4 წლით წინ უსწრებს კასტილოს სამეფოში კორტესების მოწვევას, ხოლო რამდენიმე ათეული წლით უსწრებს 1215 წელს ინგლისელი ბარონების მიერ მეფე ჯონ უმიწაწყლოსათვის თავსმოხვეულ „თავისუფლების დიდ ქარტიას“, რომლის საფუძველზეც დაარსდა ინგლისში პარლამენტი 1265 წელს.
- მწვავე შიდა დაპირისპირებაში შექმნილი სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების მოძღვრება შეადგენს XII საუკუნის ქართული რენესანსული კულტურის უმთავრეს შემადგენელ ნაწილს შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანთან“ და იმ პერიოდის ქართულ ფილოსოფიასთან (იოანე პეტრიწი, არსენ იყალთოელი, ცოტა ადრე -ეფრემ მცირე და სხვ.). ესაა ქართული უმნიშვნელოვანესი წვლილი სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების თეორიაში. თამარ მეფესთან დაპირისპირებული ყუთლუ-არსლანის დასის პოლიტიკური პროგრამა უჩვეულოა იმ დროისთვის და დღესაც დიდ ინტერესს იწვევს. ჩვენ არ გამოვრიცხავთ, რომ მის შექმნაში მონაწილეობას იღებდა თამარ მეფესთან დაპირისპირებული კათოლიკოს-პატრიარქი მიქაელი და მისი საეკლესიო დასიც, როგორც ეს ხდებოდა მოგვიანებით ევროპაში მეფე-სამღვდელოების დაპირისპირების დროს.

- შუა საუკუნეებში სახელმწიფოსა და სამართლის ყველა საკითხს მხოლოდ ღმერთის ნებით ხსნიდნენ. ამ მხრივ ყუთლუ-არსლანის დაისის პოლიტიკური პროგრამა მთლიანად თავისუფალია ღვთაებრივ-რელიგიური წარმოდგენებისაგან და საერო მოძღვრებებს ემყარება. მასში სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყებულთა მიერ წამოყენებული პოლიტიკური მოთხოვნები დასაბუთებულია იდეებით, რომელიც უცნობი იყო ფეოდალიზმის ხანაში. ყუთლუ-არსლანის დასის პოლიტიკურ პროგრამაში საქართველოს სახელმწიფო წყობილების გარდაქმნის იურიდიულ საფუძვლად მიჩნეულია მეფის ხელისუფლების შეზღუდვის სახელმწიფო ძალაუფლების დანაწილების საერთო მოძღვრება;
- ყუთლუ-არსლანის დასის პოლიტიკურ პროგრამაში მნიშვნელოვანია არა მარტო პარლამენტის შემოღების მცდელობა (ივანე ჯავახიშვილი). ჩვენ ვიზიარებთ პროფესორ ვაჟა შუბითიძის დასკვნას, რომ ეს იყო კონსტიტუციური მონარქიის ჩანასახი, რადგან მიზნად ისახავდა ორპალატიანი პარლამენტის შემოღებას, სადაც ქვედა პალატად რჩებოდა სამეფო დარბაზი, ხოლო ზედა პალატად მოაზრებული იყო „ისნის კარავი“, მეფეს რჩებოდა აღმასრულებელი ხელისუფლება, ხოლო „კარავს“ საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლება;
- თუ „ისნის კარვის“ წევრებს თამარ მეფე ვერ დანიშნავდა და ვერც დაბლოკავდა, ეს ნიშნავს, რომ წევრები, იქ, სავარაუდოდ, არჩევნების ან რაღაც ფართოდ შეთანხმებული წესით უნდა ყოფილიყვნენ შერჩეული გარკვეული დროის განმავლობაში. ეს კი მეფის ხელისუფლების სერიოზული შეზღუდვა და კონსტიტუციური მონარქიის ჩამოყალიბების წანამძღვარია და XII საუკუნისათვის ძალიან უნიკალური და მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენაა ნამდვილად. ასეთი რესპუბლიკური იდეა, როგორც რადიკალური სიახლე იმ დროის პოლიტიკურ და კონსტიტუციურ აზროვნებაში, საქართველოს უკვე წარმოაჩენდა დიდი კულტურულ-ისტორიული მისიის მეურვედ, მაშინდელი მსოფლიო ჰეგემონი და დაწინაურებული ქვეყნის - ბიზანტიის კონკურენტად და ადგილმონაცვლედ.

- ჩვენ ვიზიარებთ ასევე შ.მესხიას და ვ.გაბაშვილის მოსაზრებას, რომ ყუთლუ-არსლანის დასის პოლიტიკური პროგრამის იდეურ საფუძველი შეიძლება ყოფილიყო დავით აღმაშენებლის მიერ თბილისის თავისუბლებამდე (1122) იქ არსებული ე.წ. ბერების მმართველობა“, რომელიც რესპუბლიკურ, არჩევით ტრადიციასთან ახლოს იყო, ასევე პროფესორ ვაჟა შუბითიძის მოსაზრებას, რომ დასის იდეური წყარო შეიძლება ყოფილიყო შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“ გაბნეული საინტერესო იდეები მართვის შესახებ და მეფეთა მმართველობაზე.
- ყურთლუ-არსლანის დასის პროგრესული პოლიტიკური იდეები რომ XII საუკუნის საქართველოს საკმაოდ ძლიერი ეკონომიკის ადეკვატური იყო, იქიდანაც ჩანს, რომ სამეფო ხელისუფლებამ ვერ გაბედა მესამე წოდების ინტერესთა გამომხატველი ყუთლუ-არსლანის დასის პოლიტიკური მოთხოვნების მთლად იგნორირება და ამ დასთან კომპრომისის გზა არჩია. მართალია, ხელისუფლებამ უარყო ხელისუფლების გადანაწილების იდეა, მაგრამ, სამაგიეროდ ამიერიდან, სახელმწიფოებრივი საკითხების გადაწყვეტისას მეფე ხელმძღვანელობს არა თვითმპყრობელობის, არამედ „თანადგომისა და ერთნებაობის“ პრინციპით (ივ.ჯავახიშვილი) და გაფართოებულ სამეფო დარბაზში თვალსაჩინო ადგილს იკავებენ სწორედ მესამე წოდების წარმომადგენლები (აბულასანი, ზანქან ზორაბაბელი, ეგარსლან ბაკურციხელი, მესტუმრე ჯიქური და სხვ. (ვ.შუბითიძე);
- ევროპაში სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების შესახებ მსჯელობა პირველად გვხვდება მოგვიანებით XIII საუკუნის მოაზროვნის, პარიზის უნივერსიტეტის რექტორის მარსილუს პადუელის ნაშრომებში, ხოლო კლასიკური ფორმა მიიღო ჯონ ლოკისა და შარლ-ლუი მონტესკიეს ნაშრომებში. ეს იდეები განმსაკუთრებით ვოლტერის და მონტესკიესი, გაიზიარეს მოგვიანებით დავით ბატონიშვილმა (თარგმნა ვოლტერის, რუსოს, მონტესკიეს ნაწარმოებნი), იოანე ბატონიშვილმა („კალმასობა“) და ალექსანდრე ამილახვარმა („ბრძენი აღმოსავლეთისა“, 1720 წ.);
- შოთა რუსთაველის გენიალურ „ვეფხისტყაოსანს“ მნიშვნელოვანი გავლენა შეიძლება მოეხდინა ყუთლუ-არსლანის დასის პოლიტიკურ პროგრამაზე,

რადგან პოემის მთავარი იდეაა ბრძოლა პიროვნების თავისუფლებისა და კონსტიტუციური უფლებებისათვის. რუსთაველი, რომელიც მთელი არსებით იბრძვის ძლიერი და განათლებული, ჰუმანური მეფის ხელისუფლებისათვის, ამავე დროს, მეფის უსამართლო და უკანონო მოქმედების შემთხვევაში, შესაძლებლად მიიჩნევს მის წინააღმდეგ არა მარტო აჯანყების მოწყობას (ეს უთუოდ დემნა უფლისწულის, ტახტის კანონიერი მემკვიდრის, უსამართლოდ დასჯისა ალეგორიული ხერხით), არამედ მისი კუთვნილი ტახტის დაუფლებასაც (ცარიელი ინდოეთის მეფის ტახტს წაეპოტინა და გახდა კიდეც მათი მეფე ნესტანის ცოლად მოყვანით). ამრიგად, რუსთველი თავის პოემაში პირდაპირი აღიარებს ტირანი და უკანონოდ განმსჯელი მეფის წინააღმდეგ აჯანყების უფლებას, რაც იმ დროისთვის წარმოუდგენელი რევოლუციური აზრი იყო მთელს მსოფლიოში და არა მარტო საქართველოში. ამ იდემდე ევროპული სამეცნიერო და შემოქმედებით აზროვნება მივიდა XVII საუკუნის ბოლოს ჯონ ლოკის ნააზრევის სახით (ხოლო პრაქტიკულად განახოციელეს კრომველმა და ბონოპარტემ); სწორედ ეს იდეა გამოყენეს სავარაუდოდ ყუთლუ-არსლანის დასის წევრებმა;

- შუა საუკუნეებში ქართული კონსტიტუციური და სამართლებრივი აზროვნების მაღალი დონის დამადასტურებელია იმ ეპოქაში შექმნილი წყაროები - უცხოელ ავტორთა ცნობები საქარტველოს შესახებ, მხატვრული ნაწარმოებნი და აგიოგრაფიული თხზულებანი, საკანონმდებლო ძეგლები, წარწერები, სიგელები, მატიანეები, ტრაქტატები, ნათარგმნი საერო და სასულიერო ლიტერატურა, ეთნოლოგიური, არქეოლოგიური, ფოლკლორული მასალები და სხვ.
- სამართლის ისტორიული წყაროებიდან ყველაზე გამორჩეული და წონიანია საერო თუ საეკლესიო ხელისუფალთა მიერ შექმნილი საკანონმდებლო ძეგლები გიორგი ბრწყინვალეს „ძეგლის დადება“, „ხელმწიფის კარის გარიგება“, ბექა-აღბუღას „სამართლის წიგნი“, ვახტანგ VI-ის „სამართლის წიგნი“ და კათალიკოსთა სამართლის წიგნი, ერეკლე II-ის და კათოლიკოს ანტონის კანონი, ლევან და ვახტანგ ბატონიშვილების კანონები და სხვ. ;

- XIII საუკუნეში ქართული სამართლებრივი აზროვნება კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე ავიდა, იმჟამად არც ერთ ევროპულ ქვეყანაში არ იყო გამომუშავებული საკუთრების უფლების ამსახველი ტერმინი, ხოლო X საუკუნის ქართულ ძეგლში „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“ ასეთი ტერმინი დამოწმებულია დადასტურებულია ასევე საკრედიტო ამხანაგობა („რკინის სიგელი“). ექვთიმე მთაწმინდელის მიერ XI საუკუნეში ბრალის პრობლემის დამუშავება მაღალ საფეხურზეა აყვანილი, ხოლო გიორგი მთაწმინდელმა მონასტრების წინამძღვრების ასარჩევად შემოიღო „წილნაყრობის“ ანუ ფარული არჩევნების პრინციპი. სამართლებრივი და პოლიტიკური თვალსაზრისით ასევე ძალზე მნიშვნელოვანია XIV საუკუნის ძეგლი „ხელმწიფის კარის გარიგება“, რომელშიც დახასიათებულია საქართველოს სახელმწიფოებრივი მოწყობა;
- დიდი ქართველი მეფეები დავით IV აღმაშენებელი, თამარი, გიორგი ბრწყინვალე ამკვიდრებდნენ წმინდა ქართულ იდეალებსა და პრინციპებს, რომლებიც გაცილებით გვიან გაჩნდა ევროპაში: რელიგიური მშვიდობიანობა (ტოლერანტობა), ყველა რელიგიის პატივისცემა და გათანაბრება (ქართულ-სოხურ საეკლესიო დავაში ერთ-ერთ მსაჯულად მუსულმანი ყადი ესწრებოდა), სხვა ძეგლების დახმარება, შეღავათები არააბორიგენების მიმართ და მათი ენის და კულტურის დაცვა, კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა, სახელმწიფოს მსახურების ტრადიცია და არა წარმომავლობით ოდენ სიამაყე, სიკვდილით დასჯის შეჩერება, ასოების მოკვეთის გაუქმება, ქველმოქმედება (სახელმწიფო შესავლის 10 % იხარჯებოდა ქველმოქმედებაზე, ქვრივ-ოხრებზე და გაჭირვებულებზე. ეს ყველაფერი საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა იყო, რომელიც მოგვიანებით დამკვიდრდა ევროპაში. ეს ყველაფერი კიდევ ერთხელ მეტყველებს, რომ ქართული სამართალი და კონსტიტუციური აზროვნება მაშინ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ჰუმანური და დემოკრატიული იყო;
- ცნობილია ისიც, რომ მაშინდელ საქართველოში არათუ სისხლის სამართლის კოდექსები, არამედ ცალკეული სახელმწიფო უწყებებისათვის საგანგებო და სპეციალური იურიდიული აქტებიც იქმნებოდა (მაგ გიორგი III-ის სიგელის

მიხედვით საქართველოში ჩამოყალიბებულა სამპარავმძებნელ დაწესებულება, რომელსაც თავისი შტატი და დებულებაც გააჩნდა;

- მიუხედავად იმისა, რომ იმ ეპოქისათვის უაღრესად მოწინავე და დემოკრატიული, 1921 წლის 21 თებერვლის პირველი ქართული კონსტიტუცია გარკვეულწილად ეყრდნობოდა უცხოეთის დემოკრატიული სახელმწიფოების პრაქტიკას, იგი ქართველი ერის დემოკრატიული კონსტიტუციური აზროვნების შეჯამება და ქვეყნის ამ უმთავრეს კანონში ასახვა იყო;
- მიუხედავად იმისა, რომ 1921 წლის 21 თებერვალს მიღებულმა კონსტიტუციამ მხოლოდ 4 დღეს იმუშავა ბოლშევიკური რუსეთის მხრიდან ოკუპაციის გამო, მისი მიღება მაინც უმნიშვნელოვანესი ფაქტია საქართველოს ახალ ისტორიაში. ქართველი და უცხოელი კონსტიტუციონალისტების აზრით მან დროს გადაუსწრო და დღემდე პროგრესულად ითვლება მსოფლიოს მასშტაბითაც კი ამ კონსტიტუციამ გააუქმა საქართველოში სიკვდილით დასჯა, რაც მოგვიანებით გააკეთეს ევროპის ქვეყნებმა, ხოლო აშშ-ში და ზოგიერთ ქვეყანაში სიკვდილით დასჯა დღემდე მოქმედებს. 1921 წლის კონსტიტუცია უმაღლეს დონეზე აღიარებდა ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, თანასწორობას კანონის წინაშე, მათ შორის გენდერული ასპექტით (დამფუძნებელ კრებაში არჩეული იყო 5 ქალბატონი), იცავდა რწმენის, შეკრების და გაფიცვის თავისუფლებას და ა.შ. ეს კონსტიტუცია პირველად ჩვენს ისტორიაში, საფუძველს უყრიდა სამართლებრივ სახელმწიფოს, უზრუნველყოფილი იყო კანონის უზენაესობა, სასამართლოს დამოუკიდებლობა, რეალური თვითმმართველობა, რომლის გადაწყვეტილების გაუქმების უფლება არ ჰქონდა ცენტრალურ ხელისუფლებას, რეალურად ხდებოდა ძალაუფლების დანაწილება 3 შტოს შორის;
- 1921 წლის კონსტიტუციის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ღირსება იყო მოქალაქეთა სოციალურ-პოლიტიკური უფლებების მაღალ დონეზე უზრუნველყოფა, პიროვნების ხელშეუხებლობა, ბინის შეუვალობა, კერძო მიმოწერის ხელშეუხებლობა, მიმოსვლისა და ბინადრობის არჩევის სრული თავისუფლება, სიტყვისა და ბეჭდვის თავისუფლება, უქმდებოდა ცენზურა,

დაშვებული იყო კრებებისა და შეკრებების თავისუფლება, კავშირების შექმნისა და გაფიცვის უფლება, უფლებრივად თანასწორად ცხადდებოდნენ „ქორწინების გარეშე და ქორწინებაში შობილი“ პირები. კონსტიტუციური გარანტიები ვრცელდებოდა უცხოელ მოქალაქეებზეც 41-ე მუხლით რესპუბლიკის ტერიტორიაზე შემოხიზნული პოლიტიკური დევნილი „სხვა სახელმწიფოს არ გადაეცემა“.

- ამრიგად, 1921 წლის 21 თებერვლის საქართველოს კონსტიტუცია წარმოადგენდა ქართული კონსტიტუციური აზროვნების ახალ საფეხურს და გვერდში ედგა მსოფლიოს წამყვან კონსტიტუციებს და ცალკეული აპექტებით აღემატებოდა კიდეც მათ. მასში ასახვა ჰპოვა კონსტიტუციური აზროვნების მნიშვნელოვანმა მიღწევებმა. ხაზგასასმელია, რომ ეს უაღრესად დემოკრატიული კონსტიტუცია ბევრი მიმართებით აღემატება ამჟამად მოქმედ საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციას. იგი შექმნა რუსული მონობიდან ახლად თავდაღწეული ქვეყნის ხალხმა, რომელსაც არასოდეს უცხოვრია კონსტიტუციური გარანტიებით კონსტიტუციურ გარემოში;
- მართალია კომუნისტური მმართველობის დროს (1921-1991) საქართველოში მიღებულ იქნა 4 კონსტიტუცია, მაგრამ ისინი უბრალოდ ითარგმნა რუსულ, საბჭოთა კონსტიტუციებიდან და არ შეესაბამებოდნენ ქართულ რეალობას და ქართველი ხალხის მისწრაფებებს. ამის გამო ამ პერიოდში ფაქტიურად არ ხდებოდა კონსტიტუციური აზროვნების განვითარება და წინსვლა. სამაგიეროდ იგი განვითარდა ემიგრაციაში და ეს, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია სტრასბურგის უნივერსიტეტის პროფესორის მიხეილ მუსხელიშვილის სახელთან;
- შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ ევროკავშირის შექმნაში შეტანილია ქართული წვლილიც. 1948 წელს პროფესორმა მიხეილ მუსხელიშვილმა ფრანგ გასტონ სტეფანთან ერთად დაწერა ევროპის ფედერალური კონსტიტუციის პროექტი, რომლის ძირითადი დებულებანი საფუძვლად დაედო ევროკავშირის სამართალს და ევროკავშირის კონსტიტუციის პროექტს (2008 წ.). ეს ყველაფერი გაკეთდა ევროკაშირის დაარსებამდე 2 წლით ადრე.

- მიხეილ მუსხელიშვილს ასევე ეკუთვნის ევროპაში უვიზო მიმოსვლის იდეა (შენგენის ვიზა), ევროკავშირის პოლიტიკური ინსტიტუტების დაფუძნების იდეა, რაც მერე განხორციელდა ევროკომისიის, ევროპარლამენტის, ევროპის საბჭოს და სხვათა სახით.
- 1955 წელს ტრიესტში მან ევროპის პროფესორთა საბჭოს კონგრესზე დააყენა იდეა ევროპის უმაღლესი სასწავლებლების საგანმანათლებლო პროგრამების დაახლოებისა და ჰარმონიზაციის შესახებ, რაც მერე საფუძვლად დაედო ბოლონიის სასწავლო პროცესს მსოფლიოში. მანვე 1953 წლის 10 აგვისტოს ცნობილ ქართველ ემიგრანტებთან ერთად დააფუძნა „ევროპულ-ქართული მოძრაობა“, რითაც განუსაზღვრა მომავლის საქართველოს ადგილი ევროპაში.

# გამოყენებული ლიტერატურა


აბაშმაძე, ვახტანგ. 1992. ქართული ინტელექტუალური ფენომენები. თბილისი: თსუ გამომც.

ნაკვევები საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან. თბ. 1969.

აბულაძე, ი. 1973. ძველი ქართული ლექსიკონი. თბ.

ანთელავა, ი. 1977. ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლის შესახებ. საქ.მეცნ.აკადემიის „მაცნე“, ისტორიის სერია, #4.

ანდერძი დავით აღმაშენებლისა შიომღვიმისადმი. 1965. ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II. გვ. 12-18. თბ.: გამომცემლობა „მეცნიერება“.

აგათია სქოლასტიკოსი. 1936. გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტ. III. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა. გვ. 25-188. ტფილისი: ტფილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

არისტოტელე. 1999. „პოლიტიკა“. თბ.

ასათიანი, ლევან. 1933. ვოლტერიანობა საქართველოში. თბ.

ბასილ ეზოსმოძღუარი. 1959. ცხოვრება მეფეთ-მეფისი თამარისი. ქართლის ცხოვრება. ტომი მეორე. გვ. 115-150. თბ.: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.

ბერძენიშვილი, ნ. 1958. და სხვა საქართველოს ისტორია. წ.1, თბ.

ბლავატსკაია, ე. 1994. საიდუმლო დოქტრინა. თბ.

გონაშვილი, ვ. 2007. საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები. თბ.

გონაშვილი და სხვ. 2016. შესავალი საკონსტიტუციო სამართალში. თბ.

გრიგოლია, კ. 1954. ნარკვევები საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობიდან, წ. I, ახალი ქართლის ცხოვრება. თბ.

გაბაშვილი, ვ. თბილისის მმართველობა X-XI საუკუნეებში, თსუ შრომები, #108

გაბაშვილი, ვ. 1954. დასტურლამალი - 1729 წლის ხელნაწერი (მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის). თბ.

სპარსული დასტურლამალი. თსუ შრომები. XXXV. თბ. 1954

გაბიძაშვილი, ენ. 1972. რუის-ურბნისის „ძეგლისწერის“ ავტორის ვინაობისათვის. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, კ.კეკელიძის ხელნაწერთა ინსტიტუტი სამეცნიერო სესია XIV. თეზისები.

გაზ. „ერთობა“. 23.01.1921.

გელეიშვილი, პ. 1936. ალექსანდრე ამილახვარი. თბ.

დემეტრაშვილი, ა. კობახიძე, ი. 2014. კონსტიტუციური სამართალი. თბ.

დოლიძე, ი. 1957. გიორგი ბრწყინვალის სამართალი. თბ.

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული. 1963. ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული. ქართული სამართლის ძეგლები : ტომი I, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. დოლიძემ. თბ.

თაყაიშვილი, ექვთიმე. 1890. „ხელმწიფის კარის გარიგება“. თბ.

თემისტიოსი. 1961. კოლხეთის რიტორიკული სკოლა. გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტ. I, გვ. 50-59. თბ.: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

იაქაშვილი, პ. 2003. ეროვნული იდეა. თბ.

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი.“ 1959. ქართლის ცხოვრება. ტომი მეორე. გვ. 1-114. თბ.: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.

კეკელიძე, კ. 1951. ძველი ქართული მწერლობის ისტორია. ტ.I, თბ.

კიკვიძე, ა. 1939. საქართველო XII საუკუნეში. თსუ შრომები. ტ. IX.

კობახიძე, ირაკლი. 2019. კონსტიტუციური სამართალი. თბ.

ლობჟანიძე, გ. 2001. ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია. თბ.

ლოკო, ფ. 2005. პარლამენტარიზმი. თბ.

მაკალათია, ს. 1942. თამარ მეფე. თბ.

მაცაბერიძე, მ. 1993. საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია, შემუშავება-მიღება. ტ.1,თბ.

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია, შემუშავება, მიღება. სახელმწიფოს მოწყობის კონცეფცია. თბ.: თსუ გამომც. 2021

მესხია, შ. 1961. სოციალურ-პოლიტიკურ მოძრაობათა ბუნებისათვის XII საუკუნის საქართველოში. თბ.

მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის (მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის). თბ. 1954

საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში. თბ. 1962

მონტესკიე, შარლ-ლუი. 1998. „კანონთა გონი“. თბ.

მუსხელიშვილი, მიხეილ. 1955. რუსეთი არ არის ევროპა, ჟურნალი „ბედი ქართლისა“ #20. პარიზი.

საქართველო და ევროპა, კრებული „საქართველოს ურთიერთობა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებთან. II. თბ. 1995

მჭედლიშვილი, გიორგი. 2004. ქართული კულტურის პარადიგმა. თბ.

ქართული პარლამენტარიზმის სათავებთან. თბ. 1991

მჭედლიძე, გ. 1977. ეტიუდი რუსთაველის ეპოქის საქართველოს ისტორიიდან, ჟურნ: „განთიადი“ #6.

ნიკოლაძე, ნიკო. 1964. თხზულებანი. ტ. IV, თბ.

თხზულებანი, ტ.VIII. ქუთაისი. 2023

თხზულებანი. ტ. X. ქუთაისი. 2023

ნიორაძე, ნანა. 2009. ევროპული განმანათლებლობის კვალდაკვალ. ჟურნ: „სემიდა“, #3. თბ.

ნუცუბიძე, შალვა. 1947. ქართული ფილოსოფიის ისტორია. ტ. 1-2, თბ.

პლატონი. 2003. სახელმწიფო. თბ.: გამომც: „ნეკერი“.

რუსთაველი, შოთა. ვეფხისტყაოსანი. http://www.nplg.gov.ge/ebooks/authors/shota_rustaveli/vefxistyaosani.pdf

ჟორდანია, ნოე. 1919. დამფუძნებელი კრება, მისი ფუნქციები და ძალაუფლება. გაზ: „ერთობა“, #30.

ჟორდანია, ნოე. 1990. ჩემი წარსული. თბ.

ვეფხისტყაოსანი. პარიზი. 1930

ჟორდანია, თედო. 1896. შიომღვიმის ისტორიული საბუთები. ტფ.

საქართველოს ისტორიის ნარკვევები. 1973. ტ.II, თბ.

სოსელია, გ. 1958. ყუთლუ-არსლანის დასის პოლიტიკური პროგრამის შესახებ. მ. გორკის სახელობის სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, X-XI, თბ.

სურგულაძე, ივანე. 1973. ფეოდალური საკუთრება საქართველოში (ქართული სამართლის ისტორიის საკითხები), I. თბ.

საკუთრების უფლების ინსტიტუტი ფეოდალური საქართველოს სამართლის ძეგლების მიხედვით. თბ.: თსუ შრომები, XXXV. 1949

სულხან-საბა ორბელიანის პოლიტიკური და იურიდიული შეხედულებანი. თბ.1953

საქართველოს ფეოდალური სახელმწიფო წყობილების ფორმის საკითხი „ხელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“, #3. 1959

ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოს და სამართლის ისტორიიდან. თბ. 1965

ნარკვევები  სახელმწიფოს და სამართლის ისტორიიდან, თბ. 1963

ნარკვევები საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, თბ. 2001

ქართული სამართლის ისტორიის წყაროები, I. თბ. 2000

გაზ: „სლოვო“. 25.XI.1920. თბ.

გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“. 3.04.1920.  ტფ,

სცსსა, ფონდი 1825, ანაწ.1, საქმე 156.

ფონდი 1825, ანაწ.1, საქმე 170.

ფონდი 1825, ანაწ.1, საქმე 129.

ფონდი 1833, ანაწ.1, საქმე 181.

ფონდი 1833, ანაწ.1, საქმე 182.

ფონდი 1833, ანაწ.1, საქმე 859.

ფონდი 1833, ანაწ.1, საქმე 1385.

ფონდი 1833, ანაწ.1, საქმე 192.

ფონდი 1836, ანაწ.1, საქმე 420.

საქართველოს კონსტიტუცია. 1992. მიღებულია საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის 21 თებერვალს. თბ.: „სამშობლო“.

საქართველოს კონსტიტუცია. 1997. საფუძვლებისა და შინაარსის მიმოხილვა. თბ.: ფრიდრიხ ებერტის ფონდის გამოცემა.

საქართველოს კონსტიტუცია. 2019. თბ.: გამომც. „უნივერსალი“.

ტალახაძე, გიორგი. 2017. ადამინის პრობლემა ძველ ქართულ მწერლობასა და ფილოსოფიაში. თბ.: სტუ.

ურბნელი, ნ. 1888. ჩვენი საეკლესიო სჯულმდებლობა, ძეგლის წერა. გაზ. „ივერია“, #38.

1890. „ძეგლის დადება“ მეფე გიორგი ბრწყინვალესი. ტფ.

ქართლის ცხოვრება. 1959. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს.ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II. თბ.

ქართული სამართლის ძეგლები. 1963. I, ი.დოლიძის რედაქციით, თბ.

1965. II, პროფ. ი.დოლიძის რედაქციით, თბ.

1970. III, პროფ. ი.დოლიძის რედაქციით, თბ.

1970. ივ.სურგულაძის რედაქციით, თბ.

ხელმწიფის კარის გარიგება. 1965. გარიგება £ელმწიფის კარისა. ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბ.

ყაუხჩიშვილი, თ. 1957. სტრაბონის გეოგრაფია. თბ.

შარაძე, გურამ. 2001. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა 1918-1921 წწ, სამი ისტორიული დოკუმენტი, თბ.

შაიო, ა. 2003. ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი. თბ.: „სეზანი“.

შანიძე, აკ. 1924. დავით აღმაშენებლის მიერ შიომღვიმისთვის დაწერილი ანდერძის დასაწყისი სიტყვები, ჟურნ. „ჩვენი მეცნიერება“, #8.

შესავალი თანამედროვე აზროვნებაში. 2017. VI გადამუშავებული გამოცემა, , ნ.I. თბ.: ილიაუნი.

შუბითიძე, ვაჟა. 2003.ნოე ჟორდანიას პოლიტიკური შეხედულებანი. თბ.

ევროპეიზაცია და ქართული პოლიტიკური აზროვნება. თბ.: სტუ. 2013

ქოჩორაძე, ოთარ. პოლიტოლოგია. თბ. 2001

„ევროინტეგრაცია და საქართველო“, კრებული „საქართველო ევროპულ სივრცეში“, , თბ.: სტუ. 2011

ნიკო ნიკოლაძე - კაცი სახელმწიფო. თბ. 2013

ჯაფარიძე, ედიშერ. 2025. ევროპეიზაციისა და ევროინტეგრაციის ქართველი „მამები“. თბ;

კურტანიძე, ამირან. 2018. „ხელისუფლების დანაწილების ქართული მოდელი თამარის ეპოქაში, ჟურნ: „საისტორიო ვერტიკალები“ #40.

ცინცაძე, ალიკო. 2019. ჰემატრია „ვეფხისტყაოსანში“. თბ.

ცურტაველი, იაკობ. 1938. მარტვილობა შუშანიკისი, ილია აბულაძის რედაქციით, თბ.

ცხოვრება მფეთ-მეფისა დავითისი. 1955. ქართლის ცხოვრება. ტომი პირველი. გვ. 318-364. თბ.: სახელგამი.

ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. 1964. წიგნი I, თბ.

ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია. 1949. II, ს. ყუბანეიშვილის რედაქციით, თბ.

ძეგლისწერაი რუის-ურბნისის კრებისაი. 1970. ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III. თბ.: გამომცემლობა „მეცნიერება“. გვ. 105-127.

წერეთელი, გ.1943. არმაზის ბილინგვა. აკად. ნ.მარის სახ. ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის „მოამბე“, XII.

ჯავახიშვილი. ივანე. 1929. ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკვეთი II, ტფ.

ქართველი ერის ისტორია, ტ.II, თბ. 1965

ქართველი ერის ისტორია, ტ.I, თბ. 1928

თხზულებანი, 12 ტომად, ტ.II, თბ. 1983

ჯანაშია, ს. 1952. შრომები, ტ. II. თბ.

ჯაფარიძე, ედიშერ. 2019. ევროინტეგრაციის სათავეებთან. თბ.: „უნივერსალი“.

Боргош. 1948.Фома Аквинский, М.

Локк, Д. 1960. Избранные философские произведения в 2 томах, II т, М.

Polibii. 1935. Historiasum Feliguuige.